

აღბერძო მორავი

ფიფლი



მკითხველთა ღიბა

ალბერტო მონაპია

მისე



გაითხვალთა ლიბრა

პირველი თავი

დღეს უკვე შემძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ქორწინების პირველი ორი წელიწადი მე და ჩემმა ცოლმა სიამტკბილობაში გავატარეთ. უფრო სწორად რომ ვთქვა, ამ ორი წლის მანძილზე ჩვენი გრძნობების სრულყოფასა და ღრმა ჰარმონიულობას თან ახლდა ის მოდუნება, ან თუ გნებავთ, ის დუმილი გონებისა, როდესაც ადამიანი კარგავს საღად განსჯისა და დაკვირვების უნარს და სიყვარულით აღტაცებული საყვარელი ადამიანის მხოლოდ ღირსებას ხედავს.

ერთი სიტყვით, ემილია ყოვლად უნაკლო ადამიანად მესახებოდა. ვფიქრობ, ისიც ამგვარივე აზრისა გახლდათ ჩემზე. შესაძლოა, ვხედავდით კიდევ ერთმანეთის ნაკლს, მაგრამ, სიყვარულის მაგიური ძალით ატაცებულთ, ეს ნაკლი არა მართო მისატყვებელი, მიმზიდველიც გვეჩვენებოდა, თითქოს ნაკლი კი არა, ღირსება ყოფილიყო, თანაც რაღაც განსაკუთრებული ღირსება.

ასე იყო თუ ისე, ვცდილობდით, სამსჯავრობე არ გამოგვეტანა ჩვენი ნაკლი თუ ღირსება; უბრალოდ, ჩვენ გვიყვარდა ერთმანეთი.

მინდა მოგიხსროთ, როგორ მოხდა, რომ მაშინ, როდესაც ემილია კვლავ ძველებურად მიყვარდა და ვერ ვამჩნევდი მის ნაკლსა თუ ღირსებას, პირიქით, სწორედ მან აღმომიჩინა ნაკლი, — ან ეგონა, რომ აღმომიჩინა. ჯერ ყვედრება დამიწყო, ყველაფერს მიწუნებდა, მერე გული აიცრუა ჩემზე და ბოლოს მთლად შემძულა.

რაც უფრო დიდია ბედნიერება, მით უფრო ნაკლებად შეიგრძნობ მას. შეიძლება, უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ იმ პირველ ორ წელიწადს მოწყენილობა მიპყრობდა ხოლმე. მე მგონი, უბრალოდ, ვერ ვგრძნობდი, ბედნიერი რომ ვიყავი; ცოლ-ქმარს ერთმანეთი რომ გვიყვარდა, უჩვეულოს აქ ვერაფერს ვხედავდი; ჰაერისა არ იყოს, არც ბედნიერების ფასი ვიცოდი. ჰაერს ხომ სწორედ მაშინ ხდება ფასი, როცა არა გვყოფნის. იმ ხანებში ჩემთვის ვინმეს რომ ეთქვა, ბედნიერი

ხარო, ალბათ, გაცხებული ვუპასუხებდი, ცდებით-მეთქი, რადგან თუმცა ცოლი მიყვარდა და თავის მხრივ იმასაც ვუყვარდი, მაინც არა მჯეროდა ხვალინდელი დღისა. ასეც იყო: ერთ-ერთ მეორეხარისხოვან გაბეთში ვთანამშრომლობდი კინოკრიტიკოსად, ცოტ-ცოტას ვჟურნალისტობდი კიდევ, გასამრჯელოდ გროშებს ვიღებდი და ამ გროშებით როგორღაც გაგვექონდა თავი.

ერთი ოთახი გვექონდა დაქირავებული თავის ავეჯიანად. ისე ხელმოკლედ ვცხოვრობდით, ფუფუნების საგნებს კი არა, აუცილებელსაც ძლივს ვყიდულობდით. ჰოდა, ასეთ პირობებში განა შემეძლო თავი ბედნიერ კაცად მიმეჩნია? არადა, მოგვიანებით მივხვდი, რომ სწორედ მაშინ ვყოფილვარ, თურმე, ბედნიერი.

ქორწინებიდან ორი წლის თავზე, როცა, როგორც იქნა, ცოტა მოვითქვით სული, გავიცანი კინოპროდიუსერი, გვარად ბატისტა და ჩემი პირველი სცენარიც მას დაუწერე. კინოში მუშაობა დროებით საქმიანობად მიმანდა და მე უფრო დრამატურგობა მიტაცებდა. მაინც ბედად მეწერა, თურმე, კინოსცენარისტობა ჩემი ხელობა გამხდარიყო. სწორედ მაშინ იყო, რომ მე და ემილიას შორის შავმა კატამ გადაირბინა. ჩემს მოთხოვნასაც იმ დღიდან ვიწყებ, როდესაც ცოლს ჩემდამი გულაცრუება შევამჩნიე. ეს ორი მოვლენა თითქმის ერთდროულად მოხდა და როგორც შემდეგ გახდა ნათელი, ერთმანეთთანაც საბედისწეროდ იყო გადახლართული. როცა ვცდილობ, გონების თვალით გადავხედო წარსულს, ბუნდოვნად მახსენდება ერთი შემთხვევა, რომლისთვისაც მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, თურმე, გადამწყვეტი მნიშვნელობისა ყოფილა ჩემს ცხოვრებაში.

ეს-ეს არის ემილია, ბატისტა და მე რესტორნიდან ქუჩაში გამოვედით. ბატისტამ სახლში მიგვიპატიჟა, ვახშამი იქ გავაგრძელოთ. ჩვენც დავეთანხმეთ. სამივენი მივუახლოვდით ბატისტას წითელ, მდიდრულ, მაგრამ ორადგილიან მანქანას.

ბატისტა საჭეს მიუჯდა. მერე კარი გამოაღო, ემილია მიიპატიჟა, მე კი მითხრა:

— დიდად ვწუხვარ, მოლტენი, მაგრამ მანქანაში მეტი ადგილი არ არის. ტაქსით მოგიწევთ წამოსვლა. თუ გინდათ, დამელოდეთ და მოვბრუნდები თქვენ წასაყვანად.

ემილია ჩემ გვერდით იდგა. თავისი ერთადერთი შავი საგარეო კაბა ეცვა, ღრმად გულამოჭრილი და მოკლესახელოანი. ბეწვის მოსასხამი ხელში ეჭირა — ოქტომბერი იდგა და ჯერ კიდევ თბილოდა. შევყურებდი ემილიას და არ ვიცი, რატომ, მისი საერთოდ მშვიდი და უშფოთველი სილამაზის მიღმა ამ საღამოს რაღაც უცნაური მღელვარება, თითქმის შეშფოთება შევამჩნიე.

ემილიას მხიარულად მივმართე:

— ჩაჯექი მანქანაში, შენ და ბატისტა ერთად წადით, მე ტაქსით დაგეწევით.

ემილიამ შემომხედა და ხმადაბლა, უკმაყოფილოდ შემომეპასუხა:

— სჯობს ბატისტა წინ წაგვიძღვეს, მასპინძელია. ჩვენ კი ტაქსით მივყვით.

ამ სიტყვებზე ბატისტამ მანქანიდან თავი გამოჰყო და ხუმრობით თქვა:

— კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა, გინდათ მარტო წავიდე, ხომ?

— არა, რას ბრძანებთ, მაგრამ... — წამოიწყო ემილიამ და მწყობარ სახეზე კვლავ შეშფოთება გამოეხატა, დიდი სულიერი მღელვარებისგან ლამაზი ნაკვთები ნერვიულად დაემანჭა, მაგრამ ჩემდა უნებურად მაინც დამცდა:

— ბატისტა მართალია, ჩაჯექი მანქანაში, მე ტაქსის გავაჩერებ.

ემილიამ ამჯერად დამიჯერა, აღარ შემკამათებია და მანქანაში ჩაჯდა.

მხოლოდ ახლა, ამ სტრიქონებს რომ ვწერ, მახსენდება, რა მუდარა, წყრომა და სიძულვილი ეხატა სახეზე ემილიას. მაგრამ მაშინ ეს შემოხედვა არაფრად ჩავაგდე და მანქანის კარი ისე ხმაურით მივაჯახუნე, თითქოს სეიფს ვკეტავდი. მანქანა დაიძრა და მეც ერთობ მხიარულად, სტვენა-სტვენით გავეშურე ტაქსების მახლობელი გაჩერებისაკენ.

ბატისტას სახლი რესტორნიდან შორს არ იყო, ხელი რომ არ შემშლოდა, ლამის მათთან ერთად თუ არა, სულ რაღაც ორი—სამი წუთით თუ დამაგვიანდებოდა მისვლა. თითქმის ნახევარი გზა გავლილი გვექონდა, რომ გზაჯვარედინზე ჩვენი ტაქსი რომელიღაც მანქანას დაეჯახა. ორივე მანქანა საკმაოდ დაზიანდა. ტაქსის ფრთა შეენგრა. მანქანასაც გვერდი შეეჭყტყა. მძღოლები მაშინვე გადმოცვივდნენ მანქანებიდან, ერთმანეთს მიცვივდნენ, იგინებოდნენ, თავს იმართლებდნენ. ხალხი მოგროვდა, პოლიციაც მოვიდა, ძლივს გააშველეს მოჩხუბარნი. პოლიციელმა ორივე მძღოლის გვარები და მისამართები ჩაიწერა. მთელი ეს ხანი მე აუღელვებლად ვიჯექი ტაქსში და ასევე აუღელვებლად ვუცდიდი მძღოლს, თითქმის ბედნიერადაც კი ვგრძნობდი თავს. ჯერ ერთი, ამ საღამოს ლაზათიანად ვივასშმე და ღვინოც დავლიე, მეორეც — სცენარის დაკვეთით გამოწვეული სიხარული ჯერაც არ გამნელებოდა.

მთელმა ამ დავიდარაბამ ათ-თხუთმეტ წუთს გასტანა. ბატისტას სახლში დაგვიანებით მივედი. ემილია სასტუმრო ოთახში მოკალათებულიყო სავარძელში. მასპინძელი კუთხეში, მოძრავ მაგიდასთან იდგა. იგი მხიარულად შემომეგება, რასაც ვერ ვიტყვი ემილიაზე. პირიქით, საცოდავი, თითქმის განაწამები ხმით მკითხა, ამდენ ხანს სადა ხარო. დაუდევრად ვუპასუხე, ესა და ეს შემემთხვა-მეთქი. მაგრამ თვითონვე ვგრძნობდი: ჩემი პასუხი ისე ჟღერდა, თითქოს რაღაცის დაფარვას ვცდილობდი. გულგარეთ ვყვებოდი, რაც შემემთხვა გზაზე. ემილია არ მომეშვა, მის ხმაში რაღაც ახალს მოვკარი ყური.

— რას ამბობ? რა უბედური შემთხვევა?

მაშინ ძალიან გამიკვირდა, ემილია ასე რომ ჩამაცივდა და თავიდან დავიწყე ამბის მოყოლა. ამჯერად დალაგებულად მოვეყვი, თითქოს მეშინოდა, ვაითუ არ დამიჯრონ-მეთქი. ახლაც არ ვიცი, რად მჭირდებოდა ეს ყალბი კილო. ოღონდ არ გავჩუმებულიყავი და ყველაფერს ვყვებოდი, უმნიშვნელო წვრილმანსაც კი. ბოლოს, როგორც იქნა, ემილიამ დაამთავრა ჩემი დაკითხვა და გამხიარულებულმა ბატისტამ გულლიად მიგვიწვია სუფრასთან.

მე მასპინძლის პირდაპირ დავჯექი. მასლაათსა და ხუმრობაში, — უმთავრესად მე და ბატისტას რომ შეგვეხებოდა, — ორი საათი მაინც გავიდა. ბატისტა ისე მხიარულობდა, სულ არ შემიმჩნევია, ემილია რომ რაღაცნაირად მოშვებული იჯდა. თუმცა რომც შემემჩნია, არც გამიკვირდებოდა: იგი ბუნებით ჩუმი და გულდახსურული ქალი იყო. მხოლოდ ის მაოცებდა, ზედაც რომ არ გვიყურებდა. სიგარეტს ეწეოდა და ღვინოს წრუპავდა. იჯდა თავისთვის, თითქოს მის მეტი არავინ ყოფილიყოს ოთახში.

მაღლე ბატისტამ საქმიანი საუბარი გამიბა ფილმზე, რომლის შექმნაში მეც უნდა მიმეღო მონაწილეობა. გამაცნო სცენარის სიუჟეტი, რეჟისორისა და თანაავტორის გვარები. ბოლოს მითხრა, ხვალ სტუდიაში მოდი, ხელშეკრულებას ხელი მოაწერეო.

ემილიამ ისარგებლა მცირეოდენი პაუზით, ამ საუბარს რომ მოჰყვა და წამოდგა. ძალიან დავიღალე, შინ წავიდეთო. გამოვეთხოვეთ მასპინძელს, კიბე ჩავიარეთ და უხმოდ გავეშურეთ ტაქსების გაჩერებისკენ. ჩავსხედით. ტაქსი დაიძრა, მთვრალი ვიყავი სიხარულით. ბატისტას წინადადებამ ფრთები შემასხა თითქოს, ვერ მოვითმინე, ჩემი სიხარული ემილიასთვის არ გამეზიარებინა.

— ამ სცენარმა სწორედ რომ სულზე მოგვისწრო, თორემ რა გვეშველებოდა, ისევ ვალებში ჩავეფლობოდით.

— რამდენს მოგვცემენ? — მკითხა ემილიამ.

მე ვუთხარი, რამდენსაც მომცემდნენ და დავუმატე:

— აღარაფერი გაგვიჭირდება, ყოველ შემთხვევაში, ამ ზამთარს მაინც.

მისი ხელი ჩემს ხელში მოვიქციე. ის მორჩილად დამყვა და ისე მივედით სახლამდე, ხმა არ ამოგვიღია.

მეორე თავი

იმ საღამოს შემდეგ ჩემი საქმე მშვენივრად აეწყო. მეორე დილასვე მივედი ბატისტასთან, ხელი მოვაწერე ხელშეკრულებას და ავანსიც მივიღე. რამდენადაც მახსოვს, უნდა დამეწერა უბრალო; სენტიმენტალური კინოკომედია. თავდაპირველად მეგონა, ამ ჟანრში გამიჭირდებოდა მუშაობა ჩემი სერიოზული ხასიათის გამო, მაგრამ როცა საქმეს მოვკიდე ხელი, მერე და მერე გამოირკვა, რომ სწორედ ის ჟანრი ყოფილა ჩემი მოწოდება. იმავე დღეს პირველად შევხვდი რეჟისორსა და სცენარის თანაავტორსაც.

ამგვარად, შემიძლია ბუსტად დავასახელო, როდის დაიწყო ჩემი კინოკარიერა. ეს მოხდა იმ საღამოს, როდესაც ბატისტამ მიგვიპატიჟა თავის სახლში, მაგრამ ასევე ბუსტად შემიძლია დავასახელო ის დღე, რა დღიდანაც დაიწყო უთანხმოება მე და ემილიას შორის. მე მგონი, მისი ჩემდამი გულაცრუებაც იმ საღამოს დაიწყო და მიხვედრითაც მხოლოდ ერთი თვის მერე მიხვდები ამას, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ვსაზღვრავდი, როდის სძლია ერთმა გრძნობამ მეორეს ემილიას გულში, და რა იყო ასეთი ფერისცვალების მიზეზი.

მთელი ეს ხანი თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ბატისტას და ბევრი იმ საღამოსნაირი ეპიზოდის გახსენებაც შემიძლია. ეს ეპიზოდები მაშინ უმნიშვნელო მეჩვენებოდა, არაფრით არ მიშფოთებდნენ ცხოვრებას. მაგრამ ჩემს მეხსიერებაში მერე და მერე გამოიკვეთნენ და ყოველ მათგანს თავისი სახელი დაერქვა. მინდა, ერთი გარემოება აღვნიშნო მხოლოდ: ყოველთვის, როცა კი ბატისტა შინ გვპატიჟებდა — ეს კი საკმაოდ ხშირად ხდებოდა — ემილია უარს ამბობდა წამოსვლაზე. მართალია, მთლად მტკიცედ არ უარობდა, მაგრამ გასაოცარი ის იყო, ყოველ წამოსვლაზე რომ ჯიუტად იმეორებდა უარს. ცდილობდა, რაღაც მიზეზი მოენახა და ბატისტას არ შეხვედროდა. მე კი, ჩემი მხრივ, ვცდილობდი, დამერწმუნებინა ცოლი, რომ უმიზეზო იყო მისი უარი. ხშირად შევკითხვივარ, რატომ ხარ ასე ანტიპათიურად განწყობილი ამ კაცის მიმართ-მეთქი. ის კი

ყოველთვის ერთნაირად, თუმცა ოდნავ შესამჩნევი ხმით მეუბნებოდა: სულაც არა ვარ ანტიპათიურად განწყობილი, უბრალოდ, აღარ მინდა საღამოობით შინიდან გასვლა, ვიღლები და მომბებრდა კიდევცო. რა თქმა უნდა, მე ეს პასუხი არ მაკმაყოფილებდა და ყოველნაირად ვცდილობდი სიმართლე მეთქმევინებინა, მაგრამ ამაოდ, ვხვდებოდი, ემილია რაღაცას მიმაღაავდა, მათ შორის რაღაც მოხდა, მაგრამ ვერაფრით გამეგო, კერძოდ, რა. ყოველ შემთხვევაში, ბატისტას ვერაფერს ვამჩნევდი. ეტყობა, ემილიას ეს გრძნობა ამ კაცის მიმართ თავსდაუნებურად გაუჩნდა.

რაც უფრო ვცდილობდი, ემილიასთვის სიმართლე დამეცდენინებინა, მით უფრო გაათრებით მიმტკიცებდა იგი საწინააღმდეგოს და გაკერპებული გამოთქვამდა თავის უკმაყოფილებას. გულში მიხაროდა, ემილია მამაკაცების მიმართ ასეთ თავდაჭერილობას რომ იჩენდა. ეჭვის საბაბს არც ბატისტა მაძლევდა და ცოლის სიყვარულში დაიმედებული, ვცდილობდი ემილია დამერწმუნებინა, რაოდენ სასარგებლო იყო ჩვენთვის პროდიუსერთან გატარებული ეს საღამოები. ბატისტამ ძალიან კარგად იცოდა, რომ მე მართო არსად დავდიოდი, მას სიამოვნებდა, ემილია, რომ ესწრებოდა ჩვენს საუბარს; ყოველთვის, როცა კი შინ მპატივებდა, მეუბნებოდა: მეწვიეთ მეუღლითურთ. ჰოდა, როგორი საქმეა, ასეთი გულითადი მიწვევის მერე ემილია რომ არ გამომყოლოდა? ბატისტა ხომ განაწყენდებოდა? ჩვენი მხრიდან დიდ უპატივცემულობად მიიჩნევდა ამას და შესაძლოა, შემოგვწყრომოდა კიდევც. ჩვენი სული ხომ ბატისტას ხელში იყო.

ერთი სიტყვით, რაკი ემილიას უარი ყოველგვარ საბუთს იყო მოკლებული, მე კი უამრავი გამაჩნდა, არ ვეშვებოდი: ეგ დაღლა და უგუნებობა როგორმე გადაიგდე გულიდან, პროდიუსერს უარს ნუ ვაკადრებთ მეთქი.

მეჩვენებოდა, რომ ემილია ჩემს სიტყვებზე მეტად ჩემს ქცევას, მოძრაობას ადევნებდა თვალს, ბოლოს ჩემს ნებას დაჰყვებოდა ხოლმე და უსიტყვოდ იწყებდა ჩაცმას.

რამდენჯერ მითქვამს უკვე ჩაცმული ემილიასთვის ბოლო წამს, სწორედ სახლიდან გასვლისას: თუ მართლა არ გინდა,

ნუ წამოხვალ-მეთქი. ამას იმიტომ კი არ ვეუბნებოდი, რომ ეჭვი მეპარებოდა მის პასუხში, არამედ იმიტომ, რომ მეგრძნობინებინა, სრულ თავისუფლებას გაძლევ, როგორც მოგესურვოს, ისე მოიქეცი-მეთქი. ის კი ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს მაძლევდა: არაფერი მაქვს საწინააღმდეგო. მხოლოდ ეს კი იყო, სახეზე ჭმუნვა ეხატებოდა. ასე მეორდებოდა სახლიდან ყოველი გასვლისას.

ეს ყველაფერი, ახლა რომ ასე დაწვრილებით ვიგონებ, ხორცს ისხამს ჩემს მეხსიერებაში. ვცდილობ, აღვადგინო უმნიშვნელო წვრილმანიც კი, მაშინ რომ ყურადღების ღირსად არ მიმაჩნდა. დღეს კი ვხედავ, სწორედ მათ ჰქონიათ გადაწყვეტი მნიშვნელობა.

ვგრძნობდი, დამძიმდა ჩვენი ურთიერთობა, დაზუსტებით ვერ ვიტყვოდი, სად ამემღვრა წყალი, სად გაჩნდა ბზარი. მთავარია, გული ცუდს მიგრძნობდა. ისე ავისმომასწავებლად მიცემდა მკერდში, როგორც მოქრუშული ღრუბელი გვამცნობს ხოლმე ტექა-ქუხილის მოახლოებას.

ფიქრი მტანჯავდა, ემილიას ძველებურად აღარ ვუყვარვარ-მეთქი. ჩემთან მარტო დარჩენასა და ინტიმურ საუბარს გაურბოდა, ქორწინების პირველ წლებში კი უჩემოდ ვერ ძლებდა. უჩემობა ვერც წარმოედგინა. მახსენდება: ვეტყვოდი ხოლმე, საქმეზე მივდივარ, ორი საათით დაგტოვებ, მალე დავბრუნდები-მეთქი, — უნდა გენახათ, რა მორჩილება და ნაღველი დაეხატებოდა ხოლმე სახეზე. უსიტყვოდ მემუდარებოდა, ნუ წახვალო. ამის შემხედვარეს ბევრჯერ ხელი ჩამიქნევია, საქმე გადამიდგია და შინ დავრჩენილვარ. მთელ დღეებს მასთან ვატარებდი, თუ შესაძლებელი იყო, თან მიმყავდა. როგორც ვთქვი, უჩემოდ ვერ ძლებდა. ერთხელ, მახსოვს, ჩრდილოეთ იტალიაში უნდა გავმგზავრებულიყავი სულ რამდენიმე დღით. მატარებელი რომ დაიძრა, შევამჩნიე, სახე მიატრიალა, რათა მისი ცრემლიანი თვალები არ დამენახა. თავი ისე მოვაჩვენე, თითქოს არაფერი შემემჩნიოს, მაგრამ მთელი გზა მისი ცრემლიანი თვალები არ მაძლევდა მოსვენებას. სინდისი მქენჯნიდა, რატომ თან არ წამოვიყვანე-მეთქი; იმ დღის მერე მარტო აღარსად წავსულვარ.

სადღა გაქრა ის გრძნობა? სახლიდან გასვლისას მის საყვარელ სახეზე ვეღარ ვხედავდი ჩემთვის ასე ნაცნობ შეშფოთებას. ახლა, საქმეზე მივდივარ-მეთქი, რომ ვეტყოდი ხოლმე, წიგნიდან თავს არც აიღებდა, ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკებდა: „კარგი, წადი, ვახშამზე არ დაიგვიანო“, და ამასაც ნაძალადევი სინაზით ამბობდა. მეჩვენებოდა, რომ ჩემი წასვლა უხაროდა კიდევ. როცა ვეტყოდი, აუცილებელ საქმეზე მივდივარ, ცოტა დამაგვიანდება-მეთქი, უმალ მიპასუხებდა: „ჩემი გულისთვის საქმეს ნუ მოსცდები, ნუ აჩქარდები, რამდენ ხანსაც გინდა, დარჩი. მეც ოჯახის საქმეს უკეთ მოვასწრებ“.

ერთხელ ხუმრობით შევაპარე: შენ, მგონი, გირჩევნია კიდევ, რომ მე მთელი დღე გარეთ ვიყო-მეთქი. პირდაპირ პასუხს მოერიდა, ესლა თქვა: რადგან სცენარის გადამკიდეს სულერთია, მთელი დღე არ გცალია, სჯობს, ვახშამზე მაინც შევხვდეთ ერთმანეთს. მანამდე მეც უფრო თავისუფლად მივდებ-მოვდგები. სახლშიო. მართალს ამბობდა, ოღონდ ნაწილობრივ: სცენარზე სამუშაოდ ნაშუადღევს მივდიოდი, დანარჩენი დრო ვცდილობდი, ემილიასთან გამეტარებინა, მაგრამ იმ ლაპარაკის შემდეგ უკვე დილიდანვე დავიწყე სახლიდან გასვლა. ვატყობდი, ემილიას ეძნელებოდა ჩემ გვერდით ყოფნა.

იმ ბედნიერ დროს, როცა ემილია ჯერ კიდევ მძიმედ განიცდიდა ჩემი სახლიდან გასვლას, სამსახურში გულდანდობილი და გამალელებული მივეშურებოდი ხოლმე, მისი სევდიანი სახე ხომ ჩემდამი უსაზღვრო სიყვარულის სარკე იყო! მაგრამ როცა შევამჩნიე, ემილია ჩემთან დარჩენას გაურბოდა და, უფრო მეტიც, ჩემთან ყოფნა აღარ სიამოვნებდა, გული შემეკუმშა, ასე მეგონა, ფეხქვეშ მიწა გამომეცალა-მეთქი.

როგორც ვთქვი, ახლა უკვე დილიდანვე გავდიოდი სახლიდან სცენარზე სამუშაოდ. მხოლოდ ერთი მიზანი მქონდა: მინდოდა, გამერკვია, მართლა გაუჩნდა თუ არა ემილიას ჩემდამი ის ახალი, უჩვეულო და მწარე გულგრილობა-მეთქი? ჩემდა სამწუხაროდ, ემილიამ უფრო გამიღრმავა ეჭვი, უფრო წარმოჩინდა მისი გულგრილობა. იგი შეეჩვია შინ ჩემ არყოფნას, არა მარტო შეეჩვია, სიხარულსაც ვეღარ ფარავდა ხოლმე.

თავდაპირველად ვცდილობდი, ეს გულგრილობა ჩემებურად ამეხსნა: საერთოდ, ცოლქმრულ ურთიერთობაში დროთა განმავლობაში, რაგინდ აღსავსე არ უნდა იყოს მათი სიყვარული სინაზითა და ერთგულებით, შეჩვევის შედეგად წარმოიშობა ურთიერთნდობა და ამიტომ თავდავიწყებისა და გატაცების წუთები იშვიათი ხდება-მეთქი.

ასე ვფიქრობდი, ასე მიხდოდა ყოფილიყო, წყალწაღებულივით ხავსს ვეჭიდებოდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ვგრძნობდი, ასე არ იყო. დიახ, უფრო ვგრძნობდი, ვიდრე გაცნობიერებული მქონდა, რამეთუ აზრი, მიუხედავად თავისი მოჩვენებითი ლოგიკურობისა, უფრო გვატყუებს, ვიდრე ბუნდოვანი და გაურკვეველი გრძნობა.

ერთი სიტყვით, ვხედავდი, ემილიას სულაც არ აწუხებდა მართლობა. იმასაც ვხედავდი, ჩემთან დარჩენას გაურბოდა, მაგრამ იმიტომ კი არ გაურბოდა, რომ გინდა — არ გინდა ჩვენს ურთიერთობაზე უნდა გველაპარაკა და გავრკვეულიყავით ყველაფერში ჩქარა არამედ იმიტომ, რომ ნაკლებად ვუყვარდი ან სულ აღარ ვუყვარდი.

მესამე თავი

ბატისტა რომ გავიცანი, ძალიან გაჭირვებული ვიყავი, უფრო მეტიც, არსაიდან არაფრის იმედი აღარ მქონდა. ვერც სამშველს ვხედავდი რამეს, სიღარიბიდან რომ თავი დამეღწია. საქმე ის იყო, რომ ბინა ვიყიდე, თუმცა წარმოდგენა არ მქონდა, საიდან უნდა გადამეხადა ამოდენა თანხა.

მე და ემილია პირველი ორი წელიწადი ქირით ვცხოვრობდით ერთ ოთახში. ავეჯიც სახლის პატრონისა გვედგა. იქნებ სხვა ქალს ასე მტკივნეულად არ განეცადა ასეთ ბინაში ცხოვრება, მაგრამ ემილიასთვის ნამდვილი წამება იყო. წამება კი არა, თავგანწირვა იყო, და როგორც ერთგულ ცოლს შეეფერებოდა, თვისი ამ საქციელით უსაზღვრო სიყვარულს მიმტკიცებდა. იგი, რომ იტყვიან, ოჯახისთვის იყო გაჩენილი. საკუთარი ბუდისადმი უსაზღვრო სიყვარული ძვალსა და რბილში

ჰქონდა გამჯდარი და ჩვეულებრივი ოჯახის ქალის სიყვარულს არაფრით არ ჰგავდა, ეს იყო ძლიერი, ცეცხლოვანი, ყოვლის-მომცველი გრძნობა, თვით ემილიაზეც ძლიერი და მისი ფეს-ვეები სადღაც ღრმად მიდიოდა.

ემილია ღარიბი ოჯახის შვილი იყო. როდესაც გავიცანი, მბეჭდავ—მემანქანედ მუშაობდა. ჩემი აზრით, ოჯახისადმი ემი-ლიას სიყვარულში მისდა უნებურად გამოსჭვიოდა იმ უსახ-ლკართა დამსხვრეული იმედები, ოცნებად რომ ჰქონდათ გადაქცეული, ჰქონოდათ კეთილმოწყობილი თუ არა, პატარა სახლი მაინც. რა ვიცი, იქნებ ემილიას სულაც ჩემი იმედი ჰქონდა, ცოლად გავყვები და საკუთარი სახლი მექნებაო, მაგ-რამ არა, კარგად მახსოვს ერთი შემთხვევა იმ მრავალთაგან, როცა ატირებულს ვხედავდი მას. ეს ამბავი მოხდა ჩვენი ნიშ-ნობიდან სულ მალე. ემილიას გულახდილად ვუთხარი, საკუ-თარი სახლის ყიდვა კი არა, გირათი აღებაც არ შემიძლია და პირველ ხანებში მოგვიჩვენე ავეჯიანად დავიქირავოთ სადმე ოთახი-მეთქი. მაშინ მისი ცრემლები დამსხვრეული ოცნებე-ბის გამოტირებას როდი ნიშნავდა მხოლოდ; ამ ცრემლებში წარმოჩინდა უძლიერესი და ღრმა გრძნობა და მე მეჩვენებო-და, რომ ემილიასთვის ეს გრძნობა იყო მთავარი.

ერთი სიტყვით, პირველი ორი წელიწადი დაქირავებულ ბი-ნაში ვცხოვრობდით მე და ემილია. ყველაფერს კრიალი გაჰ-ქონდა ჩვენს ოთახში, სისუფთავე და წესრიგი სუფევდა ირ-გვლივ. რაკი საკუთარი არ გააჩნდა, ცდილობდა, ნასხვისარი ბინა და ავეჯი ჰქონოდა წესრიგში. მთელ თავის დიასახლისურ ნიჭსა და გატაცებას ამ საქმეში აქსოვდა.

ჩემს საწერ მაგიდაზე ყოველთვის იდგა ცოცხალ ყვავილე-ბიანი ლარნაკი. ქალღმერთები და წიგნები ისე ლამაზად ეწყო, თითქოს სამუშაოდ მეძახდნენ და თან სიმყუდროვეს მპირდე-ბოდნენ, ერთი სიტყვით, მუშაობის გუნებაზე მოვყავდი.

არ მახსოვს, სადილობისას ხელსახოცები არ დებულა თუ მა-გიდაზე ან ნამცხვრიანი ლანგარი. არ მახსოვს, როდესმე მენა-ხა მიყრილ—მოყრილი ტანსაცმელი და საცვლები, როგორც ხდება ხოლმე ასეთ პირობებში, პატარა და მოუხერხებელ ბი-

ნაში. მოახლის ნაჩქარევად დალაგებულ ოთახს იგი ხელმეორედ, თავის გემოზე ალაგებდა, გულმოდგინედ ხეხავდა და წმენდდა ყველაფერს. სარკესავით ბზინავდა ფანჯრის გასახსნელი ყვითელი სპილენძის ბურთულა თუ პარკეტი მოფარებულ კუთხეშიც კი. ღამით, დაძინებისას, მოახლის დაუხმარებლად, თვითონ შლიდა საწოლს. ბალიშებს მოხერხებულად დააწყობდა, საბნის ერთ კიდეს ლამაზად გადაკეცავდა. ერთ საწოლზე თავის გამჭვირვალე ღამის პერანგს გადაფენდა, მეორეზე — ჩემს პიჟამას. დილით ჩემზე ადრე დგებოდა, საერთო სამბარეულოში საუბმეს მოამზადებდა და ჯერ კიდევ საწოლში მონებივრეს მომართმევდა ხოლმე ლანგრით. ყველაფერ ამას ის ჩუმად, უხმაუროდ აკეთებდა, ძილი რომ არ დაეფრთხო ჩემთვის. აკეთებდა მთელი გულითა და ხალისით, მონდომებითა და უშურველად და ამ საქმიანობით გამოხატავდა ჩემდამი დიდ გრძნობას.

მაგრამ მიუხედავად ემილიას ყოველნაირი ცდისა, ნაქირავები სახლი მაინც ნაქირავები იყო და ის ილუზია, თავს რომ იტყუებდა, ვითომ საკუთარ სახლში ვდიასახლისობო, — ჩემთვისაც და მისთვისაც ილუზიად რჩებოდა. ხანდახან დაღლილობისაგან ღონეგამოცლილი ტკბილად, მისთვის ჩვეული მშვიდი ხმით მკითხავდა: როდემდე უნდა ვიცხოვროთ ნაქირავებ და მოუწყობელ ბინაშიო. ვგრძნობდი, ამ სიტყვებს მთელს გულს ატანდა, თუმცა გარეგნულად არაფერს იმჩნევდა ვგრძნობდი ამას და მაწამებდა იმაზე ფიქრი, რომ ადრე თუ გვიან, რადაც უნდა დამჯდომოდა, სახლის ყიდვა მომიწევდა.

ბოლოს, როგორც უკვე ვთქვი, გადაწყვიტე, სახლი მეყიდა, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ფული მქონდა. უფრო იმიტომ, რომ ვხედავდი, ემილია იტანჯებოდა და მეშინოდა, ვაითუ ერთ მშვენიერ დღეს მოთმინების ფიალა აევსოს-მეთქი. ამ ორ წელიწადში ცოტაოდენ ფულს მოვუყარე თავი, ცოტაც ვისესხე და პირველი შესატანი თანხა ასე გადავიხადე.

მაგრამ დიდი სიხარული სულაც არ განმიცდია. არაფერი მეტყობოდა იმ კაცისა, რომელმაც საყვარელი ცოლისთვის სახლი იყიდა. პირიქით, შეძრწუნებული ვიყავი, შემდეგი თვის

შესატანი ფული სად ვიშოვო-მეთქი. ისეთი სასოწარკვეთილება დამეუფლა, რომ ემილიაზეც კი დავიწყე გაბრაზება, მაგის ახირების ბრალთა, ეს დაუფიქრებელი და სარისკო ნაბიჯი რომ გადავდგი-მეთქი.

მაგრამ ემილიას გულწრფელმა სიხარულმა და უჩვეულოდ მოზღვავებულმა გრძნობებმა, "ამ ამბის შეტყობამ და ჯერ კიდევ მოუწყობელი ბინის ნახვამ რომ გამოიწვია, — ცოტა ხნით დამავიწყა ადრინდელი შეშფოთება და ნაღველი.

როგორც უკვე ვთქვი, საკუთარი ჭერის სიყვარული ემილიას სისხლში ჰქონდა გამჯდარი. ამ სიხარულმა თითქოს მის არსებაში აქამდე მიძინებული სხვა გრძნობაც გააღვიძა, ბინის ყიდვის მერე თითქოს კიდევ უფრო სასურველი გავხდი მისთვის.

ბინას რომ ვათვალიერებდი, პირველად ემილია უბრალოდ, ხმაამოუღებლად დადიოდა ცარიელ, გამოციებულ ოთახებში, მე კი ვეუბნებოდი, როგორ მოვაწყობდით ჩვენს ბინას, მაგრამ როცა დათვალიერებას მოვრჩით და ფანჯარასთან მივედი გამოსაღებად, რათა ჩვენ წინ გადაშლილი ხედი მენახვებინა მისთვის, ემილია მომიახლოვდა, მოულოდნელად კისერზე შემომხვია ხელები, თავისკენ მიმიზიდა და ჩამჩურჩულა, მაკოცეო. ძალიან გამიკვირდა. ემილია საერთოდ თავშეკავებული და თითქმის მორცხვი იყო ცოლქმრულ დამოკიდებულებაში. მისმა ალერსმა ამაღელვავა. ცეცხლი მომიკიდა მისმა ვნებიანმა კილომ და მეც ვაკოცე. ეს იყო ყველაზე ცეცხლოვანი, ყველაზე დამათრობელი კოცნა მთელი ჩვენი ცოლქმრობის მანძილზე. ემილია მთელი ტანით ისე მომეკრა, ვიგრძენი, მეტი სიახლოვისკენ რომ მიწვევდა. სასწრაფოდ ყურთან მისი ცხელი სუნთქვა ვიგრძენი. მერე ჩურჩულიც მომიწვდა: „მოდი“. წუთიც და თავდავიწყებაში გადავეშვით ზედ მტვრიან იატაკზე, იმ ფანჯრის ქვეშ, რომლის გაღებასაც ვაპირებდი. მაგრამ სიყვარულის ქარცეცხლში გახვეულმა მაინც ვიგრძენი, ემილიას მოულოდნელი ვნებიანი სურვილი ბინის ყიდვით უფრო იყო გამოწვეული, ვიდრე ჩემი სიყვარულით.

ერთ არსებად ქცეულნი ნეტარებას ვეძლეოდით ჭუჭყიან იატაკზე, გაყინულ და ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში. იგი მომენდო არა როგორც ქმარს, არამედ როგორც მამაკაცს, რომელმაც სანუკვარი ნატვრა აუსრულა ბინა აჩუქა. ამ ცარიელმა ოთახებმა, სადაც კედლებს ჯერ კიდევ არ შეშრობოდათ საღებავი, შეძლეს ემილიას არსებაში გაეღვიძებინათ ის გრძნობა, რაც მე აქამდე ვერავითარი ალერსით ვერ შევძელი.

ახალ ბინაში ჩვენი ამ პირველი ყოფნიდან გადასვლის დღემდე ორი თვე გავიდა. ამ თვეში ემილიას სახელებზე გავაფორმე ბინის შესყიდვა, ვიცოდი, გაუხარდებოდა. შევიძინეთ ერთი—ორი თავი ავეჯი, რამდენსაც ჩვენი ჯიბე გასწვდა. მაგრამ მალე სადღაც გამიქრა ბინის ყიდვით გამოწვეული აღტაცება და მის ადგილას მომავლის შიში, ლამის სასოწარკვეთილება დამკვიდრდა. ფულს საკმაოდ ვიღებდი. საკმაოდ-მეთქი, რომ ვამბობ, ვგულისხმობ იმდენს, რამდენიც გვეყოფოდა საშუალოდ ცხოვრების პირობებისათვის — ცოტაოდენსაც შავი დღისათვის გადადებულს — მაგრამ მორიგი ბინის შესატანი-სათვის კი არ გვეყოფოდა.

ჩემს ამ სასოწარკვეთილებას ისიც ემატებოდა, რომ ემილიას ვერ ვუმხელდი დარდს, არადა, ცოტა მაინც შემიმსუბუქდებოდა. არ მინდოდა სიხარული ჩამემწარებინა მისთვის. ეს იყო უმძიმესი დღეები ჩემს ცხოვრებაში და დღეები, როცა არც ისე ძალიან მიყვარდა ემილია. ჩემდა უნებურად მიკვირდა ემილიას საქციელი: თუმცა მან ძალიან კარგად იცოდა, რისი მქონენიც ვიყავით, სულ არ აინტერესებდა, სად უნდა მეშოვა ამდენი ფული. ბრაზი მახრჩობდა, გამოცოცხლებული ემილია რომ მთელი დღე მაღაზიებში დარბოდა, ეძებდა, ყიდულობდა ოჯახისთვის რაღაც—რაღაცებს, საღამოობით კი მშვიდად, უბრუნველად მომახსენებდა ხოლმე, დღეს ესა და ეს ვიყიდეო. ფიქრი მკლავდა, ნუთუ მოსიყვარულე ცოლმა ვერ უნდა გამოიცნოს ის შემფოთება და შიში მომავლისა, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს-მეთქი? მაგრამ ალბათ ემილიას ეგონა, რაკილა ბინის ყიდვა შევძელი, ავეჯის ფულიც მექნებოდა. მისი უდარდელობა, მაშინ, როდესაც მე ასე ძალიან ვიტანჯებოდი, ეგონისტური და უგრძნობელი მეჩვენებოდა.

იმ ხანებში იმდენს ვფიქრობდი ფულზე, რომ ლამის საკუთარ თავზეც კი შემეცვალა შეხედულება. აქამდე ინტელიგენტურ, კულტურულ ადამიანად, მოწოდებით დრამატურგად მიმაჩნდა თავი, თეატრალურ მოღვაწეობაზე ვოცნებობდი. ეს, ასე ვთქვათ, ჩემი სულიერი სახე სრულიად ესადაგებოდა ჩემს გარეგნობასაც: სიგამხდრე, სიფერმკრთალე, ახლომხედველობა, დაძაბულობა, დაუდევარი ჩაცმულობა, — ჩემი აზრით, სწორედ ისეთი გარეგნული ნიშნები მქონდა, რომლებითაც მე შეიძლებოდა დავმსგავსებოდი ლიტერატურულ სარბიელზე გამოსასვლელად გამზადებულ ახალბედა მწერალს. მაგრამ დახეთ ბედის დაცინვას! ფულზე გამუდმებულმა ფიქრმა ასე მრავლისმეტყველი გარეგნობა სრულიად საწინააღმდეგოდ შემეცვალა. გავსაცოდავდი, ნამდვილ ფეხადგმულ საფრთხობელას დავემსგავსე. ცოლის ჟინიან სურვილს ვერ გავუმკლავდი, მის ყურმოჭრილ მონად ვიქეცი, დავივიწყე ანდაბა: საბანი როგორც გაგწვდეს, ისე დაიხურეო; ცოლის სიამოვნებისათვის ჩავიდინე ის, რაც ჩემს ძალას აღემატებოდა და ვინ იცის, კიდევ რამდენი დამცირება მელოდა ამ უფულობის გამო.

აღარ მიმაჩნდა. საკუთარი თავი შემოქმედებითი ცეცხლით სავსე ახალგაზრდა კაცად, მომავალ თეატრალურ გენიად, ვის ნიჭსაც ჯერ არ გაეშალა ფრთები. მე უკვე ერთი საწყალი, მშინერი ჟურნალისტი ვიყავი, რომელიც მეორეხარისხოვან ჟურნალ—გაზეთებთან თანამშრომლობდა, ან უარესიც, რომელიც კერძო ფირმის თუ სახელმწიფო დაწესებულების ერთ უდიდეს მოხელედაც კი წარმოვიდგინე თავი. მე ვიყავი საცოდავი, უბადრუკი კაცი, რომელიც ვერ ბედავდა ცოლისთვის გაეზიარებინა მტანჯველი ფიქრები, აქაოდა არ შევაწუხო, სინარული არ ჩავუმწარო — მე ვიყავი კაცი, რომელიც მთელი დღე დარბოდა ქალაქში სამუშაოს საძებნელად, ღამ—ღამობით შეშინებულს ეღვიძებოდა ვალების გახსენებაზე და ფულის გარდა არაფერი აინტერესებდა ამქვეყნად. ერთი სიტყვით, ჩემს წარმოდგენაშივე შექმნილი პიროვნება შესაბრალისი იყო. მას არ გააჩნდა არც ღირსება და არც რაიმე ხიბლი. იგი ბულვარული რომანების საცოდავ და საძულველ გმირს ჰგავდა და შიში მიჰყრობდა, სადაცაა მეც იმას დავემსგავსები-

მეთქი. მაგრამ რას ვიზამდი. ასეთი ყოფილა ჩემი ბედი! ყველაფრის ღირსი ვარ. ისეთი ქალი უნდა მეთხოვა ცოლად, ვინც შეძლებდა გაეზიარებინა ჩემი ჭირიც და ლხინიც. ახალგაზრდებს ჭკუა თვალებში გვაქვს. სილამაზის გამო ვითხოვე უბრალო, გაუნათლებელი, დაბალი წრიდან გამოსული მბეჭდავი—მემანქანე ქალი, რომელიც გამსჭვალული იყო თავისი კლასის იდეებით. გამგები ცოლის ხელში იოლად გადავიტანდი ამ მოუწყობელ ცხოვრებას. ისიც ჩემთან ერთად გაიზიარებდა ავსა და კარგს, მოითმენდა ნაქირავებ ბინაში ცხოვრებას. მერე, ერთ მშვენიერ დღესაც, ჩემს დრამატურგიულ ნიჭს აღიარება მოუვიდოდა და თეატრალურ სარბიელზე წარმატებას მივაღწევდი. ეს რომ ასე იქნებოდა, წინათ ეჭვიც არ მეპარებოდა, მაგრამ ახლა სასოწარკვეთილი ვფიქრობდი, სანუკვარ ოცნებას, ალბათ, სამუდამოდ უნდა დავემშვიდობო-მეთქი. ისლა დამრჩენოდა, ცოლისთვის ოჯახური იდილიის შექმნაზე მეზრუნა.

ერთი სიტყვით, ვგრძნობდი, უძლური ვიყავი კარზე მომდგარ სიდუხჭირესთან გასამკლავებლად. ცეცხლი რომ რკინას ადნობს და ალღობს, ისე დაადნო და გააღღვო ჩემი სული და ნებისყოფა უფულობამ. ცხოვრების მძიმე ტვირთი წელში მხრიდა. იმ წუთებში მშურდა ყველა მდიდრისა, ვისაც არასოდეს განეცადა მსგავსი რამ, ვინც არ იცოდა, რა იყო გაჭირვება. მშურდა მათი და ამ გრძნობას გაბოროტებაც ემატებოდა მათ მიმართ.

ჩემი ცხოვრების ამ უმძიმეს, უფულობის ხანაში თანდათანობით ჩამომიყალიბდა უსამართლობის წინააღმდეგ აღშფოთება არა ცალკეულ პირთა, არამედ მდიდართა მთელი კლასის მიმართ. უქონელად მართო საკუთარი თავი კი არა, ყველა მიმაჩნდა, ვინც ჩემნაირ მდგომარეობაში იყო. ვგრძნობდი, პირად უსიამოვნო განცდებს და არსებული სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ პროტესტს, ჩემდა უნებურად, ყველაზე ვავრცელებდი და ვაზოგადებდი.

და ბოლოს, საკუთარ თავში აღმოვაჩინე გარკვეული სიმპათიები უსამართლობისა და სიდუხჭირის წინააღმდეგ მეზრძო-

ლი პოლიტიკური პარტიების მიმართ. საზოგადოება, რომელსაც თავისი საუკეთესო შვილები შიმშილით სიკვდილისათვის ჰყავს განწირული — ამ შვილებში საკუთარ თავსაც ვგულისხმობდი — გამოდის, რომ უარესებზე ბრუნავს და მათ ელოლიავება. უბრალო, გაუნათლებელ ხალხში ეს პროცესი თავისთავად ხდება სადღაც ღრმად, გონების ბნელ კუნჭულში, სადაც რომელიღაც იდუმალ ალქიმიას ძალუძს ეგოიზმი ალტრუიზმად აქციოს, სიძულვილი სიყვარულად, შიში — გამბედაობად; მაგრამ ჩემისთანა ადამიანისთვის, ვინც თვალს ადევნებს საკუთარ თავს და თვითანალიზის უნარიც გააჩნია, ეს პროცესი, ესე იგი, ყველაფერი ის, რაც ჩემს თავს ხდებოდა, — ისეთი ნათელი იყო, თითქოს სხვას ვადევნებდი თვალს. რა თქმა უნდა, ძალიანაც კარგად ვიცოდი, რომ მხოლოდ მატერიალური და ეგოისტური მიზნები მკარნახობდა ასე მეფიქრა და მთელ ქვეყანაზე ვავრცელებდი იმას, რაც მართლმე შემეხებოდა. წინათ არასოდეს მქონია სურვილი რომელიმე პარტიაში შესვლისა. იმ შფოთიან ომისშემდგომ წლებში კი თითქმის ყველა იყო რომელიმე პარტიის წევრი. არ შევდიოდი უფრო იმიტომ, რომ ვფიქრობდი, პირადი მოსაზრებით პოლიტიკაში რა უნდა გავაკეთო-მეთქი. რაღაც განსაკუთრებული შეხედულებები, რწმენა უნდა მქონოდა, რომ პარტიაში შევსულიყავი. ვბრაზობდი საკუთარ თავზე, ვიმჩნევდი, ყველა ჩემი ფიქრი, აზრი, ქცევა, ლაპარაკი მიმართული იყო მხოლოდ პირადი ანგარებისაკენ და, ეს მიმართულება ნელ-ნელა იცვლებოდა ცხოვრებაში გადატანილი სიმძიმეების მიხედვით. „მაშასადამე, საკმარისი იყო, ფული შემომკვლებოდა, რომ ვაცობრიობის აღმეგებაზე მეოცნება“. მაგრამ ეს იყო უსუსური გაბრაზება. ბოლოს და ბოლოს — არ ვიცი, სასოწარკვეთა იყო მიზეზი თუ ჩვეულებრივზე უფრო მიმტყუნა ნებისყოფამ — ერთი ჩვენი ძველი მეგობარი ვაიძულე დავერწმუნებინე კომუნისტურ პარტიაში შესასვლელად. სულ მალე ამის შემდეგ კვლავ შემიპყრო ფიქრებმა: ახლაც არ მოვიქეცი ისე, როგორც შეეფერება ახალგაზრდა, ჯერ უცნობ გენიას, იქნებ ეს გადადგმული ნაბიჯი მშვიერ ჟურნალისტს ან ჩინოვნიკს უფრო შეეფერე-

ბოდათ, რომელთა ადგილზე ყოფნისაც ასე მეშინოდა ყოველთვის, მაგრამ ნაბიჯი უკვე გადადგმული მქონდა, პარტიის წევრი ვიყავი უკვე და უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. მართლა, კინაღამ დამავიწყდა მეთქვა, რა მიპასუხა ემილიამ, ჩემი პარტიულობა რომ გაიგო. „ახლა მხოლოდ კომუნისტები მოგცემენ სამუშაოს... სხვები კი ბოიკოტს გამოგიცხადებენ“. გამბედაობა არ მეყო მეთქვა მისთვის, რასაც ვფიქრობდი: იქნებ სულაც არასოდეს შევსულიყავი პარტიაში, ასე ძვირად ღირებული ბინა რომ არ მეყიდა-მეთქი შენთვის. მაგრამ არაფერი მითქვამს და ამით დამთავრდა ყველაფერი.

ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, ჩვენი ბინა უკვე მზად იყო, მეორე დღეს კი — ეს დამთხვევა საბედისწერო მეჩვენება ახლა — გავიცანი ბატისტა და როგორც უკვე მოგახსენეთ, თავისი ერთ-ერთი ფილმის სცენარის შესაქმნელად მიმიწვია. გახარებულმა შვებით ამოვისუნთქე. გავიფიქრე, ოთხ-ხუთ სცენარს კიდევ დაწერ, ბინის ფულს მთლიანად გადავიხდი, მერე კი ისევ დავუბრუნდები ჩემს საყვარელ საქმეს — ჟურნალისტობას და შევისრულებ სანუკვარ ოცნებასაც — თეატრში მოღვაწეობას-მეთქი. ასე ძლიერ არასოდეს მყვარებია ემილია, სინდისი მქენჯნიდა, სულ ახლახან გუნებაში რომ ვკიცხავდი მას, უგრძობელ, ეგოისტ ქალად რომ მიმაჩნდა. მაგრამ ჩემი ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა, ჩემს თავზე შავი ღრუბელი ჩამოწვა, თუმცა ჯერ პატარა იყო ეს ღრუბელი, მაგრამ სამაგიეროდ შავი იყო და მოქრუშული.

მეოთხე თავი

ბატისტას ოქტომბრის თვის პირველ ორშაბათ დღეს შევხვდი. ერთი კვირის თავზე გადავედით კიდევ დალაგებულ, გაწყობილ ბინაში, რომელიც ამდენ ტანჯვა-წვალებად მიღირდა და იმავე დროს დიდი არაფერი ბინა იყო. იგი ორი ოთახისაგან შედგებოდა: სასტუმრო და საწოლი ოთახებისაგან. სააბაზანო, სამზარეულო და მოახლის ოთახი, როგორც ახლან-

დელ სახლებშია ხოლმე, პატარ—პატარა იყო. ჩვენს ბინას ვიდევ ჰქონდა ერთი უსარკმლო, ძალზე პატარა საკუჭნაოს მაგვარი რაღაც, სადაც ემილიამ გადაწყვიტა, თავისთვის კუთხე მოეწყოს. ჩვენი ოროთახიანი ბინა ახლად დამთავრებული სახლის ბოლო სართულზე იყო. სახლს არავითარი არქიტექტურული დეტალი არ ამშვენებდა, ქათქათა თეთრი შენობა თაბაშირისა გეგონებოდა. საკმაოდ უსახურ, პატარა და დამრეც ქუჩაზე იდგა. ერთ მხარეს ზუსტად ასეთივე სახლები ჩამწკრივებულიყო, მეორე მხარეს ვილაციის სააგარაკო ბაღის გალავანი ჩასდევდა. გალავანს მაღალი ხეები გადმოჰფენოდა. ჩვენი ფანჯრიდან ისეთი მშვენიერი ხედი იშლებოდა, რომ ემილიას მაშინვე გაუზიარე ჩემი აზრი. ისე ახლოს ჩანდა ხეებში ჩაფლული პარკის ბილიკები, შადრევნები და პატარ—პატარა მდელოები, რომ მაღლიდან მაცქერალს გეგონებოდათ, თითქოს ჩვენი სახლი პირდაპირ ამ პარკში იდგა და როცა მოგესურვებოდა, ჩახვიდოდი და გაისეირნებდი.

ბინაში შუადღისას გადავედით. მთელი ის დღე იმდენი საქმე მქონდა, რომ აღარ მახსოვს სად, როდის და ვისთან ერთად ვისადილე, მახსოვს მხოლოდ, რომ შუალამისას საწოლ ოთახში, სარკის წინ რომ ვისხნიდი ჰალსტუხს, უცებ სარკეში დავინახე, ემილიამ ჩვენი საწოლიდან ბალიში აიღო და სასტუმრო ოთახისკენ გაემართა. არც მოვბრუნებულვარ, გაკვირვებულმა ვკითხე, რას აკეთებ-მეთქი.

სარკეშივე დავინახე, ემილია კართან შეჩერდა, თავი ჩემკენ მოატრიალა და მშვიდად, თითქოს არაფერიაო, მკითხა:

— ხომ არ გამიჯავრდები, დივანზე რომ დავიძინო?

— მართო ამ ღამით?

— არა, ყოველთვის, — სწრაფად მიპასუხა, — იცი, რა? საკუთარი სახლი ამიტომაც უფრო მინდოდა... შენსავით არ შემიძლია ფანჯრებია ოთახში ძილი... უთენია მეღვიძება, მერე ვერაფრით ველარ ვიძინებ და მთელი დღე მთვარეულივით ვარ. ხომ არ გამიბრანდები?.. მე მგონი, სჯობს ცალ—ცალკე ვიძინოთ...

ამ მოულოდნელმა წინადადებამ ჯერ გამაღიზიანა, იმიტომ რომ ბოლომდე ვერ მივუხვდი აზრს, ემილიას მივუახლოვდი.

— კი მაგრამ, ეს ხომ შეუძლებელია... სულ ორი ოთახი გვაქვს. ერთში საწოლები დგას, მეორეში — დივანი და სავარძლები... სხვა რომ არაფერი, დივანზე წოლა მოუხერხებელია.

— ვერაფრით ვერ ვბედავდი მეთქვა... — თვალედახრილ ემილიას სახეში არც შემოუხედავს ჩემთვის.

— წინათ არასოდეს დაგიჩივლია... მეგონა, შეეჩვიე.

ემილიამ ახლა კი შემომხედა. მომეჩვენა, გაუხარდა, საუბარი ასე რომ წარიმართა.

— არა, არ შევჩვეულვარ... ყოველთვის ცუდად მეძინა. ეტყობა, ამიტომაც გავხდი ამ ბოლო დროს ნერვიული. თითქმის სულ არ მძინავს... თანაც გვიან ვწევებით... ჰოდა, ახლა... — ემილია წინადადების დაუმთავრებლად გაემართა სასტუმრო ოთახისკენ. მე დავეწიე და ხელი დავუჭირე.

— მოიცა, თუ გინდა, აღარ გავაღებ ფანჯარას. იყოს ნება შენი, ამას რომ ვამბობდი, ვგრძნობდი, მისი სიყვარულის გამო კი არ მივდიოდი დათმობაზე, არამედ, უბრალოდ, მინდოდა გამეგო, რას მიჰასუხებდა. ემილიამ თავი გადააქნია და გამიღიმა.

— ო, არა, რას ამბობ... რა საჭიროა ასეთი მსხვერპლი... შენ ყოველთვის ამბობდი, სული მეხუთება, როცა ფანჯარადახურულ ოთახში მძინავსო... არა, არა, სჯობს, ცალ—ცალკე დავწვეთ.

— გარწმუნებ, მირჩევნია მსხვერპლი გავიღო, ვიდრე...

ემილია ცოტა ხანს ყოყმანობდა, მერე გადაწყვეტილად მითხრა:

— არავითარი მსხვერპლი მე არ მჭირდება, არც დიდი, არც პატარა... სასტუმრო ოთახში დავიძინებ

— მე რომ გითხრა, მსურს ერთად დავიძინოთ-მეთქი?

ემილია კვლავ შეყოყმანდა, შემდეგ მისთვის ჩვეული წყნარი ხმით მითხრა:

— რა უცნაური ხარ, რიკარდო. მსხვერპლი მაშინ არ გავიღია, როცა ახალშეუღლებულები ვიყავით და ახლა მოგინდა? რა საჭიროა! ძალიან ბევრი ცოლ-ქმარი ვიცი, ცალ—ცალკე რომ წვანან, მაგრამ ერთმანეთი უყვართ. დილაობით სამსახურში რომ მიდიხარ, უკეთესი არ არის?.. მეც არ გამაღვიძებ.

— კი მაგრამ, შენ თვითონ არა თქვი, უთენია მეღვიძებაო?.. მე ხომ უთენია არ მივდივარ სამსახურში?

— ო, რა ჯიუტი ხარ, — მითხრა გაღიზიანებულმა და ისე გავიდა ოთახიდან, ჩემს პასუხს არ დაელოდა.

მარტო რომ დავრჩი, იმ საწოლზე ჩამოვჯექი, ერთი ბალიში რომ აკლდა. უცებ ფიქრი დამეუფლა განშორებასა და სიმართლევებზე. ერთი ხანობა დაბნეული ვიყურებოდი იმ კარისკენ, სადაც ემილია გაუჩინარდა. „ნუთუ მართლა ოთახში შემოსული მშის შუქი აწუხებს. იქნებ ჩემთან წოლა აღარ უნდა?“ ვგრძნობდი, ეს უკანასკნელი უფრო შეეფერებოდა სინამდვილეს, თუმცა პირველი უფრო მინდოდა დამეჭვრებინა. ემილიას ახსნა—განმარტება რომ სარწმუნოდ მიმეჩნია, საეჭვო მაინც ბევრი რამ რჩებოდა. თავს არ ვუტყდებოდი, მაგრამ ერთი კითხვა მოსვენებას არ მაძლევდა: იქნებ აღარ ვუყვარვარ?

ვიდრე ამგვარ უსიამოვნო ფიქრებში ვიყავი, ემილია შემოდოდა და გადიოდა. კარადიდან ორი ბეწარი გამოიღო და საბანთან და ხალათთან ერთად სასტუმრო ოთახში გაიტანა. ოქტომბრის პირველი დღეები იყო, ჯერ კიდევ თბილოდა და ემილიაც გამტკვირვალე ღამის პერანგის ამარა მიდი—მოდიოდა. ჯერ არ ამიწერია თქვენთვის ემილია და მიინდა ახლა აგიწეროთ თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი იმღამინდელი განცდები უფრო გასაგები გახდეს თქვენთვის.

ემილიას ტანმალალი არ ეთქმოდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიყვარულით დაბრმავებულს მარტო მაღალ ქალად კი არა, ყველაზე დიდებულ ქალად მეჩვენებოდა, ვისაც კი ოდესმე ვიცნობდი. ვერ ვიტყვი, ემილიას მართლა ჰქონდა ეს სიმაღლე, თუ მარტო მე მეჩვენებოდა ასე. ერთი კი მახსოვს, ქორწინების პირველ ღამეს, როდესაც მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი გაიძრო და მოვეხვიე, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: შუბლი ჩემს მკერდამდე სწვდებოდა მხოლოდ. მაგრამ მოგვიანებით ლოგინში კიდევ მელოდა გაოცება: იგი დიდი, მსუქანი და რაღაცნაირი ფართოც კი მომეჩვენა. თუმცა ვიცოდი, ემილია ზორბა ქალი არ იყო. არასოდეს არ მინახავს ასე ლამაზად ჩამოსხმული სავსე და მკვრივი მხრები, მკლავე-

ბი, ყელი. სახე შავგვრემანი ჰქონდა. ცხვირი — სწორი და თხელი, ტუჩები — სქელი და ნამიანი. როცა იცინოდა, ლამაზად მიჯრილი თეთრი კბილები უელავდა. დიდრონ ლამაზ, თაფლისფერ თვალებში მგრძნობიარობა იხატებოდა... თავდავიწყების წუთებში უცნაურად დაბნეული გამოხედვა ჰქონდა. როგორც მოგახსენეთ, ტანადი ქალი არ ეთქმოდა, მაგრამ მოხდენილი კი იყო: წელწვრილს გამოკვეთილად უჩანდა თეძოები და მკერდი. მხრებგამართული, ნარნარად დადიოდა. თავი მოხდენილად და ღირსეულად ეჭირა. მის ახალგაზრდულ, ლამაზ, ჩამოთლილ ფეხებს აუღელვებლად ვერ შეხედავდა კაცი; ერთი სიტყვით, მთელს მის არსებაში ისეთი მსუბუქი მოხდენილობა და ჩუმი დიდებულება გამოსჭვიოდა, მხოლოდ ბუნებას რომ შეუძლია გიბოძოს და ამიტომაც გვეჩვენება იდუმალი და მიუწვდომელი.

ვიდრე ემილია გადიოდა და შემოდის საწოლ ოთახში, მდუმარედ ვადევნებდი თვალს. ჩემდა უნებურად გადამქონდა მზერა მისი სახიდან ტანზე, რომლის კანის ფერი და თითოეული ხაზიც კი ჩანდა გამჭვირვალე პერანგში. უცებ ეჭვმა გამლრღნა: ემილიას აღარ ვუყვარდი. მწველი სიცხადით ვიგრძენი, ჩვენ შორის ყველაფერი გათავდა-მეთქი...

აქამდე განუცდელი ეს გრძნობა ისე მოულოდნელად მეწვია, რომ რაღაც ერთი წამით შევცბუნდი კიდევ, არაფრით არ მინდოდა მერწმუნა მისი არსებობა. სიყვარული, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა გრძნობაა, მაგრამ ამავე დროს რაღაც გამოუთქმელი, თითქმის სულჩადგმული ხორციელი ლტოლვაცაა. აქამდე დაუფიქრებლად, ყოველგვარი აზრის გარეშე ვტკბებოდი სიყვარულით, რადგან ცოლთან სარეცლის გაყოფა და ხორციელი ტკბობა ჩვეულებრივ ამბად მიმაჩნდა. ახლავდა მივხვდი იმას, რასაც ადრე ვერ ვამჩნევდი და ვიგრძენი, ძველებური სიახლოვე მე და ემილიას შორის აღარ იქნებოდა და აღარც იყო, მგონი, უკვე. თითქოს უფსკრულის პირას აღმოვჩნდი, შევკრთი, ძრწოლამ მომიცვა და გული შემეკუმშა: ჩვენი სიახლოვე და სიყვარული შეცვალა გაუცხოებამ.

მე რომ ეს ფიქრები მტანჯავდა, ემილია სააბაზანოში ტანს იბანდა. ეტყობა, აქამდე ემილია მიყვარდა ბუნებრივად, ისე,

როგორც ქმარს უნდა უყვარდეს ცოლი. ჩემი მისდამი სიყვარულიც რაღაცნაირი ჯადოსნური ძალით იხატებოდა უგონო, თავდავიწყებულ ვნებად და მე მეგონა, ეს ვნება მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული, მხოლოდ ჩემზე. ახლა კი მივხვდი, პირველი ჩემი ბედნიერება უფრო ემილიას საპასუხო გრძნობებზე ყოფილა დამოკიდებული. როცა შევამჩნიე ემილიას შეცვლა, შემეშინდა, ძველებური სითამამითა და ბუნებრიობით აღარ მეყვარება-მეთქი. მხოლოდ ახლა ვიგრძენი, ჩვენს ოჯახურ სიამტკბილობას რომ ბოლო მოეღო. ერთი სიტყვით, მეშინოდა, ჩვენს სიახლოვეს რომ სიცივე ეპარებოდა და მეშინოდა აგრეთვე ჩემი მხრიდან რაღაცნაირი შებოჭილობისა, ხოლო მისი მხრიდან... მე არ ვიცოდი, როგორ მოიქცეოდა ემილია ამ შემთხვევაში, მაგრამ ერთს კი ვგრძნობდი წინასწარ, ჩემი მხრიდან ყოველგვარი ძალდატანება გამოიწვევს მის მთლად უარს თუ არა, უგრძნობელ პასიურობას მაინც.

ამ დროს ემილიამ გვერდით ჩამიარა. ჩემდა უნებურად, ხელი წავავლე:

— მოდი აქ, რაღაც უნდა გითხრა.

ჯერ გაბრუნება დააპირა, მაგრამ მერე შედგა და შორიახლო ჩამოჯდა საწოლზე.

— რა უნდა მითხრა?

არ ვიცი, რატომ, გული ტკივილით შემეკუმშა. ეს უკვე რიდს ჰგავდა. ესე იგი, იმ გრძნობას ჰგავდა, ჩვენს ურთიერთობაში ჯერ რომ არ ყოფილა და ამიტომაც უფრო სარწმუნო იყო ემილიას ცვლილება.

— ჰო, უნდა გითხრა... ჩვენ შორის რაღაც შეიცვალა. ემილიამ შემომხედა და მშვიდად მიპასუხა:

— ვერ გავიგე... შეიცვალაო? არაფერიც არ შეცვლილა.

— მე არ შევცვლილვარ, აი შენ კი შეიცვალე.

— სულაც არ შევცვლილვარ... როგორიც ვიყავი, ისეთივე ვარ.

— წინათ უფრო გიყვარდი... მახსოვს, როგორ ნაღვლობდი, სადმე რომ მივდიოდი... მერე კიდევ... ჩემთან წოლა უსიამოვნებას არ განიჭებდა... პირიქით...

— აჰ, აი თურმე რა ყოფილა! — წამოიძახა მან, მაგრამ ხმაზე შევატყვე, წინანდელი დამაჯერებლობა აღარ ჰქონდა: ასეც ვიცოდი, რაღაც ამდაგვარს რომ იტყოდა. რას ჩამაცივდი? შენ გვერდით წოლა არ მინდა იმიტომ, რომ ვერ ვიძინებ, გაიგე? ეს არის და ეს.

უცნაურია, მაგრამ დავუჯერე და უცებ გუნებაც გამომიკეთდა, ის მძიმე განცდები ცეცხლზე შემოდებული თოვლივით გადნა, ემილია წინანდებურად ახლობელი გახდა თავის გამჭვირვალე პერანგის ამარა, რომელშიც სხეულის ყოველი ნაკვთი მოუჩანდა. დაუოკებელი სურვილი მომედო, დავუფლებოდი ამ სხეულს. მიკვირდა, წინანდებურად კისერზე რომ არ მხვევდა ხელებს. იმედი მქონდა, ჩემი გულისთქმა იმასაც გადაედება-მეთქი. ხმადაბლა ვუთხარი:

— თუ არაფერი შეცვლილა, დამიმტკიცე.

— განა ყოველდღე, ყოველ წუთს არ გიმტკიცებ ამას?

— არა, ახლა დამიმტკიცე.

წამოვდექი, თითქმის მოვქაჩე თმაში და კოცნა დავუპირე. ჯერ მომენდო, მაგრამ ბოლო წამს თავი გაიქნია და ჩემი ტუჩები მხოლოდ მის ყელს შეეხო ოდნავ. ხელი შევუშვი.

— არ გინდა, გაკოცო?

— კოცნაში არ არის საქმე, — იმავე გულგრილობით თქვა ემილიამ და თმა შეისწორა, — მარტო კოცნას რომ დასჯერდებოდე, გაკოცებდი, მაგრამ ვიცი შენი ხასიათი... ახლა კი გვიანაა.

მისმა მსჯელობამ და სიცივემ გამაბრაზა.

— ამ საქმისთვის გვიანი არასოდეს არ არის, — კვლავ დავუპირე კოცნა, ხელი ჩაჭვიდე და მივიზიდე.

— მეტკინა!

შეიძლება ითქვას, ხელი არც კი მქონდა ხეირიანად მიკარებული. წინათ ლამის ვახრჩობდი მკლავებში, მაგრამ კვნესაც არ დასცდენია ხოლმე.

— წინათ რომ არ გტკიოდა, ვუთხარი გაბრაზებულმა.

— ხელები კი არა, რკინის მარწუხები გაქვს. სულ არ ფიქრობ, რომ ლურჯად დამაჩნდება...

ეს სიტყვები გულგრილად, ყოველგვარი პრანჭვის გარეშე თქვა.

— ბოლოს და ბოლოს, მაკოცებ თუ არა? — ჩავეკითხე მე.

— აჰა, — წამოიძახა და დედაშვილურად მაკოცა შუბლზე. — ახლა კი გამიშვი, მეძინება, უკვე გვიანაა.

ვერაფერი ვერ გამეგო, კვლავ წელზე შემოვხვიე ხელი, ემილია, მე ასეთ კოცნას როდი მოვითხოვ შენგან.

— ემილიამ ხელი მკრა და ახლა უკვე გაბრაზებულმა მითხრა:

— ხელი გამიშვი... მეტკინა.

— ტყუი, ტყუი... — დავისისინე მე და უფრო მაგრად მივიკარი მკერდზე.

ამჯერად ემილიამ ერთი—ორჯერ გაიბრძოლა, თავი გაითავისუფლა ჩემი მკლავებიდან, წამოდგა და თითქოს უცბად გადაწყვიტაო, პირდაპირ მომახალა:

— თუ აღერსიანობა აგიტყდა, მოდი, ბატონო, ოღონდ ძალიან ნუ მიჭერ მკლავებს, მეტკინა...

ამ სიტყვებზე ლამის სუნთქვა შემეკრა: ცივსა და საქმიან კილოზე ნათქვამ სიტყვებში ერთი მისხალიც არ იყო სიყვარულისა. ერთი წამით გახევებული და თავჩაქინდრული ვიჯექი საწოლზე, ხელები მუხლებშუა მეწყო, მისი ხმა მომესმა კვლავ:

— თუ ნამდვილად გინდა, მოდი... გინდა?

თავი არც ამიწევია, წყნარად ვუთხარი:

— ჰო, მინდა.

ტყუილი ვუთხარი. ახლა აღარ მინდოდა, მაგრამ ერთი სურვილი კი მკლავდა: მინდოდა, გამეტეხა მის არსებაში ჩაბუდებული ახალი, უცნაური გაუცხოების გრძნობა. გავიგონე, როგორ თქვა: „კარგი!“ მერე ბურგსუკან მომესმა მისი ნაბიჯები, საწოლისკენ მიდიოდა. „მხოლოდ პერანგის გახდა უნდა“, — უნებურად გავიფიქრე და გამახსენდა, რა მოჯადოებული შევცქეროდი ხოლმე დასაწოლად რომ ემზადებოდა. ნამდვილ ყაჩაღს ვგავდი რომელიღაც ზღაპრიდან, ოქრო—ვერცხლით სავსე გამოქვაბულთან რომ იდგა და კარის გაღებას ელოდა... ახლა კი ემილიასკენ გახედვაც არ მინდოდა, რადგან ვიცოდი, მისმა გულგრილობამ ჩემს თვალებს სიწმინდე დაუკარგა, ეს

შეხედვა ახლა ხარბი, პირუტყვული და შეურაცხმყოფელი იქნებოდა მისთვისაც და ჩემთვისაც. გახევებული ვიჯექი კვლავ. მომესმა საწოლის ჭრიალი და ზეწრის შარიშური, ეტყობა, ემილიამ მხარი იცვალა. მერე იგივე შემზარავ კილოზე მითხრა:

— მოდი, რალაც უცდი?

არც მივბრუნებულვარ, არც შევტოკებულვარ, უცებ თავს შევეკითხე: იქნებ ჩვენს ურთიერთობაში ყოველთვის ზუსტად ასე იყო-მეთქი. დიახ, რა თქმა უნდა, მეტ—ნაკლებად, მაგრამ მაინც ასე იყო. ასე იძრობდა ტანთ და წვებოდა ლოგინში, აბა, სხვანაირად როგორ იქნებოდა, მაგრამ წინათ მაინც სხვაგვარად იყო. წინათ არ იყო ეს ცივი, უგრძობელი მზადყოფნა, რომელიც ახლა მართო ემილიას ხმაში კი არა, საწოლის ჭრატუნსა და ზეწრის შარიშურშიც კი იგრძობოდა, წინათ დაუკითხავად იფეთქებდა ხოლმე ვნება, წინასწარ მოუმზადებელ თავდავიწყებას ვეძლეოდით, ხორციელ და სულიერ ტკბობას განვიცდიდით ერთურთის სიყვარულით გაბრუებულნი.

ხანდახან, როცა ფიქრებში ხარ გართული, ანგარიშმიუცემლად დებ რაიმე ნივთს წიგნს, ჯაგრისს, ფეხსაცმელს და — მერე დიდხანს ეძებ, ვიდრე არ იპოვი, სრულიად უადგილო ადგილას — ვარადის თავზე, ოთახის რომელიმე კუნჭულში ან მაგიდის უჯრაში. ასე მემართებოდა მეც სიყვარულის გრძნობით მთვრალს. ადრე ყველაფერი ჩვენ უნებურად ხდებოდა, სწრაფად, გონზე მოსვლას ვერც ვასწრებდით, ისე ვეძლეოდით თავდავიწყებას, ემილიას მკლავებში მომწყვდეული და გონს მოსული ვერაფრით ვერ ვიხსენებდი, რა მოხდა ან როგორ მოხდა, რომ სულ რამდენიმე წუთის წინ ერთმანეთის პირისპირ ვისხედით მშვიდად, უსურველად და ახლა კი საწოლში ჩვენი სხეულები ერთ სხეულად შეკრულა-მეთქი.

ემილიას ახლა აღარ ჰქონდა ის ძველებური გზნება, იგი ცივი და მიუკარებელი ჩანდა. ასეთივე ვიყავი მეც. შემეძლო ხარბად, მაგრამ აულელვებლად მეცქირა მისი შიშველი სხეულისთვის, ასევე შეეძლო მასაც ჩემთვის ეცქირა. ამ ფიქრებში გართულს ცხადად წარმომიდგა სურათი: ჩემ წინ ცოლი კი არ იწვა, რომელიც მიყვარდა და რომელსაც ვუყვარდი, არამედ ცოტა სულსწრაფი და ცოტაც გამოუცდელი მეძავი ქალი, რომელიც

ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად მოიშოროს მუშტარი, მისი ჟინი დააკმაყოფილოს, როგორმე სწრაფად დაამთავროს ეს აქტი. ეს ყველაფერი ისე ცხადად წარმოვიდგინე, რომ მეგონა, მეძავი ქალი გაემართა ჩემი საწოლისაკენ, რათა ემილიას შერწყმოდა. შეძრწუნებული წამოვხტი, ემილიასკენ არც მიმიხედავს, ისე ვუთხარი:

— არ მინდა... აღარ მინდა... შენ აქ დარჩი, მე სასტუმრო ოთახში დავიძინებ... — ფეხის ცერებზე გავედი ოთახიდან.

დივანზე უკვე გაშლილი იყო ლოგინი, ზემოდან ემილიას პერანგი იდო. იქვე საწოლთან ფლოსტები ეწყო, სავარძელზე კი ხალათი იყო გადაკიდებული. ეს ყველაფერი ავიღე და ემილიას გავუტანე, სკამზე გადავკიდე. თავი ვერ შევიკავე და შევხედე. იმავე პოზაში იწვა, როგორც იმ სიტყვების წარმოთქმის დროს: „მოდი, რაღას უცდი?“ იწვა შიშველი. ერთი ხელი თავქვეშ ამოედო, ფართოდ გახელილი უაზროდ მზირალი თვალები ჩემკენ ჰქონდა მოპყრობილი, მეორე ხელი სხეულის გასწვრივ გაემართა. არა, ეს მეძავი აღარ იყო, ეს იყო მოჩვენება, რომელიც შეეპყრო რაღაც შეუძლებელზე დარდს. ემილია იქვე გვერდით იწვა, მაგრამ ისეთი შორეული მეჩვენებოდა, თითქოს არარეალური, არაამქვეყნიური არსება ყოფილიყო.

მეხუთე თავი

იმ საღამოს უკვე ვიცოდი, რომ დამთავრდა ჩემი ხანმოკლე ბედნიერება და ამიერიდან დაიწყებოდა მშფოთვარე ცხოვრება. მაგრამ უცნაურია, ემილიას საქციელიდან სრულიადაც არ გამომიტანია ის დასკვნები, რაც დღესავით ნათელი იყო.

რაღა თქმა უნდა, ემილია გულცივად მომექცა, გრძნობის ნატამალიც არ აჩნდა, როცა საწოლში მიხმობდა. მეც ვამჯობინე, უარი მეთქვა ამგვარად შემოთავაზებულ სიყვარულზე. მაგრამ მე მიყვარდა ემილია, სიყვარულს კი ძალუძს დაგაიმედოს და დაგავიწყოს კიდევ. არ ვიცი როგორ მოხდა, მაგრამ წინააღმდეგობის უსიამოვნება — ასე ახლოს რომ მივიტანე გულთან, მეორე დღეს თითქმის აღარაფრად მიმაჩნდა და ისე შავადაც

აღარ მეჩვენებოდა ყველაფერი. წინალამინდელი შემთხვევა ცოლ-ქმარს შორის უბრალო წაკინკლავებად მივიჩნეე. ასეა ცხოვრებაში: ადვილად ივიწყებ იმას, რისი გახსენებაც არ გინდა. ამასთან, თვითონ ემილიაც დამეხმარა ამის დავიწყებაში: მართალია, კვლავ მარტო იწვა, მაგრამ სიყვარულზე უარს აღარ მეუბნებოდა. უნდა გამოვტყდე, რომ ემილია ცივად, უგულოდ მნებდებოდა, უგრძობლად პასუხობდა ჩემს სურვილს, მაგრამ როგორც ხშირად ხდებოდა, ის, რამაც იმ საღამოს ასე აღმაშფოთა, ერთი—ორი დღის მერე, ასატანად კი არა, ჩვეულებრივ ამბად მეჩვენებოდა.

ერთი სიტყვით, ჩემდა უნებურად მოლიპულ გზაზე აღმოვჩნდი და გაყინული, უსულგულო, ჩამქრალი ვნება — მოჩვენებითი სიყვარულობანას თამაშის წყალობით — მგზნებარე, ცეცხლოვან სიყვარულად მესახებოდა; თუ იმ პირველ საღამოს შემზარა ფიქრმა, ემილია მეძავი ქალივით იქცევა-მეთქი, სულ რაღაც ერთი კვირის მერე ამ აზრს უკვე შეგუებული ვიყავი, სადღაც გულის სიღრმეში უკვე მეშინოდა, ემილიას აღარ ვუყვარვარ-მეთქი და მადლიერიც კი ვიყავი მისი, რომ, მართალია, ცივად და უგულოდ, მაგრამ ჩემს სიყვარულს მაინც იღებდა. იქამდე შევეგუე ასეთ ყოფნას, რომ დავიჯერე, ასეც უნდა ყოფილიყო, რომ ასეთი იყო ცოლქმრული ურთიერთობა.

ვცდილობდი, თავი დამერწმუნებინა, რომ ემილიას ისევ ვუყვარდი, უფრო სწორად, აღარ მინდოდა მეფიქრა ჩვენს სიყვარულზე, მაგრამ ეჭვი უკვე გამჭდარი მქონდა: ჩვენ შორის ურთიერთობა შეიცვალა, დაიძაბა. ის კი არადა, ჩემს სამუშაოსაც სხვა თვალთ დავუწყე ცქერა. როგორც ვთქვი, თეატრზე ოცნებას დროებით მოვეშვი და კინოში დავიწყე მუშაობა, რათა ემილიასთვის სახლი მეყიდა. სანამ დარწმუნებული ვიყავი ემილიას ჩემდამი სიყვარულში, სცენარისტობის დაწყებას მძიმედ არ განვიცდიდი, მაგრამ იმ საღამოს მომხდარი უსიამოვნების მერე გული ავიცრუე: უინტერესო და მოსაწყენი მეჩვენებოდა უკვე. მართლაცდა, მე ხომ ემილიას სიყვარულის გამო დავთანხმდი, კინოსცენარი დამეწერა, ასევე დავთანხმდებოდი სხვა სამუშაოზეც. ახლა კი, როცა მისი სიყვარული

თვალსა და ხელს შუა გამიქრა, ამ სამუშაომ ყოველგვარი მიზანი დაკარგა და უაზრო მონობად მესახებოდა.

მინდა აქვე მოგახსენოთ, რას ნიშნავს სცენარისტობა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ გასაგები გახდეს თქვენთვის ჩემი მაშინდელი მდგომარეობა და განცდები. როგორც ცნობილია, სცენარისტი არის ის, ვინც მეორე სცენარისტთან და რეჟისორთან ერთად ქმნის მომავალი ფილმის ქარგას, რის საფუძველზეც იღებენ შემდგომში ფილმს. სცენარში თანმიმდევრულად, მოქმედების განვითარების შესაბამისად არის აღნიშნულ—მითითებული მსახიობთა მიმიკა, რეპლიკები, სიტყვები, აგრეთვე კინო გადაძვლები კამერის სხვადასხვა მოძრაობა. ამგვარად, სცენარი არის პიესაც, კინემატოგრაფიული ტექნიკაც და რეჟისორული გააზრებაც. თუმცა რეჟისორის შემდეგ სცენარისტია მთავარი ფილმის შექმნაში, მაინც დღემდე არსებული ტრადიციის მიხედვით სცენარისტი მეორეხარისხოვან მონაწილედ მიაჩნიათ და არსებითად იგი ჩრდილში დგას. თუ ხელოვნებაზე ვიმსჯელებთ, როგორც სინამდვილის უშუალო ასახვაზე — სხვანაირად ეს წარმოუდგენელიცაა — მაშინ სცენარისტი არის მხატვარი, რომელიც ფილმში დებს მთელ თავის სულს, მაგრამ ამასთანავე არ განიცდის არავითარ კმაყოფილებას, იმის გამო, რომ ფილმში საკუთარი თავი წარმოაჩინა. მისი შრომა შემოქმედებითია, მაგრამ მაინც ითვლება ფილმის ტექნიკური, ფსიქოლოგიური თუ ლიტერატურული მითითებების მხოლოდ უბრალო მიმწოდებლად. შემდეგ კი რეჟისორის საქმეა ამ მიწოდებული მასალის დამუშავება, მხოლოდ მას შეუძლია მთელი სიგრძე—სიგანით გამოიყენოს თავისი შემოქმედებითი გენია და გადაიღოს ფილმი. ამრიგად, სხვათა წარმატების სახელით სცენარისტი მთელ თავის სულსა და გულს, სისხლსა და ნერვებს ახარჯავს ფილმს, და თუმცა ფილმის ბედის ორი მესამედი მაინც არის სცენარისტზე დამოკიდებული, — თავისი სახელი მას არ შეუძლია იხილოს ფილმის ტიტრებში რეჟისორის, პროდიუსერისა და მსახიობების გვერდით. მართალია, ზოგჯერ სცენარისტსაც ძალუძს ნიჭით გაიბრწყინოს და წარმატებებსაც მიაღწიოს, ე. ი. მხოლოდ ბევრი

ფული მიიღოს, მაგრამ თქმით კი არ შეუძლია თქვას, ეს ფილმი მე გავაკეთე, ამ ფილმში საკუთარი თავი წარმოვაჩინე, ეს ფილმი თვითონ მე ვარო. ეს მხოლოდ რეჟისორს შეუძლია თქვას, მხოლოდ და მხოლოდ მას შეუძლია ხელი მოაწეროს ფილმზე, სცენარისტი კი იძულებულია მხოლოდ ფულის გულისთვის მუშაობით დაკმაყოფილდეს და უნდა თუ არ უნდა, მაინც ის ფული ხდება მისი მოღვაწეობის ერთადერთი მიზანი. ამრიგად, მას შეუძლია დატკბეს ცხოვრებით, თუკი ამის უნარი შესწევს, მოიხმაროს ფული, — მისი არაქათგამომცლელი შრომის ერთადერთი ხელშესახები შედეგი, — ერთი სცენარის დამთავრების შემდეგ ხელი მოჰკიდოს მეორეს, მერე მესამეს, წეროს კომედიები, ტრაგედიები, სათავგადასავლო თუ მელოდრამატული ფილმები. მისი შრომა ემსგავსება შრომას გუვერნანტი ქალისას, რომელიც ვერ ასწრებს ერთ ბავშვს შეეჩვიოს, რომ უკვე მეორე ბავშვის აღსაზრდელად მიდის სხვა სახლში, ხოლო მისი დამქანცველი შრომის შედეგი კი დედებს რჩებათ, მხოლოდ მათ აქვთ უფლება, შვილს საკუთარი უწოდონ.

გარდა ამ უსიამოვნებისა, რაც თან სდევს სცენარისტის ხელობას, არის კიდევ ფილმის ხარისხი, ჟანრი, ფილმზე მომუშავეთა შერჩევა. რეჟისორისაგან განსხვავებით, ვისაც პროდიუსერი სრულ თვისუფლებას ანიჭებს, სცენარისტს შეუძლია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს — შეთავაზებული თემის მიხედვით შექმნას სცენარი, მაგრამ თუ დაეთანხმა, არა აქვს უფლება თანამშრომელთა შერჩევისა. მას ირჩევენ, ის კი — არა, თანამშრომელთა აყვანა მხოლოდ და მხოლოდ პროდიუსერის სიმპათიის ან, უბრალოდ, მისი ჭირვეულობის მიხედვით ხდება. ამის გამო სცენარისტს ხშირად უწევს მუშაობა არასასურველ ადამიანებთან, განათლებითაც და კულტურითაც მასზე ბევრად დაბლა რომ დგანან. იგი იძულებულია, ბევრი რამ დათმოს მათი ქცევისა და ხასიათის გამო, რაც მერე მის ნერვებსაც აჩნევს დაღს. სცენარზე ერთობლივი მუშაობა ფაბრიკაში ან რომელიმე დაწესებულებაში მუშაობას როდი ჰგავს, სადაც ყველა თავ-თავის საქმეს აკეთებს, ერთმანეთისაგან

დამოუკიდებლები არიან და სადაც პირადი ურთიერთობა მი-
ნიმუმამდეა დაყვანილი ან სრულიად არ არსებობს. სცენარზე
ერთობლივი მუშაობა ნიშნავს დილიდან საღამომდე იცხოვრო
რამდენიმე კაცის ცხოვრებით, თავაუღებელი შრომობდე,
მთელ ცოდნას, ნიჭსა და გრძნობებს აქსოვდე სამუშაოს და თა-
ნაც ყველაფერს უფარდებდე სხვათა აზრებსა და მისწრაფე-
ბებს. ერთი სიტყვით, მთელი ორი—სამი თვე სცენარზე მუშაო-
ბისას, შენდა უნებურად, პირად ურთიერთობაში ხარ (თუმცა
მოჩვენებითსა და ხელოვნურში) სხვებთან, რათა შეიქმნას
ფილმი, რომლის საბოლოო და ერთადერთი მიზანი ფულია.

სცენარისტებისთვის ყველაზე უფრო უსიამოვნო, რაც კი შე-
იძლება წარმოიდგინოს ადამიანმა, თანამშრომლებთან სწო-
რედ ის პირადი ურთიერთობაა. ეს არის მომქანცავი, გამაღი-
ზიანებელი და მომაბეზრებელი რამ. ეს ის როდია, რამდენიმე
მეცნიერი ერთ ექსპერიმენტზე რომ მუშაობს — სცენარზე მუ-
შაობა ეფუძნება მხოლოდ და მხოლოდ სიტყვას, გაუთავებელ
ლაპარაკს.

რეჟისორი სცენარზე სამუშაოდ ჩვეულებრივ ადრე დილი-
დანვე იბარებს თანამშრომლებს — ასე თხოულობს სცენარის
შესაქმნელად მიცემული მოკლე ვადა და სცენარისტებიც დი-
ლიდან დაღამებამდე ლაპარაკობენ და ლაპარაკობენ, რა
თქმა უნდა, ძირითადად ფილმის გარშემო, მაგრამ ხანდახან
დასასვენებლად სხვა თემაზე გადაიტანენ ხოლმე ლაპარაკს
და ვინ ახალ ანეკდოტს ჰყვება, ვინ თავის პოლიტიკურ შეხე-
დულებებს გამოთქვამს, ვინ ნაცნობ—მეგობრების ავ—კარგზე
ლაყბობს, ვინ მსახიობებზე და მათ ცხოვრებაზე და ვინ იცის
კიდევ რაზე არა. ოთახი პაპიროსის ბოლშია გახვეული. მაგი-
დაზე, იქ სადაც სულ ცოტა ხნის წინ ფურცლები ეყარა, ახლა
ყავის ცარიელი ფანჯრები დგას. სცენარისტები, დილით რომ
ლამაზად დავარცხნილ—გამოწყობილი მოდიან სამსახურში,
ახლა თმააბურძღუნლი, აჩაჩულ—დაჩაჩული, გაოფლილი და
ქანცგაწყვეტლი გამოიყურებიან. უსულგულო ავტომატიზმი,
რის მიხედვითაც კეთდება ფილმები, ტალანტს ახშობს, სცენა-

რიტსტისაგან შთაგონებას კი არა, უფრო სიჯიუტეს, ნებისყოფის დაძაბვას მოითხოვს, მით უმეტეს, რომ ზოგს სცენარზე მუშაობის არაავითარი ხალისი არ აქვს.

რა თქმა უნდა, შეიძლება შეიქმნას მაღალმხატვრული სცენარი. ამ შემთხვევაში — თუ რეჟისორი და მისი თანამშრომლები ძველი მეგობრები არიან, დიდი ხანია ერთად მუშაობენ, ერთმანეთისა ესმით და პატივს სცემენ ერთმანეთს, მაშინ მუშაობა მიმდინარეობს ისეთ იდეალურ პირობებში, როგორიც შეიძლება იყოს ადამიანთა საქმიანობის, თუნდაც ყველაზე უმაღლესი საქმიანობის გარემოში, მაგრამ ასეთი ბედნიერი დამთხვევა ისევე იშვიათია, როგორიც კარგი ფილმები.

როცა მეორე სცენარის ხელშეკრულებას ხელი მოვაწერე, ახლა უკვე ბატისტასთან კი არა, სხვა პროდიუსერთან, — მუშაობის გასაგრძელებლად ძალა, სურვილი და გამბედაობა აღარ მეყო და უფრო მწვავედ ვიგრძენი ის მოსაბეზრებელი და გულის გამაწყალებელი უსიამოვნებანი, რაზეც უკვე მოგახსენეთ.

დილიდანვე უქმური გრძნობა მეუფლებოდა სამუშაოს გახსენებაზე. იმის წარმოდგენა, რომ ერთი პატარა სიამოვნებაც კი არ მელოდა და ეს დღე არასასურველი სამუშაოსათვის უნდა შემეწირა, მაცოფებდა. ვიცოდი, ეს დღეც უშედეგოდ გავიდოდა და ფეხები უკან მრჩებოდა სახლიდან გასულს.

სტუდიაში შესულიც არ ვიყავი, რომ რეჟისორი კითხვებს დამაყრიდა ხოლმე:

— აბა, როგორ არის საქმე? მოიფიქრე რამე წუხელ? მიაგენი რამეს?

ეს შეკითხვები ცოფს მგვრიდა და მაზიზღებდა იქაურობას.

მუშაობის დროსაც ყველაფერი მაღიზიანებდა: უკბილო ანეკდოტები, ლაქლაქი, თანამშრომელთა სიბრიყვე და გონებაშებლადულობა. ის კი არადა, რეჟისორის შექებაც კი მაღიზიანებდა, რადგან, როგორც გითხარით, მეჩვენებოდა, რაც კი საუკეთესო გამაჩნდა სულში, ამ უინტერესო და უნდო სამუშაოს ვახარჯავდი. ყველაზე მეტად ეს შექება მძულდა ყოველთვის. როცა კი სცენარზე მუშაობისას რაღაც საინტერესოს მი-

ვაგნებდი, რეჟისორი გახარებული წამოვარდებოდა და ამ ხელობის კაცისთვის დამახასიათებელ შინაურულ კილოზე წამოიძახებდა: „ყოჩაღ, ნამდვილი გენიოსი ხარ!“ მე კი გული მეკუმშებოდა, ასე ფუჭად რომ ვფლანგავდი შემოქმედებით ძალებს და ვფიქრობდი, განა უმჯობესი არ იქნებოდა, ჩემი დიდი ხნის ოცნება — დრამა რომ დამეწერა ან ერთი კარგი კომედიამეთქი? როგორც ვთქვი, სცენარზე მუშაობა გულს არ ეკარებოდა, დიდად არ მსიამოვნებდა, მაგრამ მაინც არ შემეძლო გულგრილად მოვკიდებოდი ამ საქმეს. სცენარზე მუშაობა რალაციით ჰგავს ეტლს, რომელშიც ოთხი ცხენია შებმული. ამ ოთხი ცხენიდან ერთი—ორი ღონიერი ცხენია და ტვირთს ისინი ეწევიან, ერთი—ორიც სუსტია და ისე მისდევენ ღონივრებს, თითქოს მათაც დიდი ჯაფა ედგათ. თუმცა სცენარზე ნაძალადევად, ყოველგვარი გატაცების გარეშე ვმუშაობდი, როგორც გვიან შევამჩნიე, მე სწორედ ის ღონიერი ცხენი ვიყავი, ტვირთს რომ ეწევა. თანაავტორი და რეჟისორი გაჭირვების ჟამს ჩემგან ელოდნენ ხოლმე ხსნას და მოთმინებით იცდიდნენ, რას ვიტყოდი. ყოველივე ამას იმიტომ კი არ ვაკეთებდი, რომ პირველობა მიყუროდა ან ვინმეს დაჯაბნა მსურდა, ამას მიძულებდა მოვალეობის გრძნობა, რაც ჩემს ნებისყოფაზე ძლიერი იყო. რაკი ფულს გიხდიან, კიდევ უნდა იმუშაო ასე მესმოდა ჩემი მოვალეობა.

მაგრამ სინდისი მუდამ მქენჯნიდა და საკუთარი თავისა ისე მრცხვენოდა, თითქოს გროშად ვყიდდი ყველაზე ძვირად ღირებულს, რომელიც შემეძლო ცოტა უკეთ მომეხმარა.

როგორც უკვე ვთქვი, კინოში მუშაობის მთელი ეს უსიამოვნო მხარეები ჩემთვის ცნობილი გახდა ბატისტასთან პირველი ხელშეკრულების დადებიდან ორი თვის თავზე. თავდაპირველად ვერაფრით ვხვდებოდი, ადრე რატომ ვერ შევამჩნიე ეს ამბავი, ასე დიდი დრო რატომ დამჭირდა. თუ წინათ სცენარზე მუშაობა მიზიდავდა, — თუმცა ეს ფულის შოვნის სურვილით თუ იყო გამოწვეული, ახლა სიძულვილისა და დაუკმაყოფილებლობის გრძნობა უფრო მიძლიერდებოდა და ეს ამბავი თანდათანობით ემილიასთან ურთიერთობის შეგუებასთან

დავაკავშირე. ბოლოს და ბოლოს, მივხვდი: სამუშაოზე გულაცრუების მიზეზიც ეს იყო, ემილიას რომ აღარ ვუყვარდი, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მაჩვენებდა თავს. ადრე, ემილიას სიყვარულში ღრმად დარწმუნებული, მონდომებითა და ხალისით ვეკიდებოდი სცენარზე მუშაობას. ახლა კი გამიქრა ეს უნარი... ახლა ჩემი სამუშაო გონების დამშრეტი და დროის ფუჭად წამლები მეჩვენებოდა.

მეექვსე თავი

იმ ხანებში იმ ავადმყოფს ვგავდი, ექიმთან წასვლა რომ ვერაფრით გადაუწყვეტია. ვცდილობდი, არ მეფიქრა ჩემსა და ემილიას ურთიერთობაზე, ჩემს სამუშაოზე. ვიცოდი, ადრე თუ გვიან ისედაც მომიწევდა ამ საკითხზე დაფიქრება და სწორედ იმიტომაც მინდოდა, მოსახდენი, რაც შეიძლება გვიან მომხდარიყო. ის, რაც ეჭვით ვიცოდი, ცოტა იყო, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ მაიძულებდა გამეგო ამდაგვარი ფიქრები, შიშსაც მგვრიდა ამავე დროს. ჩემი და ემილიას ურთიერთობა ოდნავადაც არ შეცვლილა იმ წუთიდან, ასე რომ აღმაშფოთა მისმა საქციელმა. უარესის შიშით ყველაფერზე თვალს ვხუჭავდი, თავსაც ამაოდ ვირწმუნებდი, ჩვენი ურთიერთობა ნორმალურია-მეთქი: დღისით უმიზნოდ, უგულოდ ვსაუბრობდით, ღამით დროდადრო სიყვარულობანას ვთამაშობდით, რასაც მე ვნებაანთებული ვეძლეოდი, ის კი ყინულივით მხვდებოდა. მართალია, ხელი აღარასოდეს უკრავს ჩემთვის, მაგრამ აუღელვებლად და სურვილის გარეშე მნებდებოდა. რაც შეეხება სამუშაოს, თუმცა გული არ მიმდიოდა და ვგრძნობდი, მოსაბეზრებელი ხდებოდა, მაინც რაღაცნაირი გაშმაგებით ვმუშაობდი. იმის გამბედაობა რომ მქონოდა, ყველაფერი გამერკვია, თავ—თავისი ადგილი მიმეჩინა, ნამდვილად უარს ვიტყოდი კინოში მუშაობაზე და ემილიას სიყვარულზე ფიქრზეც. როგორც ცხოვრებამ დამარწმუნა, ეს ორი მოვლენა საბედისწეროდ ეხლართებოდა ერთმანეთს. მაგრამ სად მქონდა ამის გამბედაობა. დროის დინებას მივანდე ყველაფერი, იმედი

მქონდა, დრო უჩემოდ გადაწყვეტდა ამ საკითხს. მართლაც ასე მოხდა. უჩემოდ, მაგრამ ჩემი სურვილის წინააღმდეგ გადაწყვიტა ყველაფერი. ემილიას თავს აბეზრებდა ჩემი სიყვარული, მე კი — ჩემი სამსახური. ასე უგემურად და ზანტად მიიზღაზნებოდა დღეები და კარგს არაფერს მიქადდა.

ამასობაში სცენარის დამთავრებას აღარაფერი მაკლდა. ბატისტამ გამაფრთხილა, ხელშეკრულება სხვასთან არ დადო, სულ მალე უკეთეს და მნიშვნელოვან სამუშაოს მოგცემო. ახალი სცენარის დაკვეთა უნდოდა სხვა პროდიუსერების მსგავსად ბატისტაც საკმაოდ იყო გაქნილი ასეთ საქმეებში, ყველაფერი აწონილ—დაწონილი ჰქონდა, აჩქარება არ უყვარდა, სიტყვას არ იტყოდა ტყუილუბრალოდ, ერთ—ორი წინადადებით ამოწურავდა თავის სათქმელს: „მოლტენი, ამ, სცენარს რომ დაამთავრებთ, მეორეს დავიწყებთ... ამჯერად ნაღდს“, „ან: „მოლტენი, მზად იყავით, ამ დღეებში მსურს რაღაც შემოგთავაზოთ“, ან მიუკიბ—მოკიბავად მეტყოდა: „მოლტენი, ყველას უარი უთხარით ხელშეკრულებაზე. ორ კვირაში ჩემთან დადებთ ხელშეკრულებას“. ამრიგად, უკვე ვიცოდი, რომ ამ უინტერესო და უფერული სცენარის დამთავრების შემდეგ ნაღდი სამუშაო მელოდა და რაღა თქმა უნდა, ბატისტა მეტსაც გადამიხდიდა. და მაინც, გულს ვერ ვუდებდი კინოში მუშაობას. პირველი ფიქრი, რამაც თავში გამიელვა, ბინა იყო, რომლის ფული ჯერ კიდევ გადასახდელი მქონდა. ამიტომ ბატისტას წინადადებებმა ძალიან გამახარა. ასეთია კინოსცენარისტის ბუნება: უყვარს თუ არ უყვარს ეს სამუშაო, მაინც უხარია, ახალს რომ შესთავაზებენ (ამ შემთხვევაში საკუთარი თავი მყავს მხედველობაში), ხოლო თუ აღარაფერი უთხრეს, გული სწყდება, ეჭვი იპყრობს, თავი აარიდესო.

ბატისტას ახალ წინადადებაზე ემილიასთვის ამჯერად არაფერი მითქვამს: ჯერ ერთი, დანამდვილებით არ ვიცოდი, დავეთანხმებოდი თუ არა სცენარის დაწყებაზე, მეორეც — ვგრძნობდი, ემილიას სულ არ აინტერესებდა ჩემი საქმეები და ამიტომაც ვამჯობინე, არაფერი მეთქვა. არ მინდოდა, კიდევ ერთხელ დავრწმუნებულიყავი მის გულგრილობაში, რისთვისაც ჯიუტად ვცდილობდი, მნიშვნელობა არ მიმეცა. ბატისტას

ახალ წინადადებასა და ემილიას გულცივობას რატომღაც ერთმანეთს ვუკავშირებდი. დარწმუნებული არ ვიყავი, ახალ სამუშაოზე დავთანხმდებოდი თუ არა, რადგან ვგრძნობდი: ემილიას აღარ ვუყვარდი. რომ ვყვარებოდი, რა თქმა უნდა, ვეტყობდი ბატისტას წინადადების შესახებ. ეს კი იმას ნიშნავდა, კიდევ დავთანხმდებოდი.

ერთ დღეს იმ რეჟისორისკენ გავემურე, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი ბატისტასთვის დაწერილ სცენარზე — ვიცოდი, საბოლოოდ მივდიოდი მასთან, რადგან სცენარის დამთავრებას აღარაფერი გვაკლდა. ამიტომაც გახალისებული მივდიოდი. როგორც იქნა, ბოლო ეღებოდა ჩემს დამქანცველ არასასურველ შრომას და ამიერიდან ნახევარი დღე მაინც იქნებოდა ჩემს განკარგულებაში, რასაც მინდოდა, იმას გავაკეთებდი. ორი თვე ვმუშაობდი ამ სცენარზე და როგორც ხდება ხოლმე, ორი თვე საკმარისი აღმოჩნდა, რომ შემძულებოდა ფილმის პერსონაჟებიც და მისი სიუჟეტიც. ვიცოდი, მალე ახალი სცენარი უნდა დამეწყო. ახალი სამუშაო მელოდა, ახალი პერსონაჟები და ახალი სიუჟეტი და ისინიც მალე მომაბეზრებდნენ თავს, მაგრამ ამ სცენარს რომ ვამთავრებდი, დიდად მიხაროდა და შვებას ვგრძნობდი.

სცენარის დამთავრებას სულ ცოტაღა აკლდა. ამ დღით მუშაობის ხალისზე მოსულმა რაღაც ორიოდ საათში მივაგენი იმას, რაზეც მე და რეჟისორი რამდენიმე დღე ვიტყვით თავს. არ გასულა ორი საათი და სცენარზე მუშაობაც საბოლოოდ მოვამთავრეთ. ხანდახან ხდება ხოლმე ასე: მიდიხარ მთებში, გზა კი არ ილევა: ის—ისაა ილაჯგაწყვეტილმა ხელი უნდა ჩაიქნინო, მწვერვალს ვეღარ მივადწევო, რომ სრულიად მოულოდნელად აღიმართება შენ წინ ის მწვერვალი. დიალოგის ერთი ფრაზა დავწერე და გაოცებულმა წამოვიძახე:

— აქ შეიძლება დაისვას წერტილი. ასე დავამთავროთ სცენარი!

ვიდრე მე მაგიდასთან ვიჯექი და სცენარზე ვმუშაობდი, რეჟისორი ბოლთას სცემდა ოთახში, ამ სიტყვებზე მომიახლოვ-

და, ზურგს უკან დამიდგა, გადმოიხარა, ჩემს ნაწერს ისე დახედა, თითქოს თვალებს არ უჯერებსო და გახარებულმა იმანაც წამოიძახა:

— მართალი ხარ, ამით შეიძლება დავამთავროთ!

სცენარის ბოლოს მივაწერე „დასასრული“, საქალაქდღე დავხურე და ავდექი.

რამდენიმე ხანი უსიტყვოდ დავცქეროდი საქალაქდღეს, სადაც დამთავრებული სცენარი იდო. დაღლილდაქანცულ ალპინისტებს ვგავდით, დიდი ტანჯვა—წვალების შემდეგ რომ მი-აღწიეს მწვერვალს. რეჟისორმა ბოლოს, როგორც იქნა, ხმა ამოიღო.

— როგორც იქნა, დავამთავრეთ!

— ჰო, დავამთავრეთ, — დავადასტურე მე.

რეჟისორი პაზეტი ახალგაზრდა, კვადრატულ ნაკვთებიანი, რალაცნაირი მშრალი და გადასლექილი ჩანდა, გეომეტრიის მასწავლებელს თუ ბუღალტერს უფრო ჰგავდა, ვიდრე ხელოვანს. დაახლოებით ჩემი ხნისა უნდა ყოფილიყო, მაგრამ როგორც ეს სცენარზე მუშაობისას ხდება, ჩვენი დამოკიდებულება თანამდებობით უფროს—უმცროსობას არ სცილდებოდა. საერთოდ, რეჟისორს უფრო დიდი ავტორიტეტი აქვს, ვიდრე კინოს სხვა მუშაკს.

ცოტა ხნის დუმილის შემდეგ პაზეტიმ მისთვის დამახასიათებელი არც თუ მოსწრებული იუმორით მომმართა:

— უნდა გითხრა, რიკარდო, შენ იმ ცხენსა ჰგავხარ, ყნოსვით რომ გრძნობს, სად არის საჯინიბო. მეგონა, კიდევ ოთხ დღეს მოვუნდებოდით სცენარზე მუშაობას, ორ საათში კი დავამთავრეთ. ეტყობა, ჰონორარის ეშხით დააჩქარე!

მიუხედავად ამ კაცის უმეცრებისა და შეზღუდულობისა, იგი არ იწვევდა ჩემში ანტიპათიას. ჩვენს ურთიერთობას ის განამტკიცებდა რომ, თითქოს ერთმანეთს ვავსებდით. ის იყო ფანტაზიასა და წარმოსახვის უნარს მოკლებული კაცი, აუღელვებელი და თავის ძალაუფლებაში დარწმუნებული, თუმცა საშუალო ნიჭისა. მე კი შემოქმედებითი ცეცხლი მწვავდა, ემოციური და ნიჭიერი ვიყავი.

— რა თქმა უნდა, — მისსავე კილოზე ვუპასუხე მეც, — მართალს ამბობ, ჰონორარის ეშხით...

პაზეტიმ პაპიროსს მოუკიდა და განაგრძო:

— არ გეგონოს, ამით ყველაფერი დამთავრდა... ჯერ მხოლოდ სამუშაოს ძირითადი ნაწილი შევასრულეთ... დიალოგებს თავიდან უნდა გადავხედოთ. ასე რომ, ჯერ ადრეა მხართეძომზე წამოწოლა.

ერთხელ კიდევ გავიფიქრე, პაზეტი ორიგინალურს არაფერს ამბობს, გაცვეთილი ფრაზებით ლაპარაკობს-მეთქი. შემდეგ ქურდულად გავხედე საათს, უკვე დღის პირველი საათი სრულდებოდა.

— დარდი ნუ გაქვს... შენს განკარგულებაში ვიქნები, როცა კი მოისურვებ.

პაზეტიმ თავი გააქნია.

გიცნობთ, რა შვილებიცა ბრძანდებით სცენარისტები... საძებნელი რომ არ გამიხდეს, ბატისტას ვეტყვი, ჰონორარი მთლიანად არ მოგცეს.

პაზეტის ოდნავ დამცინავი და ავტორიტეტული კილო ჰქონდა, რაც სულ არ შეეფერებოდა ასე ახალგაზრდა რეჟისორს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი მბრძანებლური ქცევით იგი ადვილად ახერხებდა, თანამშრომლები თავისი გავლენის ქვეშ მოექცია. მას უნარი შესწევდა, გაეკიცხა და შეექო კიდევ თანამშრომელი, მოჰფერებოდა და მკაცრი შენიშვნაც მიეცა, ეთხოვა და ებრძანებინა. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, პაზეტი კარგ რეჟისორად მიაჩნდათ: რეჟისორის მუშაობის ორი მესამედი ხომ იმაზეა დამოკიდებული, როგორ მოიხმარს იგი თანამშრომელთა ცოდნასა და შესაძლებლობას. .

ახლაც, როგორც ყოველთვის, მივეცი პაზეტის საშუალება, ლაპარაკით გული ეჯერებინა, შემდეგ კი ვუთხარი:

— არა, ბატისტას ეტყვი, ჰონორარი მთლიანად მომცეს, მე კი პირობას გაძლევ, როცა დაგჭირდები, მაშინვე შენთან გავინდები.

— კი მაგრამ, რად გინდა ამდენი ფული? — ბრიყვულად იხუმრა პაპეტომ, — ყოველთვის გეცოტავენ და გეცოტავენ... საყვარელი შენ არ გყავს, ბანქოს შენ არ თამაშობ, შვილებიც არ გაწუხებენ...

— ბინის ფული უნდა შევითანო, — ვუპასუხე სერიოზულად და თვალები ძირს დავხარე. მისმა ასეთმა უტაქტობამ აღმაშფოთა.

— კიდევ ბევრი დაგრჩა გადასახდელი?

— თითქმის მთლიანი თანხა.

— ნიძლავს დავდებ, ალბათ, ცოლი ჩაგჩინინებს და მოსვენებას არ გაძლევს. თითქოს მესმის კიდევ მისი ხმა: „რიკარდო, ხომ არ დაგავიწყდა, ბინის მორიგი გადასახადი რომ არის შესატანი?“

— ჰო, ჩემი ცოლის სურვილია... ქალების ამბავი ხომ იცი, სახლი მათთვის ყველაფერია...

— ვის ეუბნები! მე უარეს დღეში ვარ, — და დაიწყო მოყოლა თავის ცოლზე, რომელიც, როგორც მივხვდი, რატომღაც ჭირვეულ და უცნაურ ქალად, მოკლედ, ნამდვილად ქალად მიაჩნდა.

პაპეტის თავს ისე ვაჩვენებდი, თითქოს დიდი ყურადღებით ვუსმენდი, სინამდვილეში კი სულ სხვა რამეზე ვფიქრობდი.

— ეს ყველაფერი ძალიან კარგი, მაგრამ რაც შეგეხებათ თქვენ, სცენარისტებს, კარგად გიცნობთ, ერთი ჯურისა ხართ ყველანი. როგორც კი ფულს მოიგდებთ ხელში, მერე მშვიდობით, თვალსაც ვერავინ მოგკრავთ... არა, არა, ვეტყვი ბატისტას, ჰონორარი მთლიანად არ მოგცეს.

— არ არის საჭირო, კაპეტი, გთხოვ!

— ჰო, ვნახოთ, ისე კი დიდად ნუ დაენდობი ჩემს სიტყვას.

მე კვლავ მალულად დავხედე საათს. ამჯერად მივეცი პაპეტის საშუალება, საკუთარი პატივმოყვარეობა დაეკმაყოფილებინა და ჩემ წინ მთელი სიგრძე—სიგანით წარმოეჩინა თავისი ავტორიტეტი... ახლა კი კმარა, ისედაც ბევრი დრო დავკარგე, უნდა წავიდე.

– დიდად მოხარული ვარ, რომ სცენარზე მუშაობას, ან შენ როგორცა თქვი, ძირითად სამუშაოს მოვრჩით... ახლა კი დროა, წავიდე...

– არაფრით არ გაგიშვებ! ალაღად წამოიძახა პაზეტიმ, – აუცილებლად უნდა შევსვათ ფილმის წარმატების სადღეგრძელო... დალახვროს ეშმაკმა! სცენარი დავამთავრეთ და შენ ასე გაგიშვა?

– ეგ სხვა საქმეა, – მორჩილად ვუპასუხე, – საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.

– წავიდეთ. ჩემს მეუღლეს შენი სტუმრობა გაახარებს.

კაბინეტიდან რომ გამოვედი, ვიწრო, ცარიელ და თეთრად შეფეთქილ დერეფანს გავუყევით. დერეფანში საჭმელებისა და ბავშვის ჩვრების სუნი ტრიალებდა. პაზეტიმ სასტუმრო ოთახის კარი შეაღო და შესძახა:

– ლუიზა, მე და მოლტენიმ სცენარზე მუშაობა დავამთავრეთ... გვინდა შევსვათ ფილმის წარმატების სადღეგრძელო!

ქ-ნი პაზეტის სავარძლიდან წამოდგა და ჩემთან შესახვედრად გამოემართა.

იგი ტანდაბალი ქალი იყო, დიდი თავი, მშვენიერი შავი თმა და ძალზე ფერმკრთალი, მოგრძო სახე ჰქონდა. მის დიდრონ, მაგრამ უსიცოცხლო თვალებში მხოლოდ მაშინ აკიაფდებოდა ხოლმე სიხარულის შუქი, როცა ქმარს ხედავდა. ისე შესციცინებდა, როგორც ერთგული ძაღლი თავის პატრონს. მაგრამ როდესაც ქმარი შინ არ იყო, იჯდა თავისთვის წყნარად, თვალებდახრილი და მიუკარებელ უბიწოებას განასახიერებდა. სულ ოთხი წლის გათხოვილი იყო და ამ ოთხ წელში ეს პატარა, დაღეული ქალი ოთხი შვილის დედა გახდა.

– დღეს აუცილებლად უნდა დავლიოთ... ახლავე მოვამზადებ კოქტეილს, მოჩვენებითი მხიარულებით თქვა პაზეტიმ.

– ჩემთვის არ მოამზადო, ჯინო, გააფრთხილა ქ-ნმა ლუიზამ, – ხომ იცი, არა ვსვამ.

– ჩვენ დავლევთ.

მე იქვე, წითელი აგურით ნაშენი ბუხრის წინ მოვიკალათე ხის სავარძელში, რომელზეც ყვავილებით მოჩითული ქსოვილი იყო გადაფარებული. ქ-ნი პაბეტიც ასეთსავე სავარძელში ჩაჯდა ჩემ პირდაპირ.

სასტუმრო ოთახი ძალიან ჰგავდა თავის პატრონს, ოჯახის უფროსს. ეს იყო ჩვეულებრივი, პროვინციული სტილის ოთახი, სუფთა და კობტა, მაგრამ ამავე დროს ისეთი უბადრუკი, ბუღალტერს ან მონაგარიშეს რომ შეეფერებოდა, ვიდრე რეჟისორს. იძულებული ვიყავი, ოთახი მეტვალეირებინა, რადგან ქ-ნმა პაბეტიმ რატომღაც ჩემთან საუბარი არ ისურვა. იჯდა ჩემ წინ სავარძელში თითქმის უმოძრაოდ, თვალებდახრილი და მუცელზე ხელებდაწყობილი. მე ახლა პაბეტის ვადევნებდი თვალს. იგი ოთახის ერთ კუთხეში მივიდა პატარა კარადასთან, რომელშიც რადიომიმღები და ბარი იყო ჩადგმული, თავის წეროსავით გამხდარ მუხლებზე ჩაიჩოქა და ერთი ბოთლი ჯინი, სამი ჭიქა და თერმოსი გამოიღო. ეს ყველაფერი ლანგრით მოიტანა ბუხრის წინ, მაგიდასთან.

შევამჩნიე, რომ ორივე ბოთლი გაუხსნელი და ხელუხლებელი იყო, ეტყობოდა, მათი პატრონი ხშირად არ აძლევდა თავს კოქტეილის დაღვევის უფლებას. გამოუცდელი ხელი იგრძნობოდა მის მოქმედებაშიც. ყველაფერს ისე მოუხერხებლად აკეთებდა, ჩანდა, მისთვის უჩვეულო იყო მსგავსი საქმე. ამაზე მეტყველებდა ახალთახალი თერმოსიც, რომელიც თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. პაბეტიმ გვითხრა, ცინულს მოვიტანო და ოთახიდან გავიდა.

კარგა ხანს ასე განუმებულნი ვისხედით, შემდეგ კი, მხოლოდ იმიტომ, რომ სიჩუმე დამერღვია, ვთქვი:

— ესეც ასე, სცენარიც დავამთავრეთ!

ქ-ნ პაუეტის თავი არც აუწევია, ისე მიპასუხა.

— დიახ, ჯინომ უკვე მითხრა.

— დარწმუნებული ვარ, კარგი ფილმი გამოვა.

— მეც დარწმუნებული ვარ, ისე ჯინო არ მოჰკიდებდა ხელს ამ სცენარს.

— ფილმის სიუჟეტს იცნობთ?

— დიახ, ჯინომ მიაძბო.

— მოგწონთ?

— რაკი ჯინოს მოსწონს, მაშასადამე, მეც მომწონს. თქვენი აზრები ყოველთვის ასე ემთხვევა ერთმანეთს?

— ჩემი და ჯინოსი? ყოველთვის!

— თქვენ შორის ვინ არის ოჯახის უფროსი?

— როგორ?

— ვინ უფროსობს ოჯახში, თქვენ თუ ჯინო?

— რა თქმა უნდა, ჯინო.

საუბრის დროს შევამჩნიე, ქ-ნი პაზეტი სულ იმის ცდაში იყო, „ჯინო“ იმდენჯერ ეხსენებინა, რამდენჯერაც რაიმეს სათქმელად პირს გააღებდა.

ამიტომ ვაძლევდი ასეთ კითხვებს. ის კი ჩემს ხუმრობანარევ კილოს ვერ ამჩნევდა და სრული სერიოზულობით მაძლევდა პასუხებს.

ამასობაში პაზეტიც დაბრუნდა ყინულიანი კასრით ხელში:

— რიკარდო, ცოლი გირეკავს ტელეფონზე!

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეს სიტყვები ელდასავით მომხვდა გულზე. გუნება მომეშხამა. ანგარიშმიუცემლად ავდექი და კარისაკენ გავემართე. პაზეტიმ შემაჩერა:

— ტელეფონი სამზარეულოშია... მაგრამ თუ გინდა, აქედან უპასუხე, გადმოვრთავ.

ტელეფონი იქვე, პატარა მაგიდაზე იდგა, ბუხართან ახლოს. ყურმილი ავიღე და ემილიას ხმაც მომესმა:

— რიკარდო, მაპატიე, მაგრამ შუადღისას შინ ნუ მოხვალ, სადილად დედასთან მივდივარ.

— კი მაგრამ, რატომ ადრე არ გამაფრთხილე?

— არ მინდოდა შენთვის ხელი შემეშალა მუშაობაში.

— კარგი, — ვუპასუხე, — რესტორანში ვისადილებ.

— სალამოს შევხვდებით, ნახვამდის, — და ყურმილი დაკიდა. მეც პაზეტებისაკენ მივბრუნდი.

— რიკარდო, დღეს, მგონი, შინ არ სადილობ.

— არა, რესტორანში წავალ.

— აი რა, რიკარდო, ჩვენთან დარჩი. საგანგებო არაფერი გვაქვს მომზადებული, მაგრამ რაც არის, იმას დავჯერდეთ... დიდად გვასიამოვნებ.

იმის გაფიქრებამ, რომ რესტორანში მარტოს უნდა მესადი-
ლა, გამოუთქმელი სევდა მომგვარა, გუნება გამიფუჭდა და,
აღბათ, უფრო იმიტომ მეწყინა, რომ მინდოდა სცენარის დამ-
თავრება ემელიასთვის მეხარებინა. ან იქნებ არც მეხარებინა,
რადგან, როგორც უკვე ვთქვი, ემილიას ჩემი სამუშაო აღარ
აინტერესებდა, მაგრამ სცენარი რომ დავამთავრე, ჩემდაუნე-
ბურად მაშინვე ეს აზრი დამებადა — ჩემთვის ყველაზე ახლო-
ბელი ადამიანისთვის გამეზიარებინა სიხარული, როგორც წი-
ნათ ვიცოდით.

ქ-ნი პაბეტი, როგორც ყოველთვის, არც ახლა არ აცილებდა
თვალს ქმარს. პაბეტის მიპატიჟებამ ძალიან გამახარა და დი-
დად მადლობელი დავრჩი. ამასობაში მან ორივე ბოთლი გახ-
სნა, დიდი სიფრთხილით ჯერ ცოტაოდენი ჯინი გადაზომა, მე-
რე ვერმუტი და შემდეგ ორივე თერმოსში აურიო. ამ დროს იგი
იმ ფარმაცევტს უფრო ჰგავდა, წამლის დამზადებისას რომ
ემინია, ზედმეტი დოზა არ მომივიდესო.

ბოლოს, როგორც იქნა, კოქტეილი მომზადდა. პაბეტი უკვე
ჭიქებში დასხმას აპირებდა, რომ ქ-მა ლუიზამ ქმარს უთხრა:

— სულ ცოტა დამისხი, ჯინო, შენც გირჩევ, ცოტა დალიო...
არ გაწყინოს.

— დღეს შეიძლება... ყოველდღე ხომ არ ვამთავრებ სცე-
ნარს?

პაბეტიმ ჩვენი ჭიქები შეავსო, ცოლს კი ძალიან ცოტა დაუს-
ხა.

— ეს ერთი და სხვა მრავალი! — წარმოთქვა პაბეტიმ, მხო-
ლოდ ტუჩები დაისველა და ჭიქა ისევ მაგიდაზე დადგა. ჩემი
ჭიქა ერთი სულის მოთქმით გამოვცალე. ქ-ნმა პაბეტიმ სვე-
ნებ—სვენებით მოწრუპა და ადგა:

— მაპატიეთ, ცოტა ხანს უნდა დაგტოვოთ, წავალ, მზარეულს
დავხედავ, რას აკეთებს.

ის გავიდა. პაბეტი ცოლის სავარძელში ჩაჯდა და ლაყბობას
მოვეყვით. უფრო სწორად, ის ლაყბობდა, უმეტესად სცენარზე.
მე ვუსმენდი, ხმის ამოუღებელივ თავს ვუქნევდი და ვსვამდი.
პაბეტის ისევ ის ჭიქა ედგა, მხოლოდ ნახევარი დაელია, მე კი

უკვე მესამედ გამოვცალე. არ ვიცი, რატომ და იმ წუთებში ძალიან უბედურად ვგრძნობდი თავს და მინდოდა დავმთვრალიყავი, იქნებ სიმთვრალეს დროებით მაინც გაექარვებინა ჩემი უბოძო მწუხარება. მაგრამ არაფერმა არ მიშველა, რადგან საერთოდ სასმელს კარგად ვიტან, პაზეტის კი კოქტეილში ბევრი წყალი გაერია. ამრიგად, ამ ორმა—სამმა ჭიქამ არ დამათრო, მხოლოდ გუნება ამიმღვრია და კიდევ უფრო მწვავედ ვიგრძენი ჩემი უბედურება. უცებ თავს ჩავეკითხე: კი მაგრამ, რატომ ვგრძნობ თავს ასე უბედურად? — და მაშინვე გამახსენდა, ამ გუნებაზე ემილიასთან ტელეფონით ლაპარაკის შემდეგ რომ დავდექი. ემილიას ცივმა და ანგარიშიანმა კილომ ცუდად იმოქმედა და ეს უფრო ნათლად ვიგრძენი აქ, ქ-ნი პაზეტის ახლოს, რომელიც „ჯინოს“ ისეთი მოწიწებით წარმოთქვამდა, როგორც რაღაც მაგიურ სახელს. ფიქრებში ღრმად წასვლა ვერ მოვასწარი, რადგან ქ-ნმა პაზეტიმ სასადილო ოთახში შეგვიპატიჟა.

პაზეტების სასადილო ოთახიც კაბინეტსა და სასტუმრო ოთახს ჰგავდა; აქაც ახალი, შეუღებავი ხის იაფფასიანი ავეჯი იდგა. მაგიდაზე ეფინა სელის სუფრა, ეწყო ფერადი ფაიფურის ჭურჭელი, სქელი მწვანე ჭიქები, ბოთლები.

სუფრას შემოვუსხედით პატარა ოთახში, რომლის უმეტესი ნაწილი მაგიდას ეკავა. ასე რომ, მოახლე იძულებული იყო საჭმლის მოტანისას ყველა შეეწუხებინა. უხმაუროდ ვსადილობდით. შემდეგ მოახლემ თეფშები შეგვიცვალა და მხოლოდ იმიტომ, რომ საუბარი წამოეწყო, კაზეტის ვკითხე, მომავლისათვის რა გეგმები გაქვს-მეთქი.

მისთვის ჩვეული ცივი ხმით მიპასუხა გუსტად, გარკვევით. გონებაშემზღუდულობა იგრძნობდა არა მარტო მის სიტყვებში, არამედ გამოთქმებშიც. ჩუმად ვუსმენდი. ან რა უნდა მეთქვა, პაზეტის მომავლის გეგმები სულაც არ მაინტერესებდა. საინტერესოც რომ ყოფილიყო, მისი მონოტონური, უაზრო და უფერული საუბარი თავს შეგაწყენდა.

მე კვლავ ოთახს ვათვალიერებდი, თუმცა საინტერესოს ვერაფერს ვხედავდი. უცებ ჩემი მზერა პაუეტის ცოლის სახეზე შეჩერდა.

ქ-ნ პაუეტის ნიკაპი ხელებზე დაეყრდნო და ახლაც, როგორც ყოველთვის, ქმარს შესცქეროდა სახეში. განსაკუთრებით მისმა თვალებმა განმაცვიფრა. მის მოჯადოებულ მზერაში უსაზღვრო მადლიერების გრძნობა და თავგანწირული სიყვარული ანათებდა. სიყვარული, რომელიც სანაცვლოდ არაფერს მოითხოვს: მისი თვალები ერთსა და იმავე დროს ფიზიკურ ლტოლვასაც და რაღაც მოკრძალებასაც გამოხატავდნენ.

ეს რატომღაც უცნაური მომეჩვენა. ჩემთვის გაუგებარი იყო, — ასე მშრალი პიროვნება, უღიმღამო გარეგნობისა და საშუალო ნიჭის მქონე კაცი, თანაც ქალის მოსაწონი რომ არაფერი ქონდა, რით იმსახურებდა ასეთ სიყვარულს, მაგრამ შემდეგ გავიფიქრე: ბოლოს და ბოლოს, ყველა მამაკაცი პოულობს გამგებ, ქმრების მოყვარულ და დამფასებელ ქალებს-მეთქი და ისიც გავიფიქრე გუნებაში, რომ საკუთარი არშინით სხვათა გრძნობების გაზომვა სწორი არ იყო. უეცრად ქ-ნი პაზეტისადმი სიმპათიით გავიმსჭვალე, რადგან ქმარი ასე უყვარდა, ხოლო პაზეტის მდგომარეობამ გამახარა, ვინაიდან, როგორც უკვე ზემოთ ვთქვი, მიუხედავად მისი საშუალო ნიჭისა, მისადმი რაღაც ირონიულ კეთილგანწყობას ვგრძნობდი. სრულიად მოულოდნელად, არ ვიცი საიდან, კვლავ ჩემი მტანჯველი ფიქრი მეწვია. „ამ ქალის თვალებში ქმრისადმი სიყვარულია ჩაბუდებული, პაუეტიც კმაყოფილია საკუთარი თავითაც და სამსახურითაც. იმიტომ, რომ ცოლს უყვარს იგი. ემილიას თვალებში კი კარგა ხანია, არ შემიმჩნევია მსგავსი გრძნობა, ემილიას აღარ ვუყვარვარ და, ალბათ, აღარც ვეყვარები აღარასოდეს“. ამის გაფიქრებაზე გულში მწარე ჩხვლეტა ვიგრძენი და სახე დამეღრიჯა. ქ-ნმა პაზეტიმ თვალი შემასწრო:

— ხორცი ხომ არ გადაგცდათ მოუხარშავი? — ო, არა, — სწრაფად მივუგე, — პირიქით, გემრიელი ხორცია.

პაზეტი კვლავ თავის მომავალ გეგმებზე ლაპარაკობდა. მე ვითომ დიდი ყურადღებით ვუსმენდი, სინამდვილეში ვცდილობდი, კვლავ ჩემს ტკივილს ჩავღრმავებოდი, ასე მწვავესა და ბუნდოვანს.

ახლა კი მივხვდი, ამოდ ჩაუვლია ჩემს ცდას ამ აუტანელ მდგომარეობას შევგუებოდი. არაფერი გამომივიდა, ეს კი

იყო, ასე ცხოვრება აღარ შემეძლო. ემილიას არ ვუყვარდი, მე კი ამის გამო სამსახურზე მქონდა გული აცრუებული. უცებ ასეთი გადაწყვეტილება მივიღე: „ასე გაგრძელება არ შეიძლება, ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეღოს ბოლო ყოველივეს, ემილიას მოველაპარაკები. თუ საჭირო იქნება, გავეყრები კიდევ და სამსახურსაც მივატოვებ“.

მთლად დარწმუნებული არ ვიყავი, ამ გადაწყვეტილებას შევასრულებდი თუ არა, რადგან ბოლომდე არაფერი მჯეროდა, არც ის, რომ ემილიას აღარ ვუყვარდი და არც ის, რომ იმდენ ძალას ვიპოვიდი, კინოში მუშაობისათვის თავი დამენებებინა და მარტოხელა კაცის ცხოვრებას დავბრუნებოდი. ამ გაორებული მდომარეობაში ვიტანჯებოდი და რაღაც მწვავე, გაურკვეველ, აქამდე ჩემთვის უცნობ გრძნობას ვყავდი შეპყრობილი. საყოყმანოდ ვხდიდი იმას, რაც ჩემი გონებისათვის ისედაც ნათელი იყო. მაგრამ ეს კითხვები მოსვენებას არ მაძლევდა.

– რატომ არ ვუყვარვარ ემილიას? რატომ გახდა ასე გულგრილი?

ამის გაფიქრებაზე კვლავ მწარედ შემეკუმშა გული. ვიცოდი, ამ კითხვებზე პასუხი რომ გამეცა, უფრო დამარწმუნებელი სამხილი დამჭირდებოდა, ეს კი ღრმა ტკივილს მომაყენებდა. ერთი სიტყვით, თითქმის დარწმუნებული ვიყავი ემილიას გულგრილობაში, მაგრამ ამის მიზეზი ვერაფრით ამეხსნა. ბოლოს დავრწმუნდი, რომ ემილიას უნდა მოველაპარაკებოდი, ყველაფერი გამერკვია, გულახდილად მეთქმევინებინა მისთვის ყველაფერი. რა თქმა უნდა, ეს უღმობელი საუბარი მახვილივით დამიტრიალდებოდა ჭრილობაში, რომლის არსებობაშიც კარგა ხანია, თავს არ ვუტყდებოდი და ვცდილობდი, მნიშვნელობა არ მიმეცა მისთვის. ამ აზრმა შემადრწუნა, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყო. მხოლოდ ყველაფრის გარკვევის შემდეგ შემეძლო ძალა მომეკრიბა იმ საშინელი გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად, რასაც ჩემმა აფორიაქებულმა სულმა განწირულობის ჟამს მიმართა – გავშორებოდი ემილიას და სამსახურისთვისაც თავი დამენებებინა.

– ამ ფიქრებში გართული ვერაფერს ვამჩნევდი, ვჭამდი, ვსვამდი და პათოეტისაც მოჩვენებითი ყურადღებით ვუსმენდი.

დაბოლოს, როგორც იქნა, ღმერთმა ინება და სადილი დამთავრდა. ჩვენ კვლავ სასტუმრო ოთახში გავედით და იძულებული გავხდით, ერთხელ კიდევ შემესრულებინა მეშჩანური სტუმართმოყვარეობის სხვადასხვა ფორმალობანი: დამელია ფინჯანი ყავა ერთი—ორი ნატეხი შაქრით ან ტკბილი თუ მშრალი ლიქიორი, რომელზედაც ყოველთვის შეგიძლია თავაზიანი უარი განაცხადო. ავყოლოდი უმიზნო, დროის გასაყვან საუბარში... ბოლოს, როცა ჩემი აზრით, საკმაოდ დრო დავყავი მასპინძლებთან, აჩქარებად არ ჩამეთვლება წასვლაში-მეთქი, გავიფიქრე და ავდექი.

სწორედ ამ დროს გუვერნანტმა ქალმა ოთახში პაზეტის უფროსი გოგონა შემოიყვანა, როგორც ყოველთვის, სეირნობის წინ მშობლებისთვის რომ ეჩვენებინა.

ეს იყო შავთმიანი, ფერმკრთალი გოგონა, ძალზე დიდი შავი თვალები ჰქონდა და მშობლებივით შეუმჩნეველი და უღიმღამო გარეგნობისა იყო.

მახსოვს, როცა დავინახე, როგორ ეხვეოდა და ეფერებოდა დედა შვილს, მაშინვე თავში გამიელვა: „არასოდეს არ მეღირსება მე ასეთი ბედნიერება. მე და ემილიას, ალბათ, არასდროს გვეყვლება შვილი“. ამას მეორე, უფრო მწარე ფიქრი მოჰყვა: „რა უბადრუკია ჩემი ცხოვრება, ცოლებისაგან უარყოფილ ქმრებს ვემსგავსები, ყოველ ცოლ-ქმარს შურით შევეყურებ, როცა თავის ნაშიერს ჰკოცნიან და ეფერებიან, ალბათ, ასეთი გრძნობა აქვს ჩემს მდგომარეობაში მყოფ ყველა ქმარს“...

ამ ფიქრებმა უფრო ამიმღვრიეს სული და ჩემთვის აუტანელი გახადეს დედობრივი სიყვარულის გამოვლინების ამაღელვებელი იმ სურათის ცქერა, რის მოწმეც ეს-ესაა გავხდით. უცებ, მასპინძლებისთვის სრულიად მოულოდნელად, უხეშად გამოვთქვი წასვლის სურვილი. პაზეტი კბილებში ჩიბუხგაჩრილი გამომყვა კარამდე.

ჩემმა აჩქარებამ, ცოტა არ იყოს, გააკვირვა და გაანაწყენა პაუეტის მეუღლე. ალბათ, ეგონა, დედაშვილობის მადლი ჩემი სულის უნაზეს სიმებს შეეხებოდა და გულს ამიჩუყებდა.

მეშვიდე თავი

მეორე სცენარზე მუშაობას ოთხ საათზე ვიწყებდი. ჯერ კიდევ მთელი საათ—ნახევარი მქონდა დრო. ქუჩაში რომ გავედდი, ანგარიშშიუცემლად გავემართე სახლისაკენ. ვიცოდი, ემილია შინ არ იქნებოდა, რადგან სადილად დედასთან უნდა წასულიყო, მაგრამ ისე მქონდა სული აფორიაქებული, რომ ამის დაჯერება არ მინდოდა. რატომღაც გული მიმიწევდა სახლისკენ, ვგრძნობდი, ემილიამ იცრუა. თუ მართლა იცრუა—მეთქი, — ვეუბნებოდი საკუთარ თავს, — მაშინ მთელ გამბედაობას მოვიკრებ, დავსვამ და ვთხოვ, გულახდილად მითხრას ყველაფერი, რათა ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს ის, რაც ასე დიდი ხანია მაწვალებს.

ჩემთვის ნათელი იყო, ამ საუბარს უნდა გაერკვია არა მართლ ჩემი ურთიერთობა ემილიასთან, არამედ სამსახურის ბედიც. ახლა სხვა გზა არ მქონდა. ამდენი უბადრუკი და ამაოცდის შემდეგ ვგრძნობდი, ძალა აღარ შემწევდა, კვლავ მეთვალთმაქცა საკუთრ თავთან, თვალი მომეხუჭა ყველაფერზე. ათასჯერ მერჩია, ბოლო მოდებოდა ამ ორჭოფულ მდგომარეობას, რაც დღითი დღე აუტანელი ხდებოდა ჩემთვის. შესაძლოა, ამ საუბრის მერე ემილიას დავშორდე და ბატისტას მიერ შემოთავაზებულ მეორე სცენარზე უარი ვთქვა. მით უკეთესი. სიმართლე რაგინდ მწარეც არ უნდა იყოს, მაინც ჯობს ამ ბუნდოვანებას, გაურკვევლობას, დამამცირებელ სიცრუესა და საკუთარი საცოდაობის ცქერას.

ჩემს ქუჩას რომ მივალწიე, კვლავ ყოყმანი დამეუფლა: რა თქმა უნდა, ემილია სახლში არ იქნება. ისედაც უცხოსავით ვიყავი ამ ახალ ბინაში და ფიქრებით დამძიმებულმა მთლად მტრული თვალითაც შევხედე ფანჯრებს. იმ ოთახებში ხომ უფრო მარტოხელად და უბედურად ვგრძნობ თავს, ვიდრე სხვა ადგილას.

ის იყო გადავწყვიტე, მახლობელ კაფეში შევალ და იქ გავატარებ ამ საათ—ნახევარს—მეთქი, რომ ჩემს მეხსიერებაში უცებ ამოტივტივდა წინა დღის დანაპირები — ბატისტას ვუთხარი, ამ დროს სახლში ვიქნები და ტელეფონით დამიკავშირდი-მეთქი.

უნდა შევთანხმებულიყავით მომავალ შეხვედრაზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი საბაბი იყო. ბატისტა საბოლოოდ უნდა მომლაპარაკებოდა ახალ სცენარზე, რეჟისორთანაც წარვედგინე.

კარგად მახსოვს, ბატისტას დაბეჯითებით ვუთხარი — ამ დროს ყოველთვის სახლში ვარ-მეთქი. რა თქმა უნდა, შემეძლო, თვითონ დამერეკა კაფედან, მაგრამ ჯერ ერთი, არა მგონია, იგი ამ დროს სახლში ყოფილიყო, მით უმეტეს, რომ კარგად ვიცოდი მისი ჩვეულება — რესტორანში სადილობდა ხოლმე, მეორეც — არ ვიცი, რატომ, ფიქრებაშლილი საბაბს ვეძებდი, სახლში მივსულიყავი და აი, საბაბიც ნაპოვნია იყო: ბატისტას უნდა დაერეკა.

ლიფტისკენ გავემშურე, შევედი, კარი მჭიდროდ მივიხურე და თითი უკანასკნელი სართულის მაჩვენებელ ღილაკს დავაჭირე. მაგრამ როცა ლიფტი ჩემს სართულზე გაჩერდა, უცებ გადავიფიქრე. სახლში დაბრუნებას ახლა არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რადგან ჯერ თვითონაც არ ვიცოდი ბუსტად, მივიღებდი თუ არა ბატისტას წინადადებას. ყველაფერი ემილიაზე იყო დამოკიდებული. თუ გამომიტყდებოდა და გულწრფელად მეტყოდა, აღარ მიყვარხარო, მაშინ მართლაც ამ სცენარზე კი არა, — მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, — საერთოდ ხელი ამეღო სცენარებზე, ჩემს ცხოვრებაში ახლოსაც არ გავკარებოდი კინოს.

ემილია ახლა სახლში არ იქნება, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ბატისტას ვერაფერს ვეტყვი გადაწყვეტილად და სცენარზეც ვერ ვილაპარაკებთ. რომ დავთანხმდე და მერე გადავთქვა — ეს ჩემი მხრიდან დიდი უგუნურება და სისულელე იქნება, ამის გაფიქრებამაც კი შემზარა და ლამის ისტერიკულ სიშმაგემდე მიმიყვანა. ლიფტი გავაჩერე და კვლავ პირველი სართულისკენ დავემში. უმჯობესია, ბატისტამ დამირეკოს და სახლში არ დავხვდე. ჯერ ემილიას მოველაპარაკები ამ საღამოსვე, ხვალ კი ბატისტას გადაწყვეტილ პასუხს ვეტყვი-მეთქი, ვფიქრობდი ჩემთვის.

ამასობაში ლიფტი ნელ-ნელა ეშვებოდა და მის გაკრიალებულ ფანჯრებში ერთმანეთის მიყოლებით მოჩანდნენ სართულები და მეც ისეთი თვალებით შევცქეროდი მათ, როგორც,

აღბათ, თევზი შეაცქერდებოდა წყლის დონის დაკლებას აკვარიუმში.

ლიფტი პირველ სართულზე გაჩერდა და ის იყო, კარის გაღება დავაპირე, რომ მოულოდნელმა ახალმა აბრმა გამიელვა: მართალია, ემილიაზე დამოკიდებული ჩემი ახალი სამუშაოს ბედი, მაგრამ ხომ შეიძლება, ამ საღამოს ემილიამ თავის სიყვარულში დამარწმუნოს? ბატისტა, შინ რომ არ დავხვდები, იქნებ გაწყრეს და სამუშაო სულ დავკარგო? გამოცდილებით ვიცი, პროდიუსერები, პატარა ტირანებისა არ იყოს, ჭირვეულები არიან. მეტი კი არ უნდა, ადგება და სხვა სცენარისტს მოძებნის.

ამ ფიქრებმა ელვის სისწრაფით გამიელვა ამღვრეულ გონებაში და უფრო მწვავედ მაგძნობინა ჩემი შავბნელი მდგომარეობა: „ნამდვილად საცოდავი ხარ, — ვეუბნებოდი თავს, ისე გაქვს თავგზა აბნეული, თვითონაც არ იცი, რა გინდა. ხან სიყვარულს მისდევ, ხან ფულს, არჩევანისა და გადაწყვეტის უნარი კი არ გაქვს“. ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს ვიდგებოდი ლიფტში ასე გაოგნებული, მოულოდნელად ნავაჭრით დატვირთულ ახალგაზრდა ქალს რომ არ გაელო ლიფტის კარი.

ჩემს დანახვას არ ელოდა და შეშინებულმა წამოიყვია. როცა შიშმა გაუარა და გონს მოეგო, ლიფტში შემოვიდა და მკითხა, რომელ სართულზე მიბრძანდებითო. მე ვუპასუხე.

— მე მეორე სართულზე ვცხოვრობ, — თქვა მან და ღილაკს თითი დააჭირა. ლიფტი კვლავ ზემოთკენ დაიძრა.

ჩემს სართულზე რომ აღმოვჩნდი, თავისუფლად ამოვისუნთქე, მაგრამ, ჩემდა უნებურად, მწარე ფიქრმა გულში მაინც გამკენწლა: „რა ხდება ჩემს თავს, ხალხს ვაშინებ. რას მოვესწარი“.

ამ ფიქრებში გართული სახლში მივედი, კარი ჩავკეტე და სასტუმრო ოთახისკენ გავემურე.

დივანზე საშინაო ხალათში გამოწყობილი ემილია იწვა და ჟურნალს კითხულობდა. იქვე, პატარა მაგიდაზე, ჭუჭყიანი თეფშები ეწყო, მაშასადამე, ემილია სახლიდან არსად გასულა. დედასთან არ უსადილია. ერთი სიტყვით, მომატყუა.

აღბათ, ძალზე საშინელი სახე მქონდა, რადგან ემილიამ გაოცებულმა მკითხა:

— რა დაგემართა?.. შეგემთხვა რამე?..

— შენ ხომ დედაშენთან უნდა გესადილა? — განაწამები ხმით ვკითხე, — რატომ ხარ სახლში? ხომ მითხარი, სადილად დედასთან მივდივარო?!

— შენ რომ გელაპარაკე, მერე დედაჩემმაც დარეკა და მითხრა, დღეს არ მოხვიდეთ, — მიპასუხა ემილიამ წყნარად და აუღელვებლად.

— რატომ არ დამირეკე?

— დედაჩემმა გვიან დარეკა. მეგონა, უკვე აღარ იქნებოდი პაზეტებთან.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ უცებ დავასკვენი, ემილია ტყუოდა. და რაკი ამას ვერ დავუმტკიცებდი ვერც საკუთარ თავსა და ვერც იმას, ამიტომ დუმილი ვამჯობინე და იქვე დივანზე ჩამოვჯექი.

ცოტა ხნის შემდეგ, ისე, რომ ჩემთვის არც კი შემოუხედავს, ჟურნალს ფურცლავდა, მკითხა:

— შენ სად იყავი?

— პაზეტებმა მიმიპატიჟეს სადილად.

სწორედ ამ დროს გვერდით ოთახში ტელეფონი აწკრიალდა. „ნამდვილად ბატისტაა... ჰოდა, ვეტყვი, გადავწყვიტე უარი ვთქვა ახალ სცენარზე-მეთქი... ეშმაკმა წაიღოს ყველაფერი... ამას რა ბევრი მტკიცება სჭირდება, ამ ქალს იოტისოდენადაც არ ვუყვარვარ“.

ემილიამ მისთვის ჩვეული გულგრილობით მითხრა:

— წადი, ნახე ვინაა, ნამდვილად შენ გირეკავენ.

დივნიდან ავდექი და მეორე ოთახში გავედი.

ტელეფონი საწოლთან, პატარა მაგიდაზე იდგა. სანამ ყურმილს ავიღებდი, უნებურად საწოლისაკენ გამექცა თვალი. სასთუმალთან მხოლოდ ერთი ბალიში იდო კენტად. გული ტკივილით შემეკუმშა და კიდევ უფრო მტკიცედ გადავწყვიტე ბატისტასთვის უარი მეთქვა. ბატისტას ნაცვლად ყურმილში ჩემი სიდერის ხმა შემომესმა.

— რიკარდო, ემილია სახლშია?

დაუფიქრებლად ვუპასუხე:

— არ არის... ასე თქვა, დედასთან მივდივარ სადილად... წავიდა... მეგონა, თქვენთან იქნებოდა...

— კი მაგრამ, მე ხომ დავურეკე, დღეს არ მოხვიდე-მეთქი, ჩემი მოახლე ისვენებს დღეს! მიპასუხა განცვიფრებულმა.

იმ წუთში თავი ავწიე და ღიად დარჩენილი კარიდან დივანზე წამოწოლილი ემილია დავინახე. იგი დაჟინებით შემომცქეროდა. თვალებში გაოცების ნაცვლად სიცივე და სიძულვილი ედგა. მივხვდი, ჩვენ ორში, ვინც ტყუილი იკადრა, მე ვიყავი. მან კარგად იცოდა, რა მიზეზითაც ვთქვი ტყუილი, კიდევ რაღაც წავიბუტბუტე, სიდედრს დავემშვიდობე და მოულოდნელად წამოვიძახე:

— არა, მოითმინეთ... ემილია ეს-ეს არის შემოვიდა... ახლავე დაგალაპარაკებთ! — ემილიას ხელით ვანიშნე, ტელეფონთან მოდი-მეთქი.

დივნიდან ისე ადგა, ჩემთვის არც შემოუხედავს. ყურმილი აიღო. მე სასტუმრო ოთახისაკენ გავემართე. ემილიამ მოუთმენლად მანიშნა ხელით, კარი გაიხურეო. ასეც მოვიქეცი. შემფოთებული და აფორიაქებული ჩამოვჯექი დივანზე და დაველოდე.

ემილია დიდხანს ლაპარაკობდა. ლოდინისაგან გულგადაღლეულს მეჩვენებოდა, რომ ამას განზრახ აკეთებდა. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, დედასთან ყოველთვის დიდხანს საუბრობდა ხოლმე. ემილიას უდედოდ გაძლება არ შეეძლო. ჩემი სიდედრი, რაც დაქვრივდა, მარტო ცხოვრობდა, ემილიას მეტი არავინ ჰყავდა. მე მგონი, ემილია არაფერს უმაღავს და დედამისს.

ბოლოს, როგორც იქნა, კარი გაიღო და ემილია გამოჩნდა. სუნთქვაშეკრული, გაუნძრევლად ვიჯექი დივანზე. სახებზე ეტყობოდა, ძალიან გაბრაზებული იყო ჩემზე.

— შენ რა, გაგიჟდი? — მკითხა მაშინვე, თან მაგიდიდან თეთშების ალაგებას მოჰყვა, — რაში დაგჭირდა დედაჩემისთვის გეთქვა, სახლში არ არისო?

მისმა ცივმა კილომ ისე გამაოგნა, სიტყვა ვერ დავძარი.

— გინდოდა გაგეგო, სიმართლე გითხარი თუ არა? — განაგრძობ მან, — გინდოდა დარწმუნებულიყავი, რომ დედაჩემმა ნამდვილად უარი მითხრა თუ არა?

როგორც იქნა, გაჭირვებით ამოვიღულულუდე:

— შესაძლოა მაგიტომ...

— იცი, რას გეტყვი, ძალიან გთხოვ, სხვა დროს ასეთი რამ აღარ გაიმეორო. მე ყოველთვის სიმართლეს გეუბნები... თანაც არაფერი მაქვს დასამალი. ეგეთი საქციელი კი მძულს.

ეს სიტყვები მეტისმეტად ხაზგასმულად წარმოთქვა და თეფშებიანი ლანგრით ხელში ოთახიდან გავიდა.

მართლ რომ დავრჩი, ერთი წუთით თითქოს რალაცნაირი მწარე კმაყოფილება ვიგრძენი. საეჭვო აღარაფერი იყო. ემილიას არ ვუყვარდი.

ეს ყველაფერი ჩემთვის ნეტარ დროს, ჩვენი ქორწინების პირველ წელიწადს რომ მომხდარიყო, რა თქმა უნდა, ასე არ დამელაპარაკებოდა; ნაზად და მოჩვენებითი გაკვირვებით მკითხავდა:

— ეგ როგორ გაიფიქრე, რომ მოგატყუებდი? — შემდეგ კი ამ ბავშვური საქციელის გამო დამცინებდა და ბოლოს მაგრძობინებდა. კიდევ, რომ სიამოვნებდა ჩემი ეჭვიანობა. „ეჭვიანობა? განა არ იცი, რომ მხოლოდ შენ მიყვარხარ?“ მერე დედობრივად მაკოცებდა, გრძელ თითებს შუბლზე გადამისვამდა, აქაოდა, თავიდან ამოიგდე ასეთი ფიქრებით. თუმცა წინათ აზრადაც არ მომივიდოდა, ეჭვი შემპარვოდა ემილიას საქციელში, არ მერწმუნა მისი სიტყვები.

ყველაფერი შეიცვალა: მისი სიყვარულიც და ჩემი სიყვარულიც. ვატყობ, უარესს უნდა ველოდო.

მაგრამ აღამიანი იმედით ცოცხლობს მაშინაც კი, როცა სანუგეშო თითქოს აღარაფერია: ემილიამ თავისი საქციელით დამარწმუნა, რომ აღარ ვუყვარვარ და მაინც ვეჭვობდი, უფრო სწორად, თავს ვიიმედებდი, უმნიშვნელო შემთხვევა გავაზვიადე-მეთქი.

„აჩქარება არას გარგებს, ვეუბნებოდი თავს, — ემილია თვითონ გეტყვის, აღარ მიყვარხარო. მხოლოდ ემილიას შეუძლია

შენი დარწმუნება, შენ ხომ ჯერ არავითარი საბუთი არა გაქვს ხელთ...”

ეს ფიქრები ელვის სისწრაფით მიელავდნენ თავში. დივანზე ვიჯექი და თვალები სიცარიელისთვის მიმეშტერებინა. მერე კარი გაიღო და ემილია შემოვიდა, ჩემ უკან დაჯდა სავარძელში და ჟურნალი აიღო. მისკენ არ მივბრუნებულვარ, ისე ვთქვი:

— სადაცაა ბატისტა დამირეკავს, ახალი სცენარი უნდა შემომთავაზოს... სერიოზული სცენარი.

— მერე, კმაყოფილი ხარ? — მომესმა მისი მშვიდი ხმა.

— ამ სცენარში საკმაო ფულს მომცემენ... ყოველ შემთხვევაში, იმდენს, ბინის ორი შესატანი რომ გადავიხადო.

ამჯერად არაფერი უთქვამს, მე განვაგრძე:

— გარდა ამისა, ეს სცენარი ჩემთვის სხვა მხრივაც არის მნიშვნელოვანი. თუ გავაკეთებ, მომავალში სხვასაც შემომთავაზებენ. ლაპარაკია დიდ ფილმზე.

ბოლოს, როგორც იქნა, უგულისყუროდ მკითხა, ჟურნალიდან თავი არ აულია:

— რა ფილმია?

— არ ვიცი, — ვუპასუხე.

ცოტა ხანს ჩუმად ვიყავი, შემდეგ კი მაღალფარდოვნად, საბეიმოდ წარმოვთქვი:

— მაგრამ გადავწყვიტე, უარი ვთქვა ამ სამუშაოზე.

— რატომ?

მისი ხმა ჩვეულებისამებრ წყნარი და აუღელვებელი იყო.

ავდექი, დივანს შემოვუარე და ემილიას პირისპირ დავჯექი. ხელში კვლავ ჟურნალი ეჭირა. დივანზე მის წინ წამომჯდარი რომ დამინახა, გვერდზე გადადო და შემომხედა.

— იმიტომ, რომ, — ვთქვი გულწრფელად, ძალიან კარგად იცი, ჭირვით მძულს ეს სამუშაო და თუ ვაკეთებ, ამას მხოლოდ შენი სიყვარულისათვის ვაკეთებ. იმისთვის ვაკეთებ, რომ ბინის ფული გადავიხადო, ბინისა, შენთვის რომ ასე ძვირფასია, ან, ყოველ შემთხვევაში, თავს მაჩვენებ, ძვირფასიაო... მაგრამ ახლა დანამდვილებით ვიცი, აღარ გიყვარვარ... სხვა დანარჩენი კი აღარაფრად მესაჭიროება.

ემილია ფართოდ გახელილი თვალებით მიყურებდა, მაგრამ არაფერს ამბობდა.

— აღარ გიყვარვარ, — განვაგრძე, — დღეიდან ამ სამუშაოს ხელსაც არ ვახლებ. რაც შეეხება სახლს, დავაგირავებ, ან გავყიდი... მოკლედ, ასე ცხოვრება აღარ შემიძლია და, მგონი, დადგა დრო, ეს გითხრა... ახლა შენ ყველაფერი იცი... სადაცაა ბატისტაც დარეკავს, ჯანდაბას მისი თავი, უარს ვეტყვი.

მე ჩემი ვთქვი. ახლა დადგა ნანატრი წუთი მისთვის მომესმინა, წუთი, რასაც ასე დიდი ხანია, მოუთმენლად ველოდი, რისიც ასე მეშინოდა. ჩემი სათქმელი რომ დავამთავრე, შვება ვიგრძენი, თავისუფლად ამოვისუნთქე და პასუხის მოლოდინში მოულოდნელი გამბედაობით შევხედე ემილიას. სანამ რამეს მიპასუხებდა, ცოტა ხანს იყუჩა.

მისთვის, რა თქმა უნდა, მოულოდნელი იყო ჩემი უკმეხი სიტყვები და დრო რომ მოეგო, შორიდან დამიწყო:

— რამ გაფიქრებინა, რომ აღარ მიყვარხარ?

— ყველაფერმა, — მივუგე აგზნებულმა.

— მაგალითად?

— ჯერ მითხარი, ეს ყველაფერი მართალია თუ არა?

ემილიამ ჭიუტად გაიმეორა:

— ჯერ შენ მითხარი, ეგ რამ გაფიქრებინა?!

— ყველაფერმა! — კვლავ წარმოვთქვი, — იმან, როგორ მელაპარაკები, როგორ მიყურებ, როგორ მექცევი... ყველაფერმა... ერთი თვის წინ კი ცალკე წოლაც მოისურვე... წინათ ასე როდი იყო...

ემილია დიდხანს ყოყმანობდა პასუხის გაცემას. უცებ მის თვალებში სხივმა გაიელვა და მივხვდი, რაღაც მოისაზრა. სწორედ ამ წუთში გადაწყვიტა, როგორ მოიქცეს და რაც არ უნდა ვუთხრა და რაც არ უნდა მოვინდომო, ამ გადაწყვეტილებას იგი არ გადაუვა.

ემილიამ, როგორც იქნა, ხმა ამოიღო და ტკბილად მითხრა:

— გარწმუნებ, შემიძლია დავიფიცო კიდევ... როცა ოთახში ფანჯრები ღიაა, ვერ ვიძინებ... სიბნელე და სიმყუდროვე მიყვარს... გეფიცები...

— მე ხომ გითხარი, დავკეტოთ-მეთქი ფანჯრები?

— კიდევ, იცი, რა? — ყოყმანით დაიწყო მან, — მშვიდი ძილი არ იცი... —

— ვერ გავიგე, რისი თქმა გინდა?

— ხვრინავ... — ოდნავ გაიღიმა და განაგრძო, — ყოველ ღამე მალვიძები... ცალკე წოლა ამიტომაც გადავწყვიტე.

მისმა სიტყვებმა, ცოტა არ იყოს, შემაცბუნა.

ვერაფრით ვერ დავიჯერებ. სხვა ქალებთანაც მიძინია, მაგრამ არც ერთს არ უთქვამს, ხვრინავო.

— შენ არ გიყვარვარ, — ვუთხარი მე, — იმიტომ რომ, როცა ცოლს ქმარი უყვარს... — შემრცხვა წინადადების დამთავრება და გაფრთხილები, შესაფერ სიტყვებს დავუწყე ძებნა, — ცოლქმრულ ურთიერთობაში ისე არ იქცევა, როგორც შენ იქცევი ეს რამდენიმე ხანია...

ემილიამ იფეთქა, გაღიზიანება დაეტყო.

— ნამდვილად ვერ გამიგია, რა გინდა. როცა კი მოისურვებ, ყოველთვის შენი ვარ... როდის ყოფილა, უარი მითქვამს.

როცა მსგავს თემებზე ჩამოვაგდებდით ხოლმე საუბარს, ჩვენ ორში მხოლოდ მე მრცხვენოდა. საკვირველი იყო, ბუნებით მოკრძალებული და ლამის მორცხვი ემილია ინტიმური სიახლოვისას არავითარ რიდსა და სირცხვილს არ გრძნობდა. ამიტომ მოცებდა და მიზიდავდა კიდევ მისი ასეთი უშუალობა, გულუბრყვილობამდე დასული სითამამე, მოურიდებლობა, პირდაპირობა. წავილულულულე:

— არა, უარი არ გითქვამს, მაგრამ...

ემილიამ წინადადების დამთავრება არ დამაცადა და განაგრძო:

— როცა კი მოგისურვებია, ყოველთვის დაგნებებივარ... შენ იმ მამაკაცებს არ მიეკუთვნები, ასეთი სიახლოვე რომ აკმაყოფილებთ მხოლოდ. შენ სიყვარული შეგიძლია...

— მართლა ასეა? — ვკითხე, ცოტა არ იყოს, ქათინაურით ნასიამოვნებმა.

— ჰო, — თქვა მან მშრალად, ჩემთვის არც შემოუხედავს, — მაგრამ რომ არ მიყვარდე, მართო ეს შენი სიყვარული მომბებზრებდა თავს... ქალს ყოველთვის შეუძლია საბაბი მონახოს უარისთვის. ხომ მართალია?

— ჰო, — ვთქვი, — ეგ მართალია, უარი არასოდეს გითქვამს, მაგრამ ჩემს სიყვარულს შენ ისე არ იღებდი, როგორც მოსიყვარულე ცოლს შეეფერება.

— მაშ, როგორ, საინტერესოა!..

უნდა მეპასუხა: „როგორ და მეძავივით, რომელიც აუღელვებლად ემორჩილება მუშტარს და მხოლოდ ერთი სურვილი აქვს, რაც შეიძლება მალე დამთავრდეს ყველაფერი... აი, როგორ...“ მაგრამ მისი და საკუთარი თავის პატივისათვის კვლავ გაჩუმება ვამჯობინე.

კიდევ რომ მეთქვა, რა გამოვიდოდა აქედან? არაფერი. მიპასუხებდა, მართალი არა ხარო, და გაშიშვლებული ტექნიკური სიზუსტით უსირცხვილოდ გამახსენებდა თავის არაერთ ვნებიან ალტყინებას, რომელშიც გამოცდილებაც იგრძნობოდა, წუთიერი სიამოვნებისაკენ ლტოლვაც და ეროტიკული, ცეცხლოვანი სიშმაგეც; ყველაფერი, სინაზისა და თავდავიწყებაში გადასული ჭეშმარიტი სიყვარულის გარდა. მივხვდი, რომ ემილიასთან ლაპარაკმა, რასაც ასე დიდი ხანია ველოდი, არავითარი სხივი არ მოჰფინა ჩვენს ურთიერთობას, და სასოწარკვეთილი ვიყავი.

— ერთი სიტყვით, რაც არ უნდა თქვა, დარწმუნებული ვარ, აღარ გიყვარვარ. მორჩა და გათავდა.

სანამ მიპასუხებდა, ყურადღებით შემომხედა, ეტყობა, ჩემს სახეზე უნდოდა ამოეკითხა, როგორ მოქცეულიყო, თავი როგორ დაეჭირა. უნდა ითქვას, შემჩნეული მქონდა მისი ერთი თვისება: როცა რამეზე ყოყმანობდა, როცა რაღაცა უნდა გაეკეთებინა, თავისი რწმენის საწინააღმდეგო, შავვგრემანი, მშვენიერი, სიმეტრიული სახე მთლად ეცვლებოდა: ერთი ლოცა ჩამოუვარდებოდა, ტუჩები მოეღრციცებოდა, სახის პროპორცია ერღვეოდა, ხოლო დაბნეული, ჩამქრალი, უსხივო თვალები ისე ჩაეკარგებოდა ხოლმე ღრმად, თითქოს დაულუქავთო.

ასე იყო ყოველთვის, როცა თავისი სურვილის წინააღმდეგ რაიმე გადაწყვეტილება უნდა მიეღო, ან რის გაკეთებაც გულისით არ უნდოდა და იძულებული კი იყო, გაეკეთებინა. უცებ გრძნობამორეულმა ხელები კისერზე შემომაჭდო:

— რიკარდო, რატომ მეუბნები მაგას, მე ხომ მიყვარხარ...
წინანდებურად მიყვარხარ, არც მეტად, არც ნაკლებად...

ემილიას სიტყვებში სიყალბე შევამჩნიე, ყურთან მისი ცხელი სუნთქვა ვიგრძენი. შემდეგ ხელი გადამისვა შუბლზე, საფეთქლებზე, თან მკლავებში მომწყვდევს ჩემს თავს მთელი ძალით იკრავდა მკერდზე.

უცებ გონებაში გამიელვა: ასე რატომ მეხვევა, რომ უნდა სახე არ დამანახოს, ალბათ, ამ წუთში შემფოთებული და შეწუხებული აქვს სახე იმ ადამიანივით, ვინაც იძულებულია თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ მოიქცეს.

მის ალერსს მოწყურებული ნახევრად შიშველ ჯერდს მივეკარი, მაგრამ თავში მაინც რაღაც ეშმაკი შემიჯდა და უცნაური ფიქრი ამეკვიატა: ეს ყველაფერი მოჩვენებითია, არ შეიძლება თავი არ გასცეს, კილოზე არ დაეტყოს, რაღაც სიტყვა არ დასცდეს.

ლოდინი დიდხანს არ დამჭირვებია. ცოტა ხნის შემდეგ მომესმა მისი ფრთხილი, შემპარავი კითხვა:

— რას იზამდი, რიკარდო, მართლა რომ გადამეყვარებინე?

„აჰა, გამართლდა ჩემი ეჭვი, — გავიფიქრე სიმწარენარევი ალტაცებით. — თავი გასცა. აინტერესებს, როგორ მოვიქცევი, როცა გავიგებ, რომ აღარ ვუყვარვარ. სურს წინასწარ ასწონ— დაწონოს, რა ფასად დაუჯდება ეს გაბედულება და სიმართლის თქმა“.

არ შევრხეულვარ, ისე ჩავილაპარაკე მის ტკბილ და თბილ მკერდზე მიკრულმა:

— მე უკვე გითხარი... პირველ ყოვლისა, უარს ვეტყვი ბატისტას ახალ სცენარზე, — მინდოდა აქვე დამემატებინა — და შენც გაგმორდები-მეთქი, მაგრამ სახით მის მკერდზე მიკრულს ენა არ მომიბრუნდა ამის სათქმელად, თან მისი ხელი ჩემს შუბლს ეალერსებოდა. მიუხედავად ყველაფრისა, მაინც მქონდა იმედი, ემილიას ისევ ვუყვარდი და შემეშინდა, ეს ჩემი გადაწყვეტილება ემილიას რომ გაუუმხილო, ვაითუ მართლა გაგმორდეთ ერთმანეთს-მეთქი, ემილიამ უფრო ძლიერ მიმიზიდა თავისკენ, მკერდზე მიმიკრა და მითხრა:

— კი მაგრამ, მე ხომ მიყვარხარ. რასაც შენ ფიქრობ, სისულელეა... იცი, რას გეტყვი? ბატისტა რომ დაგირეკავს, შეთანხმდით მომავალ შეხვედრაზე და აუცილებლად აიღე ახალი სცენარი.

— რატომ უნდა გავაკეთო არასასურველი სამუშაო, როცა ვხედავ, აღარ გიყვარვარ! — წამოვიძახე გაავებულმა.

ამჯერად მან საყვედურით მიპასუხა:

— მიყვარხარ და ნუ მაიძულებ რამდენჯერმე გავიმეორო... მე მინდა ამ სახლში დავრჩე... თუ ეგ სამუშაო არ გიზიდავს, ძალას არ გატან... მაგრამ თუ იმიტომ არ იღებ ახალ სცენარს, რომ ეჭვი გეპარება ჩემს სიყვარულში და არ გინდა ამ სახლში დავრჩე, იცოდე, ძალიან სცდები.

იმედის სხივმა ჩამანათა სულში. იმ წუთში მჯეროდა, ემილია არ ტყუოდა, ყოველ შემთხვევაში, შეძლო იმ დღეს მაინც დავეჯერებინე. უცებ მომინდა უფრო მეტის გაგება, მინდოდა ბოლომდე დავრწმუნებულიყავი ამ ბედნიერებაში. თითქოს ჩემი სურვილი ამოიკითხაო, ემილიამ ხელი მიშვა და ჩამჩურჩულა:

— მაკოცე, გინდა?

ავდექი და სანამ ემილიას ვაკოცებდი, უცებ სახებზე შევხედე. მხოლოდ ახლა დავინახე იგი. სახებზე ისეთი დაღლილობა, მწუხარება და ენით გამოუთქმელი ტანჯვა ეხატა, რომ გავოგნდი, ასე მეგონა, ჩემთან საუბარმა და ხვევნა—აღერსმა დაღალა, ძალა წაართვა-მეთქი, ახლა კი იდგა და სასოწარკვეთილი ელოდა ჩემს კოცნას, როგორც უმძიმეს სასჯელს. ნიკაპზე ხელი მოვკიდე და საკოცნელად მოვემზადე.

სწორედ ამ დროს ტელეფონმა დაიწკრიალა.

— ეს ბატისტაა, დაუფარავი სიხარულით თქვა ემილიამ, ჩემი მკლავებიდან თავი გაითავისუფლა და გვერდით ოთახში გაიქცა.

დივანზე ჩამოვჯექი და იქიდან ვხედავდი, როგორ აიღო ემილიამ ყურმილი და უპასუხა:

— დიახ, შინ არის. ახლავე დავუძახებ. როგორ ბრძანდებით? ემილიამ კიდევ რამდენიმე სიტყვა თქვა.

ის ლაპარაკობდა, თან ხელით მანიშნებდა, ტელეფონთან მოდიო.

— სწორედ ახლა ვლაპარაკობდით თქვენს ახალ ფილმზე, — შემდეგ რაღაც გაურკვეველი ფრაზები მომესმა, ბოლოს წყნარად თქვა: — კი, მალე შევხვდებით... ახლა რიკარდოს ელაპარაკეთ.

ავდექი, ოთახში გავედი და ყურმილი ავიღე.

როგორც მოველოდი, ბატისტამ მითხრა, ხვალ შუადღისთვის ჩემთან მოდიო სტუდიაშიო. შევპირდი, აუცილებლად მოვალ-მეთქი. კიდევ რამდენიმე სიტყვა ვუთხარით ერთმანეთს და ყურმილი დავდე. მხოლოდ ახლა შევამჩნიე, ემილია ოთახში აღარ იყო.

უცებ გამახსენდა, ემილია მხოლოდ მაშინ გავიდა ოთახიდან, როცა მოისმინა, ბატისტას სტუდიაში მისვლაზე რომ დავთანხმდი, ახლა აღარც მისი ალერსი მინდოდა და აღარც მისი აქ ყოფნა.

თავი მერვე

მეორე დღეს დანიშნულ დროს მივედი ბატისტასთან. მის ფირმას ანტიკური სასახლის მთელი პირველი სართული ეჭირა. სავარაუდოა, რომ წინათ ეს სასახლე პატრიციების რომელიღაც ოჯახს ეკუთვნოდა; ახლა კი იქ რამდენიმე სააქციო საზოგადოება მოკალათებულიყო.

ფრესკებით მოხატული ვრცელი დარბაზები ბატისტას ხის უბრალო ტიხრებით დაეყო პატარა—პატარა ოთახებად და უბრალო საკანცელარიო ავეჯით მოეწყო.

ოდესღაც ამ კედლებს წმინდანთა თუ მითოლოგიური სიუჟეტების ამსახველი ნახატები ამშვენებდა, ახლა კი მათი ადგილი ვეებერთელა და ჭყეტელა კინოაფიშებს დაეკავებინა. ერთი სიტყვით, აქ ნახავდით სხვადასხვა საილუსტრაციო ჟურნალიდან ამოჭრილ მსახიობთა და კინოვარსკვლავთა ფოტო-

სურათებს, ფესტივალებზე მიღებულ, ჩარჩოში ჩასმულ დიპლომებს, საპატიო სიგელებსა და სხვა მსგავს მოკაზმულობას, რაც ასე დამახასიათებელია ყველა კინოფირმისათვის.

მისაღებ ოთახში ფერწასული ფრესკების ფონზე მთელ სიგრძეზე გასდევდა მწვანე ფერის ლითონის ბარიერი, რომლის იქით სამი თუ ოთხი მდივანი ქალი უფროსთან შესვლის მსურველებს იწერდა.

ბატისტა ჯერ კიდევ ახალგაზრდა პროდუსერი იყო. ბოლო ხანებში მან, მართალია, მხატვრულად საშუალო ფილმები შექმნა, მაგრამ სამაგიეროდ, ფილმების შერჩევის გასაოცარი უნარი ჰქონდა და სწორედ ამ უნარს მოჰქონდა მისთვის სახელი და დიდი მოგება. მისი ფირმა, რომელსაც საკმაოდ „უპრეტენზიო“ სახელი ერქვა — „ტრიუმფ—ფილმი“, — ყველაზე მომგებიანი და წელმაგარი იყო. შეიძლება ითქვას, რომ იმ ხანებში ყვარდა.

შუადღისთვის ბატისტას მისაღები ოთახი უკვე ხალხით იყო გაჭედილი. კინოში მიღებული გამოცდილება მეხმარებოდა, უშეცდომოდ ამომეცნო მოსულები. აი, სცენარისტები, რომელთაც ადვილად იცნობდი მათი დაღლილი, მაგრამ მოჩვენებითი, უზრუნველი ადამიანის იერით, ჩაცმულობით, იღლიაში ამოჩრილი გატენილი საქალაღდეებით, სანუკვარი განძივით რომ ჩაებლუჯათ, აგერ ხანში შესული ადმინისტრატორი, რომელიც ფერმერს ან საქონლით მოვაჭრეს უფრო ჰგავდა, ვიდრე კინოში მომუშავეს. იქით ორი—სამი გოგონა იდგა. ის გოგონები ოცნებობდნენ, მსახიობები, ან უფრო სწორად, სტატისტები გამხდარიყვნენ. ჯერ კიდევ ახალგაზრდები და თითქმის მოხდენილები იყვნენ, მაგრამ კინოს ნაადრევად გაეფუჭებინა ისინი: არაბუნებრივი, დასწავლილი მიხრა—მოხრა, სახეც ზომამე მეტად დათხაპნილი ჰქონდათ და ჭყეტელა, ყოველგვარ სისადავეს მოკლებული ტანსაცმელი ეცვათ.

აქ იყვნენ აგრეთვე უმუშევარი მსხიობები, უნიჭო სცენარისტები და ათასნაირი ჯურის მთხოვნელები. მათ ხშირად შეხვედებით კინოპროდიუსერთა მისაღებებში. ახლა ზოგი ბოლთას სცემდა მოზაიკით დაფარულ ჭუჭყიან იატაკზე, ზოგიც კედლის გასწვრივ ჩამწკრივებულ მოოქროვილ სკამებზე ისხდა,

სიგარეტს ეწეოდა, მოწყენილობისგან ამთქნარებდა და ხმა-
დაბლა საუბრობდა.

მდივანი ქალები თუ ტელეფონზე არ ლაპარაკობდნენ, უმოძრავად ისხდნენ ტიხარს იქით და მოწყენილობისაგან გამოფიტული, არაფრისმთქმელი, შუშის თვალები სიცარიელის-
თვის მიეშტერებინათ. ყოველ წუთს უსიამოვნოდ და გამუდმე-
ბით რეკავდა ზარი. მის ხმაზე მდივანი ქალები კრთებოდნენ. შემდეგ რიგ—რიგობით იძახებდნენ მნახველებს. ისინიც, თავის მხრივ, საკუთარი გვარის გაგონებაზე სწრაფად წამოხტე-
ბოდნენ და თეთრი, ოქროსფერად მოვარაყებული მოძრავი კა-
რის უკან უჩინარდებოდნენ.

მდივან ქალს ჩემი გვარი და სახელი ჩავაწერინე და მოშო-
რებით დავჯექი კუთხეში. გუშინდელივით დღესაც დამძიმებუ-
ლი მქონდა სული, მაგრამ შედარებით თითქოს უფრო დამშვი-
დებული ვიყავი. ემილიასთან უსიამოვნო საუბრის შემდეგ
დავრწმუნდი, აღარ ვუყვარდი. ეჭვი არ მეპარებოდა, თვალ-
თმაქცობდა, როცა ცდილობდა სიყვარულში დავერწმუნებინე.

მაგრამ ამჯერად, — ერთი მხრივ იმიტომ, რომ ძალიან დავი-
ღალე და მეორე მხრივ იმიტომ, რომ მინდოდა ემილიასთან ამ
თემაზე საუბარი ბოლომდე მიმეყვანა და ყველაფერი გულახ-
დილად ელიარებინა, — გადავწყვიტე, ჯერ არაფერი მეღონა და
ბატისტას ახალ სცენარზე უარი არ მეთქვა, თუმცა ვგრძნობდი,
არავითარი მიზანი მას აღარ ექნებოდა, როგორც საერთოდ,
მთელ ჩემს ცხოვრებას მომავალში. როგორც კი ემილიას სი-
მართლეს ვათქმევინებ, — განვაგრძობდი ფიქრს, — თავს მივა-
ნებებ სამუშაოს, ჯანდაბამდე ჰქონია გზა ყველაფერს! აყალმა-
ყალსა და ხმაურს მშვიდობიანი გზა ვარჩიე. თანაც, სცენარზე
უარის თქმა ჩემს ჯიბეს შეეტყობოდა. ეს კი უფრო გატეხდა ჩემს
ნებისყოფას და გამიჭირდებოდა ამ საყოყმანო მდგომარეობი-
სა და უაზრო კომპრომისებიდან თავის დაღწევა.

როგორც ზემოთ ვთქვი, თავს უფრო დამშვიდებულად
ვგრძნობდი, მაგრამ ეს სიმშვიდე გულგრილობით იყო გამოწე-
ვილი.

საერთოდ, ასეთ დროს იდუმალი უბედურების წინათგრძნობა მოუსვენარი მღელვარებით იპყრობს ადამიანს. სადღაც გულის სიღრმეში უკანასკნელ წუთამდე მჯეროდა, იქნებ არ გამართლდეს ჩემი ეჭვები-მეთქი. იმის შეგნებით, რომ უბედურება არ ავცდება, რალაცნაირი მტანჯველი სიმშვიდე გიპყრობს.

დამშვიდებული ვიყავი, მაგრამ ვგრძნობდი, დიდხანს არ გასტანდა ჩემი სიმშვიდე. პირველი საფეხური — ეჭვიანობის საფეხური — უკვე გავიარე. ახლა იგი მტანჯველ ფიქრებთან ჭიდილსა და ღრმა სინანულის საფეხურს უნდა შეეცვალა. კარგად ვიცოდი, ამ ორ საფეხურს შორის მხოლოდ დროებით იყო ჩამოვარდნილი ავის მომასწავებელი, სამარისებური სიჩუმე, როგორც ქარიშხლის წინ იცის ხოლმე..

სანამ ბატისტას გამოძახებას ველოდი, თავში ათასნაირი აზრი მიტრიალებდა. აქამდე მხოლოდ იმას ვფიქრობდი ვუყვარდი თუ არა ემილიას, ახლა კი ჩემთვის თითქმის ყველაფერი ნათელი იყო. ამ ახალმა აღმოჩენამ მოულოდნელად განათა ჩემი გონების აქამდე ბნელი კუნჭული და ახალი კითხვა დაბადა. მაშასადამე, თუ ემილიას აღარ ვუყვარვარ, რა თქმა უნდა, ამის მიზეზიც ექნება. ეჭვი არ იყო, თუ ამ მიზეზს მივაგნებდი, ბევრად გამიადვილდებოდა, ემილიასთვის მართალი მეთქმევიინებინა.

უნდა გამოვტყდე, ეს აზრი როგორც კი დამებადა, მაშინვე უარყვავი, რასაც ვფიქრობდი, ეს ხომ სრული უაზრობა იყო, დაუჯერებელი რამ.

არავითარი საბაბი არ შეიძლებოდა ჰქონოდა ემილიას, არ ვყვარებოდი. თვითონაც არ ვიცი, რას ემყარებოდა ჩემი ასეთი თვითდაჯერება. ისევე როგორც არ შემეძლო ამეხსნა, რატომ არ უნდა ვყვარებოდი. მაგრამ ცხადი იყო, ემილიას აღარ ვუყვარდი.

გულსა და გონებას შორის ასეთმა წინააღმდეგობამ ერთი წუთით დამაბნია. დაბოლოს, როგორც ამას გეომეტრიაში თეორემის დამტკიცებისას მიმართავენ ხოლმე, ჩემს თავს ვუთხარი: — ვთქვათ, არსებობს მიზეზი. რა შეიძლება იყოს ეს მიზეზი?

დაკვირვებული ვარ, როცა ადამიანი ძნელად გადასაწყვეტი ამოცანის წინაშე დგას, გაუკრკვეველ მდგომარეობაშია, ცდილობს გონების ძალით მოჰფინოს ნათელი იმას, რაშიც გრძნობები უძლურია.

რადგან ასე ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები მიტრიალებდა თავში, გადავწყვიტე, ლოგიკური ანალიზისათვის მიმემართა, როგორც ეს კრიმინალისტურ რომანებშია.

ვიღაც მოკლეს. საჭიროა მიზეზის დადგენა. რისთვის მოკლეს, მიზეზის პოვნის შემდეგ აღვილია მკვლელის ვინაობის დადგენა... — მიზეზი ან ემილიასთან უნდა მეძებნა, ან ჩემთან.

რადგან ჩემის მხრივ ყოველგვარ მიზეზს გამოვრიცხავდი, მივხვდი, მიზეზი მხოლოდ ემილიასი უნდა ყოფილიყო. აქედან ასეთი დასკვნა გავაკეთე — ემილიას მე აღარ ვუყვარვარ, ესე იგი, უყვარს სხვა.

მაგრამ მაშინვე უკუვავადე ეს ფიქრი, რადგან ბოლო ხანებში ემილიას საქციელში ვერაფერს ვამჩნევდი ისეთს, რაც ჩემს ჰიპოთეზას დაადასტურებდა. არაფერზე ეტყობოდა, რომ მის ცხოვრებაში სხვა მამაკაცი გაჩნდა, პირიქით, უფრო ჩაკეტილიც გახდა. თითქმის მთელი დღეები სახლში იჯდა, ან წიგნებს კითხულობდა, ან დედამისს ელაპარაკებოდა ტელეფონზე, ან რაღაცას საქმიანობდა. რაც შეეხება გართობას კინოს, გასეირნებასა თუ ვახშამს რესტორანში, მუდამ ჩემთან იყო, მუდამ თან მახლდა. რა თქმა უნდა, ქორწინების პირველ წლებში უფრო მრავალფეროვანი იყო მისი ცხოვრება, უფრო მეტად ტრიალებდა ხალხში. მაშინ ჯერ კიდევ მეგობრობდა ქალიშვილობის ამხანაგებთან, მაგრამ ისინი ნელ-ნელა ჩამოშორდნენ და საბოლოოდ ისე ახლოს აღმოვჩნდი მასთან, რომ სადღაც შებორკილიც ვიყავი ასეთი დამოკიდებულების გამო. ეს დამოკიდებულება არც მაშინ შეცვლილა, როცა ემილიას ჩემზე გუული გაუცივდა. იგი სულაც არ ცდილობდა ვინმეში გავეცვალე, ან თავისი ცხოვრებიდან ჩემი არსებობა ამოეშალა და თუმცა აღარ ვუყვარდი, მაინც წინანდებურად ელოდა სამსახურიდან ჩემს დაბრუნებას და მისი პატარა-პატარა გართობანიც ჩემზე იყო დამოკიდებული. მის ასეთ უსიყვარულო ურთიერთობაში

იყო რაღაც ამაღლებული და ნაღვლიანიც. იგი იმ ქალს ჰგავდა, ვისაც თავის მოწოდებად ქმრის უსაზღვრო ერთგულება გაუხდია და მაშინაც ერთგული რჩება, როცა ამისთვის ძალიან მცირე საფუძველი აქვს. ერთი სიტყვით, თუმცა აღარ ვუყვარდი, სხვა მამაკაცი მას ნამდვილად არ ჰყავდა.

გარდა ამისა, კიდევ ერთი მოსაზრება მკარნახობდა უკუედლო აზრი, თითქოს ემილიას სხვა მამაკაცი უყვარდა. კარგად ვიცნობდი მის ბუნებას. ემილიას ტყუილის თქმა არ შეეძლო. პირიქით, ზომამე მეტად გულახდილიც იყო. ყოველგვარი ტყუი მას არა მართო სამარცხვინოდ, არამედ დამღლეულ, მოსაბეზრებელ და მოსაწყენ საქმედ ეჩვენებოდა. ამასთან, მდიდარი ფანტაზიის უნარს მოკლებულს, არ შეეძლო შეეთხზა და დამაჯერებლად ეცრუა იმაზე, რაც სინამდვილეში არ მომხდარა.

რადგან მისი ბუნება კარგად ვიცნოდი, დარწმუნებული ვიყავი, ემილიას სხვა მამაკაცი რომ ჰყვარებოდა, უკეთესს ვერც მოიფიქრებდა, ადგებოდა და მისთვის ჩვეული უხეში გულახდილობით, სიმართლეს პირში მომახლიდა, რაც ასე დამახასიათებელია იმ მეშინაური წრისათვის, რომელსაც ის ეკუთვნოდა.

ემილიას შეეძლო ჩუმად და გულჩათხრობილად ეცხოვრა. სწორედ ასე ცხოვრობდა ახლა, რადგან აღარ ვუყვარდი. მაგრამ მისთვის მეტად ძნელი იქნებოდა — თუ საერთოდ შესაძლებელია გაორებულად ეცხოვრა, ეთვალთვალთმაქცა თავისი მრუშობის დასაფარავად. მაგალითად, მოეგონა მკერავებთან სიარული, ნათესავების ან მეგობარი ქალების გვიან მონახულება, ან თუ შინ გვიან მოვიდოდა, როგორც სჩვევიათ ხოლმე მსგავს შემთხვევაში ქალებს, თავი ემართლებინა, სპექტაკლი გვიან დამთავრდაო ან დაგვიანება ქალაქის ტრანსპორტისათვის გადაებრალებინა.

არა, მისი გულგრილობა ნამდვილად არ იყო სხვა მამაკაცის სიყვარულით გამოწვეული. ამრიგად, თუ მიზგიბი არსებობდა, და შეუძლებელიცაა არ არსებულებოდა, ამჯერად საკუთარ თავში უნდა მეძებნა.

ისე ვიყავი ამ ფიქრებში გართული, რომ დიდხანს ვერ შევამჩნიე მდივანი გოგონა, რომელიც ჩემ წინ იდგა და ღიმილით, ალბათ, მერამდენედ იმეორებდა:

— სინიორ მოლტენი, დოქტორი ბატისტა გელოდებათ.

უცებ გამოვერკვიე, დროებით შევწყვიტე ჩემი ძიება და აჩქარებით შევედი პროდიუსერის კაბინეტში. ბატისტა ჭერმოხატულ და ოქროსფრად მოვარაყებულ კედლებიან ფართო დარბაზში იჯდა ლითონის მწვანე საწერ მაგიდასთან, სწორედ ისეთთან, როგორიც მისაღებში იდგა.

თუმცა ბევრჯერ ვახსენე ბატისტა, აქამდე არ ამიწერია მისი გარეგნობა. ვფიქრობ, დროა.

ბატისტა ერთი იმ უფროსთაგანი იყო, ვისაც თანამშრომლები და ხელქვეითები ზურგსუკან ისეთი მომხიბლავი ეპითეტები ამკობენ, როგორიც არის: „უშნო ცხოველი“, „მაიმუნი“, „პირუტყვი“, „გორილა“. თუმცა არ შეიძლება არ ვაღიარო ამ სახელების შემრქმევთა უდავო ნიჭი, პირადად მე არასოდეს მომსვლია აზრად მსგავსი ეპითეტები მეხმარა მის მიმართ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ზედმეტი სახელების შერქმევა ჭირივით მძულს და უკიდურესად მიმაჩნია, მეორეც იმიტომ, რომ ჩემი აზრით, ეს სახელები სრულიად არ ესადაგებოდა ბატისტას პიროვნებას, მის მტკიცე ხასიათს, განცვიფრებულ ეშმაკობას, უფრო სწორად, გაქნილობას, რაც მის გარეგნულ სიტლანქეში იმალებოდა. რა თქმა უნდა, ბატისტა მართლაც სქელკანიანი ცხოველი იყო, მაგრამ ცხოვრების შნო და მარიფათი კი დიდი ჰქონდა. უზარმაზარი სასიცოცხლო ძალა იგრძნობოდა არა მარტო ფულის შოვნის მის ზღაპრულ მადაში, არამედ მის საქმიანობაშიც. დაუცხრომლად ილტვოდა მიზნისაკენ, ფაქიზად და ზუსტად ასრულებდა ყველაფერს, რასაც სამსახური მოითხოვდა და წარმატებებსაც აღწევდა.

ბატისტა საშუალო ტანის კაცი იყო. ჰქონდა ზომამზე მეტად განიერი მხრები, ვიწრო თეძოები და მოკლე ფეხები, რითაც მართლაც ჰგავდა მაიმუნს და იმსახურებდა შერქმეულ ზედმეტ სახელს. სახეზე ჰქონდა რაღაც მაიმუნის მაგვარი: უკან გადავარცხნილი მეჩხერი თმა, დაბალი, გამელოტებული შუბლი,

მოკლე და განიერი ცხვირი, მსხვილი, მოძრავი წარბები, მოუსვენარი წვრილი თვალები, თეთრი, მაგრამ თითქმის უტუჩო და დანისპირივით თხელი პირი და ოდნავ წინ წამოწეული ნიკაპი. მუცელი სულ არ ეტყობოდა. სამაგიეროდ, მკერდი ჰქონდა წინ გამოშვრილი. დაკუნთული ხელები ჯაგარივით შავ თმას დაეფარა. ერთხელ, ბათხულში, ზღვაზე ყოფნისას შევამჩნიე, მხრებიც და მკერდიც ამ შავი ბალნით ჰქონდა დაფარული.

მაგრამ ასეთი ტლანქი გარეგნობის კაცი ლაპარაკობდა საოცრად ტკბილად, შემპარავად, დამაჯერებლად, დამრიგებლურად, ოდნავ უცხოური აქცენტით, — იგი ხომ არგენტინაში იყო დაბადებული. პირდაპირ მაჯადოებდა მისი ტკბილი ხმა, მისი ლაპარაკის მანერა, მაოცებდა ამ ხმის ასეთი არაბუნებრივი შეუსაბამობა გარეგნობასთან, მაგრამ აქაც ბატისტას მოხერხებულობასა და ცხოვრებას ვხედავდი.

ბატისტა მართლ არ იყო კაბინეტში. მის საწერ მაგიდასთან ვილაც უცნობი მამაკაცი იჯდა. შესვლისთანავე გამაცნო, რეინგოლდიაო, ბევრი რამ გამეგო მასზე, მაგრამ ნახვით კი პირველად ვხედავდი.

რეინგოლდი გერმანელი კინორეჟისორი იყო. გერმანიაში დადგმული ჰქონდა არაერთი ფილმი, რომლებსაც თავის დროზე დიდი წარმატება ხვდათ წილად. რა თქმა უნდა, რეინგოლდი არ იყო ისეთი დიდი კინორეჟისორი, როგორიც პაბსტი ან ლანგი, მაგრამ იმ დროისათვის მაინც საკმაოდ ცნობილი გახლდათ. არასდროს მისდევდა სუფთა კომერციულ მოგებას, ჰქონდა გარკვეული ესთეტიკური მოსაზრებანი, თუმცა საკამათო, მაგრამ ყოველთვის სერიოზული და პრინციპული.

მას შემდეგ, რაც გერმანიაში ხელისუფლებას ჰიტლერი ჩაუდგა სათავეში, არავინ არაფერი იცოდა რეინგოლდზე. ამბობდნენ, ჰოლივუდში მუშაობსო, მაგრამ ბოლო წლებში არც ერთი მისი ფილმი არ გამოჩენილა იტალიის ეკრანებზე.

ახლა კი აგერ სულ უეცრად გამომეცხადა იგი პროდიუსერის კაბინეტში. სანამ ბატისტა ლაპარაკობდა, ცნობისმოყვარეობით ვაკვირდებოდი რეინგოლდს. გინახავთ ოდესმე ძველ გრაფიურაზე ამოკვეთილი გოეთეს სახე? დიახ, რეინგოლდს

სწორედ ამ ოლიმპიელივით კეთილშობილი და მკაცრი სახე ჰქონდა. გოეთესავით მასაც თვალისმომჭრელად თეთრი თმის შარავანდედი მოსავდა. ერთი სიტყვით, გენიოსის თავი ჰქონდა.

მაგრამ ეს იყო პირველი შთაბეჭდილება. ცოტა ხნის შემდეგ კი, როცა დაკვირვებით შევაფლეთ თვალი მის სახეს, რატომღაც ის თვალშისაცემი კეთილშობილება და ბრწყინვალეობა ცოტა ხელოვნური მეჩვენა. მისი მსხვილნაკუვეთებიანი და რამდენადმე მოშვებული, ფოროვანი სახე მუყაოს ნიღაბს მოგაგონებდათ. ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, თითქოს ამ ნიღბის ქვეშ არაფერი იყო. ისევე, როგორც არაფერი იყო იმ დიდ თავებში, კარნავალებზე ქონდრის კაცები რომ ჩამოიმხოებენ ხოლმე თავზე. რეინგოლდი ხელის ჩამოსართმევად წამოდგა. თავი ოდნავ დახარა, ხელი გამომიწოდა და სუფთა გერმანული მანერით ქუსლი ქუსლს შემოჰკრა. ახლა ისიც შევამჩნიე, რომ რეინგოლდი ტანდაბალი კაცი იყო, თუმცა განიერი მხრები წარმოსადეგ და დიდებულ შეხედულებას აძლევდა. ხელის ჩამორთმევისას მომხიბლავად, ნახევარმთვარისებურად გამიღიმა და გამოაჩინა ერთმანეთზე მიჯრილი, გასაოცრად თეთრი კბილები, რომლებიც, არ ვიცი, რატომ, ხელოვნური მომეჩვენა. მაგრამ დაჯდა თუ არა, სახებზე ღიმილი უკვალოდ გაუქრა, თითქოს მთვარეს ღრუბელი გადაეფარაო. და კვლავ მკაცრი, უსიამო მბრძანებლური და მომთხოვნი იერი მიიღო.

ბატისტამ, ჩვეულებისამებრ, ლაპარაკი შორიდან დაიწყო. რეინგოლდზე მანიშნა და თქვა:

— მე და რეინგოლდი ახლა კაპრზე ვლაპარაკობდით. მოლტენი, თქვენ იცნობთ კაპრს?

— ცოტათი, — ვუპასუხე.

— კაპრზე ვილა მაქვს, — განაგრძო ბატისტამ, სწორედ ახლა ვეუბნებოდი რეინგოლდს, საოცრად წარმტაცი ადგილია-მეთქი კაპრი... ისეთი საქმიანი კაციც კი, როგორიც მე ვარ, შეიძლება იქ პოეტად იქცეს.

ეს ბატისტას ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ფანდი იყო. ამით უნდოდა დაემტკიცებინა, როგორ აღიქვამდა ყველაფერ

კარგს, მშვენიერს, ამაღლვებელს, კეთილშობილს — ერთი სიტყვით, ყველაფერს, რაც იდეალურს განეკუთვნება. ყველაზე მეტად მანცვიფრებდა ის, რომ ამ დროს ბატისტას ალტაცება გულწრფელი — თუმცა არც უმიზნო და უანგარო — მეჩვენებოდა.

თავისივე სიტყვებით გულაჩუყებულმა ბატისტამ ცოტა ხნის შემდეგ განაგრძო:

— წარმოიდგინეთ თვალწარმტაცი ბუნება, განსაცვიფრებელი ზეცა, მუდამ ლურჯი ზღვა... ყვავილები, ყვავილები, საითაც გაიხედავ, ყველგან ყვავილები... მოლტენი, შენსავით მწერალი რომ ვიყო, სხვაგან ცხოვრებას არც ვისურვებდი. იქ ყველაფერია შთაგონებისათვის... საოცარია, მხატვრებს რატომ არ სურთ დახატონ კაპრის მომხიბლავი პეიზაჟები, მაშინ, როცა რაღაც უცნაურ, გაუგებარ სურათებს ხატავენ. კაპრზე, შეიძლება ითქვას, უკვე მზა ნახატებია, საკმარისია მიხვიდე და გადმოიღო...

არაფერი მითქვამს, მხოლოდ ქურდულად გადავხედე რეინგოლდს, რომელიც მოწონების ნიშნად იქნევდა თავს. მის სახეზე აკიაფებული ღიმილი კვლავ უღრუბლო ცაზე მთვარის გამონათებას დამსგავსებოდა. ბატისტა კი განაგრძობდა:

— რამდენჯერ მინატრია, ერთი თვე მაინც გამეტარებინა კაპრზე არაფერს გავაკეთებ, არაფერზე ვიფიქრებ—მეთქი, მაგრამ ვერასოდეს მოვიცალე. აქ, ქალაქში, არანორმალურად ვიტვირთავთ თავს, განა ესაა ცხოვრება?! ადამიანი არ არის ამისთვის შექმნილი, საქალაქში ჩაფლულმა იცხოვროს კაბინეტში. კაპრელები კი ჩვენზე ბედნიერად გამოიყურებიან... საღამოობით, როდესაც ქალ—ვაჟნი ქუჩებში გამოეფინებიან ხოლმე, მათ შეხედვას არაფერი სჯობია. მოდიან მოლიმარნი, სიცოცხლით სავსენი, მშვიდნი, მოხდენილები, მხიარულები... და ასეთები იმიტომ არიან, რომ დიდს არაფერს მოითხოვენ ცხოვრებაში, პატარა მოთხოვნები, პატარა მისწრაფებები აქვთ... ეჰ, ბედნიერები ისინი არიან...

ცოტა ხანს იყუჩა, შემდეგ ისევ განაგრძო:

— როგორც გითხარით, კაპრზე ვილა მაქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ ჩასვლას ვერ ვახერხებ. რაც ეს ვილა ვიყიდე, ორი

თვეც არ გამიტარებია იქ. სწორედ ახლა ვეუბნებოდი რეინგოლდს, ჩემი ვილა ყველაზე უფრო შესაფერისი ადგილია სცენარზე სამუშაოდ-მეთქი... მომხიბლავი პეიზაჟი მუშაობის განწყობას შეგიქმნით, შემოქმედებითი ცეცხლით აგანთებთ, თანაც ეს პეიზაჟი მთლიანად ემთხვევა ფილმის სიუჟეტს-მეთქი...

— სინიორ. ბატისტა, მუშაობა ყველგან შეიძლება... თუმცა შესაძლოა, კაპრიც შესაფერისი ადგილი იყოს ამისთვის, მით უმეტეს, თუ გადაღებები ნატურიდან ნეაპოლის ყურეში უნდა ვაწარმოოთ, — თქვა რეინგოლდმა.

— სწორედ ეგრეა; რეინგოლდი ამბობს, სასტუმროში მიჩვენია ცხოვრებაო. რას იზამ, ასეთი ჩვეულება აქვს. თანაც მართო მუშაობა ჰყვარებია. ვფიქრობ, მოლტენი, ეს შენთვის უკეთესიცაა, შეგიძლია, ცოლთან ერთად იცხოვრო ჩემს ვილაში... ამით მეც მასიამოვნო ებ, ჩაკეტილი არ იქნება ვილა, ვინმე მაინც. იცხოვრებს. იქ ყოველნაირად მოწყობილი ვილაა, მოსამსახურე ქალის შოვნაც არ გაგიჭირდებათ.

როგორც ყოველთვის, ახლაც ემილიაზე გავიფიქრე, ისიც გავიფიქრე, რომ კაპრიზე ბრწყინვალე ვილაში ცხოვრება ბევრ რამეს შეცვლიდა ჩვენს ურთიერთობაში. სიმართლე რომ ვთქვა, თვითონაც არ ვიცი საიდან დამებადა ასეთი აზრი, რომ კაპრიზე ცხოვრება ჩემთვის ყველაზე თავსამტკრვე საკითხს საბოლოოდ გადაჭრიდა. ამიტომ დაუფიქრებლად მომადგა ენაზე გულწრფელი მადლობის სიტყვები:

— დიდად გმადლობთ, სინიორ ბატისტა, მეც ასე ვფიქრობ, კაპრი სწორედ შესაფერისი ადგილი იქნება სცენარზე სამუშაოდ... მე და ჩემი მეუღლე სიამოვნებით ვიცხოვრებთ თქვენს ვილაში.

— კეთილი, თქვა ბატისტამ და ხელი ისე ასწია, თითქოს სურდა სიხარულით გამოწვეული ჩემი მადლობის სიტყვების ნაკადი შეეჩერებინა, რასაც მე სულაც აღარ ვაპირებდი.

— მაშ ასე, შევთანხმდით: თქვენ კაპრიზე გაემგზავრებით, მე კი ხანდახან სტუმრად გეწვევით... ახლა კი დროა საქმეზე, ცოტა ფილმზეც ვილაპარაკოთ.

„ნამდვილად დროა“, — გავიფიქრე და ყურადღებით შევაჩერდი ბატისტას. ახლა უკვე ვნანობდი, ასე რომ ავჩქარდი და

უცვებ დავეთანხმებ ბატისტას მიპატიჟებას, არ ვიცი რატომ, მაგრამ გუჟანით ვგრძნობდი, ემილია ამ აჩქარებას არ მომიწონებდა. უნდა მეთქვა, ვნახოთ, მოვიფიქრებ, ცოლს მოველაპარაკებო-მეთქი. ვერ შეპატიებინა ჩემი თავისთვის, რა დაუფარავი აღცატებით და მადლობით დავთანხმდი მის წინადადებას. უნდა ითქვას, ჩემი თანხმობა ახლა უადგილო და სასირცხვილოც კი მეჩენებოდა.

— ყველანი იმ აზრისა ვართ, რომ კინოში რაღაც ახლის პოვნაა საჭირო... ომისშემდგომი პერიოდი დამთავრდა და უკვე ახალი ფორმულის შექმნის აუცილებლობა წამოიჭრა... ავიღოთ მაგალითისთვის, ნეორეალიზმი... ნეორეალისტურმა ფილმებმა ყველას თავი მოაბეზრა. თუ გავაანალიზებთ და აქედან გამომდინარე, დავაზუსტებთ იმ მიზეზებს, მაშინ იქნებ ამოვხსნათ, როგორი უნდა იყოს ახალი ფორმულა...

როგორც ზემოთ ვთქვი, ბატისტა ყოველთვის შორიდან მოვლას ამჯობინებდა, ის ცინიკოსი არ იყო, ყოველ შემთხვევაში, ცდილობდა არ ყოფილიყო. სხვა პროდიუსერებისგან განსხვავებით, ძალზე იშვიათად ლაპარაკობდა მოგებაზე. ფულის საკითხი არა მარტო აინტერესებდა, არამედ, შეიძლება ითქვას, სხვა კინოპროდიუსერებზე მეტად ანიჭებდა მნიშვნელობას, მაგრამ არასოდეს ლაპარაკობდა მასზე.

თუ ფილმის სიუჟეტი მომგებიანი არ ეჩვენებოდა, სხვა პროდიუსერებივით როდი იტყოდა ხოლმე, ამ სიუჟეტზე აგებული ფილმი ერთი ლირის მოგებასაც ვერ მოგვითანსო, — ასეთ დროს ბატისტა ამბობდა, „ეს სიუჟეტი იმიტომ და ამიტომ არ მომწონს“. განსაცვიფრებელი ის იყო, რომ მის მიერ დასახელებული მიზეზები ყოველთვის ესთეტიკური და მორალური ხასიათისა იყო.

ასე იყო თუ ისე, საბოლოოდ, რა თქმა უნდა, ყველაფერს მოგება წყვეტდა. მისთვის კინოხელოვნებაში — კარგსა და მშვენიერზე ბევრი ლაპარაკის შემდეგ, რასაც მე ბატისტას „კვამლის ფარდას“ ვეძახდი, მისი არჩევანი, ბოლოს და ბოლოს, მაინც მომგებიან ვარიანტზე ჩერდებოდა. ეს ფანდი ჩემთვის უკვე ნაცნობი იყო და ძალზე უგულისყუროდ ვუსმენდი, ტყუილად დროს დაკარგვად მიმაჩნდა ბატისტას გრძელი მსჯელობა

კარგ და ცუდ, მორალურ და ამორალურ ფილმებზე, რაც არაერთხელ მომესმინა.

მოთმინებით ველოდი ხოლმე, როდის მივიდოდა დასკვნამდე, ეს კი უთუოდ ფილმის ფინანსური მხარე იქნებოდა. ამჯერადაც გავიფიქრე ნეორეალისტურ ფილმებს იმიტომ აძაგებს და ამბობს, ხალხს მობებრდაო, რომ პროდუსერებს მოგებას არ აძლევს. ვნახოთ, ახლა რას იტყვის... და მართლაც, ბატისტამ ცოტა ხნის დუმილის შემდეგ თქვა:

— ჩემი აზრით, ნეორეალისტური ფილმები მაყურებელს იმიტომ მობებრდა, რომ ჯანსაღი არ არის.

ბატისტა გაჩერდა. მე რეინგოლდს გადავხედე. მას თვალიც არ დაუხამხამებია. ბატისტას ამ პაუზით ხაზი უნდოდა გაესვა სიტყვა „ჯანსაღისათვის“. შემდეგ კი განმარტა:

— როცა ვამბობ, ნეორეალისტური ფილმები ჯანსაღი არაა—მეთქი, იმას ვგულისხმობ, რომ ისინი მაყურებელს ვერ ამჩნევს. არ უნერგავს სიცოცხლის რწმენას... პირიქით, ნეორეალისტური ფილმები აბეჩავებს მათ. პესიმისტურ განწყობილებას უქმნის. გარდა ამისა, უცხოელთა გულის გასახარად, ამ ფილმებით იტალია წარმოდგენილია როგორც მათხოვართა და უპოვართა ქვეყანა, უცხოელებს კი ხელს აძლევს ასეთი წარმოდგენა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, არის უფრო მნიშვნელოვანი მიზეზიც. ნეორეალისტურ ფილმებში გამოკვეთილად არის ნაჩვენები ცხოვრების უარყოფითი მხარეები, ყველაფერი მდაბალი, ჭუჭყიანი, არანორმალური... ერთი სიტყვით, არის პესიმისტური, უსარგებლო ფილმები, ისინი ხალხს წარამარა ახსენებს ცხოვრებისეულ სიძნელებებს, ნაცვლად იმისა, რომ მათ გადალახვაში დაეხმარო.

ვუყურებდი ბატისტას და განცვიფრებული ვფიქრობდი: ნუთუ მართლა იმას ფიქრობს, რასაც ლაპარაკობს, თუ მხოლოდ თავს გვაჩვენებს? არადა, გულწრფელობაც კი ერია მის სიტყვებში. შესაძლოა, ეს იმ ადამიანის გულწრფელობას ჰგავდა, ვინც სიამოვნებით იჯერებს იმას, რაც მისთვის სასარგებლოა. ყოველ შემთხვევაში, ახლა იგი ნამდვილად გულწრფელი ჩანდა.

ბატისტამ განაგრძო მსჯელობა. ხმა რაღაც არაბუნებრივი ჰქონდა, თითქოს ლითონისებური, მაშინაც კი, როცა ცდილობდა ალერსიანად ელაპარაკა.

— რეინგოლდმა ერთი წინადადება შემომთავაზა, რამაც, უნდა გამოვტყდე, ნამდვილად დამაინტერესა... ამ ბოლო ხანებში, თურმე, დიდი წარმატება აქვთ ბიბლიურ სიუჟეტებზე აგებულ ფილმებს... ეს ფილმები თურმე ბევრ მაყურებელს იზიდავს...

ბატისტამ ეს ისე თქვა, სასხვათაშორისოდ, თითქოს ფრჩხილებში მოაქცია, თითქოს მხოლოდ ამბავი აღნიშნა, რომელსაც თვითონ არავითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა.

— რატომ იზიდავს? იმიტომ რომ, ჩემი აზრით, ბიბლია ერთადერთი ჯანსაღი წიგნია, რაც კი ოდესმე ქვეყნად შექმნილა... ჰოდა, რეინგოლდმა მითხრა: თუ ანგლოსაქსებს ბიბლია აქვთ, თქვენ, ხმელთაშუაზღვის კულტურის ხალხებს, ჰომეროსი გყავთ... ასე არაა? . მიმართა რეინგოლდს თითქოს იმის დასამოწმებლად, სწორად გადმოვეცი თუ არა შენი აზრიო.

— სწორედ ეგრეა! — დაუდასტურა რეინგოლდმა, მაგრამ ღიმილით გაბადრულ სახეზე შემოფოთების ჩრდილმა მაინც გადაურბინა.

— თქვენთვის, ხმელთაშუაზღვის კულტურის ხალხებისთვისო, — განაგრძო ბატისტამ რეინგოლდის სიტყვები, — ჰომეროსი იგივეა, რაც ბიბლია ანგლოსაქსებისთვისო... რატომ არ შეიძლება, მაგალითად, გავაკეთოთ ფილმი „ოდისეას“ მიხედვით?..

სიჩუმე ჩამოვარდა. განცვიფრებისაგან პირი დავაღე. გონების მოსაკრებად დრო რომ მომეგო, გაჭირვებით ამოვიღულულულე:

— ლაპარაკია მთელ „ოდისეაზე“ თუ მის რომელიმე ეპიზოდზე?

— ამ საკითხზე უკვე ბევრი ვიმსჯელებ და იმ დასკვნამდე მივდივით, რომ უმჯობესია, მთლიანად გამოვიყენოთ იგი ფილმისათვის, მაგრამ ამას ჩვენთვის ისე გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს... უფრო მნიშვნელოვანი სულ სხვაა, — ხმას აუწია მან, — „ოდისეას“ ხელმეორედ წაკითხვისას წავაწყდი იმას,

რასაც კარგა ხანია ამაოდ ვეძებდი... წავაწყდი იმას, რასაც ვერ ნახავთ ვერც ერთ ნეორეალისტურ ფილმში... და ვერც ერთ იმ სიუჟეტშიც, რასაც ამ უკანასკნელ ხანებში შენ მთავაზობდი, მოლტენი. ვიპოვე რაღაც ისეთი... რაც ისე სჭირდება კინოხელოვნებას, როგორც ცხოვრებას — პოეზია.

ისევ რეინგოლდს შევხედე. ის კვლავ იღიმებოდა, წელანდელზე უფრო ფართოდ და მოწონების ნიშნად თავს აქნევდა. უცებ, ჩემდა უნებურად, საკმაოდ უხეშად ვთქვი:

— რა თქმა უნდა, „ოდისეაში“ პოეზია ბევრია, მაგრამ მთავარია, ფილმში როგორ შევძლებთ მის გადმოცემას.

— მართალია, ბატისტამ მაგიდიდან სახაზავი აიღო და მომიმიზნა, მართალია... სწორედ ამისთვის არსებობთ თქვენ ორნი: თქვენ, მოლტენი, და ბატონი რეინგოლდი... ვიცი, რომ იქ პოეზიაა, იმის ამოღება კი თქვენი საქმეა.

— „ოდისეა“ ... — შევნიშნე, — ეს ხომ მთელი სამყაროა... იქიდან შეიძლება რაღაც—რაღაცების ამოკრება, ოღონდ უნდა იცოდე, რომელი კუთხიდან მიუდგე...

ეტყობა, ბატისტას გაუკვირდა, დიდად რომ არ აღმაფრთოვანა მისმა წინადადებათ. დაჟინებით შემომაცქერდა, თითქოს სურდა გაეგო, რა იმალებოდა ჩემი გულგრილობის მიღმა. ბოლოს, როგორც ჩანს, გადაწყვიტა, ეს საქმე მცირე ხნით გადაედო. ადგა, თავი უკან გადააგდო, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, ჩვენც სკამები შევაბრუნეთ და მის მოძრაობას თვალს ვადევნებდით. ის ოთახში დადიოდა და თან ლაპარაკობდა:

— ყველაზე მეტად „ოდისეაში“ გამოაცა ჰომეროსის პოეზიის სანახაობითმა მხარემ. როცა სანახაობაზე ვლაპარაკობ, მხედველობაში მაქვს ის, რაც ყოველთვის მოსწონს და იზიდავს მაყურებელს... მაგალითისათვის ავიღოთ ეპიზოდი ნავტიკასთან. მომხიბლავი შიშველი ქალწულები წყალში ბანაობენ. ამ დროს ულისე ბუჩქებიდან უთვალთვალეებს მათ — ეს ხომ უკვე ვარიანტია კადრისა „მობანავე მზეთუნახავები“. ან აიღეთ პოლითემი: ცალთვალა საშინელება, გოლიათი, ზღაპრული ურჩხული... ეს ხომ კინგ-კონგია, ომისშემდგომი კინოს

სახელმოხვეჭილი და პოპულარული პერსონაჟი. ანდა გაიხსენეთ კირკვი, თავისი სასახლით. ეს ანტინეა „ატლანტიკიდან“, აი, რას ვეძახი სანახაობას. მაგრამ, როგორც ვთქვი, ეს არა მარტო სანახაობაა, არამედ დიდი პოეზიაც, — ბატისტა აღტაცებული იყო.

ჩვენ წინ გაჩერდა და წარმოთქვა: — აი, როგორა მაქვს წარმოდგენილი ფირმა „ტრიუმფ-ფილმის“ მიერ გამოშვებული „ოდისეა“.

გაჩუმება ვამჯობინე, რადგან ვიცოდი, რომ პოეზია ბატისტასათვის ის არ იყო, რაც ჩემთვისაა იგი. უკვე წარმოდგენილი მქონდა, რომ იქნებოდა „ტრიუმფ-ფილმის“ მიერ გამოშვებული „ოდისეა“. ეს იქნებოდა ბიბლიურ სიუჟეტებზე შექმნილი ჰოლივუდის ყაიდის ფილმები ურჩხულებით, შიშველი ქალებით, მაცთუნებელი სცენებით, ეროტიკითა და თეატრალური ზარზეიმურობით. ბატისტას ხომ ისეთივე გემოვნება აქვს, როგორიც ჰქონდათ დ'ანუნციოს ეპოქის იტალიელ პროდიუსერებს! ჰოდა, რაღა გასაკვირია მაშინ მისი ასეთი მსჯელობა?

— აბა, ამაზე რას იტყვი, მოლტენი?

ვინც კინოს სამყაროს კარგად იცნობს, იცის, რომ არის ფილმი, რომლის სცენარი ჯერ არც დაწერილა, მაგრამ ყველანი დარწმუნებული არიან, ამ ფილმს უსათუოდ გადაიღებენ. არის ისეთი ფილმიც, რომლის ასეულობით გვერდი სცენარიც დაწერილია, ხელშეკრულებაც დადებულია, მაგრამ ყველამ იცის, ამ ფილმს დადგმა არ უწერია.

ვიდრე ბატისტა ლაპარაკობდა, გამოცდილი სცენარისტის პროფესიულმა ალლომ მიკარნახა, „ოდისეა“ ისეთი ფილმი იქნებოდა, რომელზედაც ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ეკრანზე მაინც არ უშვებენ. ასე რატომ ვფიქრობდი, ამის ახსნა არ შემეძლო. არ ვიცი, შეიძლება ბატისტას ლაპარაკმა იმოქმედა ჩემზე, ასეთ მოთხოვნებს რომ უყენებდა ფილმს. ან შეიძლება რეინგოლდის მაცდუნებელმა გარეგნობამ მოახდინა გავლენა, რომელიც, სანამ იჯდა, დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ხოლო როცა ადგა, პატარა და უბადრუკ კაცუნად წარმო-

მიდგა. მივხვდი, რომ რეინგოლდის მსგავსად ეს ფილმიც სუსტი იქნებოდა. ამის დასამოწმებლად სირინოზებზე ნათქვამი, ცნობილი ფრაზა მოვიშველიე: „desinit in piscem“

ჩემთვის გაუგებარი იყო, ბატისტას რამ აფიქრებინა ამ ფილმის დადგმა.

ვიცოდი, ძალიან ფრთხილი ვაცი იყო და ასეთ რისკზე ძნელად წავიდოდა. მაშ, რა იყო მიზეზი? იქნებ დიდი ჰომეროსის სახელის წყალობით დიდძალი თანხის მიღება იზიდავდა ამერიკიდანაც კი?

ვიცოდი, ჰომეროსის სახელი და რეინგოლდის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს ხმელთაშუაზღვის ბიბლია — „ოდისეა“, ნამდვილად დიდ ეფექტს მოახდენდა. მაგრამ ისიც ვიცოდი, თუ ფილმი არ დაიდგმებოდა, რაშიც ეჭვიც არ მეპარებოდა, სხვა პროდიუსერებით ბატისტაც მონახავდა რაიმე საბაბს და სამუშაოს ანაზღაურებაზე უარს მეტყოდა. ასეა ყოველთვის: თუ ფილმი არ დაიდგმება, პროდიუსერი ამ სამუშაოს ანაზღაურებას მომავალი ფილმის წარმოებამდე გადადებს ხოლმე და საწყალ სცენარისტსაც სხვა გზა არ რჩება, უნდა ელოდოს.

ამიტომ, პირველი, რაც გავიფიქრე, ეს იყო გამეთვალისწინებინა ეს საკითხი და თავიდანვე მომეთხოვა ხელშეკრულების გაფორმება და რაც მთავარია, ავანსიც. ამისთვის კი საჭირო იყო, მომემიზებებინა შემოთავაზებული სამუშაოს სიძნელე, რათა ბატისტას აქეთ ეთხოვა ჩემთვის ამ ფილმზე თანამშრომლობა.

— ჩემი აზრით, საუცხოოდ იდეაა, — მშრალად ვუპასუხე მე.

— რალაც დიდ აღფრთოვანებას ვერ გატყობ.

— მე მგონი, ეს ჩემი ჟანრი არ არის... ვერ შევძლებ, — ვუპასუხე საკმაოდ გულწრფელად.

— რატომ? — ბატისტა უკვე გაბრაზებული ჩანდა, — ყოველთვის მარწმუნებდით, სერიოზულ ფილმებზე მუშაობა მსურსო, ახლა კი, როცა ამის საშუალება გეძლევათ, უკან იხევთ, უარს ამბობთ.

ვცადე, მისთვის ამეხსნა:

– იცით რა, ბატისტა, მე ფსიქოლოგიური ფილმები უფრო მიზიდავს... ეს კი... პირიქით, თუ სწორად გაგიგეთ, ამერიკული ფილმებივით, სანახაობითი უნდა იყოს, ბიბლიურ სიუჟეტებზე შექმნილი კინოსურათი.

ამჯერად პასუხის გაცემა ვერ მოასწრო ბატისტამ, მოულოდნელად საუბარში რეინგოლდი ჩაგვერია:

– სინიორ მოლტენი, – თქვა მან და სახეზე კვლავ ნახევარმთვარისებური ღიმილი ისე აიკრა, როგორც მსახიობები აიკრავენ ხოლმე ხელოვნურ უღვაშს სცენაზე გამოსვლის წინ. ოდნავ წინ წამოიხარა და მოკრძალებით, თითქმის ენის ბორძიკით დაიწყო: – სინიორ ბატისტამ შესანიშნავად გადმოსცა ჩვენი ჩანაფიქრი... მან სწორად წარმოგვიდგინა ფილმი, რომელიც მე უნდა დავდგა თქვენი დახმარებით, მაგრამ სინიორ ბატისტა ლაპარაკობდა როგორც პროდიუსერი, მან უმთავრესი ყურადღება ფილმის სანახაობით მხარეს დაუთმო... თუ ფსიქოლოგიური ფილმები გიზიდავთ, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ ამ ფილმზე მუშაობას, რადგან იგი სხვა არა არის რა, თუ არა ფსიქოლოგიური ურთიერთდამოკიდებულება ცოლქმარს – ოდისევსსა და პენელოპეს შორის... ჩემი მიზანიც სწორედ ესაა, მინდა გადავიღო ფილმი ადამიანზე, რომელსაც უყვარს ცოლი, მას კი – არა...

ამ სიტყვებმა ძალზე დამაბნია. უფრო იმიტომ, რომ რეინგოლდმა თავისი ხელოვნური ღიმილით გასხივოსნებული სახე ზედ ჩემს სახესთან მოიტანა. ასე რომ, უკანდასახევი გზა მოჭრილი მქონდა. უნდა მეპასუხა და რაც შეიძლება მალე. მაგრამ, ის იყო, შეკამათება დავაპირე რეჟისორთან, ეგ ხომ მართალი არაა, პენელოპეს ოდისევსი უყვარდა-მეთქი, რომ მის მნიშვნელობას ახლა ჩასწვდა ჩემი გონება: „ქმარს უყვარს ცოლი, ცოლს კი – არა“. ამის გაფიქრებაზე მოულოდნელად გამახსენდა რაღაც ისეთი, რომელსაც, როგორც მაშინ მივხვდი, შეეძლო პასუხი გაეცა იმ კითხვაზე, რაზეც რამდენიმე წუთის წინ ასე ვიმტვრევდი თავს ბატისტას მისაღებ ოთახში: „რატომ აღარ ვუყვარვარ ემილიას?“

ახლა, როცა ამ ამბავს ვყვები, მკითხველს, ალბათ, ეგონება, დიდი დრო გავიდა, მაგრამ ამ ფიქრებმა სულ რაღაც ერთ

წამში გაიქროლეს ჩემს ტვინში. სანამ რეინგოლდს თავისი მოღიპარი სახე ჩემკენ მოჰქონდა, მე უცებ ფიქრით ჩემს ადრინდელ, ნაქირავები ბინის სასტუმრო ოთახში გავჩნდი. უცებ თვალწინ წარმომიდგა სურათი: ხელში სცენარი მიჭირავს და მბეჭდავ ქალს ვკარნახობ. სამუშაო უკვე დასასრულს უახლოვდება. რამდენიმე თვე იყო ერთად ვმუშაობდით და ჯერ კარგად არც შეემხედა ქალისთვის. ვინმეს რომ ეკითხა, ლამაზი იყო თუ არა, ვერაფერს ვიტყვოდი. მხოლოდ ერთმა უბრალო შემთხვევამ ამიხილა თვალები. არ მახსოვს, რა წინადადებას ბეჭდავდა მანქანაზე, დავიხარე და საჩქაროდ ჩავბეჭდე საჭირო სიტყვა. ჩაბეჭდვისას ჩემდა უნებურად მის თითებს შევეხე, შევამჩნიე, ხელები დიდი და ღონიერი ჰქონდა. გამიკვირდა, ასეთი ნაზი აგებულების ქალს ასეთი ხელები რომ ჰქონდა. ქალს ხელი არ მოუშორებია, არც უკმაყოფილება გამოუთქვამს, შემდეგი სიტყვაც ჩავბეჭდე და ამჯერად უკვე განზრახ დავადე ხელი თითებზე. სახეში შევხედე. მანაც ჭიქურ შემომხედა, თითქოს მაქებებდა კიდევ. მეც, თითქოს პირველად ვხედავო, უცებ აღმოვაჩინე, რომ ლამაზი იყო. პატარა, მოსქო, მიმზიდველი ტუჩები, ჟინიანი ცხვირი და დიდი შავი თვალები ჰქონდა. უკან გადავარცხნილი ხშირი და ხვეული თმა ძალზე უხდებოდა. მაგრამ მის ნაზ და ფერმკრთალ სახეზე უკვე აღბეჭდილიყო გულგატეხილობა და სასოწარკვეთილება. კიდევ ერთი რამ შევამჩნიე: როცა ქალმა პრანჭვით წარმოთქვა — მაპატიეთ, ყურადღება დამეთანტაო, — განმაცვიფრა მისმა მკვეთრმა და მშრალმა, საკმაოდ უსიამოვნო ხმამ. სახეში რომ შევხედე, თვალები ძირს არ დაუხრია, პირიქით, გამომწვევადაც დამიწყო ცქერა. ცოტა არ იყოს, დავიბენი და იმ დღიდან მოყოლებული რამდენიმე დღე მხოლოდ ერთმანეთის ცქერაში ვიყავით. უფრო სწორად, ის მიყურებდა ხოლმე, თანაც ურცხვად და გამომწვევად. ვცდილობდი მისი მზერა ამერიდებინა, ის კი თვალს არ მაცილებდა, ჭიუტად მომაჩერებოდა, სანამ თავისას არ მიაღწევდა. ხოლო როცა ჩვენი თვალები ერთმანეთს ხვდებოდა, მისი მზერა ჩემს თვალებში იძირებოდა. პირველ ხანებში ქალი იშვიათად შემომაცქერებოდა ხოლმე, შემდეგ

კი უფრო და უფრო მოუხშირა. ბოლოს და ბოლოს, გაბებრებულია რომ აღარ ვიცოდი, თვალები საით წამეღო და მისი დაჟინებული მზერაც ამეცდინა, მის ზურგს უკან მოვყევი ბოლოთის ცემას და კარნახს. მაგრამ ჯიუტმა კეკლუცმა ქალმა აქაც მონახა გამოსავალი. პირდაპირ კედელზე დიდი სარკე ეკიდა. როგორც კი თავს ავიღებდი, სარკეში მის დაჟინებულ მზერას ვაწყდებოდი. ბოლოს და ბოლოს, მოხდა ის, რაც უნდა მოჰყოლოდა თვალებით ამგვარ თამაშს და რასაც ის კარგა ხანია მონდომებით ცდილობდა.

ერთ დღეს ჩვეულებისამებრ ვკარნახობდი, შეცდომა შევამჩნიე და მის გასასწორებლად დავიხარე. ქალს შევხედე, მანაც შემომხედა და უცებ ჩვენი ტუჩები აჩქარებულმა, მოკლე კოცნამ შეაერთა. საგულისხმოა მისი სიტყვები კოცნის შემდეგ: „ოჰ, როგორც იქნა! უკვე იმედს ვკარგავდი, გამბედაობა არ ეყოფა-მეთქი“. ერთი სიტყვით, ისე იყო დარწმუნებული თავის გამარჯვებაში — რომ უკვე ხელთ ვყავდი, კოცნა აღარც მოსურვებია. მაშინვე განაგრძო ბეჭდვა. შეცბუნებული ვიყავი, სინდისის ქენჯნას და სინანულს ვგრძნობდი. არა, გოგონა აშკარად მომწონდა, ასე რომ არ ყოფილიყო, არც ვაკოცებდი, მაგრამ ცოდნით ნამდვილად ვიცოდი, არავითარი გრძნობა არ გამაჩნდა მის მიმართ. მხოლოდ მისი დაჟინებული და უტიფარი გამომწვევობით გაღიზიანებულმა მამაკაცურმა პატივმოყვარეობამ მაიძულა, მეკოცნა მისთვის. ქალი თავაუღებლად მუშაობდა, თვალები დაბლა დაეხარა. არასდროს ისე მომხიბლავი არ მჩვენებია მისი მრგვალი და ფერმკრთალი სახე, უკან ლამაზად გადავარცხნილი, მხრებზე დაყრილი მშვენიერი შავი თმის კუთულები. შემდეგ, როგორც ეტყობა, განზრახ დაუშვა შეცდომა. კვლავ მის გასასწორებლად დავიხარე. გოგონა თვალს მადევნებდა, არც ერთი ჩემი მოძრაობა არ გამოჰპარვია. მისკენ რომ დავიხარე, უცებ სკამზე შემოტრიალდა, მკლავები კისერზე შემომხვია, თავი დამიჭირა და ტუჩებზე დამეკონა. სწორედ იმ წუთში კარი გაიღო და ოთახში ემილია შემოვიდა.

ვფიქრობ, საჭირო არ არის იმის დაწვრილებით აღწერა, რაც შემდეგ მოხდა, ემილია უცებ გაბრუნდა.

— ქალიშვილო, დღეს სამუშაო დამთავრებულია, შეგიძლიათ სახლში წაბრძანდეთ, — აჩქარებით ვუთხარი მბეჭდავს და თითქმის გავვარდი ემილიას ოთახში. მეგონა, ეჭვიანობის ნი-
ადაგზე წამეჩხუბებოდა, მაგრამ მხოლოდ ეს მითხრა: „პომადა
მაინც მოგეცილებინა ტუჩებიდან“. პომადა მაშინვე მოვიცი-
ლე, ახლოს მივუჯექი და თავის მართლება დავიწყე. ყველაფე-
რი ისე მოვუყევი, როგორც სინამდვილეში იყო. ემილია რა-
ღაც უნდობლად, მაგრამ შემწყნარებლურად მისმენდა. ბო-
ლოს თქვა: თუ ნამდვილად გიყვარს ეგ ქალი, ყოველგვარი
ბოდიშების გარეშე შეგიძლია თქვა და თანახმა ვარ დამშორ-
დეო. ეს სიტყვები რბილად, ყოველგვარი გაბრაზების გარეშე
წარმოთქვა, თითქოს მთხოვდა, პასუხად ჩემგან „არა“ გაეგო-
ნა. ბოლოს, ბევრი ახსნა—განმარტებისა და სასოწარკვეთილი
ფიცის შემდეგ (პირდაპირ შიშით ვძრწოდი იმის გაფიქრებაზეც
კი, რომ ემილია გამშორდებოდა) მგონი შევძელი დამერწმუ-
ნებინა ჩემს სიმართლეში. ემილია ცოტათი გაჯიუტდა, მაგრამ
ბოლოს მაინც მაპაატია. იმავე დღეს, ემილიას თანდასწრებით
დავურეკე იმ მემანქანე გოგონას, აღარ მჭირდებით და ნულა
მოხვალთ-მეთქი, მან მაინც სცადა ჩემთვის ქალაქში პაემანი
დაენიშნა, მაგრამ ორჯოფულად ვუპასუხე და მას შემდეგ
აღარსად მინახავს.

როგორც უკვე ვთქვი, შეიძლება ადამიანს მოეჩვენოს, ამის
გაფიქრებას დიდი დრო მოანდომო. სინამდვილეში ერთ წუთ-
ში გამიელვა თავში ამ მოგონებამ. ელვასავით გაანათა გონე-
ბის ის ბნელი კუნჭული, სადაც ამდენი ხნის მანძილზე იყო მიჩ-
ქმალული ეს შემთხვევა. მიკვირდა, რატომ აქამდე არ გამახ-
სენდა-მეთქი, აი პასუხი იმ კითხვაზე, რამაც დიდი ხანია მოს-
ვენება დამიკარგა. ახლა კი ეჭვი აღარ მეპარებოდა, მიზეზი
სწორედ ეს იყო, კვლავ წარმომიდგა თვალწინ: როგორ შემო-
ვიდა ოთახში ემილია და როგორ წამასწრო მბეჭდავ ქალთან
კოცნაში გართულს, ახლა უკვე შემეძლო ზუსტად წარმომედ-
გინა, შემდეგში როგორ განვითარდა მოვლენები: ემილიამ
თავდაპირველად ისე მომაჩვენა თავი, თითქოს ამ შემთხვევას
არაფრად ავდებდა, სინამდვილეში ეს ამბავი, ალბათ, ძალიან
ტანჯავდა, მაგრამ არ უნდოდა თავს გამოსტყდომოდა. მერე და

მერე, როცა კი ემილიას ეს შემთხვევა გაახსენდებოდა, გულგატეხილობა ეუფლებოდა და ეს გულგატეხილობა თანდათანობით იზრდებოდა და გორგალივით ეხვეოდა. კოცნამ, რაც ჩემი წუთიერი სისუსტის შედეგი იყო, შეუხორცებელი ჭრილობა მიაყენა მის სულს. ხოლო დრომ კი არ განკურნა, უფრო მტკივნეული გახადა იგი.

ამ ფიქრებში გართულს, ალბათ, ძალიან დაბნეული და გაფანტული მზერა მქონდა, რადგან უცებ თითქოს ჩასქელებული ნისლიდან მომესმაო, ჩემამდე მოაღწია რეინგოლდის შეშფოთებულმა ხმამ:

— თქვენ მისმენთ, სინიორ მოლტენი? — გამოვერკვიე. უცებ ჩემ წინ ნისლი გაიფანტა და შევკრთი, ჩემკენ მომართული რეინგოლდის მოლიმარი სახე რომ დავინახე.

— მაპატიეთ, ფიქრმა წამიღო... თქვენმა ნათქვამმა ჩამაფიქრა: კაცი, რომელსაც უყვარს ცოლი, მას კი — არა... — არ ვიცოდი, რა მეთქვა და რაც პირველად მომადგა ენაზე, ისა ვთქვი: პოემის მიხედვით, პენელოპეს უყვარს ოდისევსი... შეიძლება ითქვას, მთელი პოემა ძირითადად სწორედ პენელოპეს ოდისევსისადმი უსაზღვრო სიყვარულზეა აგებული.

— ერთგულება, სინიორ მოლტენი, — გაიღიმა რეინგოლდმა, — სიყვარული როდია... პენელოპე ოდისევსის ერთგულია, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, რამდენად უყვარს იგი... როგორც თქვენთვის ცნობილია, შეიძლება უერთგულესი იყო, მაგრამ არ გიყვარდეს... ხანდახან მეტისმეტი ერთგულება ერთგვარი შურისძიებაცაა, შურისძიება სიყვარულისათვის... ერთგულება სიყვარულს არ ნიშნავს, მოლტენი...

რეინგოლდის ამ სიტყვებმა მთლად გადამრია. ჩემი ფიქრი ისევ ემილიას გადასწვდა. საკუთარ თავს ჩავეკითხე: ასეთ ერთგულებას და გულგრილობას, მერჩია თუ არა ღალატი, რასაც შემდეგ მონანიება მოჰყვებოდა-მეთქი? რა თქმა უნდა, მერჩია. ღალატის შემთხვევაში მართო ემილია იქნებოდა დამნაშავე, მე კი სინდისი სუფთა მექნებოდა და შემეძლო თამამად შემეხედა მისთვის თვალებში. თუმცა რომელ სინდისზე ვლაპარაკობ, როცა ეს-ესაა ჩემს თავს დავუმტკიცე, რომ ემილიას

მე ვულალატე და არა.— მან, მე. ისევ ფიქრებს გავყევი, მაგრამ ამჯერად ბატისტას ხმამ გამომარკვია.

— ერთი სიტყვით, შევთანხმდით, მოლტენი. თქვენ იმუშავებთ რეინგოლდთან.

— შევთანხმდით, — გაჭირვებით ამოვილულულე

— ძალიან კარგი, — კმაყოფილებით წარმოთქვა ბატისტამ, — ახლა ასე მოვიქცევით: რეინგოლდი ხვალ დილით პარიზს გაემგზავრება, იქ ერთ კვირას დაჰყოფს. თქვენ კი, მოლტენი, ამ ხნის განმავლობაში „ოდისეის“ სცენარის მონახაზს გააკეთებთ და მომიტანთ... ხოლო როგორც კი რეინგოლდი პარიზიდან დაბრუნდება, ერთად გაემგზავრებით კაპრზე და მაშინვე შეუდგებით მუშაობას.

ბატისტას ამ დასკვნითი სიტყვის შემდეგ რეინგოლდი ადგა. მეც ანგარიშიმისცემლად წამოვდექი. ვიცოდი, ხელშეკრულება და ავანსზე უნდა ჩამომეგდო სიტყვა, რადგან ბატისტას შეიძლება მშრალზე დავესვი. მაგრამ ძალზე აღელვებული ვიყავი ემილიაზე ფიქრითა და ჰომეროსის რეინგოლდისებური გაგების გამო, რომელიც საოცრად ემთხვეოდა ჩემს პირად ცხოვრებას.

კარს რომ მივუახლოვდით, მაინც ვერ მოვითმინე და ხმადაბლა ჩავილაპარაკე:

— კი მაგრამ, ხელშეკრულება?

— ხელშეკრულება მზადაა, — მშვიდად მიპასუხა ბატისტამ, — მასთან ერთად, ავანსიც... მოლტენი, თქვენ მხოლოდ კანცელარიაში უნდა შეიაროთ, ხელშეკრულებას ხელი მოაწეროთ და ავანსი მიიღოთ...

მოულოდნელობისაგან დავიბენი. მეგონა, როგორც სჩვეოდა სცენარებზე მუშაობის დაწყებისას, ბატისტა მიკიბ—მოკიბავდა, ეცდებოდა ჰონორარი შეემცირებინა, ან ავანსი დაეყოვნებინა. მოხდა პირიქით. ყოველგვარი უთანხმოების გარეშე მაძლევდა ავანსს. სანამ კანცელარიაში შევიდოდით, რომელიც გვერდით ოთახში იყო, ვერ მოვითმინე მადლობა არ მეთქვა ბატისტასათვის და ჩავილაპარაკე:

— გმადლობთ, ბატისტა... ალბათ იცით, რომ მიჭირს.

უცვებ ტუჩები მოვიკვნიტე. ვინ მრჯიდა ეს სიტყვები მეთქვა. მით უმეტეს, არც ისე მიჭირდა, როგორც ჩემი ნათქვამიდან დასკვნადა კაცი. უცვებ მივხვდი, ზედმეტი მომივიდა. ამის თქმა სულ არ იყო საჭირო. ბატისტამ დამწვარზე მდულარე გადაამასხა:

— მივხვდი, ძვირფასო ყმაწვილო, — მითხრა და მხარზე მამობრივი მზრუნველობით დამარტყა ხელი, წინასწარ ვიბრუნე, — მერე საწერ მაგიდასთან მჯდარ მდივანს მიმართა, — ეს სინიორ მოლტენია, ხელშეკრულება და ავანსი...

მდივანი მაშინვე წამოხტა, საქალაღდე გახსნა, იქიდან უკვე გამზადებული ხელშეკრულება ამოიღო, მასზე ქინძისთავით იყო მიმაგრებული ავანსის ქვითარი.

ბატისტა ჯერ რეინგოლდს დაემშვიდობა, შემდეგ კვლავ მე მომიბრუნდა, მხარზე ხელი დამარტყა, წარმატება მისურვა და თავის კაბინეტში შევიდა.

— სინიორ მოლტენი, — მითხრა რეინგოლდმა ხელის ჩამორთმევისას, შეეხვდებით, როგორც კი პარიზიდან დავბრუნდები... ამასობაში თქვენ „ოდისეას“ სცენარის მონახაზი გააკეთეთ და სინიორ ბატისტასთან ერთად განიხილეთ...

— ვარგი, — ვუთხარი, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულმა: მომეჩვენა, რომ რეინგოლდმა მრავალმნიშვნელოვნად და მეგობრულად დამიქნია თავი.

ჩემი გაოცება რომ შეამჩნია, რეინგოლდი უცვებ მომიახლოვდა, ხელი მკლავში გამომდო, პირი ყურთან მომიტანა და ჩამჩურჩულა:

— ნუ ღელავთ, ნურაფრისა გეშინიათ. ბატისტამ რაც უნდა, ის ილაპარაკოს, ჩვენ გავაკეთებთ ფსიქოლოგიურ ფილმს, მხოლოდ ფსიქოლოგიურს.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ სიტყვა „ფსიქოლოგიური“ გერმანულ აქცენტზე წარმოთქვა — „ფსიუკოლოგიური“. შემდეგ გამიღიმა, ხელი მაგრად ჩამომართვა, ჩვეულებისამებრ ქუსლი ქუსლს შემოჰკრა და წავიდა. რეინგოლდს თვალი გავაყოლე. უცვებ მდივნის ხმა ჩამესმა:

— სინიორ მოლტენი, ინებეთ ფული. აქ მომიწერეთ ხელი.

მეცხრე თავი

ჯერ შვიდი საათიც არ იქნებოდა, შინ რომ მივედი. ამაოდ ვეძებდი ემილიას ოთახებში. იგი სახლიდან გასულიყო და, ალბათ, ვახშობამდე არც დაბრუნდებოდა. გული ჩამწყდა, შინ რომ არ დამიხვდა. მერე როგორ მოვიჩქაროდი! მინდოდა მოსვლისთანავე მბეჭდავი ქალის ამბავი გამეხსენებინა. მე ხომ, როგორც იქნა, მივაგენი იმას, რაც დიდი ხანია მაწვალებდა... ჩვენი განხეთქილების მიზეზი ნამდვილად ის უნებური კოცნა იყო და იმედი მქონდა, სულ რამდენიმე სიტყვით შევძლებდი გამეფანტა გაუგებრობათა ბურუსი, შემდეგ კი მეხარებინა ხელშეკრულება „ოდისეაზე“, ავანსი და კაპარზე გამგზავრება. თუმცა ვიცოდი, რომ სულ რაღაც ორიოდ საათით გადაიდებოდა ჩვენი საუბარი, მაგრამ გულზე მაინც მწარე ნალველი შემომაწვა. ეს ავის მომასწავებლად მენიშნა.

იმ წუთში მჯეროდა, ემილიას ადვილად დავარწმუნებდი ჩემს სიმართლეში, მაგრამ ორი საათის შემდეგ, ვინ იცის შევძლებდი ამას თუ არა. როგორც ხედავთ, თავს ვირწმუნებდი, ემილიას გულგრილობის ნამდვილ მიზეზს მივაგენი-მეთქი, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, სადღაც გულის სიღრმეში არ მჯეროდა და საკმარისი აღმოჩნდა ემილია შინ არ დამხვედროდა, რომ ეს ეჭვი კიდევ უფრო გაღრმავებულიყო და ცუდ გუნებაზე დავმდგარიყავი.

მძიმე საგონებელში ჩავარდნილი, აღელვებული და დაბნეული შევუდექი კარადაში „ოდისეას“ პანდემონტესეული თარგმანის ძებნას.

შემდეგ საბეჭდ მანქანას მივუჯექი, ქალაღი ჩავდე, სიგარეტს მოვუკიდე და „ოდისეას“ მოკლე შინაარსის ბეჭდვა დავიწყე. მეგონა, მუშაობა გულზე შემოწოლილ დარდს გამიქარწყლებდა, ან მცირე ხნით მაინც დამიყუჩებდა ტკივილს. ამ ხერხისთვის წინათაც არაერთხელ მიმიმართავს. წიგნი გადავშალე და დინჯად ჩავიკითხე „ოდისეას“ პირველი სიმღერა. ქალაღდზე ჯერ სათაური დავბეჭდე: „ოდისეას“ მოკლე შინაარსი“. ქვემოთ კი განვაგრძე:

„ტროის ომი კარგა ხანია დამთავრდა. ელინთა გმირები, ვინც კი ამ ომში მონაწილეობდა, უკლებლივ დაბრუნდნენ სამშობლოში, გარდა ოდისევსისა, რომელიც ჯერ კიდევ შორსაა თავისი კუნძულისა და საყვარელი ოჯახისაგან“.

ამ ადგილზე ბეჭდვა შევწყვიტე, ვერ გადამეწყვიტა, „ოდისეას“ მოკლე შინაარსში შემეტანა თუ არა ღმერთების ბჭობა ოდისევსის ითაკაზე დაბრუნების თაობაზე. ჩემი აზრით, ეს მონაკვეთი მეტად მნიშვნელოვანი იყო, რადგან პოემაში მას შეჭქონდა აზრი ბედისწერის გარდუვალობაზე, ამავე დროს ადამიანის გმირულ ნებისყოფაზე, სიძნელეთა დაძლევაზე. ამ ეპიზოდის ამოღება ნიშნავდა უარი მეთქვა პოემაში აღწერილ არამიწიერ სამყაროზე, ბებუნებრივ მოვლენებზე, ბეციურ სასწაულთმოქმედებებზე, სცენარში უაღრესად პოეტური და სათაყვანო ღმერთების შემოყვანაზე. ეჭვი არ მეპარება, ბატისტა უარს იტყოდა სცენარში ღმერთების მონაწილეობაზე: აქაოდა, ღმერთები ლაყბობის მეტს არაფერი გააკეთებინო, თანაც ტყუილად გაირჯებიან იმაზე, რასაც პოემის გმირებიც შესანიშნავად შეძლებენო.

რაც შეეხება რეინგოლდს, მისი არაორაზროვანი ნათქვამი — ფსიქოლოგიური ფილმი უნდა დავდგათო, — ჩემს ღმერთებს კარგს არაფერს უქადდა, რადგან ფსიქოლოგიზმი ბედისწერის იდეას და ყოველგვარი ბეციური ძალის ჩარევას გამორიცხავს. მისი მიმდევარნი უკეთეს შემთხვევაში ბედისწერის გარდაუვალობას ადამიანის სულის სიღრმეში ეძებენ, მის ბნელ ლაბირინთებში, ეგრეთ წოდებულ ქვეცნობიერში.

აქედან გამომდინარე, ღმერთების გამოყვანა ზედმეტი იყო. ისინი არც სანახაობითი ფილმის სცენარისტისთვის გამოდგებოდნენ და არც ფილმის ფსიქოლოგიური ვარიანტისათვის... ასეთ აბურდულ და დახლართულ ფიქრებში იყო გართული ჩემი დაღლილი გონება. დროდადრო საბეჭდ მანქანას გადავხედავდი და თავს ვაიძულებდი მუშაობა განმეგრძო, მაგრამ არაფერი გამომდიოდა. თითის განძრევაც არ შემეძლო. უმოქმედოდ ვიჯექი საწერ მაგიდასთან და ღრმად ჩაფიქრებულს თვალები სიცარიელისთვის მიმეშტერებინა. სინამდვილეში,

„ოდისეას“ სიუჟეტზე ისე არ ვფიქრობდი, როგორც ვცდილობდი გავრკვეულიყავი იმ ჩემთვის უსიამოვნო გრძნობებში, რომლებიც ჩემს სულს მწარე ნალველითა და სიცივით ავსებდნენ. მაგრამ ისე ვიყავი ამ ფიქრებისაგან დაღლილ—განაწამები, გამოფიტული და სულდამძიმებული, რომ თვითონაც ვერ გამეგო, რა ხდებოდა ჩემს თავს.

უცებ, სრულიად მოულოდნელად უმოძრაოდ დამდგარ გუბურას წყლის ჭავლი რომ გადაურბენს ხოლმე, ისე გამიელვა გონებაში: „ახლა მე „ოდისეაზე“ ისეთი ქირურგიული ოპერაციის ჩატარებას ვაპირებ, როგორსაც ატარებენ ყოველთვის მხატვრული ნაწარმოების ეკრანიზაციისას, ხოლო როცა სცენარი დამთავრდება, წიგნს კარადაში დავაბრუნებ, ის კვლავ დაიკავებს თავის ადგილს იმ წიგნთა შორის, რომლებიც ასევე გამოვიყენე სცენარისათვის... გავა რამდენიმე წელი და როცა რომელიმე ახალი ფილმისთვის სხვა წიგნს დავუწყებ ძებნას დასამახინჯებლად და გამოსაშიგნავად, „ოდისეა“, ალბათ, კვლავ მომხვდება ხელში და ვიტყვი, ეს ის „ოდისეა“, რომლის მიხედვით სცენარი გავაკეთე რეინგოლდთან ერთად. ფილმი, რომელიც ვერ გავიდა ეკრანებზე... არაფერი გამოვიდა. ფუჭად ჩაიარა რამდენიმე თვის განმავლობაში ყოველდღიურმა, დილიდან დაღამებამდე ლაპარაკმა ოდისევსზე, პენელოპეზე, ციკლოპებზე, კირკებზე, სირინოზებზე... ყველაფერი ამაო გამოდგა. მხოლოდ იმიტომ, რომ... საკმარისი სახსრები არ აღმოჩნდა ფილმის დადგმისათვის. ამის გაფიქრებაზე უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ზიზღი ვიგრძენი იმ ხელობისადმი, რომელსაც ჩემი სურვილის წინააღმდეგ მივდევი. აქამდე ემილიას სიყვარულისთვის ვმუშაობდი, მხოლოდ მისთვის, მაგრამ ახლა, როცა შევამჩნიე, აღარ ვუყვარდი, ჩემმა სამუშაომ ყოველგვარი მიზანი დაკარგა.

არ ვიცი, რამდენი ხანი დავყავი ასეთ მდგომარეობაში. უძრავად ვიჯექი სავარძელში, თვალები ფანჯრისკენ მქონდა მიპყრობილი. როგორც იქნა, გავიგონე შემოსასვლელი კარის ჯახხუნი. შემდეგ სასტუმრო ოთახიდან ჩემს სმენამდე მოაღწია ნაბიჯების ხმამ და მივხვდი, ემილია დაბრუნდა. არ გავნძრეულ-

ვარ, ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემს ზურგს უკან კაბინეტის კარი გაიღო და ემილიამ მკითხა:

— შენ აქა ხარ? რას აკეთებ? მუშაობ?

მისკენ შევბრუნდი. ის კარის ზღურბლზე იდგა. ჯერ ქუდიც არ მოეხადა. ხელში შეკვრა ეჭირა. მაშინვე ვუპასუხე მშვიდად და აუღელვებლად, რამაც თვითონ გამაკვირვა, ამდენი განცდისა და თავისმტვრევის შემდეგ.

— არა, არ ვმუშაობ... ვფიქრობ, ხელი მოვკიდო თუ არა ბატისტას მიერ შემოთავაზებულ ახალ სცენარს.

მან კარი მოიხურა და მომიახლოვდა.

— ბატისტასთან იყავი?

— ჰო...

— რა, ვერ შეთანხმდით? საკმარისს არ გიხდის სცენარში?

— კი, როგორ არა, შევთანხმდით. ფულსაც საკმაოდ მაძლევს.

— მაშ, რა მოხდა? იქნებ სიუჟეტი არ მოგწონს?

— არა, სიუჟეტი კარგია.

— რა სიუჟეტია?

ვიდრე ვუპასუხებდი, წამით შევხედე, მომეჩვენა, როგორც ყოველთვის, ის ახლაც გაფანტული და გულგრილი იყო. ეტყობოდა, მოვალეობის მოხდის მიზნით ლაპარაკობდა.

— „ოდისეა“, — მოკლედ ვუპასუხე.

მან შეკვრა საწერ მაგიდაზე დადო, შემდეგ ცალი ხელი თავისკენ წაიღო და ქუდი ნელა მოიხადა. თავი გააქნია, რათა დატკეპნილი თმა გაესწორებინა. სახე უმეტყველო ჰქონდა, მზერა — დაბნეული. ან ვერ გაიგო, რომ ლაპარაკი ეხებოდა უკვდავ პოემას, ან, რაც უფრო სინამდვილესთან ახლოა, ეს სათაური გაეგონა, მაგრამ არაფერი იცოდა.

— ოჰ, — თქვა ბოლოს მოთმინებადაკარგულმა,

— არ მოგწონს?

— ხომ გითხარი, მომწონს-მეთქი.

— „ოდისეა“ ის არ არის, სკოლაში რომ სწავლობენ? რატომ არ გინდა გააკეთო?

— იმიტომ, რომ საერთოდ მინდა ხელი ავიღო კინოში მუშაობაზე.

— კი მაგრამ, ჯერ კიდევ ამ დილით არ დათანხმდი? და უცებ მივხვდი, რომ ახლა დადგა წუთი ახალი, ამჯერად უკვე გადამწყვეტი ახსნა— განმარტებისათვის. წამოვხტი, მკლავში ხელი ჩავავლე და ვუთხარი:

— სხვა ოთახში გავიდეთ, უნდა მოგელაპარაკო.

ემილია ამან უფრო შეაშინა, მთელი ძალით რომ ვუჭერდი ხელს მკლავზე, ვიდრე ჩემმა კილომ.

— რა დაგემართა... გაგიჟდი?

— არა, არ გავგიჟებულვარ. გავიდეთ მეორე ოთახში და იქ ვილაპარაკოთ.

კაბინეტის კარი გავაღე, ჩემს მკლავზე დაყრდნობილი ემილია სასტუმრო ოთახში შევიყვანე და სავარძლისაკენ ვუბიძგი:

— დაჯექი.

მე მის პირდაპირ დავჯექი.

— ახლა მოვილაპარაკოთ.

მან იტვნიულად და ჯერ კიდევ შიშხამდგარი თვალებით შემომხედა:

— აჰა, ილაპარაკე. გისმენ.

დავიწყე ცივი და ჩავარდნილი ხმით:

— გახსოვს, გუშინ რომ გითხარი, აღარა მაქვს სურვილი კინოში ვიმუშაო, რადგან შენი სიყვარულის აღარ მჯერა-მეთქი. შენ კი ამაზე მიპასუხე, მიყვარხარ და გირჩევ ხელი მოჰკიდო სცენარზე მუშაობასო. ასე იყო, ხომ?

— ჰო, ეგრე იყო.

— ასე და ამგვარად, — წარმოვთქვი მტკიცედ, არ ვიცი, რატომ, მაგრამ მგონია, ტყუილი მითხარი... ეს ან ჩემი სიბრაღით მოგივიდა, ან საკუთარი ანგარებისათვის.

— საკუთარი ანგარებისათვის? რა გინდა მაგით თქვა?

— ის მინდა ვთქვა, რომ, დავიწყე ახსნა, — შენ შეგიძლია დარჩე ამ ბინაში, რომელიც ძალიან მოგწონს. მისმა უხეშმა პასუხმა გამაოცა. ადგილიდან წამოხტა და თითქმის ყვირილით მითხრა:

— კი მაგრამ, ვინ მოგახსენა, რომ ეს ასეა?.. ამ ბინას ჩემთვის არავითარი ფასი არა აქვს, სრულიად არავითარი... მზადა ვარ, ახლავე დავბრუნდე ნაქირავებ ბინაში... როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ვერ მიცნობ კარგად... სულ არ მჭირდება შენი ბინა...

მისმა მწარე სიტყვებმა გული მატკინა. აბა როგორი საქმეა, ხელი გიკრან საჩუქარზე, რისი გულისთვისაც დიდი მსხვერპლი გამიღია. არაერთი სანუკვარი ოცნება შემეძინა. ბინა, რომელზეც ემილია ასე აგდებულად და ზიზღით ლაპარაკობდა, სიცოცხლის ფასად მიღირდა. მთელი ორი წლის მანძილზე მხოლოდ მას შევალეი ძალა და ენერჯია. ხელი ავიღე ჩემთვის საყვარელ საქმიანობაზე. დავთმე საუკეთესო მისწრაფებები, მისი სიტყვების დაჯერება არ მინდოდა, ამიტომ ჩავეკითხე კვლავ:

— მაშ, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ხომ?

— ნამდვილად არავითარი.

ხმა ბრაზისა და სიძულვილისაგან უკანკალებდა, არ მჭირდება, გაიგე? ჩემთვის არაფერს არ წარმოადგენს!.

— გუშინ რომ თქვი, მინდა ამ ბინაში დარჩენაო?

— ეს იმიტომ ვთქვი, რომ მინდოდა შენთვის მესიამოვნებინა, მეგონა, გაგახარებდი... მეგონა, შენ გინდოდა აქ ცხოვრება...

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა: მისი ლაპარაკიდან გამომდინარე, რომ მე, ვინც უარი ვთქვი სანუკვარ ოცნებაზე — თეატრზე, ვინც ბევრი რამ გავიღე მსხვერპლად იმისთვის, რისთვისაც არასოდეს მნიშვნელობა არ მიმიცია, თურმე, მე ვგიჟდები ამ ბინისთვის. ჩემთვის ყოველთვის სულ ერთი იყო, როგორ ბინაში ვიცხოვრებდი, ნაქირავებში თუ საკუთარში. მივხვდი, ემილია რატომღაც ცდილობდა ყველაფერში მე გამოვეყვანე დამნაშავე. მისი მხრივ, ეს დიდი უსამართლობა იყო. რა საჭიროა ასეთი გულქვაობა, მე მხოლოდ ის გავახსენე, რაც წინათ ძალიან უნდოდა ჰქონოდა და ახლა კი უარს ამბობდა. თუმცა რა შუაშია ბინა, აქ სულ სხვა რამ არის მთავარი.

— მოვეშვათ ბინას, — ვცდილობდი, ხმა შემერბილებინა და მშვიდად, გონივრულად მელაპარაკა: — ბინაზე სრულებით არ

მინდა შენთან ლაპარაკი, სულ სხვა რამეზე მტკივა გული... შენს ჩემდამი გრძნობაზე. გუშინ, არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ ნამდვილად იცრუე, როცა მითხარი, მიყვარხარო... დარწმუნებული ვარ, ეს ტყუილია და ამიტომაც არ მინდა კინოში მუშაობა. აქამდე თუ ვმუშაობდი, მხოლოდ შენი გულისთვის ვმუშაობდი, ახლა კი, როცა ვიცი, აღარ გიყვარვარ, ჩემთვის არავითარი აზრი აღარ აქვს სცენარებზე მუშაობას.

— კი მაგრამ, ვინ გითხრა რომ გატყუებ? ეგ რამ გაფიქრებინა?

— არაფერმა და ყველაფერმა... ამის თაობაზე გუშინ უკვე ვილაპარაკეთ. და არ მინდა ახლა კვლავ დავუბრუნდეთ... არის ისეთი რამ, რომლის ახსნა არ შეიძლება, ამის გრძნობ მხოლოდ... ჰოდა, ვგრძნობ, რომ აღარ გიყვარვარ...

ამ სიტყვებზე ემილიას, პირველად მთელი ჩვენი საუბრის განმავლობაში, თავისდა უნებურად გულახდილად აღმოხდა:

— რას ჩამაცივდი, რაში გჭირდება ამის გაგება? — თქვა მოულოდნელად ნაღვლიანი და დაღლილი ხმით, თან ფანჯარაში იხედებოდა, — რად გინდა... მოეშვი... გარწმუნებ, ორივესთვის ასე სჯობია...

— მაშასადამე, — შევაწყვეტინე სიტყვა, — შენ აღიარებ, რომ მე არ ვცდები და ჩემი ეჭვები მთლად უსაფუძვლო არ არის?

— არა, არაფერსაც არ ვაღიარებ... მინდა მხოლოდ, რომ მომეშვა.. ნუ ჩამაცივდი, ძალიან გთხოვ, თავი დამანებე... ეს სიტყვები თითქმის ტირილით წარმოთქვა. შემდეგ დასძინა: წავალ, ტანსაცმელს გამოვიცვლი!

ამ სიტყვებზე ფეხზე წამოდგა და კარისაკენ გაეშურა. უცებ ხელი მაჯაში წავავლე და შევაჩერე. სხვა დროსაც. ასე ვიქცეოდი ხოლმე — როცა მეტყოდა, უნდა გავიდეო, მოულოდნელად ხელს წავავლებდი ხოლმე გრძელსა და ნატიფ მაჯაში, რაც მოულოდნელად მწველი სურვილით ანთებდა. ეს თვითონაც კარგად იცოდა, ამიტომ მორჩილად ჩერდებოდა, მოთმინებით ელოდა ჩემს ალერსს. დამჯდარივე მოვხვევდი ხოლმე ხელს ფეხებზე, მოვიზიდავდი, სახეს მის მკერდში ჩავმაღავდი, ან მუხლებზე დავისვამდი. ეს ყველაფერი ცოტაოდენი წინააღ-

მდეგობისა და ალერსის შემდეგ თავდავიწყებით მთავრდებოდა იქვე, სადაც ვიყავით, სავარძელსა თუ დივანზე. ამჯერად კი ჩემს ქცევაში გრძნობა არ ერია, რისმა გაფიქრებამაც გული მწარედ მატკინა.

არც ახლა დამსხლტომია ხელიდან. ამჯერადაც იდგა და ზემოდან დამყურებდა დამჯდარს.

– ბოლოს და ბოლოს, გამაგებინე, რა გინდა ჩემგან?!

– სიმართლე.

– შენ მაინცდამაინც გინდა, ჩვენი ურთიერთობა გაუარესდეს... აი, რა გინდა!

– მაშასადამე, შენ ფიქრობ, რომ სიმართლე არც ისე სასიამოვნო იქნება ჩემთვის, გულს მატკენს, ხომ?

– მე ეგ არ მითქვამს..

– ახლა არა თქვი, გინდა, რომ ჩვენი ურთიერთობა გაუარესდესო?..

– ეს ისე ვთქვი. ახლა კი გამიშვი...

მაგრამ ადგილიდან არც დაძრულა, არც ხელის გათავისუფლება უცდია, უბრალოდ, იდგა და მოთმინებით იცდიდა, თვითონ როდის გაუშვებდი. მის ასე ცივსა და ზიზღით სავსე მოთმინებით ლოდინს ათასჯერ მერჩია გაცხარებულისყო, უხეშად მომქცეოდა.

ხელები შემოვხვიე ფეხებზე იმ იმედით, იქნებ ჩამქრალი სიყვარული გაუღვივო-მეთქი. ემილიას გრძელი, ფართონაოჭებიანი კაბა ეცვა და, როგორც დაშვებული აფრა შემოევლება ხოლმე ხომალდის ანძას, ისე შემოვავლე კაბის კალთები მის ჩამოსხმულ, მკვრივ ფეხებს და ვიგრძენი, როგორ აღმეძრა დაუმორჩილებელი და ამავე დროს განუხორციელებელი მწველი სურვილი ემილიას დაუფლებისა. გულდამძიმებულმა ავწიე თავი და ვკითხე:

– ემილია, რას მერჩი, რა გინდა ჩემგან?

– სრულიადაც არაფერი. ახლა კი გამიშვი!

მთელი ძალით მოვხვიე ფეხებზე, თავი კაბის კალთებში ჩავრგე. წინათ ცოტა ხნის შემდეგ თავზე მისი ხელის შეხებას ვგრძნობდი ხოლმე. ნაზად, ალერსით მისვამდა ხელს და ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჩემს სურვილს თანაუგრძნობდა. ახლა

კი მისი ხელი უმოძრაოდ და უსიცოცხლოდ ეკიდა. მისმა ასეთ-მა განსხვავებულმა საქციელმა წინანდელსა და დღევანდელს შორის გული მატკინა. ფეხებზე ხელი შევეუშვი და ახლა მაჯაში ვწვდი გამწარებული:

— არა, არ წახვიდე... ახლავე, ამ წუთში სიმართლე უნდა მითხრა... აქედან ვერსად ვერ წახვალ, მანამ, სანამ სიმართლეს არ მეტყვი.

ის იდგა და კვლავ ზემოდან დამყურებდა. მე თავჩაქინდრული ვიჯექი და თუმცა მის სახეს ვერ ვხედავდი, მაინც ვგრძნობდი, როგორ ყოყმანობდა იგი, რაღაცის თქმა სურდა. ბოლოს, როგორც იქნა, გადაწყვიტა ეთქვა:

— ღმერთმა იცის, თანახმა ვიყავი, ყველაფერი წინანდებურად ყოფილიყო, ორივესთვის უმჯობესი იქნებოდა, მაგრამ რაკი ასე ისურვე... რაკი სიმართლე გინდა იცოდე, გეტყვი... მე მართლა აღარ მიყვარხარ...

ადამიანებს ძალგვიძს უამრავი უსიამოვნო ამბავი, ათასი უბედურება წარმოვიდგინოთ და ვივარაუდოთ კიდევ, რომ ეს ყველაფერი ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება დაგვატყდეს თავზე, მაგრამ როცა ეს წარმოდგენები, უფრო სწორად, ეს ვარაუდი გამართლდება და თანაც გამართლდება მოულოდნელად, მაშინ აღარაფერი დაგვრჩენია, გულის ტკივილის გარდა.

თუმცა დიდი ხანია ვგრძნობდი, ემილიას აღარ ვუყვარდი, მაინც პირადად მისმა ნათქვამმა სიმართლემ სხვანაირად იმოქმედა. აღარ ვუყვარვარ — ამ სიტყვებს ხომ გუნებაში არაერთხელ ვიმეორებდი, მაგრამ ახლა მათ თავბარი დამცეს და სულ სხვა, ახალი მნიშვნელობა მიიღეს. ეს უკვე სინამდვილე იყო და არა — ვარაუდი. უფრო მეტიც, მწარე სინამდვილე. ახლა ეს სიტყვები ნათლად ჩამოყალიბდა ჩემს გონებაში, რაც აქამდე ყოველთვის ბუნდოვნად მესახებოდა. ახლა უკვე აღარ მახსოვს კარგად, როგორ შევხვდი ამ სიტყვებს. ალბათ, იმ ადამიანივით ამიტანა ძაგძაგმა, რომელიც ყინულივით ცივი შხაპის ქვეშ დადგა, თუმცა იცოდა, რომ წყალი ცივი იქნებოდა. ვცადე ჩამეხშო ამ სიტყვებით გამოწვეული მწვავე ტკივილი და შეძლებისდაგვარად მშვიდად, ტკბილად განმეგრძო დაწყებული საუბარი:

— ემილია, მოდი აქ, დაჯექი და ამიხსენი, რატომ აღარ გიყვარვარ.

— ემილია მორჩილად ჩამოჯდა დივანზე და ცოტა გაბრაზებით მიპასუხა:

— რა უნდა გითხრა, აღარ მიყვარხარ, მორჩა და გათავდა. ესაა და ეს, რაც შემიძლია გითხრა.

რაც უფრო ვცდილობდი თავს მოვრეოდი და აუღელვებლად მელაპარაკა, მით უფრო ეკალივით მჩხვლეთავდა გულზე მისი სიტყვებით მოყენებული აუტანელი ტკივილი. ნაძალადევი ღიმილით ვუთხარი:

— ემილია, ერთში მაინც უნდა დამეთანხმო, მოვალე ხარ, ცოტათი მაინც. ამიხსნა მიზეზი... მსახურს რომ ითხოვენ სახლიდან, მიზეზს ხომ იმასაც უხსნიან...

— აღარ მიყვარხარ, მეტი არაფერი მაქვს სათქმელი.

— კი მაგრამ, რატომ?.. ადრე ხომ გიყვარდი?

— ჰო, მიყვარდი და ძალიანაც... მაგრამ ახლა აღარ მიყვარხარ.

— მართლა ძალიან გიყვარდი?

— ჰო, ძალიან, მაგრამ ახლა ყველაფერი დამთავრდა.

— კი მაგრამ, რატომ? რაღაც მიზეზი ხომ უნდა იყოს?

— მიზეზი?.. შესაძლოა კიდევ არის... მაგრამ ამის ახსნა არ შემიძლია... მხოლოდ ის ვიცი, რომ აღარ მიყვარხარ.

— ნუ იმეორებ ეგრე ხშირ—ხშირად, — ჩემდა უნებურად აღმომხდა ხმამაღლა.

— თვითონ მაიძულებ გავიმეორო.. არ გინდა გაიგო ჩემი ნათქვამი, ამიტომაც ვიმეორებ.

— კმარა, გავიგე.

სიჩუმე ჩამოვარდა. ემილიამ სიგარეტს მოუკიდა, თავი არ აუწევია, ისე ეწეოდა სიგარეტს. მე თავი ხელებში მქონდა ჩარგული. ბოლოს ვთქვი:

— რომ დაგისახელო მიზეზი, დამეთანხმები?

— როგორ უნდა დაგეთანხმო, როცა მიზეზი თვითონაც არ ვიცი.

— მე თუ გეტყვი მიზეზს, შეიძლება დამეთანხმო ან უარი თქვა?

— კარგი. რა გაეწყობა, თქვი!

მინდოდა მთელი ძალით მეყვირა, ასე ნუ მელაპარაკები-მეთქი, რადგან გულზე მომხვდა მისი აუღელვებელი, ცივი და გულგრილი კილო, მაგრამ თავს ვერ მოვერიე და ვცადე ისევ მშვიდად მელაპარაკა:

— გახსოვს ის ქალიშვილი, რამდენიმე თვის წინ სახლში რომ მოდიოდა ჩემი სცენარის დასაბეჭდად?... აი, ის მემანქანე. შენ რომ შემოგვისწარი კოცნის დროს... რა თქმა უნდა, მაშინ სულელური სისუსტე გამოვიჩინე, მაგრამ, გეფიცები, ის კოცნა პირველი და უკანასკნელი იყო. ამის შემდეგ ის ქალიშვილი არსად მინახავს. მითხარი, მიზეზი ხომ ის კოცნა იყო, ჩემი სიყვარული გულიდან რომ ამოგაღებინა? სიმართლე მითხარი... ნუთუ ამ კოცნისთვის აიყარე ჩემზე გული?

ლაპარაკის დროს ყურადღებით ვაკვირდებოდი ემილიას. თავდაპირველად მის სახეზე გაკვირვება გამოისახა, შემდეგ უარყოფის ნიშნად ისე გააქნია თავი, თითქოს, აქაოდა, შენი ვარაუდი სრული უაზრობააო. მერე ნათლად დავინახე, გამომეტყველება უცებ შეეცვალა. თითქოს რაღაც აზრი დაებადაო, და წყნარად მიპასუხა:

— ვთქვათ, ეგ კოცნაა მიზეზი... ახლა ხომ დამშვიდდი?

მივხვდი, ეს კოცნა არც ახსოვდა, მაგრამ ახლა რატომღაც უნდოდა დავერწმუნებინე, მიზეზი ეს არისო. ყველაფერი ნათელი იყო: ემილია პირველად გააკვირვა ჩემმა ვარაუდმა, ისე შორს იყო სინამდვილისგან. შემდეგ კი უცებ გადაწყვიტა დამთანხმებოდა და ამით მოვეცილებინე; ვიგრძენი, ემილიას ჩემდამი გულგრილობის მიზეზი უფრო ღრმა იყო, ვიდრე ის უცოდველი კოცნა. ეტყობა, ნამდვილი მიზეზის თქმა უჭირდა, არ უნდოდა მოვეშხამე, რადგან ჯერ კიდევ არ გაქრობოდა ჩემდამი პატივისცემა. ვიცოდი, ემილია ბუნებით არ იყო ცუდი ადამიანი, არ შეეძლო ვინმეს წყენინება, რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა, ნამდვილ მიზეზს არ მიმხელდა, არ უნდოდა გული მოეკლა ჩემთვის.

ტკბილად ვუთხარი:

— რატომ ტყუი, ის კოცნა არ არის მიზეზი...

მან გაიკვირვა:

— რატომ?... ხომ გითხარი, მიზეზი ეგ არის-მეთქი.

— არა, მიზეზი სულ სხვა რამეა...

— არ მესმის, რა გინდა მაგით თქვა.

— მშვენივრად იცი.

სახეზე მოუთმენლობა გამოეხატა და თითქოს პატარა ბავშვს ჭკუას არიგებსო, იმ კილოზე დამიწყო ლაპარაკი:

— კი მაგრამ, რაში გჭირდება ამის ცოდნა?... რა კაცი ხარ, ვერ გამიგია. ჩაცემა გიყვარს... შენთვის სულერთი არაა?

— არ არის სულერთი, მირჩევნია სიმართლე ვიცოდე, როგორც არ უნდა იყოს იგი, ვიდრე ტყუილით დავკმაყოფილდე... გარდა ამისა, თუ სიმართლეს არ მეტყვი, ვინ იცის, რამდენი რამ შემიძლია წარმოვიდგინო, შესაძლოა, ძალიან ცუდიც...

ერთი წუთით გაჩუმდა, შემდეგ კი რაღაც უცნაურად შემომხედდა:

— რა მნიშვნელობა აქვს შენთვის? შენ ხომ სინდისი სუფთა გაქვს.

— მე, ჰო, რა თქმა უნდა.

— ჰოდა, აბა სხვისი რაში გეკითხება შენ?

— მაშასადამე, არ შევმცდარვარ, ნამდვილად უფრო ცუდი რამაა მიზეზი, — არ მოვეშვი მე.

— მე ეგ არ მითქვამს... მე მხოლოდ ისა ვთქვი, რომ შენ თუ სინდისი სუფთა გაქვს, ის კოცნა არ უნდა გაღელვებდეს-მეთქი.

— სინდისი სუფთა მაქვს, მართალია, მაგრამ ეს კიდევ არაფერს ნიშნავს, რადგან ზოგჯერ სინდისიც ტყუის...

— ყოველ შემთხვევაში, შენი არა, ხომ მართალია? — თქვა ოდნავ შესამჩნევი ირონიით, მაგრამ ეს ირონია მე არ გამომპარვია. ამან უფრო მატკინა გული, ვიდრე მისმა გულგრილმა კილომ.

— შეიძლება ჩემიც... — ვუპასუხე.

— ჰო, კარგი, კარგი, უნდა წავიდე, — თქვა მოულოდნელად — კიდევ გაქვს რამე სათქმელი?

— არა, შენ. ვერსად ვერ წახვალ, სანამ სიმართლეს არ მეტყვი.

– უკვე გითხარი: აღარ მიყვარხარ.

გულში ისარივით მეძგერა ეს ორი სიტყვა, გავფითრდი და თითქმის ტირილით წამოვიძახე:

– ხომ გთხოვე, მაგ სიტყვებს ასე ხშირად ნუ იმეორებ-მეთქი!... გულსა მტკენ.

– შენ მაიძულებ გავიმეორო, თორემ არც მე მეხალისება მაგის თქმა.

– რატომ გინდა დამარწმუნო, რომ ვითომ ამ სულელური კოცნის გამო გადამიყვარე? – ხმამაღლა მოვყევი ფიქრს, – ის კოცნა ნამდვილად არაფერ შუაშია. ის ქარაფშუტა გოგო მეტი აღარსად მინახავს. ეს ყველაფერი შენ კარგად იცი და გაგეგება... აღარ გიყვარვარ, ამას წყალი არ გაუვა, – ახლა უკვე ნელა ვლაპარაკობდი, საჭირო სიტყვებს ვეძებდი, რათა ჯეროვნად, დალაგებულად გამომეთქვა ჯერ კიდევ ბუნდოვანი ვარაუდი.

– არა, მხოლოდ მაგიტომ არ გადამიყვარებდი... შენს ცხოვრებაში ნამდვილად მოხდა რაღაც ისეთი, რამაც გული გაგიცივა, ან, უფრო სწორად რომ ვთქვა, ჯერ აზრი შეგეცვალა, შემდეგ კი გრძნობაც...

ეტყობა, რაღაც ენიშნა ემილიას, ჩემი მსჯელობით გაცეზბულმა გულწრფელად, ლამის შექცებით წარმოთქვა:

– უნდა ვაღიარო, ჭკვიანი ყოფილხარ...

– მაშ, მართალი ვარ...

– მე ეგ არ მითქვამს... მხოლოდ ის აღვნიშნე, ჭკვიანი ყოფილხარ-მეთქი.

ვცდილობდი ჭეშმარიტების დადგენას და ვგრძნობდი, სულ ახლოს ვიყავი მასთან.

– მაშასადამე, ვიდრე ის რაღაც მოხდებოდა, კარგი შეხედულებისა იყავი ჩემზე, შემდეგ კი აზრი შეგეცვალა და გულიც აიყარე...

– შესაძლოა, ეგრეც იყოს...

გაუსაძლისად დამძიმდა გული. საკუთარი აუღელვებელი და მშვიდი კილო თავადვე მომეჩვენა ყალბი. სინამდვილეში ბოლმა ამოხეთქვას ლამობდა, უიმედობისგან სასოწარკვეთილი თავს ვაიძულებდი, მშვიდად განმესაჯა ყოველივე. რაში

მჭირდებოდა ეს მოჩვენებითი, ყალბი კილო? თვითონაც არ ვიცოდი, იმ წუთში რა დამემართა. სანამ გონს მოვიდოდი, ფეხზე წამოვხტი და მთელი ძალით ვიყვირე:

— ხომ არ გგონია, ცარიელი ლაპარაკისთვის ვიკლავ თავს!

უცებ ვეცი ემილიას, ხელები ყელში წავუჭირე და დივანზე დავახეთქე.

— სიმართლე მითხარი, ახლავე, ამ წუთში!

მისი ჩამოსხმული სხეული, ასე ძალიან რომ მიყვარდა, ახლა ჩემი სხეულის ქვეშ ფართხალებდა. ემილიას სახე წამოუწითლდა, გაუსივდა, ალბათ ძალიან ვუჭერდი ხელებს, ცოტაც და დავახრჩობდი, ახლავე, ამ წუთში სიმართლე მითხარი!

მისი დუმილით გაათრებულმა, გაორკეცებული ძალით წავუჭირე ხელები ყელში, თავში გამიელვა: „ახლა კი ნამდვილად შემომაკვდება, მაგრამ სჯობს მოკვდეს, ვიდრე ჩემი მტერი იყოს“. ვიგრძენი, როგორ ცდილობდა ემილია მუხლი ჩემთვის ამოერთყა. კიდევ შეძლო, დარტყმა ისეთი ძლიერი იყო, რომ სიმწრისაგან სუნთქვა შემეკრა და ისეთივე ტკივილი მომაცენა, როგორც მისმა ნათქვამმა — „აღარ მიყვარხარ“... ეს დარტყმა ნამდვილად მტრის დარტყმას ჰგავდა, რომელიც ცდილობს რაც შეიძლება მეტი ტკივილი მიაცენოს მოწინააღმდეგეს. მაგრამ იმავე წუთს ჩემი გაშმაგებაც დაცხრა: ოდნავ შევუშვი კისერზე მარწუხებივით შემოჭერილი თითები. თავი გაითავისუფლა თუ არა, ისეთი ძალით მიბიძგა, კინაღამ დივნიდან გადმომაგდო, სანამ გონს მოვიდოდი, გაათრებულმა მომახალა:

— მეზიზღები, მხოლოდ ზიზღსა ვგრძნობ შენ მიმართ. ზიზღია მიზეზი, რომ აღარ მიყვარხარ, ყოველ შენს შეხებაზე გული მერევა... აი, სიმართლე თუ გინდა. მეზიზღები, მძულხარ!

წამოვდექი, მთელი სხეული მიცახცახებდა.. უცებ ჩემი მზერა მაგიდაზე მძიმე ბროლის საფერფლეს მისწვდა. ხელი გავიშვირე მის ასაღებად. ემილიამ გაიფიქრა, ახლა კი ნამდვილად მომკლავსო, შეშინებულმა წამოიყვირა და სახეზე ხელები აიფარა. მაგრამ ჩემმა მფარველმა ანგელოზმა მისხნა, არ ვიცი, თავს როგორ მოვერიე, საფერფლე ისევ მაგიდაზე დავდე და ოთახიდან გავედი.

მეთე თავი

როგორც უკვე ვთქვი, ემილიას დიდი განათლება არ ჰქონდა მიღებული. დაწყებითი სკოლის დამთავრების შემდეგ სულ რაღაც ორიოდე წელი იარა საშუალო სასწავლებელში და მერე თავი მიაჩნდა. შეისწავლა მანქანაზე ბეჭდვა, სტენოგრაფია და უკვე თექვსმეტი წლისა ერთი ადვოკატის კანტორაში მუშაობდა. ისიც უნდა ვთქვა, რომ როგორც იტყვიან ხოლმე, კარგი ოჯახიდან იყო. წარსულში გარკვეული ქონებაც ჰქონიათ მის წინაპრებს რომის გარეუბანში, მაგრამ მას თავქარიან პაპას მთელი მამულები კომერციულ სპეკულაციაში გაენიავებინა, მამა კი სიკვდილამდე ფინანსთა სამინისტროს უბრალო მოხელედ დარჩენილა. ისე რომ, ემილია სიღარიბეში გაიზარდა. მისი აღზრდისა და გონების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, მას ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსულ ქალებს მივაკუთვნებდით. ამ ქალებივით მასაც მხოლოდ თავისი საზრიანობის იმედი ჰქონდა და მართლაც, ამ ერთადერთი, ღვთისგან მომადლებული ნიჭის წყალობით, ჩემდა განსაცვიფრებლად, ემილია შეუცდომლად მსჯელობდა ხოლმე ამა თუ იმ მოვლენაზე. დაბალი წრიდან გამოსულ ხალხს სჩვევია ასე და ეს ალბათ, იმიტომ, რომ ისინი უფრო ახლოს არიან ბუნებასთან და თავი გამოტენილი არა აქვთ ათასგვარი პირობითობითა და სხვათა შეხედულებებით. ემილია მოუფიქრებლად არაფერს იტყოდა. ამიტომაც იყო მისი ნათქვამი ყოველთვის პირდაპირი, გულწრფელი და დამაჯერებელი. მაგრამ თვითონ ემილიას თავისი მსჯელობა არასოდეს მიაჩნდა საკმარისად გამართულად და ჩამოყალიბებულად და მისთვის დამახასიათებელი თავმდაბლობით ცდილობდა ხოლმე დასარწმუნებლად მეტი საბუთი მოეტანა, ნათქვამი უფრო საფუძვლიანი გაეხადა. ამიტომაც იყო, რომ ემილიას წამოსროლილი სიტყვების სიმართლეში — მეზიზღებით — ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი. თუმცა სხვა ქალისგან იგივე რომ გამეგონა, შესაძლოა, არაფრად ჩამეგდო. მაგრამ ეს სიტყვა ემილიამ თქვა და, მაშასადამე, მართა-

ლი თქვა, მაშასადამე, ნამდვილად ვეზიზღებოდი და ამ შემთხვევაში მე უღონო ვიყავი. ემილიას ბუნებაც რომ არ მცოდნოდა, მარტო კილო, რითაც ეს სიტყვა წარმოთქვა, ყოველგვარ ეჭვს ფანტავდა. ეს იყო მართალი სიტყვა, ეს იყო იმ ადამიანის ნათქვამი სიტყვა, ვისაც შესაძლოა ცხოვრებაში არც არასოდეს უთქვამს, მაგრამ რაკილა შემთხვევა მიეცა, გულის სიღრმიდან ამოისროლა და ამოხეთქა. ასე სჩვევიათ ხოლმე გლეხებს: საუბრობენ სოფლურ, კუთხურ ყაიდაზე და უცებ ისეთ მნიშვნელოვან, ღრმააზროვან, ზუსტად მორგებულ სიტყვას ჩაურთავენ, რომ გაგიკვირდება, გლეხის პირით ნათქვამი და დაუჭერებელი გეჩვენება.

„მეზიზღები“ — ამ სიტყვაში ისეთივე დამაჯერებლობა და სიმართლე იყო ჩაქსოვილი, როგორც ემილიას ნათქვამ სრულიად საწინააღმდეგო სიტყვაში „მიყვარხარ“, — სიყვარულში რომ გამომიტყდა პირველად, და როცა ეს საერთო მსგავსება აღმოვაჩინე, გული ტკივილმა დამისერა.

ისე ღრმად ვიყავი დარწმუნებული ამ სიტყვის სიწრფელესა და სიმართლეში, რომ კაბინეტში მარტო დარჩენილი ბოლთის ცემას მოვეყვი, ნერვიულობისგან ხელებს ვიმტვრევდი, თვალებს უაზროდ ვაცეცებდი. არ ვიცოდი, რა წყალში ჩავვარდნილიყავი. ეს სიტყვა ეკალივით მჩხვლეთდა გულზე და გაუსაძლისად მტკენდა და იმ ტკივილის გარდა ველარაფერს ვგრძნობდი. ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, იმის შეგნება მტანჯავდა, რომ ემილიას არა მარტო არ ვუყვარდი, არამედ ვეზიზღებოდი კიდევ. ამაოდ ვეძებდი საკუთარ თავში ისეთ რამეს, თუნდაც უმნიშვნელოს, რითაც შემეძლო მისი ზიზღი გამომეწვია. ვგრძნობდი, დაუმსახურებლად მაწყენინეს, მაგრამ თან შიში მიჰყრობდა, იქნებ ეს ზიზღი საფუძვლიანია, იქნებ რაღაც ობიექტურ მიზეზზეა დამყარებული, იქნებ მე ვერ ვაჩინე ამ მიზეზს, სხვებისთვის კი აშკარა და თვალნათლივიამეთქი. აქამდე ასე მეგონა, მთლად პატივისცემას თუ არა, ყოველ შემთხვევაში, შებრალებანარევ პატივისცემას მაინც ვიმსახურებდი იმ უიღბლო კაცივით, ვისაც ცხოვრებაში ბედი არ სწყალობდა, მაგრამ ზიზღს კი არ მოველოდი. ემილიას წამოსროლილმა სიტყვამ მთლად თავდაყირა დააყენა ყველაფერი,

ჩემს სიცოცხლეში პირველად შემეპარა ეჭვი საკუთარი თავის შეცნობაში: თურმე აქამდე მცდარი აზრისა ვყოფილვარ საკუთარ თავზე.

ემილიას სიტყვით დანთებული ხანძარი ტვინს მიწვავდა. სააბაზანოში შევედი და თავი შხაპს შევეშვირე. ყინულივით ცივმა წყალმა ცოტა გამომაკეთა. პირი დავიბანე, თმა დავივარცხნე, ჰალსტუხი გავიკეთე და სასტუმრო ოთახში დავბრუნდი. გაწყობილი სუფრის დანახვაზე კვლავ აღვშოთდი. ყველაფერი ისე იყო, როგორც წინათ. თითქოს არაფერი მომხდარიყოს. განა შეიძლებოდა წინანდებურად მივსხდომოდით სუფრას იმ ოთახში, სადაც ემილიას გულისგამგმირავი სიტყვები ჯერ კიდევ ჰაერში ტრიალებდა?! სწორედ იმ წუთში კარი გაიღო და ზღურბლზე ემილია გამოჩნდა. სახეზე უკვე ჩვეული წყნარი და აუღელვებელი იერი ედო. არც შემიხედავს, ისე ვუთხარი:

— ამ საღამოს არ მსურს სახლში ვივახშმოთ... მოსამსახურე გააფრთხილე, მივდივართ—თქო... ჩაიცვი ჩქარა, რესტორანში მივდივართ.

გაკვირვებულმა შემომხედა:

— კი მაგრამ, სუფრა უკვე გაწყობილია, ხომ არ გადავყრი!

უცებ ავენთე:

— კმარა! გადაყარე, რაც—გინდა, ის ქენი, ახლა კი სასწრაფოდ ჩაიცვი, მივდივართ.

არც ახლა შემიხედავს მისთვის, მხოლოდ მომესმა, როგორ ჩაილაპარაკა: — არ მესმის, რა საქციელია... და კარი გაიხურა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სახლიდან გავედით. ვიწრო ქუჩაში, სადაც ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკრივებულიყო ჩვენი სახლივით ვერანდიან—აივნიანი ერთნაირი ახალი სახლები, ჩემი მცირელიტრაჟიანი მანქანა გვიცდიდა. იგი საცოდავად ჩაკარგულიყო გაკრიალებული, მდიდრული მანქანების ზღვაში. ამ ახალი შენაძენისა და ბინის ვალის გადახდასაც მომავალი სცენარის ჰონორარის იმედით ვაპირებდი. სულ რამდენიმე თვე იყო, რაც მანქანა ვიყიდე, მაგრამ ჯერ კიდევ არ გამომნელებოდა ის ბავშვური პატივმოყვარული გრძნობა, რასაც მსგავსი ფუფუნების საგნების შეძენა იწვევს ხოლმე. მაგრამ ამ

სალამოს, როცა მე და ემილია ერთმანეთის გვერდიგვერდ უცხოებით, მდუმარედ მივდიოდით მანქანისაკენ, მწარედ გავიფიქრე: „ისევე, როგორც ბინას, ამ მანქანასაც მსხვერპლად შევწირე მთელი ჩემი საუკეთესო მისწრაფებები და შევწირე თურმე ამაოდ, თურმე არავის სჭირდებოდა ეს მსხვერპლი“. და მართლაც, იმ წუთში განსაკუთრებულად შევიგრძენი, რა უაზროდ დაუპირისპირდა ერთმანეთს გაკრიალებული ავტომანქანებით გაჭედილი ქუჩა, — სადაც ყველაფერი ახალი და მდიდრული იყო, ჩვენი ბინა, — რომლის ფანჯრებიც გადმოგვყურებდა, მანქანა, — რომელიც სადარბაზოს შორიანხლოს გველოდა — და სულისშემძვრელი გრძნობა თავს დატეხილი უბედურებისა. სწორედ ამ უკანასკნელის გამო ყველაფერი მეჩვენებოდა ამაო და გამაღიზიანებელი.

მანქანაში ჩავჯექი და ვიდრე ემილია არ მოკალათდა, კარის მოსახურად ხელი არ გამიწევია. ჩვეულებრივ, როცა ამას ვაკეთებდი, ხელისგულებით მის მუხლებს ვეხებოდი, ან ლოყაზე ნაზად ვკოცნიდი ხოლმე.

მაგრამ ამჯერად უნებურად ერთსაც და მეორესაც თავი მოვარიდე და ხმაურით მოვიხურე მანქანის კარი.

მცირე ხანს ორივე ვდუმდით. შემდეგ სიჩუმე ისევ ემილიამ დაარღვია.

— საით მივდივართ?

ცოტა ხანს ვიყუჩე, შემდეგ კი, ვერაფერი რომ ვერ მოვიფიქრე, ალაღბედზე წამოვისროლე:

— აპიის გზაზე...

ემილიამ ოდნავი გაოცებით თქვა:

— რა დროს აპიის გზაზე წასვლაა. შეგვცვივდება. თანაც ახლა იქ არავინ იქნება...

— ნუ იქნება, ჩვენ ხომ ვიქნებით...

ის გაჩუმდა. მთელი სისწრაფით მივაქროლებდი მანქანას აპიის გზისაკენ. ჩვენს კვარტალს გავცდი, ქალაქის ცენტრი გადავჭერი და ტრიონისა და პასეიჯიატა არქეოლოგიკას ქუჩაზე გავედი. უკვე გამოჩნდა ქალაქის უძველესი დახავსებული კედლები, ბოსტნები, ბაღები, ხეებში ჩამალული სააგარაკო

სახლები აპიის გზის დასაწყისში. აი, ფარნების მკრთალი შუქით განათებული კატაკომბების შესასვლელი. მართალი იყო ემილია: აქ სულიერი არ ჭაჭანებდა.

შევედით რესტორანში, რომელიც არქეოლოგების სახელს ატარებდა. ძველებურ ყაიდაზე ამოყვანილ, უხეშად თლილი ქვის კედლებზე აქა—იქ დაეტანებინათ მარმარილოს ნახატები — საფლავის ქვების ნაწილები და დარბაზიც თიხის ამფორებით მოერთოთ.

რესტორანში ცარიელი მაგიდებისა და ოფიცინტების გარდა არავინ დაგვხვდა. მარტო აღმოვჩნდი ამ უკაცრიელ და ცივ დარბაზში. სინანულით გავიფიქრე, ცნობისმოყვარე უსაქმო ოფიცინტებით გარემემოჯარული, ალბათ, ვერც მოვახერხებთ ჩვენი ურთიერთობის გარკვევას-მეთქი. შესაძლოა, პირიქითაც მომხდარიყო. უცებ მივხვდი: შემთხვევითი არ იყო, ასეთი საძაგელი ამინდის მიუხედავად, ჩემი არჩევანი სწორედ ამ რესტორანზე რომ შეჩერდა. ჩვენთვის იმ ბედნიერ დროს, იმ ორ წელიწადს, როცა ერთმანეთი გვიყვარდა, ყოველთვის აქ ვვახშმობდით ხოლმე.

თვალისდახამხამებაში გაჩნდნენ ჩვენ წინ ოფიცინტი და ბარმენი. ერთი კერძების მენიუს გვთავაზობდა, მეორე — სხვადასხვა მარკის საუკეთესო ღვინოებს. კერძებს ვარჩევდი, თან ემილიას ვუთანხმებდი, მოსიყვარულე და მზრუნველი ქმარით.

ემილიას თვალები დაეხარა და თავაუღებლივ მხოლოდ ერთი სიტყვით მპასუხობდა:

— ჰო.. არა... კარგი...

ერთი ბოთლი ძვირფასი ღვინოც დავუკვეთე, რაზედაც ემილიამ გადაჭრით განაცხადა, არ დავლევო.

— მე დავლევ, — ვთქვი მე.

ბარმენმა შეთქმულივით გამიღიმა და ოფიცინტთან ერთად გაშორდა ჩვენს მაგიდას.

არ მინდა აღვწერო ამ ვახშმობის თითოეული წვრილმანი, მსურს მხოლოდ დავხატო იმსაღამონდელი ჩემი სულიერი მდგომარეობა, ასე ახალი და უჩვეულო, რომელსაც შემდეგში ჩვეულებრივ მოვლენად გახდომა ეწერა.

ამბობენ, ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში დიდი ენერჯის დახარჯვა არ გვიწევს, ყველა მოქმედება სრულდება დროთა განმავლობაში გამომუშავებული ავტომატიზმის წყალობით. ბევრ მოძრაობას სრულიად ანგარიშშიუცემლად ვასრულებთ. ერთი ნაბიჯიც რომ გადავდგათ, ამ საქმიანობაში არაერთი კუნთი მონაწილეობს, მაგრამ ამას ვერ ვამჩნევთ. სწორედ ასევეა ადამიანთა ურთიერთობაშიც. სანამ მჯეროდა, რომ ემილიას ვუყვარდი, ერთგვარი ბედნიერების ავტომატიზმი მართავდა ჩვენს ურთიერთობას. გონების შუქით განათებული იყო ჩემი მოქმედების მხოლოდ გარეგნული მხარე, დანარჩენი კი — გაუცნობიერებელი — დიდი სიყვარულით აღსავსე ჩვევების წყვდიადში რჩებოდა. მაგრამ ახლა, როცა სიყვარულის ილუმბია დამემსხვრა, აღმოვაჩინე, რომ თითოეულ ჩემს უმნიშვნელო მოქმედებასაც კი ვზომავდი. ვაკვირდებოდი — სასამელს ვთავაზობდი თუ მარილს ვაწოდებდი, სახეში შევხედავდი და თვალს მოვაცილებდი, თითოეული ჩემი მოძრაობა წინასწარ იყო მოფიქრებული და ამის შეგნება აუტანლად მტკენდა გულს, კიდევ უფრო მაგრძობინებდა უძღურებასა და სასოწარკვეთილებას. მთლად შებოჭილად ვგრძობიდი თავს, გონებაამღვრეული, თითქოს დადამბლავებული ვიყავი. ყოველ განძრევაზე უნებურად თავს ვეკითხებოდი: სწორად მოვიქეცი თუ არა? ერთი სიტყვით, დავკარგე ყოველგვარი შინაგანი კავშირი ემილიასთან, მავანთან და მავანთან მსგავს შემთხვევაში შესაძლებელია აღადგინო კავშირი, მაგრამ ემილიასთან ის მხოლოდ წარსულის დამარბულ მოგონებებადღა უნდა დამრჩენოდა. სიჩუმეს მხოლოდ ჩემი, ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული სიტყვები არღვევდა.

— ღვინოს დალევი? პური ხომ არ გინდა? ხორცი ხომ არ მოგაწოდო?

მსურს აღვწერო მხოლოდ ჩვენთვის გასაგები ამ დუმილის ხასიათი. ეს დუმილი ამ საღამოს პირველად გვეწვია, მაგრამ, ალბათ, არა უკანასკნელად. როგორც ჩანს, ღღის შემდეგ არც არასოდეს დაგვეტოვებდა. ამ მძიმე, აუტანელ დუმილში ჩამალული იყო ჩვენი ღრმა განხეთქილება, იგი სავსე იყო იმ სიტყვებით, რომლებიც უთქმელი დამრჩა, დიდი სურვილის

მიუხედავად, სურვილი სურვილად დამრჩა, რამეთუ ვერც სიტყვებს ვპოულობდი და ვერც ძალას. მტრულ დუმილს ვერ დარქმევდით ჩვენს დუმილს. ჩვენ (ყოველ შემთხვევაში, მე) არავითარ მტრობას არ ვგრძნობდით ერთმანეთის მიმართ, ერთადერთი რამ, რასაც ამ წუთში ვგრძნობდით, ეს იყო სრული უძლურება ყოველგვარი ახსნა—განმარტების მიმართ.

ძალიან მინდოდა, ბევრი რამ მეთქვა მისთვის, მაგრამ ვგრძნობდი, რომ სიტყვები ვერაფერს მიშველიდნენ, რომ გამიჭირდებოდა სასურველი კილოს მოძებნაც. ამიტომ დუმილს ვამჯობინებდი, მაგრამ ჩემი დუმილი იმ კაცის იძულებითი სიმშვიდე როდი იყო, რომელიც მხოლოდ იმიტომ დუმს, რომ არაფერი აქვს სათქმელი. პირიქით, ლაპარაკის სურვილი მაშმაგებდა. რამდენი რამის თქმა მინდოდა ემილიასთვის! იმის შეგნება, რომ უძლური ვიყავი, სიმშვიდეს მიკარგავდა, გამოუთქმელი სიტყვები სულში ბორგავდა და ყელს ისე ეხებოდა, როგორც პატიმარი რკინის სარკმელს. მაგრამ იყო კიდეც ერთი რამ: ვგრძნობდი, ეს აუტანელი დუმილი ჩემთვის უკეთესი გამოსავალი იყო. თუნდაც ძალზე ტაქტიანად და რბილად რომ მეთქვა რამე, ვინ იცის, იქნებ უარესი საუბრის მოწმე გავმხდარიყავი, იქნებ უფრო მწარე სიტყვები მომესმინა ემილიასგან, ვიდრე თვით ეს დუმილი იყო — მწარე და აუტანელი.

მაგრამ, საერთოდ, შეჩვეული არ ვიყავი დუმილს. ისე მივირთვით პირველი კერძი, შემდეგ მეორე, რომ სიტყვა არ დაგვიძრავს, ხოლო როცა ხილი მოგვითანეს, ვეღარ მოვითმინე და ვკითხე:

— რატომ დუმხარ?

მან მაშინვე მიპასუხა:

— იმიტომ, რომ არაფერი მაქვს სათქმელი.

ემილია არც მტრულად განწყობილი და არც გაბრაზებული ჩანდა. ახლაც, როგორც ყოველთვის, მის სიტყვებში სიმართლე გამოსჭვიადა.

მოსამართლის კილოზე განვაგრძე:

— მომისმინე, ემილია, ცოტა ხნის წინ შენ ისეთი სიტყვები მითხარი, რაც შესაფერის ახსნა—განმარტებას მოითხოვს.

ემილიამ კვლავ გულწრფელად მიპასუხა:

– დაივიწყე ისინი... ვითომ არც მითქვამს.

– როგორ უნდა დაივიწყო? დაივიწყებდი მაშინ, რომ ვიცოდე, მართალი არაა... რომ ის სიტყვები მხოლოდ უნებურად წამოგცდა გაბრაზებისას...

ამჯერად ემილიას არაფერი უთქვამს, გაჩუმდა. კვლავ იმედის ნაპერწკალმა გამიელვა გულში. შეიძლება, მართლაც ასე იყო: ჩემი უხეშობის პასუხად მომახალა, „მეზიზღებიო“.

– თქვი, ემილია, – არ ვეშვებოდი მე, – დღეს რომ გულისმომკვლელი სიტყვები მითხარი, ხომ არ არის მართალი, ხომ იმიტომ მითხარი, რომ იმ წუთში მოგეჩვენა, გეზიზღებოდი, გინდოდა, ამით ჩემთვის შეურაცხყოფა მოგეყენებინა.

შემომხედა, კვლავ დუმდა. მომეჩვენა, თუმცა შესაძლოა ვცდებოდე, მის დიდრონ და მუქ თვალებში ცრემლმა გაიკიაფა. გამბედაობა მოვიკრიბე. ემილიას თითებს დავწვდი, ხელში მოვიქციე და თითქმის მუდარით ვუთხარი:

– ემილია, რაც მითხარი, ხომ ტყუილია?

ამჯერად მან უჩვეულო ძალით გამომგლიჯა ხელი, მთელი ტანით შეტრიალდა, ზურგი შემაქცია და წარმოთქვა:

– არა, მართალია.

მისმა გულწრფელმა, მაგრამ სევდანარევმა პასუხმა განმაცვიფრა. მან თითქოს იცოდა, საკმარისი იყო იმ წუთში ტყუილი ეთქვა, რომ ყველაფერი გარეგნულად უცვლელად დარჩებოდა, დროებით მაინც. ნათლად დავინახე, რაღაც წამით თითქოს ცდუნებას ებრძოდა, ტყუილი ეთქვა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა. განუზომელი ტკივილი ვიგრძენი გულში, თავდახრილმა კბილებში გამოვცერი:

– ემილია, არის რაღაცა, რაც ასე უბრალოდ და ჰაიჰარად არ შეიძლება უთხრა ადამიანს, მით უმეტეს, საკუთარ ქმარს.

ემილიას არაფერი უთქვამს, მხოლოდ ლამის შეშინებულმა შემომხედა. ეტყობა, სახე ბრაზისგან დაღრეჯილი და შეცვლილი მქონდა.

ბოლოს მიპასუხა:

– თვითონ მკითხე და მეც გიპასუხე.

– შენ უნდა ამიხსნა...

– რა უნდა აგიხსნა?

— რა და, რა მიზეზით გეზიზღები?

— აჰ, ამას კი არასოდეს გეტყვი... სიცოცხლის უკანასკნელ წუთებშიც კი.

გამოაცა მისმა სიმტკიცემ, მაგრამ გაოცება მალე რისხვამ შეცვალა, მშვიდად ლაპარაკი აღარ შემეძლო: — მითხარი, — და კვლავ ავიღე მისი ხელი, მაგრამ ამჯერად არცთუ ალერსიანად, — მითხარი, რატომ გეზიზღები?

— ხომ გითხარი, არ გეტყვი-მეთქი!

— მითხარი, თორემ, იცოდე, გატკენ, — მოთმინებადაკარგულმა მთელი ძალით, მარწუხებივით მოვუჭირე ხელი მის თითებს. ცოტა ხანს გაოცებული მიყურებდა; მერე ბრაზისაგან ტუჩები მოკუმა და ის ბიზღი, რაზეც აქამდე მხოლოდ ლაპარაკობდა, ახლა სახეზე გამოეხატა.

— გეყოფა, თავი გამანებე, — უხეშად წარმოთქვა, კიდევ გინდა მატკინო?

სიტყვა „კიდევ“ ისე ხაზგასმით თქვა, გულზე მომხვდა, თითქოს რომელიღაც წინანდელ წყენაზე გადამიკრა სიტყვა. წუთით სუნთქვა შემეკრა.

— გეყოფა... არა გრცხვენია? ოფიციალტები გვიყურებენ.

— მითხარი, რატომ გეზიზღები?

— კარგი ერთი, ნუ სულელობ, მომეშვი

— მითხარი-მეთქი, რატომ გეზიზღები?

— გამიშვი, ბოლოს და ბოლოს.

მან თითები გამომგლიჯა ხელიდან, ჭიქას გაჰკრა და იატაკზე გადააგდო. ჭიქა ხმაურით დაიმსხვრა. ემილია წამოდგა, კარისკენ გაემართა და ხმამაღლა მომიგდო:

— მანქანაში დაგელოდები, ფული გადაიხადე.

ემილია გავიდა. მაგიდასთან გახევებული და შემცბარი ვიჯექი არა იმდენად სირცხვილისაგან (მართალი აღმოჩნდა ემილია, იმ უსაქმო ოფიციალტებს მთელი საღამო თვალი არ მოუცილებიათ ჩვენთვის, არც ერთი სიტყვა და მოძრაობა არ გამოჰპარვიათ ჩვენი საუბრიდან), რამდენადაც განცვიფრებისაგან. გამოაცა მისმა უჩვეულო საქციელმა. აქამდე არასდროს დამლაპარაკებია ამ კილოზე, არასოდეს შეურაცხვეუვივარ ასე. თანაც მისი ნათქვამი სიტყვა „კიდევ“ ისევ ყურებში მედგა

ახალ, უსიამო გამოცანასავით, რაც ახლა სხვა თავსატეხთან ერთად უნდა ამომეხსნა. ნეტავ რაზე მანიშნებდა, კიდევ როდის მივაყენე ასეთი ტკივილი? ნეტავ რას გულისხმობდა ამ „კიდევ“—ში?

ალბათ, ადრეც ვაწყენინე რაღაც, ხაზგასმით იმიტომ მითხრა „კიდევ“. საინტერესოა, რას გულისხმობდა? ნეტავ როდის ვაწყენინე? ეს კითხვები მოსვენებას არ მაძლევდა. ბოლოს და ბოლოს, ოფიციალტი მოვიხმე და ფული გადავიხადე. რესტორნიდან რომ გავედი, ვნახე, ამინდი მთლად გაფუჭებულიყო. დილიდან მოსაწყენი და ღრუბლიანი ამინდი იდგა, ახლა კი წვრილად ცრიდა. მალე სიბნელეში ემილიაც დავინახე. იგი მანქანასთან იდგა წვიმაში და მოთმინებით მელოდა. მანქანის გასაღები მე მქონდა.

— მაპატიე, დამავიწყდა, გასაღები თან რომ მქონდა, — უხერხულად ჩავილაპარაკე მე. პასუხად ემილიას წყნარი, დამშვიდებული ხმა მომესმა:

— არა უშავს, არც ისე წვიმს.

მისმა მორჩილმა პასუხმა — თუმცა თუმცა ეს სიგიჟე იყო — კვლავ შერიგების იმედი გამიღვივა, განა ასე მშვიდად და ნაზად დაელაპარაკებიან ადამიანს, ვინც ეზიზღებათ? მანქანა გავაღე და სატყეს მივუჯექი. ემილიაც გვერდით მომიჯდა. ძრავა ჩავრთე და მოულოდნელი სიხარულით ატაცებულმა ლამის ხუმრობით ვუთხარი:

— აბა, ჩემო ემილია, საით ისურვებ გასეირნებას?

ემილია წინ იყურებოდა, არც მოუხედავს, ისე მიპასუხა:

— არ ვიცი... სადაც გინდა...

სტარტერს ფეხი დავაჭირე და მანქანაც დაიძრა. როგორც უკვე ვთქვი, გაელვებულმა იმედის ნაპერწკალმა მეტად მხიარულ გუნებაზე დამაყენა. იმ წუთში ლამის ვირწმუნე, რომ თუ ჩვენ შორის მომხდარ უსიამოვნებას ხუმრობაში გავატარებდი და არაფრად ჩავაგდებდი, მდუმარების ყინულიც გალღვებოდა და ძველი ურთიერთობაც აღდგებოდა. თვითონაც არ ვიცოდი, რა შემართებოდა, ეტყობა, მეტისმეტი სასოწარკვეთილება მაგარ ღვინოსავით ამივარდა თავში. მოჩვენებით უდარდელობას მივმართე.

— ეგრე იყოს, ვიაროთ, სანამ გზა არ დაილევს...

ვგრძნობდი, ამ სიტყვების წარმოთქმისას ისევე სასაცილოდ გამოვიყურებოდი, როგორც კოჭლი ვაცი, რომელიც ცდილობს რთული საცეკვაო ილეთი შეასრულოს. მეგონა, ჩემი მხიარულება დაუშრეტელ ნაკადად იდენდა, მაგრამ ის მხოლოდ პატარა რუ აღმოჩნდა. ემილიას ჯიუტმა დუმილმა სათავეშივე დააშრო. მთელი სიჩქარით მივაქროლებდი მანქანას აპიის გზაზე. ფარნების შუქზე წვიმის ბრჭყვიალა ძაფებში ხან კვიპაროსები გაიელვებდნენ, ხან ძველი ნანგრევები, ხან თეთრი მარმარილოს ქანდაკებები გაკრთებოდნენ ჩვენ თვალწინ, ხან საგანგებოდ ამოუასფალტებელი, უსწორმასწორო ქვებით მოკირჩყული ძველი რომის გზა. ცოტა რომ გავიარეთ, უცებ ყალბ, თეატრალურ ყაიდაზე წარმოვთქვი:

— მოდი, ერთი წუთით დავივიწყოთ, ვინცა ვართ და წარმოვადგინოთ, რომ ვითომ შეყვარებული სტუდენტები ვართ, მყუდრო ადგილს ვეძებთ, რათა უცხო თვალთაგან მოფერებით თავისუფლად მივეცეთ სიყვარულის თავდავიწყებას.

არც ახლა უთქვამს ემილიას რამე, მისი დუმილით გათამამებულმა მანქანა დავამუხრუჭე. ახლა უკვე კოკისპირულად წვიმდა. საწმენდები გახელებული დარბოდნენ აღმა—დაღმა საქარე მინაზე და ვერ ასწრებდნენ წვიმის მსხვილი წვეთების გადაწმენდას.

— ვითომ სტუდენტები ვართ, — განვაგრძე არცთუ ისე გაბადრულად, მე მარიო მქვია, შენ — მარია... ბევრი ძებნის შემდეგ, როგორც იქნა, მოვნახეთ მყუდრო ადგილი. მერე რა, რომ წვიმს. კარგიცაა ამ დროს მანქანაში ყოფნა... მაკოცე...

ამ სიტყვებზე მთვრალი ვაცის სიჯიუტით მოვხვიე ხელები მხრებზე, ჩემკენ მოვიზიდე და კოცნა დავუპირე.

არ ვიცი, რისი იმედი მქონდა, ამას რომ ვაკეთებდი. რესტორანში მომხდარი ამბის მერე, რა დიდი ცოდნა სჭირდებოდა, რაც მოჰყვებოდა ამ ხუმრობას. ჯერ მშვიდად სცადა ემილიამ თავი დაეღწია ჩემი ხელებისაგან, შემდეგ, როცა შეამჩნია, არ ვეშვებოდი, ნიკაპზეც წავავლე ხელი და საკოცნელად მოვიზიდე, მთელი ძალით მიბიძგა:

— ხომ არ შეიშალე?.. მთვრალი ხარ?

— მთვრალი არა ვარ, — ჩავილულლულე, — მაკოცე...

— არც ვიფიქრებ, დაუფარავი რისხვით თქვა მან და კვლავ ხელის კვრით მომიშორა. შემდეგ დასძინა:

— შენ კიდევ გიკვირს, როცა გეუბნები, მეზიზღები-მეთქი. როგორ შეგიძლია, ასე მოიქცე ყოველივე იმის შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა...

— მე შენ მიყვარხარ, ემილია.

— მე კი — არა.

ვგრძნობდი, სასაცილო ვიყავი და გული აუწერელი ტანჯვით მევისებოდა. ახლა მართო სასაცილო კი არა, გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილიც ვიყავი, მაგრამ ჯერ კიდევ არ მინდოდა, თავს გამოვტყდომოდი, დავმარცხდი-მეთქი.

— ისე მაკოცებ, როგორც დაგიბარებია! — ამ სიტყვების წარმოთქმისას ვცდილობდი, ხმისთვის მამაკაცური სიუხეშე მიმეცა, და ემილიას ვეცი.

ემილიამ ამჯერად ბლლაძუნს ამჯობინა მანქანის კარი გაეღო და გადასულიყო. ასეც მოიქცა, მე კი ცარიელ სავარძელზე დავენარცხე. გარბოდა იგი თავსხმა წვიმაში.

წუთით გახევებული დავცქეროდი ცარიელ სავარძელს. შემდეგ თავს ვუსაყვედურე, ნამდვილი სულელი ხარ-მეთქი და მანქანიდან გადმოვედი.

გადაუღებლივ წვიმდა, თითქოს ცამ პირი მოიხსნაო. მანქანიდან რომ გადმოვედი, წყლის გუბეში ჩავტოპე. ამან კიდევ უფრო გამაბრაზა და უფრო მწვავედ მაგრძნობინა საკუთარი უმწეობა.

— ემილია, მოდი აქ, ნუ გეშინია, ხელს არ გახლებ!

— თუ არ მომეშვები, იცოდე, რომში ფეხით დავბრუნდები, სიბნელეში საიდანღაც, არცთუ შორიდან მომესმა ემილიას ხმა.

— მოდი, პატიოსან სიტყვას გაძლევ, ისე მოვიქცევი, როგორც შენ გინდა, — ვთქვი აკანკალებული ხმით.

წვიმა შეუბრალებლად ასხამდა. საყელოში ჩამდიოდა, კეფას და კისერს მისველებდა, შუბლსა და საფეთქელზე ნაკადად ჩამომდიოდა.

მანქანის ფარები წინ მხოლოდ გზის ერთ მონაკვეთს ანათებდნენ. სინათლის ზოლები სიბნელეს სტაცებდნენ რომელიღაც უძველესი ნაგებობის ნანგრევებსა და მაღალ ჩაშავებულ კვიპაროსს. როგორადაც არ დავძაბე თვალები, ვერსად ვერ დავინახე ემილია. ავფორიაქდი. კვლავ დავუძახე:

— ემილია!.. ემილია!.. ხმაში ლამის ცრემლი გამერია.

ბოლოს, როგორც იქნა, უკნიდან გამოვიდა ემილია — მანქანის ფარების სინათლეზე.

— მაშ, მპირდები, რომ ხელს არ მახლებ?

— ჰო, გპირდები.

ემილია მანქანაში ჩაჯდა და ჩაილაპარაკა:

— რა სულელური ხუმრობაა, მთლად გასაწური ვარ. თმაც დამისველდა, ხვალ დილით მომიწევს საპარიკმახეროში წასვლა.

უსიტყვოდ დავჯექი და მაშინვე დავძარი მანქანა. ემილიამ ჯერ ერთხელ დააცემინა, რამდენიმე წუთის შემდეგ მეორედ, მესამედ და თანაც ხმამაღლა და არც მთლად ბუნებრივად. ამას, რა თქმა უნდა, განგებ აკეთებდა, უნდოდა ეჩვენებინა, შენი გულისთვის გავცივდიო, მაგრამ ამჯერად მის ანკესზე არ წამოვეგე. ისე მიმყავდა მანქანა, თითქოს სიზმარში ვიყავი, ოღონდ მეტისმეტად ცუდი იყო ეს სიზმარი: მე სინამდვილისამებრ რიკარდო მერქვა და მყავდა ცოლი, სახელად ემილია. მე იგი მიყვარდა, მას კი არამართო არ ვუყვარდი, ვეზიზღებოდი კიდევ.

მეთერთმეტე თავი

მეორე დილით მთლად გაბრუებულმა და დამტვრეულმა გავიღვიძე. ყველაფერი მძულდა, იმის გაფიქრებაც კი მზარავდა, რაც იმ დღეს, ან მომდევნო დღეებში მელოდა. ემილიას ჯერ კიდევ ეძინა საწოლ ოთახში, მე კი ნახევრად ჩაბნელებულ სასტუმროში ვიწექი დივანზე. დიდი ხანია მეღვიძა, მაგრამ აღ-

გომას ვაცოვნებდი. ნელ-ნელა მოვდიოდი გონს, მეხსიერებაში ნელ-ნელა ცოცხლდებოდა ის უსიამოვნო ამბები, რაც ძილმა დროებით მიმავიწყა. უპირველესად სასწრაფოდ უნდა გადამიწყვიტა, მემუშავა თუ არა „ოდისეას“ სცენარზე, შემდეგ გამერკვია, რატომ ვეზიზღებოდი ემილიას და ბოლოს, მისი სიყვარულის დაბრუნებაზე მეზრუნა.

როგორც უკვე ვთქვი, გაბრუებულს, დაღლილს და დამტვრეულს გამომეღვიძა. ჩემი ცხოვრების ამ სამი გადამწყვეტი საკითხის ასე ბიუროკრატიული სიზუსტით ჩამოყალიბება სინამდვილეში წარმოადგენდა და ამას მე მაშინვე მივხვდი თავის მოტყუების ცდას, ვითომ ძალაც შემწევდა და ჭკუაც მათი გადაწყვეტისათვის, მაგრამ, ვაი რომ, არც ერთი არ გამაჩნდა.

გენერალი, პოლიტიკოსი თუ საქმოსანი ასევე ცდილობენ რაც შეიძლება დახვეწონ, მოკლედ, სხარტად და ნათლად ჩამოაყალიბონ მათ წინაშე მდგარი ამოცანები, დაიყვანონ ისინი ბუსტ, უსიცოცხლო მშრალ სქემამდე, რომელიც მოხერხებულია სამოქმედოდ.

მაგრამ მე არც ერთი მათგანი არ ვიყავი. პირიქით, მეგონა, ჭკუაც მიჭრიდა და ძალაც გამაჩნდა ამ წუთში. თუმცა ისიც ვიცოდი, რომ როგორც კი ფიქრიდან საქმეზე გადავიდოდი, ყოველგვარი განსჯის უნარი დამეკარგებოდა.

კარგად მესმოდა, სწორედ ამ ჩემი ნაკლის გამო ვერც ერთი საკითხის გადაჭრას ვერ შევძლებდი. ის კი არადა, აი, ახლაც დივანზე გულაღმა წამოწოლილი და თვალედახუჭული ვგრძნობდი, რომ როგორც კი გონებაში დავიწყებდი ამ საკითხებზე გასაცემი პასუხის ძებნას, ნაღვლიან სინამდვილეს ვშორდებოდი და სამაგიეროდ სადღაც ბეცაში დავფრინავდი ოცნების ფრთებით.

ტკბილ ზმანებაში წასულმა წარმოვიდგინე, რომ „ოდისეაზე“ მუშაობა დავამთავრე, თანაც ძალზე ადვილად. მე და ემილიას ურთიერთობაც გავარკვიე და ბოლოს ისიც გაირკვა, რომ მის მიერ წამოსროლილი გულსაკლავი სიტყვები, ვითომ ვეზიზღებოდი, მხოლოდ უბრალო გაუგებრობის შედეგი იყო და სხვა არაფერი, და რაც მთავარია, შევრიგდით.

ასე კი ვფიქრობდი, მაგრამ ძალიან კარგად ვიცოდი, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ ჩემი ოცნების ნაყოფი იყო. ასეთი ბედნიერი დასასრული მხოლოდ ჩემს დიდ სურვილს გამოხატავდა, ხოლო მას და სინამდვილეს შუა ისეთი უფსკრული იდო, ვერაფრით რომ ვერ ამოვავსებდი, თუნდაც მცირე ხნით. ერთი სიტყვით, მინდა ოდა, როგორმე თავი დამეღწია ამ გამოუვალი მდგომარეობიდან, მაგრამ როგორ — წარმოდგენა არა მქონდა. ასე ძილ-ღვიძილში რამდენიმე წუთის შემდეგ კიდევ ჩამეძინა, მაგრამ მოულოდნელად გამეღვიძა და ჩემს ფეხთან დილის ხალათში გახვეული ემილია დავინახე. სასტუმრო ოთახში ისევ ნახევრად ბნელოდა, ფარდები ჩამოშვებული იყო. დივანთან ახლოს პატარა მაგიდაზე ღამის ნათურა ენთო. ემილია ისე შემოსულიყო, შუქი აენტო და ჩემ ახლოს დამჯდარიყო, არაფერი გამიგია.

ემილია ჩემი საწოლის ფეხთან ძველებურად სათნოდ მჯდარი რომ დავინახე, მაშინვე ის ბედნიერი დრო გამახსენდა, როცა ერთმანეთი გვიყვარდა. გაღვიძებისას ხშირად ვცოფილვარ ასეთი სურათის მოწმე და ახლა წუთით კვლავ ტკბილ ოცნებას მივეცი თავი. საწოლიდან წამოვიწიე და მთრთოლვარე ხმით, თითქოს ენის ბორძიკით ვკითხე:

— მაინც გიყვარვარ, ემილია?

სანამ მიპასუხებდა, ცოტა შეყოყმანდა, შემდეგ კი მითხრა:

— ყური მიგდე, უნდა მოგელაპარაკო...

ცუდი წინათგრძნობისაგან ტანში ავად გამაჟრჟოლა. ვიგრძენი, მთლად გავცივდი, მინდოდა, მაშინვე მეპასუხა, არაფრის მოსმენა არა მსურს, თავი დამანებე, მეძინება-მეთქი, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა ვთქვი:

— მაინც რაზე უნდა მელაპარაკო?

— ჩვენზე, ორივეზე.

— უკვე ვიცი, რომ აღარ გიყვარვარ, გეზიზღები კიდევ... მეტი რაღა უნდა მითხრა?! — ვუპასუხე, თან ვცდილობდი წინათგრძნობით გამოწვეული მღელვარება დამეოკებინა.

— არა, მე მინდოდა მეთქვა... დაიწყო ემილიამ აუჩქარებლად, დღესვე გადავდივარ დედაჩემთან... ვიფიქრე, სანამ დედას დავურეკავდი, ჯერ შენთვის შემეტყობინებინა ჩემი განზრახვა. აი, ეს არის სულ ახლა შენ იცი...

არაფრით არ მოველოდი მისგან ასეთ ნაბიჯს, თუმცა იმის შემდეგ, რაც ჩვენ შორის მოხდა, ისეთი ფინალი სრულიად ლოგიკური და მოსალოდნელი იყო. უცნაურობად მოგეჩვენებათ, მაგრამ ფიქრადაც არასდროს გამივლია, რომ ემილია მიმატოვებდა. იგი ისედაც შეუბრალებლად და გულქვად მომექცა და როგორ მეგონა, ამას არ მაკმარებდა? მაგრამ აი ახლა, როგორც ხედავთ, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ისე რომ წუთითაც არ შეეყოყმანებულა, ეს სიტყვები გულცივად მომახალა.

გაურკვეველად წავიჩურჩულე:

— მაშ, გინდა მიმატოვო?

— ჰო.

ერთი წუთით ვიყუჩე. შემდეგ ვიგრძენი, რომ რაღაც უნდა გამეკეთებინა, გულში ტკივილი ჩამეყურებინა. დივნიდან წამოვხტი, ფანჯრებს მივვარდი, რომ მძიმე ფარდები გადამეწია და ოთახში დღის სინათლე შემომეშვა, მაგრამ კვლავ შემოვბრუნდი და მთელი ხმით ვიყვირე:

— არა, შენ ასე ვერ წახვალ! მე ეს არა მსურს, გესმის!

— ნუ სულელობ, — ბავშვივით დამტუქსა ემილიამ, ჩვენ უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, ეს არის ერთადერთი გზა. ჩვენ აღარაფერი გვაკავშირებს, ყოველ შემთხვევაში, მე... ორივესთვის ასე აჯობებს...

არ მახსოვს, რა გავაკეთე ამის შემდეგ. უფრო სწორად, მახსოვს მხოლოდ საუბრის ნაწყვეტები, ცალკეული მოძრაობები, ალბათ, სიცხიანი ავადმყოფივით ვლაპარაკობდი და ისე ანგარიშიუცემლად ვებლებოდი აქეთ—იქით, როგორც ბოდვისას ხდება. მახსოვს, პიჟამოიანი დავრბოდი ოთახის ერთი კუთხიდან მეორეში დიდი ნაბიჯებით, თმააბურძგნილი, ჩემს უილაჯო მდგომარეობას ვუხსნიდი ემილიას, ვემუდარებოდი, არ მივეტოვებინე, საკუთარ თავსაც ისე ვეკამათებოდი, თითქოს

ოთახში ჩემ გარდა არავინ იყო. „ოდისეას“ სცენარი, ბინა, ბინის გადასახადი, ჩემი ფრთაშესხმული ოცნებები, დრამატურგები, ემილიას სიყვარული, ბატისტასა და რეინგოლდთან ურთიერთობა, ერთი სიტყვით, საგნები თუ ადამიანები ისე აირივნენ ჩემს მონოლოგში, როგორც ჭრელაჭრულა შუშის ნამსხვრევები მაგრად შენჯღრეულ კალეიდოსკოპში. ამასაც ვგრძნობდი. კალეიდოსკოპის უწესრიგოდ მიმოფანტული ნამსხვრევებით უაზრო და უბადრუკი რომ იყო ჩემი ლაპარაკი. მორჩა, ჩემი ფიქრების კალეიდოსკოპი დაიმსხვრა და ახლა ჩემ ფერხთით უწესრიგოდ ყრია მისი ნამსხვრევები, ხვალინდელი მარტობა შიშსა მგვრიდა, ფიქრის უნარს მართმევდა, სუნთქვას მიკრავდა. მთელი არსებით ვძრწოდი ცოლთან განშორებისა და მარტოდ დარჩენის გამო... მაგრამ, მიუხედავად ჩემი გულწრფელი აღიარებისა, ჩემს სიტყვებს მაინც აკლდა დამაჯერებლობა და სულ რაღაც წამებში, როცა დაბნეულობისა და შიშის ბურუსი გაიფანტებოდა და გონებაც გადამეწმინდებოდა ხოლმე, ვხედავდი ემილიას, რომელიც დივანზე იჯდა და მშვიდად მესიტყვებოდა შიგადაშიგ:

– კარგი, რიკარდო, დაფიქრდი, რიკარდო, ჩვენთვის ეს ერთადერთი გზაა.

– არ მინდა, გესმის, არ მინდა! ეს მერამდენედ ვიმეორებდი ერთსა და იმავეს.

– რატომ არ გინდა? კარგად დაფიქრდი...

არ მახსოვს, ამაზე რა ვუპასუხე. ოთახის კუთხეში მივიკუნტე და თავზე თმის გლეჯა დავიწყე, მანამ იმ წუთში მივხვდი, ამ მდგომარეობაში მყოფი ვერ შევძლებდი ემილიას დარწმუნებას, ჩემი გრძნობებისა და აზრის დალაგებულად გამოხატვას. ამიტომაც სიმხნევე მოვიკრიბე, თავს მოვერიე, კვლავ დივანზე დავჯექი, თავი ხელებში ჩავრგე და ემილიას ვკითხე:

– როდის აპირებ წასვლას?

– დღესვე.

ამ სიტყვებზე ის ადგა, ჩემთვის არავითარი ყურადღება არ მოუქცევია და ოთახიდან გავიდა. ისევ საცოდავად მოხრილი, ხელებში თავჩაგრული ვიჯექი დივანზე. არ მოველოდი, თუ წა-

ვიდოდა. ცოტა ხანს გაოგნებული ვიჯექი, თითქოს არ მჯეროდა, რომ ყველაფერი ეს ცხადში ხდებოდა და არა სიზმარში. მივიხედ—მოვიხედე და უცებ შიშმა ამიტანა: აი, ისიც — განხეთქილება და მარტოობა. ოთახი რატომღაც უფრო დიდი და სხვანაირი მეჩვენა, თითქოს ერთი განზომილება დააკლდაო: ვერ წარმომედგინა ეს ოთახი უემილიოდ.

არადა, ვინ იცის, რამდენი წელი დამჭირდებოდა შევგუებოდი აზრს, რომ ემილია აქ აღარ ცხოვრობდა და არც მომავალში იცხოვრებდა. ჰაერიც მარტოობის გრძნობით იყო გაჟღენთილი. ირგვლივ ყველაფერს მარტოობის კვალი ეტყობოდა, მაგრამ საოცარი იყო: ამას მაგრძნობინებდა არა საკუთარი თავი, არამედ ნივთები, საგნები. ეს ყველაფერი გაცნობიერებულ კი არ მქონდა, არამედ სადღაც დატანჯული და განაწამები სულის სიღრმეში ვგრძნობდი. ლოყაზე რაღაც ჩამომიგორდა, ხელი მოვისვი. ლოყა ცრემლით მქონდა სველი, ოხვრა აღმომხდა მკერდიდან, თავი ველარ შევიკავე და ხმამაღლა ავექვითინდი. მერე ავდექი და ტირილისგან თვალებდასიებული სასტუმრო ოთახიდან გავვი.

ნახევრად ჩაბნელებული სასტუმრო ოთახის შემდეგ საწოლ ოთახში გაჩახახებულმა დღის სინათლემ თვალი მომჭრა. ემილია აულაგებელ საწოლზე იჯდა და ტელეფონზე ლაპარაკობდა, უფრო სწორად, უსმენდა. მივხვდი, დედამისს ელაპარაკებოდა. ემილიას ახლა რატომღაც სახებზე დაბნეულობა ეტყობოდა, რაღაცით იყო შეშფოთებული. იქვე ჩამოვჯექი და ასლუკუნებულმა თავი კვლავ ხელებში ჩავრგე, თვითონაც ვერ გავრკვეულიყავი, რა მემართებოდა, რატომ ვტიროდი. შესაძლოა, იმიტომ კი არ ვტიროდი, რომ ცხოვრება მენგრეოდა, არამედ რომელიღაც ძველი ტკივილი მგვრიდა ცრემლს და იმ ტკივილს არავითარი კავშირი არ ჰქონდა არც ემილიასთან და არც მის დღევანდელ გადაწყვეტილებასთან. ამასობაში ემილია დედამისთან ლაპარაკს განაგრძობდა. ეტყობოდა, დედამისი რაღაცას ურჩევდა, უხსნიდა, ემილიას კი ვერაფერი გავგო. ცრემლით დაბინდული თვალებით მაინც შევამჩნიე, როგორც შავი ღრუბელი დაჩრდილავს ხოლმე ლამაზ პეიზაჟს, ისე გადაურბინა ემილიას სანდომიან სახეს უსიამოვნების

ჩრდილმა: ჯერ გულგრილობა გამოეხატა, შემდეგ ნაღველი და სასოწარკვეთილება. ბოლოს თქვა:

— კარგი, კარგი გავიგე, ამაზე მეტს ნუღარ ვილაპარაკებთ... — მაგრამ, ეტყობა, დედამისმა შეაწყვეტინა სიტყვების ნიაღვარი. ემილიას მოთმინება აღარ ეყო, ბოლომდე მოესმინა მისი გრძელი საუბარი: ხომ გითხარი, გავიგე-მეთქი. ყველაფერი ნათელია. კარგად იყავი. ნახვამდის.

დედამისს რაღაცის თქმა უნდოდა კიდევ, მაგრამ ემილიამ კვლავ გაუმეორა „ნახვამდის“ და ყურმილი დადო, თუმცა დადებამდე კიდევ ისმოდა დედამისის ხმა. ემილიამ თავი აიღო და ისე შემომხედა, თითქოს სიზმარში იყო და ვერ მამჩნევდა. ანგარიშმიუცემლად ხელები დავუჭირე და შევემუდარე:

— ნუ წახვალ, ემილია. გთხოვ, გეხვეწები, ნუ მიმატოვებ.

მოზრდილთა გრძნობებზე რომ იმოქმედონ, ბავშვები მიმართავენ ერთადერთ ხერხსა და საშუალებას ტირილს. ასევე იქცევიან ქალები და, საერთოდ, სუსტი ნებისყოფის ადამიანები. თუმცა იმ წუთში მე გულწრფელად ვტიროდი ბავშვივით, ქალივით და თუნდაც სუსტ არსებასავით, მაინც სადღაც იმედი მქონდა, ჩემი ცრემლები ემილიას გრძნობაზე იმოქმედებდა და ჩემგან წასვლას გადაათქმევინებდა. ამის შეგნება ცოტათი მამშვიდებდა, მაგრამ, მეორეს მხრივ, სინდისი მქენჯნიდა: თითქოს ვპირფერობდი და ვცდილობდი, ჩემი ცრემლებით თავი შემეცოდებინა ემილიასთვის. უცებ შემრცხვა, ემილიას პასუხისთვის არც დამიცდია, ისე ავდექი და გავედი ოთახიდან.

სასტუმრო ოთახში ხალათი მოვისხი და სავარძელში ჩავჯექი. ნელ-ნელა ვმშვიდდებოდი, ცრემლიც შემამრა. ასანთი მოვიმარჯვე სიგარეტის მოსაკიდებლად, თუმცა სულ არ მინდოდა მოწევა. რამდენიმე წუთში ოთახში თვითონ ემილია შემოვიდა, დაჯდა და მაშინვე თქვა:

— შეგიძლია დამშვიდდე, ნუ გეშინია... არსადაც არ მივდივარ... — ხმაში ეტყობოდა სასოწარკვეთა და უიმედობა, რაღაცნაირი გულგრილობა და დაღლილობა. შევხედე. თვალები დაეხარა და ეტყობოდა, კიდევ რაღაცის თქმას აპირებდა. ტუჩის კუთხეები უთრთოდა, ხალათის საყელოს აწვალებდა. ასე

იცოდა ხოლმე აღელვებისას ან დაბნეულობისას. შემდეგ მოულოდნელად გაბოროტებით დასძინა:

დედაჩემს არ უნდა მასთან გადავიდე... მითხრა, შენი ოთახი გაქირავებული მაქვსო. აქამდე ორი მდგმური ჰყავდა, ახლა სამნი არიან, სახლი სავსეა მდგმურებითო. ისიც მითხრა, არა მგონია, მაგას სერიოზულად ამბობდეთ, კარგად დაუფიქრდიო... და ახლა არ ვიცი, რა ვქნა, სად წავიდე... არავის არ ვუნდივარ, იძულებული ვარ, ისევ შენთან დავრჩე.

ამ მწარე, მაგრამ გულწრფელად ნათქვამმა სიტყვებმა გული დამიკოდა, მახსოვს, მათ გაგონებაზე ისე შევტორტმანდი, თითქოს რაღაც დამარტყესო და გულნატკენმა შევიძახე:

— მაგას როგორ მეუბნები, ემილია, იძულებული ვარ, შენთან დავრჩეო? რა დაგიშავე? რატომ გეჯავრები ასე ძალიან?

ამჯერად ემილია ატირდა. დავინახე, რომ ატირდა, თუმცა ხელები სახეზე აიფარა. შემდეგ თავი გაიქნია და თქვა:

— შენ გინდოდა, დავრჩენილიყავი... ჰოდა, ვრჩები... ხომ კმაყოფილი ხარ?!

სავარძლიდან წამოვდექი, ემილიას მივუჯექი და მოვეხვიე. ის ცოტათი გვერდზე გაიწია, შეუმჩნევლად სცადა თავის განთავისუფლება ჩემი მკლავებიდან.

— რასაკვირველია, მინდა, რომ დარჩე, — ვთქვი, — მაგრამ არა ასე იძულებით. ემილია, რა დაგიშავე, ასე რომ მელაპარაკები?!

— თუ გინდა, წავალ... ოთახს ვიქირავებ, მხოლოდ პირველ ხანებში დამჭირდება შენი დახმარება... ისევ მემანქანედ დავიწყებ მუშაობას. როგორც კი სამსახურს ვიშოვი, არასდროს არაფერზე შეგაწუხებ.

— არა, ემილია, შენ ვერ გამიგე! — წამოვიძახე, — რა თქმა უნდა, მსურს, რომ დარჩე... მაგრამ არა იმიტომ, რომ სხვა გზა არაა გაქვს. მერწმუნე, ემილია, არ მინდა იძულებით დარჩე...

— შენ კი არ მაიძულებ დავრჩე, სლუკუნით მიპასუხა, — ცხოვრება...

ხელები კვლავ ღონივრად შემოვხვიე და მივიზიდე. გულში მყავდა ჩაკრული, ენაზე კი მიტრიალებდა და მოსვენებას არ

მაძლევედა კითხვა: რატომ აღარ ვუყვარვარ, რატომ ვეზიზღები? რატომ? რა მოხდა ისეთი?

ბოლოს და ბოლოს, რა დავაშავე? — მაგრამ მისმა დაბნეულმა სახემ და ცრემლებმა ცოტა დამამშვიდეს.

გავიფიქრე, ახლა შევკითხვების დრო არ არის და კიდევ რომ ჩავაცივდე, პასუხს ვერ მივიღებ-მეთქი. საჭირო იყო უფრო შესაფერისი წუთი გამომენახა და პირდაპირ კი არა, გარშემოვლით გამომეწვია გულახდილ საუბარზე და ამ გზით მიმეღწია სიმართლისათვის.

ცოტა შევიცადე, ვიდრე ჩემგან ზურგშექცეული ჩუმად ტიროდა, შემდეგ ვუთხარი:

— მომისმინე, ემილია, შევწყვიტოთ ამ თემაზე ყოველგვარი კამათი. მით უმეტეს, რომ ვერაფერს მივაღწევთ, ერთმანეთის გულის ტკენის გარდა. აღარაფერს შეგეკითხები, ახლა მაინც... სჯობს, ყურადღებით მომისმინო. ბევრი ყოყმანის შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტე „ოდისეას“ სცენარი დავწერო, მაგრამ ბატისტას უნდა, რომ მე და რეჟისორმა ნეაპოლის ყურეში ვიმუშაოთ სცენარზე. სწორედ იქ უნდა გადაიღონ ფილმის უმეტესი ნაწილი ნატურიდან... ასე რომ, გადაწყვიტეთ კუნძულ კაპრზე გამგზავრება. იქ არ შეგაწუხებ, შენთვის იქნები წყნარად, ხელს არ შეგიშლი. გეფიცები, ძალიანაც რომ მინდოდეს, ამის საშუალება არც მექნება, რადგან დიდიდან საღამომდე უნდა ვიმუშაოთ. შესაძლოა, მხოლოდ სადილ—ვახშამზე შევხვდეთ ერთმანეთს, ისიც არა ყოველდღე. კაპრი მომხიბლავი ადგილია, იქ მალე დაწყნარდები, შემდეგ კი კარგად მოიფიქრებ და გადაწყვეტ, როგორ მოიქცე... დედაშენი, სხვათა შორის, მართალს ამბობს... საჭიროა კარგად მოიფიქრო, სანამ რაიმე გადაწყვეტილებას მიიღებ, რამდენიმე თვის შემდეგ კი მეტყვი, რა გადაწყვიტე და მხოლოდ მაშინ დავუბრუნდებით ამ საუბარს... ემილია კვლავ ზურგშექცეული იჯდა, თითქოს ჩემი დანახვა არ სურდაო. შემდეგ სრულიად დამშვიდებულმა მკითხა:

— როდის უნდა გავემგზავროთ?

— მალე, ასე ათი დღის შემდეგ, როგორც კი რეჟისორი პარიზიდან დაბრუნდება.

თუმცა ემილია ისევ მკლავებში მყავდა მოქცეული და ვგრძნობდი მისი მრგვალი და რბილი ძუძუების შეხებას, კოცნა მაინც ვერ გამებედა. იგი ცივი და მიუკარებელი ჩანდა, ეტყობოდა, მოთმინებით იტანდა ჩემს ხვევნას. მაგრამ მე მაინც არ ვკარგავდი იმედს, იქნებ ეს გულგრილობა მთლად გულცივობას არ ნიშნავს-მეთქი. ცოტა ხნის შემდეგ ემილიამ დამშვიდებულმა, მაგრამ კვლავ მტრულად მკითხა:

— სად უნდა ვიცხოვროთ კაპრზე? სასტუმროში?

მინდოდა მისთვის მესიამოვნებინა და გახარებულმა მივუბნე:

— არა, სასტუმროში არ ვიცხოვრებთ... სასტუმროში ხომ მუდამ ხმაურია... უკეთეს ადგილას ვიცხოვრებთ... ბატისტა გვთავაზობს თავის აგარაკს, იგი ჩვენს განკარგულებაში იქნება რამდენიმე თვის განმავლობაში, სანამ სცენარზე მუშაობას არ დავამთავრებთ.

უცბად ვიგრძენი, რომ ემილია რატომღაც არ იზიარებდა ჩემს სიხარულს. ზუსტად ასე მოხდა ამ რამდენიმე დღის წინათაც, როცა ბატისტას მეტისმეტად ჩქარა, თითქმის მოუფიქრებლად დავეთანხმე. მართლაც, ემილიამ უბოდიშოდ გაითავისუფლა თავი ჩემი მკლავებიდან, ასევე უბოდიშოდ გადაჯდა სავარძლის კუთხეში და ჩამეკითხა:

— ბატისტას აგარაკზე? და შენ უკვე დაეთანხმე?

— მეგონა, გაგიხარდებოდა, — ვცდილობდი თავი მემართლებინა, აგარაკზე ცხოვრება არა სჯობია სასტუმროში წვალებას?

— და შენ უკვე დაეთანხმე?

— ჰო, მეგონა, ასე უკეთესი იქნებოდა.

— რეჟისორიც აგარაკზე იცხოვრებს?

— არა. ის სასტუმროში იცხოვრებს.

— ბატისტა?! ბატისტა არ ჩამოვა?

— ბატისტა? — ძალიან გამაკვირვა ამ შეკითხვამ, — ალბათ, ჩამოვა ხანდახან, „უიკ-ენდზე“, ერთი-ორი დღით. ხომ უნდა ნახოს, როგორ მიდის სცენარზე მუშაობა.

ამჯერად ემილიას არაფერი უთქვამს. ხალათის ჯიბეში ცხვირსახოცი მოიძია და ცხვირი ხმაურით მოიხოცა. ცხვირსახოცის ძებნისას ხალათი გადაეხსნა. ფეხიფეხგადადებული იჯდა. თითქოს სურდა, ნაწილობრივ მაინც დაეფარა თავისი სიშიშვლე, მაგრამ გადახსნილი ხალათიდან თვალისმომჭრელი სითეთრით გამოკრთოდა ოდნავ შემრგვალებული მუცელი, ჩამოსხმული ფეხები. ვერავითარი აკრძალვა ვერ გაუძლებდა ამ თეთრი, მარმარილოსებრი მკვრივი და მშვენიერი შიშველი სხეულის ხილვას. ემილია თავისდაუნებურად მიზიდავდა, მაღლიზიანებდა. უცებ დაუოკებელმა სურვილმა შემიპყრო. წუთით წარმოვიდგინე, რომ სულ ადვილად შემეძლო ხელი მომეხვია და დავეფლებოდი.

მაგრამ გონს მალე მოვეგე და მივხვდი, რა ძლიერიც არ უნდა ყოფილიყო ჩემი სურვილი, მისი აღსრულება შეუძლებელი იყო. ისღა დამრჩენოდა მხოლოდ, მისი ხილვით დავმტკბარიყავი. ამასობაში მან ცხვირი მოიწმინდა და თვალეები შეიმშრალა. მე თითქმის ქურდულად ვუყურებდი. მეშინოდა, ჩემი უტიფარი მზერა არ შეემჩნია და არ შერცხვენოდა. ეს რომ გავიფიქრე, თავს ვუსაყვედურე: „აი, სადამდე მიხვედი. საკუთარი ცოლის სიშიშვლეს ისე ქურდულად უმზერ, როგორც პატარა ბიჭი უმზერს ხოლმე შიშველ ქალებს ჭუჭრუტანიდან პლაჟის გასახდელებში“.

გაცეცხლებული წამოვხტი ადგილიდან, ხელი გავიწვდინე და მუხლებზე ხალათი გადავიფარე. ემილიას, მგონი, ჩემი მოძრაობა არც შეუმჩნევია. ცხვირსახოცი კვლავ ჯიბეში ჩაიღო და ამჯერად წყნარად მითხრა:

— ვარგი, წამოვალ კაპრზე, მაგრამ ერთი პირობით..

— არავითარი პირობა! არაფრის გაგონება არ მსურს. ახლა კი გადი აქედან!

ეტყობა, ისეთი გაშმაგებით ვყვიროდი, რომ ემილი იას შეეშინდა. მაშინვე წამოდგა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

მეთორმეტე თავი

დადგა კაპრზე გამგზავრების დღეც. ბატისტამ გადაწყვიტა თვითონ გვხლებოდა კუნძულზე, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, სტუმართმოყვარე მასპინძლის შესაფერისი თადარიგის დასაჭერად. ქუჩაში ჩვენს სადარბაზოსთან ჩემი მცირელიტრაჟიანი მანქანის გვერდით პროდიუსერის მძღავრი, არასერიული გამოშვების წითელი მანქანა დავინახე. თუმცა ივნისის პირველი რიცხვები იყო, კარგ ამინდს ჯერ კიდევ ვერ მოეკიდებინა ფეხი. მოღრუბლული და ქარიანი დღე იდგა. ტყავის ქურთუკსა და ფანელის შარვალში გამოწყობილი ბატისტა იქვე, თავის მანქანასთან, რეინგოლდს ელაპარაკებოდა. რეინგოლდისთვის, ისევე, როგორც ყველა ღირსეული გერმანელისთვის, იტალია მზის ქვეყანას წარმოადგენდა და ამიტომაც შილიფად გამოწყობილიყო კოლონიურ თარგზე შეკერილ მსუბუქ პიჯაკსა და თეთრი ტილოს კეპში.

მე და ემილია სახლიდან გავედით შვეიცარიისა და მოსამსახურის თანხლებით, რომლებსაც ჩვენი ჩემოდნები მოჰქონდათ. ბატისტამ და რეინგოლდმა, როგორც კი დაგვინახეს, მანქანას მოსცილდნენ და ჩვენთან შესახვედრად გამოემართნენ.

— აბა, ვინ სად დაჯდება? — თქვა ბატისტამ მისალმების შემდეგ, მაგრამ ჩვენი პასუხებისთვის არც დაუცდია, განაგრძო, — წინადადება შემომაქვს, სინიორა ჩემს მანქანაში დაჯდეს, რეინგოლდი კი შენს მანქანაში, მოლტენი. ამგვარად, გზაში საშუალება გექნებათ, ფილმზე ისაუბროთ, რადგან... დასძინა სიცილით, მაგრამ საკმაოდ ავტორიტეტულად, — დღეიდან იწყება თქვენი ნამდვილი სამუშაო... ორი თვის შემდეგ სცენარი ხელთ უნდა მქონდეს.

უნებურად ემილიას შევხედე და შევამჩნიე, როგორ დაედრიჯა სახე, რაც ადრეც შემიმჩნევია. ასე მოსდიოდა ხოლმე სულიერი მღელვარების დროს. უდავოა, რაღაცით აღშფოთებული და უკმაყოფილო იყო. მაგრამ ახლა ამისთვის ყურადღება ისევე არ მიმიქცევია, როგორც მაშინ, ბატისტას წინადადება და კაპრზე გამგზავრების ამბავი რომ შევატყობინე. მართალი

გითხრათ, მე პირადად, ბატისტას წინადადება სავსებით გონივრულად მიმაჩნდა. გამგზავრებაში კარგის მეტს ვერაფერს ვხედავდი. და მაინც, ხასიათი გამიფუჭდა.

— ძალიან კარგი, — ვთქვი მე. ამასთან, ვცდილობდი მხიარული და უდარდელი იერი მიმელო, ასეთ სასიამოვნო გასეირნებას ზღვის წარმტაცი სანაპიროსკენ ხომ მხოლოდ აღტაცებული განწყობა შეეფერებოდა, — ძალიან კარგი, — გავიმეორე, — ემილია თქვენთან ერთად წამოვა, რეინგოლდი — ჩემთან. მხოლოდ იმის პირობას ვერ მოგცემთ, რომ გზაში სცენარზე ვილაპარაკებთ...

უცბად ემილიამ წამოიძახა:

— ძალიან მეშინია, როცა მანქანა ჩქარა დაჰყავთ. აი, თქვენ, მაგალითად, გიჟივით დააქროლებთ.

ბატისტამ მაშინვე ხელი ჩაავლო ემილიას:

— ჩემთან ნურაფრისა გეშინიათ, და საერთოდაც, რისა გეშინიათ? როგორა გგონიათ, მე არ მიყვარს სიცოცხლე? — ამ სიტყვებით თითქმის ძალით წაიყვანა ემილია მანქანისკენ.

ემილია შესაბრალისა და დაბნეულად მომჩერებოდა. მის თვალებში თხოვნა ჩანდა — გამოვსარჩლებოდი, წუთით კიდევ გავივლე გონებაში, იქნებ მართლაც სჯობდეს გავჯიუტდე და ემილია ჩემს მანქანაში ჩავსვა-მეთქი, მაგრამ მაშინვე გადავიფიქრე, რომ ბატისტას არ სწყენოდა. ნამდვილად გიჟივით დააქროლებს მანქანას, მაგრამ დიდებულად დაჰყავს. ამიტომ დუმილი ვამჯობინე. ემილია კვლავ უარზე იდგა, მაგრამ ახლა უკვე არცთუ მტკიცე უარზე.

— ჩემი ქმრის მანქანით მერჩია წამოვსულიყავი...

ბატისტამ ხუმრობით უპასუხა:

— რა არის, რომ სულ ამას გაიძახით: ჩემი ქმარი, ჩემი ქმარი... მთელი დღე თქვენს ქმართან არა ხართ?! დაჯექით, თორემ მართლა მეწყინება.

ამ ლაპარაკში მანქანასთან მივიდნენ. ბატისტამ მანქანის წინა კარი გამოაღო და ემილიაც დაჯდა. ბატისტამ მანქანას შემოუარა, რათა თვითონაც დამჯდარიყო საჭესთან. თითქოს სიზმარში ვიყავი, ისე გაოგნებული ვუყურებდი მათ. რეინგოლდის ხმამ შემაკრთო.

— აბა, წავედით?

უცებ გამოვერკვიე, საჭეს მივუჯექი და მანქანა დავძარი.

ზურგიდან მომესმა ბატისტას მანქანის გუგუნის, ბატისტა ჯერ უკან მოგვეყვებოდა, მაგრამ მალე გაგვისწრო, სწრაფად გაიჭრა წინ და შეუყვამთების ძირში გაჭრილ ვიწრო გზას. ძლივს მოვასწარი გვერდიგვერდ მსხდარი ემილიას და ბატისტას ზურგების დანახვა, რომ მანქანა მოსახვევში მიიმალა.

ბატისტამ მე და რეინგოლდს გვირჩია, გზაში მომავალ სცენარზე გველაპარაკა, მაგრამ მისი რჩევა არ იყო საჭირო, ისედაც, როგორც კი ჩემი მცირელიტრაჟიანი მანქანის შესაფერისი სიჩქარით ქალაქს გავცდით და ფორმიას გზატკეცილზე გავედით, რეინგოლდმა, რომელიც აქამდე დუმდა, წამოიწყო:

— მართალი მითხარით, მოლტენი, იმ დღეს ბატისტასთან რომ ვიყავით, ხომ შეგეშინდათ, რომ მოგიწევდათ კინობოევიკის გაკეთება. ხომ შეგეშინდათ?

სიტყვა „კინობოევიკი“ განსაკუთრებული ღიმილით წარმოთქვა:

— ახლაც მეშინია, დაბნეულად ჩავილაპარაკე მე, ეს — ტენდენცია ამ ბოლო დროს იტალიურ კინოსტუდიებშიც შეინიშნება.

— ჰო, შეიძლება ეს ასეა, მაგრამ თქვენ ნურაფრისა გეშინიათ. ჩვენ... — თქვა მან მტკიცედ და ავტორიტეტულად, — ფსიქოლოგიურ ფილმს გავაკეთებთ, მხოლოდ და მხოლოდ ფსიქოლოგიურს... როგორც უკვე გითხარით, ამის შესახებ იქ, ბატისტასთან... მე, ძვირფასო მოლტენი, ჩვეული არ ვარ ვაკეთო ის, რაც პროდიუსერებს სურთ... ყოველთვის ვაკეთებ იმას, რაც მე მსურს. სტუდიაში მე უნდა ვიყო ყველაფრის ბატონ-პატრონი, სხვა არავინ... წინააღმდეგ შემთხვევაში უარს ვამბობ ხოლმე ფილმის გადაღებაზე... ყველაფერი ნათელია, ხომ?

ვუპასუხე, ნათელია-მეთქი და ვერ დავფარე ის გულწრფელი სიხარული, რაც რეინგოლდის სიტყვებმა მაგრძნობინა, რამეთუ რეინგოლდის ასეთი დამოუკიდებლობა ჩემთვისაც სასიხარულო იყო. იმედი მომეცა, მასთან საერთო ენას ადვილად გამოვნახავდი. სამუშაოც ჩვეულებისამებრ მოსაწყენი

და აუტანელი აღარ იქნებოდა. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ რეინგოლდმა კვლავ განაგრძო:

– ახლა მინდა ჩემი მოსაზრებები გაგიზიაროთ, მოლტენი, შეგიძლიათ მანქანა ატაროთ და თან მომისმინოთ?

– რა თქმა უნდა, შემიძლია, – ვუთხარი და ის იყო მოსასმენად მოვემზადე, რომ უეცრად სოფლის შარაგზიდან გზატკეცილზე გამოვიდა ხარებშებმული ურემი და გზა გადაგვიღობა. მანქანა მკვეთრად შემოვატრიალეთ და ურემს გვერდი ავუქციე. მანქანა გადაფერდდა, ზიგზაგებიც წავიდა. ის იყო ხეს უნდა დავჯახებოდით, რომ როგორღაც მოვახერხე მისი გასწორება.

– „რა თქმა უნდა, არ შემიძლიაო“, რომ გეპასუხათ უფრო სწორი იქნებოდა, გადაიხარხარა რეინგოლდმა,

– ეგ არაფერი, – ვუთხარი ცოტა არ იყოს საქციელი წამხდარმა, – ხარები ისე მოულოდნელად გამოჩნდნენ, რომ... განაგრძეთ, გისმენთ.

რეინგოლდს დიდი ხვეწნა არ დასჭირვებია:

– აი, რა უნდა გითხრათ, მოლტენი. კაპრზე წამოსვლას იმიტომ დავთანხმდი, რომ ცალკეული კადრები ნატურიდან მართლაც ნეაპოლის ყურეში უნდა გადავიღოთ, მაგრამ ეს მხოლოდ ფონი იქნება. შეგვეძლო, რომშიც დავრჩენილიყავით, იდისევსის დრამა ხომ ახალი მიწების აღმომჩენი მებღვაურის ან ომიდან შინ დაბრუნებული მეომრის დრამა არ არის. ეს ყოველი ჩვენგანის დრამაა. ადამიანის დრამა, მითი ოდისევსზე – ეს არის ნამდვილი ამბავი გარკვეული ხასიათისა და ტიპის ადამიანებზე...

რაც ენაზე მომადგა, ისა ვთქვი:

– ყველა ბერძნულ მითში ადამიანური ტრაგედიებია გადმოცემული. სწორედ იმიტომაა, რომ მათ ღღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი მნიშვნელობა, მარად უკვდავნი არიან.

– მეც მაგის თქმა მინდა... ყველა ბერძნული მითი, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანთა ცხოვრების ალეგორიული ასახვაა. ახლა ისმის კითხვა: რა გვევალება ჩვენს თანამედროვე ადამიანებს, რათა გავაცოცხლოთ ეს ძველი და ასე შორეული მითები?! უპირველეს ყოვლისა, უნდა განვსაზღვროთ

რა მნიშვნელობა აქვთ მათ ჩვენთვის, თანამედროვე ადამიანებისათვის. შემდეგ უნდა გავშიფროთ, გავხსნათ, ყველასთვის ნათელი და მისაწვდომი გავხადოთ მათი მნიშვნელობა... და ეს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ცოცხლად, დამოუკიდებლად, ისე რომ აღტაცებულ თრთოლას არ განვიცდიდეთ ამ მითების საფუძველზე შექმნილი ბერძნული ლიტერატურის შედეგების წინაშე. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. თქვენ, ალბათ, იცნობთ ო'ნილის პიესას „ძაძა შვენის ელექტრას“, ამ პიესის მიხედვით ფილმიც არის დადგმული.

— როგორ არა, ვიცი.

— აი, რა: ო'ნილმაც სწორად გაიგო ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ საჭიროა ამ ანტიკური მითების თანამედროვე ყაიდაზე გადმოტანა. „ორესტეზე“ მუშაობისასაც... მაგრამ მე მაინც არ მიყვარს „ძაძა შვენის ელექტრას“... და იცით რატომ? იმიტომ, რომ ო'ნილს ესქილესი შეეშინდა... მან სწორად განსაზღვრა, რომ შეიძლებოდა „ორესტეას“ ფსიქოლოგიური წაკითხვა, მაგრამ თემისა შეეშინდა და ისე ზედმიწევნით ზუსტად გადაიღო მითი, როგორც ბეჯითი მოსწავლე დაწერს ხოლმე სასკოლო ცალხაზიან რვეულში შინაარსს. ჰოდა, იგრძნობა, რომ ო'ნილიც ცალხაზიან ქაღალდზე წერს, მოლტენი.

რეინგოლდი იცინოდა. კმაყოფილი იყო, მიწასთან რომ გაასწორა ო'ნილი.

ახლა უკვე რომის გავაკებაზე მივქროდით, ზღვის სანაპიროსთან ახლოს. მწიფე თავთავით გადაყვითლებულ ბორცვებს შუა აქა—იქ მოჩანდა ხშირფოთლოვანი ხეები: „ალბათ ძალიან ჩამოვრჩით ბატისტას“, გავიფიქრე მე, რადგან თვალმისაწვდომზე რამდენსაც არ ვათვალისწინებდი ლარივით გაჭიმულ გზასა თუ მოსახვევებს, მანქანა არსად ჩანდა. ბატისტა, ალბათ, გიჟივით მიაქროლებს ახლა მანქანას, ალბათ, საათში ას კილომეტრს გადის. ჩემი ვარაუდით, ახლა ორმოცდაათი კილომეტრით მაინც იქნებოდა ჩვენგან დაწინაურებული.

რეინგოლდმა კვლავ განაგრძო:

— მართალია, ო'ნილმა სწორად გაიგო ჭეშმარიტება, რომ ბერძნული მითები, ფსიქოლოგიის უკანასკნელი აღმოჩენების შესაბამისად, თანამედროვე ყაიდაზე დამუშავებას მოითხოვს,

მაგრამ მან თემას არ გადაუხვია. მთლიანად მის ლიტერატურულ საფუძველს დაეყრდნო მაშინ, როცა შეეძლო, იგი უშიშრად, თავისუფლად გადაეკეთებინა და განეახლებინა. მან ეს არ გააკეთა. იმიტომაა, რომ „ძაძა შვენის ელექტრას“ გაკვეთილივით ცივი და მოსაწყენი გამოუვიდა...

— მე კი მომწონს, — შევაპასუხე.

რეინგოლდმა ჩემს ნათქვამს ყურადღება არ მიაქცია და განაგრძო:

— ახლა ჩვენს ხელთაა „ოდისეა“. და უნდა გავაკეთოთ ის, რისი გავეთებაც ოწილმა არ ისურვა, ან უფრო სწორად, ვერ შეძლო „ორესტეაზე“ მუშაობის დროს. უნდა ავიღოთ „ოდისეა“, გავკვეთოთ, როგორც გვამი ანატომიურ მაგიდაზე, შევისწავლოთ მისი ცალკეული ნაწილები, შემდეგ კი თანამედროვეობის მოთხოვნების შესაბამისად ავაწყოთ.

ვერაფრით მივხვდი, ამით რისი თქმა უნდოდა რეინგოლდს, ამიტომ რაც უცებ თავში მომივიდა, ისა ვთქვი:

— „ოდისეას“ არსი, მგონი, ყველასთვის ცნობილია. ოდისევსი უსაზღვრო დარდითაა შეპყრობილი ოჯახზე, სამშობლოზე, ახლობლებზე. მაგრამ შინ დაბრუნებისას უამრავი დაბრკოლება ეღობება, რაც ხელს უშლის დაუბრუნდეს სამშობლოს, ოჯახს, საყვარელ ადამიანებს. აი, სად არის კონფლიქტი. იგივე შეიძლება შემთხვევოდა თითოეულ სამხედრო ტყვეს ან ომგადახდილ ჯარისკაცს, რომელიც დიდხანს დაყოვნდა გზაში, სანამ სამშობლოს მიაღწევდა. ჩემი აზრით, თითოეული მათგანი თავისებურად პატარა ოდისევსია...

რეინგოლდმა ქათამივით ჩაიკაკანა:

— ასეც მოველოდი, რომ ამას იტყოდით — ჯარისკაცი, ტყვე... არც ერთი, არც მეორე, მოლტენი. თქვენ გამოჰყოფთ „ოდისეას“ მხოლოდ გარეგნულ მხარეს, ფაქტებს... ასეთი მიდგომით შეიძლება ფილმი დავღუპოთ. ამ შემთხვევაში „ოდისეასაც“ არ ასცდება ის საფრთხე, რომ ჩვეულებრივ სანახაობით „ფილმ-გიგანტად“ იქცეს, როგორც ბატისტა ამბობს. მაგრამ ბატისტა პროდიუსერია და გასაკვირიც არაა, ასე რომ აზროვნებს. მას სულ სხვა მიზნები ამოძრავებს, მაგრამ თქვენ, მოლტენი... თქვენ ხომ ჭკვიანი, განათლებული კაცი ხართ, ინტელიგენტი.

ეგ ნამდვილად არ გეპატიებათ... საჭიროა ჩასწვდეთ ჩემს ნათქვამს, იფიქროთ მასზე. აბა, სცადეთ, ნახავთ, თუ მართალი არ აღმოვჩნდები...

— მთელი დღე მაგაზე არ ვფიქრობ?.. — ვუთხარი, ცოტა არ იყოს, განაწყენებულმა.

— არა. თქვენ არ გინდათ ჩაუფიქრდეთ, მოლტენი. აბა, კარგად ჩაუფიქრდით. ღრმად ჩასწვდით სიუჟეტს და მიხვდებით, რომ „ოდისეა“ სხვა არაფერია, თუ არა ოდისევსა და პენელოპეს ცოლქმრულ ურთიერთობაზე აგებული ამბავი.

ამჯერად ხმა არ ამომიღია. რეინგოლდმა განაგრძო:

— ყველაზე მეტად რა გვანაცვიფრებს „ოდისეაში“? ოდისევსის სიღინჯე. მან ხომ ათი წელი მოანდომა შინ დაბრუნებას და ამ ათ წელიწადში თუმცა ბევრს ლაპარაკობდა პენელოპესადმი სიყვარულზე, მაინც არაერთხელ უღალატა მას. ჰომეროსი გვარწმუნებს, რომ ოდისევსი მხოლოდ პენელოპეზე ფიქრობს, მისი ერთადერთი და სანუკვარი სურვილია, რაც შეიძლება მალე იხილოს ცოლი. მაგრამ განა ეს სარწმუნოა, შეგვიძლია დავუჯეროთ ჰომეროსს, მოლტენი?

— ჰომეროსს თუ არა, მაშ ვის უნდა დავუჯეროთ? ვუთხარი ხუმრობით.

— საკუთარ თავს, ჩვენ, თანამედროვე ადამიანებს, რომლებსაც უნარი შეგვჩვენს, ნათლად დავინახოთ, ღრმად ჩაწვდეთ მითის არსს. მოლტენი, „ოდისეა“ ერთხელ და ორჯერ როდი წამიკითხავს, შემიძლია ვთქვა, უამრავჯერ წამიკითხავს და საბოლოოდ იმ დასკვნამდე მივედი, რომ ოდისევსს, ქვეცნობიერად არ უნდა შინ დაბრუნება, გაურბის პენელოპესთან შეხვედრას. აი, ჩემი დასკვნა, მოლტენი...

არც ახლა ამომიღია ხმა. ჩემი სიჩუმით გამხნევებულმა რეინგოლდმა კვლავ განაგრძო:

სინამდვილეში, ოდისევსს ეშინია ცოლთან დაბრუნებისა და, როგორც შემდგომში დავინახავთ, თითქმის ხელოვნურად განგებ ქმნის დაბრკოლებებს. თითქოს რაღაც ქვეშეცნეული გრძნობა კარნახობს, რაც შეიძლება გააჭიანუროს თავისი მოგზაურობა. ამ ხნის მანძილზე მას ბევრი რამ ისეთი გადახდება, რის გამოც მისი დაბრუნება მართლაც ყოვნდება. ხოლო

რაც შეეხება მის ლტოლვას სათავგადასავლო ამბებისა და მოგზაურობისაკენ ახალ—ახალი ქვეყნების სანახავად, სხვა არა არის რა, თუ არა ამ ქვეშეცნეული გრძნობებისგან ნაკარნახევი საბაბი მოგზაურობის გასაგრძელებლად. ოდისევის შინ დაბრუნებას ხელს არ უშლის არც სვილე და ქარბიდი, არც კალიფსო და ნიმფები, არც პოლითემი და კირკე, თვით ღმერთებიც კი. ხელს უშლის სწორედ ის ქვეშეცნეული გრძნობა, რომელიც ოდისევსს კარნახობს ამა თუ იმ მიზეზს, ერთი წელი ერთგან გაჩერდეს, ორი წელის სხვაგან და ასე შემდეგ.

აი, თურმე, საით უმიზნებს რეინგოლდი! კლასიკური ნაწარმოების ტიპური ფროიდული ინტერპრეტაცია ჰქონია ჩაფიქრებული. აქამდე როგორ ვერ მივხვდი? რეინგოლდი ხომ გერმანელი იყო? მისი მოღვაწეობის პირველი წლები სწორედ იმ პერიოდს ემთხვევა, როცა ფროიდს დიდი წარმატება ჰქონდა. შემდეგ რეინგოლდი სამუშაოდ ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა, სადაც ფსიქონალიზი დიდ პატივში იყო. ბუნებრივია, ახლაც —ამ გზით ცდილობდა გაეხსნა ისეთი სადა, სრულიად ნათელი სახე, როგორიც ოდისევსია, ვინც ძალზე შორს იყო მსგავსი განცდებისგან.

მშრალად წარმოვთქვი:

— შესანიშნავადაა მოფიქრებული, ოღონდ ჯერ კიდევ მთლად კარგად არ მესმის...

— ერთი წუთით, მოლტენი, ერთი წუთით, ახლავე აგიხსნით... ამრიგად, როგორც ჩემი ინტერპრეტაციიდანაც ნათლად ჩანს, — რაც ამ პოემის გახსნის ერთადერთი უტყუარი გზაა, — და თანამედროვე ფსიქოლოგიის უახლოეს აღმოჩენათა მიხედვითაც თუ ვიმსჯელებთ, ეს ნაწარმოები ბოლოს და ბოლოს არის ოდისევსისა და პენელოპეს ცოლქმრული ცხოვრების ამბავი; ამბავი მათ უთანხმოებებსა და ამით გამოწვეულ მათი ურთიერთობის გაუარესებაზე. ოდისევსს დიდი ხანია აწვალებს ასეთი ყოფა, მაგრამ თვითონვე ამწვავებს მას. ლამის ათი წლის სულიერი ბრძოლა შეაღია გამოსავლის პოვნას: დაბრუნებოდა იმ ცხოვრებას, რისი მიზეზითაც წარმოიშვა ეს შინაგანი უთანხმოება და განხეთქილება. სხვა სიტყვებით რომ

ვთქვათ, ათი წელიწადი ოდისევსი თვითონ ქმნის დაბრკოლებებს, ყველანაირად ეძებს საბაბს, რათა თავისი მოგზაურობა გაახანგრძლივოს და რაც შეიძლება გვიან დაუბრუნდეს ცოლქმრობის უღელს. უფრო მეტიც, იმასაც ცდილობს, თავისი ბედი სხვა ქალს დაუკავშიროს, მაგრამ ბოლოს თავს ერევა და გადაწყვეტს დაბრუნდეს... ოდისევსის დაბრუნება კი სწორედ იმას ნიშნავს, რომ იგი შეურიგდა თავის ხვედრს, არადა, სწორედ ამ ხვედრისთვის მიატოვა ოჯახი და უკან დაბრუნება აღარ უნდოდა.

— რომელ ხვედრს? — ვკითხე ამჯერად აშკარად გაოცებულმა, — განა ოდისევსი იმიტომ არ წავიდა, რომ ტროის ომში მივლო მონაწილეობა?

— ეგ მხოლოდ გარეგნულად ჩანს ასე, გარეგნულად, — მოუთმენლად გაიმეორა რეინგოლდმა, — ოდისევსის ომში გამგზავრებამდე ითაკაში მომხდარ ამბებზე, სასიძოვებზე და სხვებზე მერე გეტყვით, ახლა კი აგისხნით იმ მიზეზს, რატომ არ უნდოდა ოდისევსს კუნძულზე დაბრუნება და რად ეშინოდა ცოლთან შეხვედრისა... ამასთან, ხაზს გაუსვამ ერთ მეტად მნიშვნელოვან გარემოებას: „ოდისეას“ მიზანი არ არის გვაჩვენოს ათასნაირი ფათერაკითა და ხიფათით სავსე თავგადასავლები, ან გარკვეული გეოგრაფიული სივრცე, ან ვითარებანი სხვადასხვა ქვეყანაში, როგორც ჰომეროსს სურს დაგვაჯეროს. არა, პირიქით, ეს არის ოდისევსის უდიდესი სულიერი დრამა... და ყველაფერი, რაც მასშია მოცემული, ქვეშეცნეული გრძნობების უშუალო ასახვაა... თქვენ, უეჭველია, იცნობთ ფროიდის მოძღვრებას, მოლტენი...

— დიახ, ცოტა.

— ამრიგად, ოდისევსის რთული შინაგანი სულიერი სამყაროს ამოცნობაში ჩვენი მეგზური იქნება ფროიდი და არა ვილაც ბერარდი, თავისი გეოგრაფიული რუკებითა და უსუსური ფილოლოგიით, ხმელთაშუა ზღვის ნაცვლად ჩვენ გამოვიკვლევთ და შევისწავლით ოდისევსის სულიერ სამყაროს, ან უფრო სწორად, მის ქვეცნობიერს.

აქ კი ველარ მოვითმინე და გალიზიანებულმა იქნებ ზომამე მეტადაც ვთქვი უხეშად:

– თუ მასეა, მაშინ რაღა საჭირო იყო კაპრზე წამოსვლა? ბუდუარული დრამის გადაღებას რომის რომელიმე ახალ კვარტალში, თანამედროვე გემოვნებით გაწყობილ ბინაში მოვახერხებდით!

ამ სიტყვების გაგონებაზე რეინგოლდს თვალები გადმოეკარკლა გოცებისა და შეურაცხყოფისაგან. მან უსიამოდ ჩაიქირქილა. ასე იცინიან, როცა სურთ ხუმრობაში გაატარონ არასასიამოვნოდ წარმართული საუბარი.

– უმჯობესია, ეს საუბარი კაპრზე განვაგრძოთ, – რეინგოლდი აღარ იცინოდა, თქვენ, მოლტენი, ერთდროულად მანქანის მართვა და „ოდისეაზე“ ლაპარაკი არ შეგძლებიათ. ასე რომ, თქვენ საჭეს მიხედეთ. მე კი ამ მომხიბლავი პეიზაჟით დავტკბები.

შეპასუხება აღარ მიცდია და ერთი საათი სრულ სიჩუმეში ვიარეთ. ასე გავიარეთ პონტოს უძველესი ჭაობები: მარჯვნივ დიდი არხი იყო თითქმის უმოძრაო წყლით, მარცხნივ კი მწვანედ აბიბინებული მინდორი. ჩავუქროლეთ ჩისტერნას, ტერაჩინის. მერე კლდოვანი მთების ძირში გაჭრილ გზაზე გავედით, რომელიც ზღვის სანაპიროს გასდევდა მთელ გაყოლებაზე. ზღვა შფოთავდა. შავ-ყვითელი სანაპირო დიუნების გასწვრივ მღვრიე მწვანე მოჩანდა. ეტყობა, ამასწინანდელმა ქარიშხალმა ფსკერიდან ამოყარა ქვიშა. აგორებული, გოლიათი ტალღები ზანტად დგებოდნენ ყალყზე. ზათქით ეხეთქებოდნენ ლოდებს და რძისფერ ქათს ანთხევდნენ სანაპიროზე. ნაპირიდან მოშორებით ზღვას ჭავლი გადასდიოდა და ახლა უკვე მწვანე კი არა, ლურჯი, თითქმის იისფერი ჩანდა. ქარი რომ დაუბერავდა, ზღვას ხან თეთრხუჭუჭა ტალღები გადაურბენდნენ, ხანაც მდორედ გაიშლებოდა. ცაც ასეთივე შფოთიანი იყო. თეთრი ღრუბლები უწესრიგოდ დაცურავდნენ აქეთ–იქით, ღრუბელსა და ღრუბელს შუა კი გამოკრთოდა მზით განათებული, სარკესავით კრიალა ლაჟვარდისფერი ზეცა. ზღვის ფრინველები მარდად ტრიალებდნენ ჰაერში, უცებ ტალღებისკენ დაეშვებოდნენ ტყვიანაკრავით, შემდეგ ისევ ჰაერში აიჭრებოდნენ. თითქოს სურდათ ქარის ქროლას არ ჩამორჩენოდნენ და აქეთ–იქით მასავით ენავარდათ თავისუფლად.

მიმყავდა მანქანა და თვალს ვერ ვაშორებდი ზღვის ამ მომ-
ხიბლავ პეიზაჟს და უცებ სრულიად მოულოდნელად, თითქოს
ჩემი სინდისის ქენჯნის გასაქარწყლებლად, — რასაც რეინ-
გოლდის გაჯავრებული და შეურაცხყოფილი შემოხედვის შემ-
დეგ ვგრძნობდი, როცა მის ინტერპრეტაციას ბუდუარული
დრამა ვუწოდე, ამ სილამაზის დანახვაზე უნებურად დავ-
რწმუნდი, რომ მე მართალი ვიყავი: სწორედ ამ ზღვაში, ამ სა-
ოცრად ცოცხალი ფერებით მოლივლივე ზღვაში, ამ ნათელი
ცის ქვეშა და სწორედ ამ უკაცრიელ ნაპირთან ვხედავდი ოდი-
სევსის შავ ხომალდებს, რომლებიც მიემართებოდნენ ხმელ-
თაშუა ზღვის ჯერ კიდევ ფეხდაუდგამ მიწებისაკენ. ჰომეროსს
სწორედ ასეთი ზღვის, ასეთივე ნათელი ბეცისა და ნაპირების
დახატვა უნდოდა. მისი გმირებიც ამ ბუნებას უნდა ჰგვანებოდ-
ნენ. ამ ბუნებასთან უნდა ყოფილიყვნენ წილნაყარი თავიანთი
კლასიკური სისადავითა და გასაოცარი ზომიერების გრძნო-
ბით. აი, რა უნდოდა ჰომეროსს! მხოლოდ ეს უნდოდა, სხვა
არაფერი! რეინგოლდს კი გადაუწყვეტია, ეს ნათელი და მშვე-
ნიერი, ქარის ქროლით ათრთოლებული და მზის სხივებში ჩა-
ძირული საუფლო, სადაც სიცოცხლით სავსე და გამჭრიახი ად-
მიანები სახლობდნენ, უფერულ, უფორმო, უმზეო და უჰაერო
ქვეცნობიერების სამყარო ოდ, ვითომდა ოდისევსის სულის
იდუმალ ლაბირინთად აქციოს. ამრიგად, მისი მსჯელობიდან
გამოდის, რომ „ოდისეა“ საოცარ მოგზაურობათა ამბავი კი არ
იყო, რომელსაც მიაწერენ ჯერ კიდევ კაცობრიობის ლეგენდა-
რულ ბავშვობაში ხმელთაშუა ზღვის ახალი უცნობი მიწების
აღმოჩენას, არამედ ეს იყო უსასრულო ხელის ფათური წინა-
აღმდეგობებით აღსავსე ადამიანის სულში. მაშინდელი გმი-
რის სულიერი დრამა. ადამიანისა, რომელიც ფსიქოზის სახი-
ფათო ზღვარზე იმყოფებოდა.

წარმოდგენელი იყო, ამაზე უარესად გაეგო ვინმეს „ოდი-
სეა“, წარმოდგენელი იყო ასეთ შეუფერებელ თანაავტორ-
თან დამეჭირა საქმე. გარდა იმისა, რომ კინოში გავრცელებუ-
ლი ახალი მიმართულების თანახმად — უმართებულოდ და
უსაფუძვლოდ შეეცვალათ სიუჟეტი და თანაც შეეცვალათ ცუ-

დად — ამან კიდევ ზედ დაუმატა ის უღიმღამობა, რაც დამახასიათებელია წმინდა მექანიკური და აბსტრაქტული ფსიქონალიზისათვის. და რაც ყველაზე მთავარია, ეს ექსპერიმენტი უნდა ჩაეტარებინათ ისეთ მშვენიერ და ნათელ ნაწარმოებზე, როგორც „ოდისეა“ იყო!

მანქანა ახლა ზედ ზღვისპირას მიმყავდა. გზის გასწვრივ, ხელის გაწვდენაზე, ლამის სილიანში, მწვანე ყურძნის მტევნებით მძიმედ დახუნძლული ვაზები ჩამწკრივებულნი, მათ უკან კი ჩამუქებულიყო კლდის ჩამონამსხვრევებით მოფენილი ვიწრო პლაჟი, სადაც დროდადრო თეთრად აქაფებული ტალღები ეხეთქებოდა.

უცებ მანქანა დავამუხრუჭე და მშრალად ვთქვი:

— აქ შევისვენოთ, ცოტა მუხლი გავშალოთ.

მანქანიდან გადმოვედი. მე იმ ბილიკს გავყევი, რომელიც ვენახზე გადიოდა და სანაპიროსკენ ეშვებოდა. თითქოს თავს ვიმართლებდი, რეინგოლდს ვუთხარი:

— მთელი რვა თვე სახლიდან გარეთ არ გამოვსულვარ, ჩაკეტილი ვიყავი... შარშანდელი ზაფხულის მერე ზღვა აღარ მიწახავს... ერთი წუთით გავიდეთ ნაპირზე...

ის გაჩუმებული მომყვებოდა. ეტყობა კვლავ გაჯავრებული იყო ჩემზე, ჯერ კიდევ ვერ მოენელებინა შეურაცხყოფა. ორმოცდაათიოდე მეტრის გავლაც ვერ მოვასწარი, რომ ზღვისკენ მიმავალი ბილიკი სილაში ჩაიკარგა. მთელი გზა მანქანის ძრავის უსიცოცხლო და ერფთეროვანი ხმაურის შემდეგ ყურს ტკბილად ელამუნებოდა წყლის ტყლაშუნი. ზღვა წუთით იყუჩებდა, შემდეგ აბორგდებოდა, ყალყზე შემდგარი ტალღები ერთმანეთს ეხეთქებოდა და ხმაურით იმსხვრეოდნენ კლდოვან ლოდებზე. ცოტა გავიარ—გამოვიარე. ვცდილობდი, ზღვის მხეფები არ მომწვდენოდა. შემდეგ შევჩერდი და დიდხანს ვიდექი სილიან ბორცვზე. აქედან გავყურებდი თვალუწვდენელ ჰორიზონტს. ვგრძობდი, რეინგოლდს შეურაცხყოფა მივაყენე, გავანაწყენე. ზრდილობა მოითხოვდა, როგორმე განმეახლებინა მასთან საუბარი, რასაც, ეტყობა, ისიც მოელოდა, თუმცა არ მინდოდა შემეჩერებინა ფიქრთა უწყვეტი ნაკადი, რაც ამ უკიდევანო, ჩემ წინ გადაჭიმულმა ზღვამ ამიშალა.

— მაპატიეთ, რეინგოლდ, — ვუთხარი მოულოდნელად, — ცოტა ხნის წინ, მგონი, კარგად არ გამომივიდა. გაწყენინეთ, მაგრამ, მართალი ვითხრათ, მთლად სწორი არ მეჩვენა თქვენი მსჯელობა და, თუ გნებავთ, მოგახსენებთ, რატომაც...:

მან სასწრაფოდ მომიგო:

— მითხარით, მითხარით, გეთაყვა. კამათი ხომ ჩვენი მუშაობის ერთ—ერთი მხარეა. ასე არაა?.

— ასე და ამგვარად, — განვაგრძე ისე, რომ მისთვის არ შემიხედავს, — ერთი წუთით დავუშვათ, „ოდისეა“ ისე გავიგეთ, როგორც თქვენ ბრძანეთ, თუმცა არ გეთანხმებით, მაგრამ ახლა არ გედავებით... უნდა ვთქვა, რომ ჰომეროსის პოემებს და საერთოდ, ანტიკური ხელოვნების ნაწარმოებებს სწორედ სისადავე და ნათელი სიუჟეტი ახასიათებთ, ამიტომაც არაფერი არ არის მათში მიჩქმალული და საჩხრეკი. აქედან გამომდინარე, ჩვენი, თანამედროვე ადამიანების, კამათი და მსჯელობა იმ ნაწარმოებებზე ყოველთვის უნდა ემყარებოდეს თვით ამ ნაწარმოების დასრულებულ ფორმას, მის ღრმა შინაარსს... — და რაღაცნაირი აუხსნელი გაცხარებით დავუმატე: — ერთი სიტყვით, „ოდისეას“. მთელი სიმშვენიერე და სიდიადე ის არის, რომ იგი მართლად ასახავს რეალურ სამყაროს, სწორედ იმ სამყაროს, რომელიც ვითვისას წარმოგვიდგება ხოლმე თვალწინ. ეს ნაწარმოები ან ასეთი ფორმით უნდა მიიღო, ან სულ უარი უნდა თქვა მის დადგმაზე. არავითარი დამატება ან რაიმეს შეცვლა არ შეიძლება. უნდა დარჩეს ისე, როგორც არის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ... არც ახლა მიმიხედავს რეინგოლდისკენ, ზღვას გავყურებდი. ჰომეროსის სამყარო რეალური სამყაროა... ჰომეროსი იმ ცივილიზაციას მიეკუთვნება, რომელიც ვითარდებოდა ბუნებასთან სრულ ჰარმონიაში და არა მასთან წინააღმდეგობებში. ამიტომაც ჰომეროსს მტკიცედ სჯეროდა გარე სამყაროს რეალობა და ხედავდა მას ისეთს, როგორც სინამდვილეში იყო. ამიტომ მისი „ოდისეა“ ჩვენც ისევე უნდა მივიღოთ, როგორც სინამდვილეშია. ისევე გვჯეროდეს, როგორც ავტორს სჯეროდა, ისევე გავიგოთ, როგორც ჰომეროსმა დაწერა — სადად, გასაგებად, ყოველგვარი დაფარული ამრების გარეშე.

გავჩუმდი, მაგრამ როდი დავშოშმინდი: რალაცნაირი აღ-
შფოთება დამეუფლა. ვიგრძენი, ამაოდ ვიცავდი ჩემს მოსაზ-
რებას. მართლაც, თითქმის იმავე წუთს მომესმა რეინგოლდის
სიცილი, მაგრამ ამჯერად აღტაცებული.

— თქვენ ექსტროსპექტული ხართ, მოლტენი, როგორც ყვე-
ლა სამხრეთელი, და არ გესმით იმათი, ვინც ინტროსპექტუ-
ლია... მაგრამ აქ არაფერია ცუდი... უბრალოდ, მე ინტროსპექ-
ტული ვარ, თქვენ — ექსტროსპექტული. ამიტომაც აგირჩიეთ
თანაავტორად... თქვენი ექსტროსპექტულობა გააწონასწო-
რებს ჩემს ინტროსპექტულობას. აი, ნახავთ, რა შესანიშნავად
შევეწყობით ერთმანეთს მუშაობაში.

ის იყო, უფრო მეტად აღშფოთებულმა პასუხის გაცემა დავა-
პირე, და ალბათ ჩემი პასუხი ახლაც გამოიწვევდა მის გულის-
წყრომას, რომ ზურგს უკან მომესმა ჩემთვის კარგად ნაცნობი
ხმა:

— რეინგოლდ, მოლტენი, აქ რას აკეთებთ, ზღვის სუფთა ჰა-
ერზე სეირნობთ?

მოვბრუნდი და მზის ნათელ სხივებში, სილის ბორცვზე, ორი
ფიგურა დავინახე — ბატისტასი და ემილიასი. ბატისტა სწრა-
ფად გამოეშურა ჩვენკენ. თან ხელს გვიქნევდა; ემილია ნელი
ნაბიჯით მოსდევდა უკან თავდახრილი. ბატისტა ზედმეტად
მხიარული და თვითდაჯერებული ჩანდა, ხოლო ემილიას უკმა-
ყოფილება და დაბნეულობა ეტყობოდა სხაეზე.

მოახლოებულ ბატისტას გაკვირვებით ვუთხარი:

— ჩვენ გვეგონა, ბევრად გაგვისწართ, ახლა უკვე ფორმია-
ში ან უფრო იქით გვეგულვობდით.

— ჩვენ ცოტა შორიდან შემოვუარეთ, — ძალზე ბუნებრივად
მიპასუხა ბატისტამ, — მინდოდა თქვენი მეუღლისათვის მეჩვენ-
ებინა მიწის ნაკვეთი, რომლის ახლოს ახალ აგარაკს ვაშე-
ნებ. ერთი—ორჯერ რკინიგზის გადასასვლელებთან, შლაგბაუ-
მებთან დავყოვნდით... — შემდეგ რეინგოლდს მიუბრუნდა და
ჰკითხა: — როგორ არის საქმე, რეინგოლდ? ისაუბრეთ „ოდი-
სეაზე“?

– ყველაფერი რიგზეა, – ასევე მოკლედ, ტელეგრაფიულ სტილზე უპასუხა რეინგოლდმა. ეტყობა, გაალიზიანა ბატისტას გამოჩენამ. ჩემთან საუბრის გაგრძელება ერჩია.

– ძალიან კარგი, შესანიშნავია, თქვა ბატისტამ. ორივეს შინაურულად გამოგვდო ხელმკლავი და მოშორებით, ზღვის ნაპირთან მდგარი ემილიასკენ წაგვიყვანა, – ახლა, – გადამეტებული პრანჭვით განაგრძო ბატისტამ, რაც საძაგლობად მომეჩვენა, მშვენიერო სინიორა, სად ინებებთ, ვისადილოთ, ნეაპოლში თუ ფორმიაში?

ემილია შეკრთა.

– თვითონ გადაწყვიტეთ, ჩემთვის სულერთია.

– ღმერთო ჩემო, ეს ისეთი რამაა, ქალმა უნდა გადაწყვიტოს.

– მაშინ ნეაპოლში ვისადილოთ; ჯერ არა მშია.

– ძალიან კარგი, მაშ ასე, შევთანხმდით. ნეაპოლში. თევზის წვნისანი პომიდვრის საწებლით. პატარა ორკესტრი. „ო, მზეო ჩემო“... მეტისმეტად მხიარულ გუნებაზე იყო ბატისტა.

– რომელ საათზე გადის გემი კაპრისაკენ? – იკითხა რეინგოლდმა.

– სამის ნახევარზე... სჯობს, ნუ დავაყოვნებთ. ახლავე დავიძრათ... უპასუხა ბატისტამ, შემდეგ დაგვტოვა და გზაზე გავიდა. რეინგოლდი უკან მიჰყვა. მერე დაეწია, ერთად წავიდნენ. ემილია თითქოს იმათ წასვლას უცდიდა, ცოტა ხანს მოშორებით იდგა, ვითომ ზღვის ცქერით იყო გართული, მაგრამ როგორც კი მიუუახლოვდი, მკლავში ხელი ჩამავლო და ჩურჩულით მითხრა:

– ახლა შენს მანქანაში ჩავჯდები... გთხოვ, უარი არ მითხრა.

მისმა შეშფოთებულმა ხმამ განმაცვიფრა.

– რა იყო, მოხდა რამე?

– ისეთი არაფერი... ბატისტას ძალიან სწრაფად დაჰყავს მანქანა.

დუმილით გავუყევით ბილიკს. როცა გზაზე გავედით და იქვე მდგარ მანქანებს მიუუახლოვდით, ემილია მტკიცედ გამოემართა ჩემი მანქანისკენ.

— როგორ, სინიორა ჩემთან ერთად არ მოდის?

— შემოვბრუნდი: ბატისტა თავისი მანქანის ღია კართან იდგა მზით განათებულ გზაზე. რეინგოლდი მანქანებს შუა გაჩერდა ყოყმანით, ჩვენ დაგვიჩქო ცქერა. ემილიამ ხმის აუმაღლებლად, წყნარად თქვა:

— ახლა ჩემს ქმართან ერთად წამოვალ. შევხვდებით ნეაპოლში.

მეგონა, ამ სიტყვების შემდეგ ბატისტა არ ახირდებოდა, არ დაიჟინებდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ჩვენკენ გამოიქცა:

— სინიორა, თქვენს ქმართან მთელი ორი თვე იქნებით კაპრზე, მე კი, — აქ მან ხმას დაუწია, რეჟისორმა არ გაიგონოს, — საკმაოდ დიდი ხანი დავყავი რეინგოლდთან იქ, რომში და გარწმუნებთ, არც მთლად დიდად სასიამოვნოა მასთან ყოფნა. თქვენს ქმარს არაფერი აქვს საწინააღმდეგო, ჩემთან ერთად წამოხვიდეთ. ასე არაა, მოლტენი?!

რალა დამრჩენოდა, თავს ძალა დავატანე და ვუპასუხე:

— სრულიად არაფერი. მხოლოდ... ემილია ამბობს, ძალიან სწრაფად დაჰყავს მანქანაო...

— პირობას გაძლევთ, კუს ნაბიჯით ვივლი, — იხუმრა ბატისტამ, — ოღონდ ძალიან გთხოვთ, მარტო ნუ დამტოვებთ რეინგოლდთან, — ამ სიტყვებზე კვლავ მხარს დაუწია, — რომ იცოდეთ, რა მოსაწყენი ვაყავი. ერთთავად კინოზე ლაპარაკობს.

არ ვიცი, იმ წუთში რატომ მოვიქეცი ასე. შესაძლოა, გავიფიქრე, ასე უბრალო რამისთვის გუნებას ხომ არ გავუფუჭებმეთქი. ასე იყო თუ ისე, ემილიას ვუთხარი:

— წადი, ემილია, არ გინდა ბატისტას ასიამოვნო?.. თანაც, ის მართალია, დავძინე სიცილით, — რეინგოლდთან კინოს გარდა შეუძლებელია რაიმეზე ლაპარაკი.

— სწორედ ეგრეა, კმაყოფილებით დამემოწმა ბატისტა.

შემდეგ მკლავში ხელი მოჰკიდა, თითქმის ილლიასთან.

— წავიდეთ, მშვენიერო სინიორა, ნუ ჯიუტობთ. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, კუს ნაბიჯით ვივლი.

ემილიამ ისე შემომხედა, მაშინ ვერ მივხვდი. შემდეგ კი წყნარად ჩაილაპარაკა:

— რას ვიზამ, რაკი შენ მეუბნები.

მოულოდნელი გადაწყვეტილებით შებრუნდა და თქვა: „წავიდეთ, რაღას უყურებთ?“ და ბატისტასთან ერთად წავიდა. ბატისტას ისე მაგრად ჩაებლუჯა ემილიას ხელი, თითქოს ეშინოდა, არსად გამექცესო. მე ისევ ჩემს მანქანასთან ვიდექი და გვერდიგვერდ მიმავალ ბატისტას და ემილიას გავცქეროდი. ბატისტა ემილიაზე ბევრად დაბალი იყო. თუმცა ემილიამ მოდუნებული სიარული იცოდა. მაინც ეტყობოდა რაღაც გამოუცნობი მგრძნობიარობა. იმ წუთში ემილია მეტად ლამაზი მეჩვენა. მისი სილამაზე ჰარმონიულად ერწყმოდა კრიალა ზღვასა და ლაჟვარდოვან ცას, რომელთა ფონზე ნათლად იკვეთებოდა ქალის ლამაზი ფიგურა. მაგრამ ემილიას სილამაზეში იგრძნობოდა რაღაცნაირი შეშფოთება, შინაგანი პროტესტი. რისთვის მიმეწერა ეს ყველაფერი, ვერაფრით ამეხსნა. მე კვლავ ემილიას შევცქეროდი. უცებ გამიელვა თავში: „ნამდვილი სულელი ვარ, ვინ იცის, იქნებ ჩემთან დარჩენა უნდოდა... იქნებ უნდოდა, ბოლოს და ბოლოს, გაგვერკვია ჩვენი ურთიერთობა... გული გადაეშალა, ეთქვა, რომ ვუყვარვარ... მე კი ვაიძულე, ბატისტას მანქანაში დამჯდარიყო“... ამის გაფიქრებაზე გული შემეკუმშა, ხელიც ავწიე მის დასაძახებლად, მაგრამ უკვე გვიან იყო. ემილია მანქანაში ჯდებოდა. ბატისტაც გვერდით მიუჯდა, ხოლო რეინგოლდი ჩემკენ გამოემურა. ჩვენც ჩავსხედით მანქანაში. სწორედ იმ წუთში ბატისტას მანქანამ ჩაგვიქროლა და სულ მალე თვალს მიეფარა.

შესაძლოა, რეინგოლდმა შეამჩნია, გაბრაზებული, უფრო სწორად, გაშმაგებული რომ ვიყავი. „ოდისეაზე“ დაწყებული საუბარი აღარ გაუგრძელებია, რისიცი ასე მეშინოდა, ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა, სავარძელზე გადაწვა და მალე ჩაეძინა. მდუმარედ მივაქროლებდი მანქანას, მივაქროლებდი მაქსიმალური სისწრაფით, როგორც კი ჩემს მცირელიტრაჟიან მანქანას შეეძლო. ვგრძნობდი, სიშმაგე თანდათან მიპყრობდა, უბოძოდ მაცოფებდა. ზღვის სანაპიროს ნელ-ნელა ვტოვებდით და ახლა მზის ოქროსფერ სხივებში გახვეულ აყვავებულ მინდვრებში გაჭრილი გზით მივდიოდით. სხვა დროს განუსაზღვრელ სიამოვნებას მომანიჭებდა ამ დაფოთლილი, ერთმანეთზე ტოტებგადაბარჯული ხეების დანახვა, რომლებიც

ცოცხალ, მოშრიალე დერეფნებს ქმნიდა. მოწითალო ბორცვებზე ზეთისხილის ხეები მიმოფანტულიყო. ხასხასა მწვანე ფოთლებში ოქროსფრად ელვარებდა ფორთოხალი, ჟამთა მსვლელობისგან გაშავებულ აქა—იქ ჩადგმულ ქოხებთან ყვითლად მოჩანდა თივის ზვინები, მაგრამ მე მანქანას მივაქროლებდი და ვერაფერს ვამჩნევდი, ვერაფერს ვხედავდი. უფრო და უფრო მიფუჭდებოდა გუნება, არც ვცდილობდი, ამეხსნა მიზეზი ჩემი ასეთი ყოფისა. მიზეზი, ეტყობა, უფრო ღრმა იყო, ვიდრე ჩემი სინანული — ბატისტას სურვილს რომ დავმორჩილდი და ამით ემილიას ნება მივეცი, მის მანქანაში ჩამჯდარიყო. მაგრამ ძალიან გულითაც რომ მდომოდა მიზეზში გავრკვეულიყავი, ტვინი ისე მიხურდა, ფიქრი არ შემეძლო. სშირად ემართებათ ადამიანებს ასეთი ნერვიული შეტევები. ეს შეტევები გარკვეული დროის განმავლობაში ძლიერია, შემდეგ თანდათან სუსტდება და ბოლოს სულ ქრება, მაგრამ ავადმყოფს არაქათგამოცლილს და სხეულდამტვრეულს ტოვებს. მეც ასევე დამემართა. სანამ მანქანას მინდვრებში, ტყეებში, ბაღებსა და ხეივნებში მივაქროლებდი, ჩემმა გაშმაგებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია, შემდეგ თანდათან შესუსტდა და ნეაპოლს რომ მივუახლოვდით, უკვალოდ გაქრა.

ბორცვიდან ნელ-ნელა ზღვისკენ ვეშვებოდით, მაგნოლიებსა და ნაძვებში უკვე მოჩანდა ნეაპოლის ყურე, მისი ლურჯად მოლაპლაპე ნაპირი. ძალაგამოცლილი და დაცარიელებული ვიყავი. ალბათ, ასეთი შეგრძნება იპყრობს ეპილეფსიით დაავადებულ კაცს, რომლის სულმა და სხეულმა ეს-ესაა საშინელი, უძძიმესი კრუნხვები გადაიტანა.

მეცამეტე თავი

ბატისტას აგარაკი, როგორც თვითონ გვითხრა კაპრზე ჩამოსვლამდე, მთავარი მოედნიდან შორს, სორენტოს „მხრისკენ, სანაპიროს ერთ. მყუდრო კუთხეში, შემაღლებულ ბორცვზე მდებარეოდა. რეინგოლდი სასტუმრომდე მივაცილეთ და მე, ბატისტა და ემილია ვიწრო ქუჩით გავემართეთ აგარაკისკენ.

მალე დაჩრდილულ ხეივანში გავედით. ხეივანი მთელ კუნძულს შემოხვეოდა გარს. მზე დასავლეთისაკენ ეშვებოდა, დაისი დგებოდა და აყვავებული ოლიანდრების ჩრდილში, აგურით მოკირჩყლულ გზაზე, რომელიც მთელ გაყოლებაზე გასდევდა ქალაქის ჩრდილიან ბაღებს, სიჩუმეში მხოლოდ რამდენიმე ტურისტი დასეირნო ობდა. იქ, სადღაც შორს, დაბლა, ნაძვებსა და წიწვოვან მცენარეებში მოჩანდა მუქი ლაჟვარდისფერი ზღვის მოსარკული ზედაპირი, რომელიც უკვე ჩამავალი მზის ძალაგამოლეულ სხივებზე თვალისმომჭრელად ბრწყინავდა.

უკან მივდევდი ბატისტასა და ემილიას, გზადაგზა ვჩერდებოდი ამ მშვენიერი ადგილებით მოხიბლული და ჩემდა განსაცვიფრებლად შევნიშნე, რომ ბუნების მაღლმა თავისი გაიტანა — თუ დიდი სიხარული არ მაგრძნობინა, ყოველ შემთხვევაში, ნერვები დამიჩყნარა და სიმშვიდე მომგვარა. ასე გავიარეთ მთელი ხეივანი და ბოლოს უფრო ვიწრო გზაზე გადავუხვიეთ. გამოჩნდა უკიდევანო სივრცე და ცამდის აზიდული ფარალიონის კლდეები. სიხარულით აღვივსე, როცა ემილიას აღტაცებული შეძახილი გავიგონე. კაპრზე ის პირველად იყო და მთელი გზა მოჰადოებული დუმდა. წყლის ზედაპირიდან ამომართული ორი უზარმაზარი წითელი, ციცაბო კლდე მაღლიდან საოცარ შთაბეჭდილებას ახდენდა. ისინი ციდან ჩამოვარდნილ მეტეორიტებს ჰგავდნენ. მეც აღტაცებული ვიყავი ამ მომხიბლავი პეიზაჟით. ემილიას ვუთხარი, ლურჯი ხვლიკი მხოლოდ ფარალიონის ციცაბო კლდეებზე ცხოვრობს იქ. იმიტომ არის ლურჯი, რომ ცაც ლურჯია ბემოთ და ზღვაც ქვემოთ ლურჯად გაწოლილა-მეთქი.

ემილია დიდი გულისყურით მისმენდა. თითქოს წუთით გადავიწყებოდა ჩემ მიმართ მტრობა. კვლავ მთელი ძალით იფეთქა ჩემს არსებაში შერიგების იმედმა. ამ ციცაბო კლდეთა ნაპრალებში მცხოვრები ლურჯი ხვლიკი ჩემს გონებაში რაღაც სიმბოლოდ წარმოისახა. „ვინ იცის, გავიფიქრე, — ჩვენც რომ დიდხანს დავრჩენილიყავით კუნძულზე, როგორები გავხდებოდით. ზღვის პირას უშფოთველი და აუმღვრეველი ცხოვრება, ალბათ, ჩვენს სულსაც ჩამოფხეკდა ცხოვრებისეულ ჟანგს;

ჩვენი სული და გრძნობები ისეთივე ნათელი სილურჯით იქნებოდა სავსე, როგორც ზღვა და ზეცა და განა მარტო ისინი — ყველაფერი, რაც ნათელია და დილის ცვარივით სუფთა და კამკამა.

გავცდით ფარალიონის კლდეებს. პეიზაჟი შეიცვალა. გზა მოტიტვლებულ ქვიან ხრამებს შუა მიიკლავნებოდა. არსად ჩანდა ბალები და აგარაკები. ბოლოს, ერთ განმარტოებულ ადგილას, დავინახეთ გრძელი, დაბალი და თეთრი შენობა, რომლის ტერასა ზღვის ნაპირზე გამოდიოდა. სწორედ ეს გახლდათ ბატისტას აგარაკი. იგი დიდი არ იყო: ტერასაზე გამავალი სასტუმრო ოთახისა და კიდევ სამი ოთახისაგან შედგებოდა.

ბატისტა წინ მიგვიძლოდა და წარამარა ტრაბახობდა. გვითხრა, აქ არასოდეს მიცხოვრია, ეს აგარაკი ერთი წელიც არ არის, ერთი მოვალისაგან დამრჩა გადაუხდელი ვალის ანგარიშში.

წელებზე ფეხს იდგამდა, ოღონდ ეჩვენებინა ჩვენთვის, თქვენ დასახვედრად არაფერი გამომრჩენიაო. მართლაც, სასტუმრო ოთახში ცოცხალი ყვავილების გამაბრუებელი, ნაზი სურნელება იდგა. იატაკს კრიალი გაჰქონდა, სამზარეულოში კი დარაჯის ცოლი ვახშმის სამზადისში იყო. ბატისტას გულით უნდოდა, უკლებლივ ყველაფერი ეჩვენებინა ჩვენთვის. საკუჭნაოებიც კი დაგვატარა. კარადებიც კი დააღო, თან ემილიას ეკითხებოდა, ტანსაცმლის საკიდები საკმარისია თუ არაო.

შემდეგ ისევ სასტუმრო ოთახში დავბრუნდით. ემილია ტანსაცმლის გამოსაცვლელად გავიდა. მეც მივლოდი მივყოლოდი მაგრამ ბატისტამ შემაჩერა, იქვე, სავარძელში ჩაჯდა, ხელით მანიშნა, ჩემ პირდაპირ დაჯექიო. სიგარას მოუკიდა და მოულოდნელად მკითხა: მოლტენი, რა აზრისა ხართ რეინგოლდზე?

ცოტა განცვიფრებულმა ვუპასუხე:

— სწორე გითხრათ, არ ვიცი, რა ვთქვა. ჯერ კიდევ არ ვიცნობ ისე, რომ მასზე გარკვეული შეხედულება მქონდეს... ჩემი

აზრით, სერიოზული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს... ამასთან, კარგ, გამოცდილ რეჟისორად იცნობენ...

ბატისტა მცირე ხნით ჩაფიქრდა, შემდეგ განაგრძო:

— არც მე ვიცნობ კარგად, მაგრამ მაინც, ცოტათ თუ ბევრად ვიცი, რით სუნთქავს, რა ასულდგმულებს, რა სურვილები აქვს, რაზე ფიქრობს... უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ ის გერმანელია. ასე არაა, მოლტენი? ჩვენ, მე და თქვენ, იტალიელები ვართ. ერთი სიტყვით, ორ სხვადასხვა სამყაროს ვეკუთვნიტ! სხვადასხვა შეხედულება, სხვადასხვაგვარი მსოფლმხედველობა გვაქვს.

ხმა არ ამომიღია. ბატისტა ახლაც, ჩვეულებისამებრ, შორიდან იწყებდა მოვლას. მის საუბარში არც ახლა იგრძნობოდა, რომ ფულზე იტყოდა რამეს. გადავწყვიტე, ხმაამოუღებლივ მომესმინა ბოლომდე. გამეგო, საით უმიზნებდა.

მან განაგრძო.

— აი რა, მოლტენი, თავიდანვე გადავწყვიტე, რომ რეინგოლდთან იმუშავებთ თქვენ, იტალიელი. ის ჩვენ არა გვგავს, სხვანაირია... მოლტენი, მე თქვენ გენდობით, და ვიდრე უკან გავემგზავრებოდე, და, სამწუხაროდ, ძალიან მალე მომიხდება კუნძულის დატოვება, მინდა, ზოგიერთ რამეზე გაგაფრთხილო.

— თქვით, გისმენტ, — ცივად წარმოვთქვი.

— ფილმზე საუბრის დროს მე ვაკვირდებოდი რეინგოლდს... და შევამჩნიე, რომ ის ან მეთანხმება რამეზე, ან დუმს... მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილი ვარ ადამიანთა გამოცნობაში. კარგად მესმის, რას ფიქრობენ, როცა ასე იქცევიან... თქვენ, ინტელიგენტებს, უკლებლივ ყველას მიგაჩნიათ, რომ პროდიუსერები მხოლოდ საქმოსნები არიან და მეტი არაფერი... არ გინდათ, ნუ შემედავებით, მოლტენი. ვიცი, თქვენც ასე ფიქრობთ და ეჭვი არ მეპარება, ასევე ფიქრობს რეინგოლდიც... მაგრამ შეიძლება ეს მხოლოდ ნაწილობრივ იყოს მართალი... იქნებ რეინგოლდს ჰგონია, რომ ამ თავისი პასიური მოქმედებით ჩემს სიფხიბლეს მოადუნებს და რაიმეს გამომაპარებს. არა, მოლტენი, მე ფხიბლად ვარ, მეტისმეტად ფხიბლად გადავინებთ თვალს ორივეს.

— მოკლედ რომ ვთქვათ, რეინგოლდს არ ენდობით? არ გჯერათ მისი? — უხეშად ვკითხე ბატისტას.

— როგორ გითხრათ, მჯერა და არც მჯერა. ვენდობი მას, როგორც თავისი საქმის კარგ მცოდნეს, ოსტატს... მაგრამ არ ვენდობი და არ მჯერა მისი, როგორც გერმანელისა, როგორც სხვა სამყაროს ადამიანისა, რომელიც ასე მკვეთრად განსხვავდება ჩვენგან... ახლა, ბატისტავ სიგარა საფერფლებზე დადო და თვალი თვალში გამიყარა, — მოლტენი, კარგად დანიმახსოვრეთ: მინდა მივიღო ჰომეროსის „ოდისეას“ მსგავსი ფილმი. რა უნდოდა ეჩვენებინა ჰომეროსს „ოდისეაში“? ჰომეროსს უნდოდა მოეთხრო სათავგადასავლო ამბავი, კითხვისას რომ გაგიტაცებს, სულით ხორცამდე დაგძაბავს. ასე ვთქვათ, სანახაობითი ამბავი. აი, რა უნდოდა ჰომეროსს... მეც მინდა, რომ თქვენ მხოლოდ ჰომეროსს დაეყრდნოთ, მისი ერთგული დარჩეთ. „ოდისეაში“ მას გამოყვანილი ჰყავს გოლიათები, სასწაულმოქმედნი, ქარიშხალი, ჯადოქრები, ურჩხულები...

— ეგენი ხომ ჩვენც გვეყოლება, — ვთქვი ცოტა გაკვირვებულმა.

— ეგენი ხომ ჩვენც გვეყოლება, ეგენი ხომ ჩვენც გვეყოლება! — მოულოდნელად გაცხარდა ბატისტა, — მოლტენი, თქვენ მე სულელი გგონივართ, მაგრამ სულაც არა ვარ სულელი!

ხმა აიმაღლა და განრისხებულმა შემომხედა. გაკვირვებული ვიყავი მისი უეცარი აფეთქებით, განსაკუთრებით კი მისი ამტანიანობა მანცვიფრებდა. მთელი დღე საჭეს ეჯდა. შემდეგ ნეაპოლიდან კაპრზე გემმა დაანჯღრია და ახლა იმის ნაცვლად, რომ დაესვენა, როგორც მის ადგილას მე მოვიქცეოდი, რეინგოლდის ზრახვებზე მოისურვა ლაპარაკი!

უხალისოდ ვთქვი:

— კი მაგრამ, საიდან დაასკვენით, რომ სულელი მგონიხართ?

— თქვენ ორის, თქვენი და რეინგოლდის საქციელიდან...

— რა გინდათ მაგით თქვათ, ჩემთვის გაუგებარია, ამიხსენით. ბატისტამ ცოტა ხანს იყუჩა, შემდეგ კვლავ სიგარეტი აიღო და განაგრძო:

— ალბათ, გახსოვთ ის დღე, როცა პირველად შეხვდით რეინგოლდს იქ, ჩემს კაბინეტში. ჯერ კიდევ მაშინ თქვით, სანახაობითი ფილმები ჩემი მოწოდება არ არის და არ გამოვდგები მსგავსი სიუჟეტისთვისო. ასე არ იყო?

— მგონი, კი.

— და რა გიპასუხათ რეინგოლდმა დასამშვიდებლად?

— ახლა რაღაც არ მაგონდება...

— შემიძლია, დაგეხმაროთ, რეინგოლდმა გიპასუხათ, ნუ ღელავთ, განზრახული მაქვს, დავდგა ფსიქოლოგიური ფილმი პენელოპესა და ოდისევსის ცოლქმრულ ურთიერთობაზეო. განა ასე არ იყო, მოლტენი?

ამჯერად გაოცებისაგან პირი დავაღე. ამ ვითომც გაუნათლებელი და ხეპრე პირუტყვის ნილაბქვეშ გამჭრიახი ადამიანი აღმოჩნდა მიმალული.

დავემოწმე.

— მგონი, ნამდვილად თქვა მსგავსი რაღაც.

— ჰოდა, ვიდრე სცენარზე მუშაობას შეუდგებოდეთ, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, სერიოზულად გაგაფრთხილოთ: ჩემთვის ჰომეროსის პოემა პენელოპესა და ოდისევსის ცოლქმრული ურთიერთობის ამბავი არ არის.

ამაზე არაფერი არ მიპასუხია. ბატისტამ კი ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დასძინა:

— როცა ცოლქმრულ ურთიერთობაზე მინდა ფილმის დადგმა, ვარჩევ რომელიმე თანამედროვე რომანს. ფეხს არ ვიცვლი რომიდან და ვადრებს ვიღებ პარიოლის საწოლ და სასტუმრო ოთახებში. ერთი სიტყვით, სულაც არ მჭირდება ჰომეროსის შეწუხება. გასაგებია, მოლტენი?

— რა თქმა უნდა, გასაგებია...

— ახლა მე ცოლქმრული ურთიერთობა არ მაინტერესებს, გამიგეთ, მოლტენი? „ოდისეა — ეს არის ოდისევსის შორეული მოგზაურობის ამბავი. მე მინდა, ჩემი ფილმი მხოლოდ ოდისევსის თავგადასავალს გადმოსცემდეს. შემდეგ რაიმე გაუგებრობა რომ არ მოხდეს, ახლა გაფრთხილებთ: მე მჭირდება სანახაობითი, გასართობი, თავშესაქცევი ფილმი. გაიგეთ, მოლტენი?

– დარდი ნუ გექნებათ! – ვუპასუხე ამ საუბრით გაბებრებულმა, – მიიღებთ სანახაობით ფილმს.

ბატისტამ სიგარეტი გადააგდო და არხეინად წარმოთქვა:

– მე სულაც არა მაქვს რაიმეს დარდი, სხვა რომ არა იყოს რა, ფულს მე გიხდით, უნდა გამიგოთ, მოლტენი, ამას მხოლოდ იმიტომ გეუბნებით, რომ შემდეგში დაზღვეული ვიყოთ ყოველგვარი გაუგებრობისგან. ხვალ დილიდანვე შედგებით მუშაობას. მინდოდა, წინასწარ გამეფრთხილებინეთ, მოლტენი, თქვენსავე სასიკეთოდ. მე თქვენ გენდობით, მსურს რეინგოლდთან მუშაობის დროს ყოველთვის გახსოვდეთ ჩემი დარიგება. თქვენ უნდა იყოთ ჩემი თვალი მის გვერდით მუშაობისას და ყოველთვის, როცა კი საჭირო გახდება, უნდა მოაგონოთ რეინგოლდს: „ოდისეა“ ხალხს მოსწონდა და მოსწონს მხოლოდ იმიტომ, რომ პოეზიით სუნთქავს და მინდა, ეს პოეზია სრულად შეინარჩუნოს ფილმმაც.

სრულიად მიწიერ ანგარებაზე დამყარებული მოკლე ექსკურსიის შემდეგ, რაც ბატისტას სალაროს წარმატებას ეხებოდა, უცებ პოეზიის ღვთაებრივ სამყაროში ავიჭერთ და მისი მაგიური ძალით შთაგონებულნი, ხელოვნებისა და მშვენიერების სამყაროში დავექროდით. საუბარი სულიერ ინტერესებზე გადავიტანეთ. თავს ძალა დავატანე და ნაძალადევი ღიმილით ვუთხარი ბატისტას:

– ეჭვი ნუ გექნებათ, ბატისტა, თქვენ მიიღებთ „ოდისეას“ მთელ პოეზიას, ყოველ შემთხვევაში, იმდენს, რამდენის ამოღებაც შესაძლებელია.

– ძალიან კარგი, ძალიან კარგი, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ.

ბატისტა სავარძლიდან წამოდგა, გაიზმორა. მაჯის საათზე დაიხედა. წაიბურტყუნა, ვახშმისთვის ტანსაცმელს გამოვიცვლიო და გავიდა.

მართლ დავრჩი. ჯერ გავიფიქრე, მეც მისი მაგალითისთვის მიმებაძა, მაგრამ ბატისტასთან საუბარმა ისე დამაბნია და ამაღელვება, რომ თვითონაც არ ვიცე, რატომ, ანაზღად ბოლთის ცემას მოვეყვი ოთახში. ბატისტას სიტყვებმა ერთხელ კიდევ

დამარწმუნა, რა ძნელ საქმეს მოვკიდე ხელი და ისიც მხოლოდ ფულისთვის. წინდაწინვე ვგრძნობდი, რა დაღლილი და გამოფიტული ვიქნებოდი ამ სცენარის დამთავრების შემდეგ. ნეტავ რისთვის მინდოდა, რად მჭირდებოდა ეს ყველაფერი? რატომ მოვკიდე ხელი ასეთ არასასიამოვნო და ძნელ სამუშაოს? ფიქრიც კი მაშინებდა იმის წარმოდგენაზე, რა დავა და კამათი მომივიდოდა ბატისტასთან ამ სცენარის გამო, რეინგოლდთან უთახმოებზე ხომ აღარც ვლაპარაკობ. სცენარზე მუშაობისას, ეჭვი არაა, დათმობა მომიწევდა ერთთანაც და მეორესთანაც. ყველაზე მეტად გულს ის მტკენდა, რომ ხელი უნდა მომეწერა იმ ფილმზე, რომელმაც ასე შერყვნა ჰომეროსის დიდებული პოემა. ნეტავ რისთვის ვაკეთებ ამას?

ცოტა ხნის წინ, როცა მაღლიდან გადმოვცქეროდი ფარალიონის ციცაბო კლდეებს, კაპრზე ცხოვრება და მუშაობა მიმზიდველად მეჩვენებოდა, ახლა კი პირიქით მოხდა და, ალბათ, იმიტომ, რომ წინ მეტად უხალისო, ძნელად შესასრულებელი სამუშაო მელოდა. საჭირო იყო კეთილსინდისიერი ლიტერატორის მოთხოვნილებები პროდიუსერის საწინააღმდეგო აზრებთან შემეფარდებინა. ახლა უფრო მწვავედ ვიგრძენი ბატისტას ყოველნაირი ბატონპატრონობა, მე კი მისი მსახური ვიყავი და უსიტყვოდ უნდა დავმორჩილებოდი მის ნებას. ის გზები კი, — ეშმაკობა და პირფერობა — რისთვისაც უნდა მიმემართა მუშაობის დროს ბატისტასაგან თავის დასაცავად, უფრო დამამცირებელია, ვიდრე უსიტყვო მორჩილება... მოკლედ, ამ ხელშეკრულებებზე ხელის მოწერით სული მივყიდე ეშმაკს, ყველა ეშმაკივით მომთხოვნსა და მეწვრილმანეს. ბატისტამ მეტისმეტი გულწრფელობით, საკმაოდ ნათლად გამოთქვა: „ფულს ხომ მე გიხდით“. სულ მცირე გულახდილობა მჭირდებოდა, საკუთარ თავს რომ გამოვტყდომოდი: „მე კი ის ვარ, ვისაც უხდიან!“ ეს ფრაზა ყოველთვის მედგა ყურში, როგორც კი სცენარზე დავიწყებდი ფიქრს. უცებ სული ისე შემეხუთა, თითქოს ამ სიტყვებმა წამიჭირეს ყელში. რაც შეიძლება სწრაფად უნდა გავცლოდი ამ ოთახს, რათა აღარ მესუნთქა ის ჰაერი, ცოტა ხნის წინ ბატისტა რომ სუნთქავდა. მინის კარი გავაღე და ტერასაზე გავედი.

მეთოთხმეტე თავი

ამასობაში დაღამდა. უჩინარი მთვარის სხივები ვერცხლისფრად აციაგდა და იქაურობა გაანათა. ტერასიდან ჩამავალი საფეხურები პირდაპირ გადიოდა ბილიკზე, რომელიც მთელ კუნძულს გარს ერტყმოდა. წუთით ვიყოყმანე. ჩავსულიყავი და ცოტა გამეველო თუ არა, მაგრამ გადავიფიქრე, გვიან არის-მეთქი. ბილიკიც მეტად ჩაბნელებული მეჩვენა. გადავწყვიტე, ტერასაზე დავრჩენილიყავი. სიგარეტს მოვუკიდე და მოაჯირს გადავეყუდე. ვარსკვლავებით მოჭედილ ცაში წვეტიანი კლდეების შავი სილუეტები აზიდულიყო. დაბლა, სიბნელეში, ჩემ ფერხთით ასეთივე კლდეები მდუმარებდნენ. ირგვლივ ყველაფერი მდუმარებას მოეცვა. ქვემოდან ტალღების სუსტი დგაფუნი სწვდებოდა ყურს, მაგრამ იქნებ ეს ტალღების დგაფუნი კი არა, ზღვის მშვიდი სუნთქვა იყო. ჰაერი არ მოძრაობდა, სუსტი ზღვაურიც კი არსად ქროდა. სადღაც შორს, ჰორიზონტთან, გაჭირვებით გავარჩიე თეთრი, მკრთალი სხივი შუქურისა, რომელიც ხან ჩაქრებოდა, ხან აინთებოდა. ეს შუქურა პუნტა კამპანელაზე იდგა. ამ უკუნეთ ღამეში მხოლოდ მისი სუსტი სინათლე იძლეოდა სიცოცხლის ნიშან-წყალს.

ვგრძნობდი, რა დამამშვიდებლად მოქმედებდა ჩემზე ეს წყნარი ღამე, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, არავითარ სილამაზეს არ შეეძლო ამქვეყნად დროებით მაინც შეეჩერებინა ჩემი მტანჯველი ფიქრების დენა.

კარგა ხანს ფეხი არ მომიცვლია ამ წარმტაცი ღამის სილამაზითა და სიმყუდროვით მოჯადოებულს. ვცდილობდი, მეფიქრა, მაგრამ მალე, ანაზღად კვლავ შემომეჯარა მწარე ფიქრები ემილიაზე: ამჯერად უფრო არეულ—დარეული იყო ჩემი ფიქრები და რაღაცით სცენარის სიუჟეტს ეხლართებოდა. შესაძლოა, რეინგოლდთან და ბატისტასთან სცენარზე საუბრის ბრალი იყო ეს ან ჰომეროსის პოემაში დახატული ადგილების საოცარი მსგავსებით აქაურ გარემოსთან. თვითონაც არ ვიცი, რატომ მომადგა ენაზე „ოდისეას“ უკანასკნელი სიმღერა; ოდისევსი დაწვრილებით აღწერს თავის საქორწინო სარეცელს, რის შემდეგ პენელოპე, ბოლოს და ბოლოს, იცნობს

თვის ქმარს, თითქმის გონდაკარგული მკლავებს კისერზე შემოხვევს და ტირილთ ეუბნება სიტყვებს, რომლებიც იმდენჯერ მაქვს გადაკითხული და გამეორებული, რომ ზეპირად მახსოვს:

„ჰოი, ნუ მირისხდები, ოდისევს, კაცთა შორის
ყოვლის მჯობო ჭკვით და გონებით,
ვინ ტანჯვისათვის გაგვიმეტეს ღმერთთა ზვიადთა,
არ მოისურვეს შეერთება ჩვენი გულების...
მწარედ წარვიდნენ სიჭაბუკის ლამაზი წლები,
ჟამთა სრბოლაში შეგვევერცხლა ჭაღარით თმები...“?

სამწუხაროდ, ძველბერძნული ენა არ ვიცი, მაგრამ ყოველთვის ვგრძნობდი, პინდემონტეს თარგმანი ზუსტი არ უნდა ყოფილიყო, ვერ გამოხატავდა იმ მომხიბლავ უშუალობას, რაც ორიგინალს გააჩნდა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს ლექსი ყოველთვის განსაკუთრებით მომწონდა; სავსე იყო გრძნობებით, თუმცა ოდნავ მაღალფარდოვანი სტილი დაჰკრავდა. ვკითხულობდი ამ ნაწყვეტს და უნებურად ვადარებდი მას პეტრარკას ცნობილ სონეტს, რომელიც იწყება სტრიქონით:

„წყნარ ნავსაყუდელად მომეველინა მე სიყვარული“
და მთავრდება:
„თითქოს მას შეეძლო ოხვრა აღმოხდენოდა
და ნაზი თრთოლვით ეპასუხა ღვთაებრივ ბავით
იმ ორ გარდასულ სახესა და ჭაღარაზე.“

ის, რაც მაცვიფრებდა ჰომეროსისა და პეტრარკას პოეზიაში, იყო სიყვარულის ძლიერი, უსაზღვრო და ურყევი გრძნობა. წლები ვერ წაშლიდა მათ, ვერ დაანგრევდა. რამ ამოატივტივა ჩემს მეხსიერებაში ეს ლექსი? ცხადია, ჩემი და ემილიას ურთიერთობამ რომელიც სულ არ ჰგავს ოდისევსისა და პენელოპეს, პეტრარკასა და ლაურას ურთიერთობას, თანაც ამ ურთიერთობას საფრთხე მოელოდა არა ათი წლის ერთად ცხოვრების, არამედ შეუღლებიდან სულ რაღაც ორიოდ წლის შემდეგ. რა თქმა უნდა, თავს არ ვიმიედებდი, სიკვდილამდე ისე ტკბილად ვიცხოვრებდით, როგორც პირველ დღეს, მაგრამ მე, ვისაც ეს იმედი მასულდგმულებდა, ახლა

დაბნეული და შეშინებული ვიყავი ამ უეცარი, ჩემთვის გაუგებარი განხეთქილებით, რომელმაც ოცნებები დამიმსხვრია. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა?

ზღვას ზურგი შევაქციე და თითქოს პასუხს იქიდან ველოდი. იმ ოთახის ფანჯრებისკენ მივბრუნდი, სადაც ახლა ემილია იმყოფებოდა. ტერასის კუთხეში ვიდექი. აქედან თავისუფლად შემეძლო დამენახა ყველაფერი, რაც სასტუმროში ხდებოდა, თვითონ კი შეუმჩნეველი დავრჩენილიყავი. როგორც კი ავიხედე, ოთახში ბატისტა და ემილია დავინახე.

ემილია ბოთლებით დახუნძლულ პატარა მაგიდასთან იდგა. ეცვა სწორედ ის ღრმად გულამოჭრილი შავი აბრეშუმის კაბა, რომელიც ბატისტასთან ჩვენი პირველი შეხვედრისას ეცვა, ბატისტა მაგიდისკენ დახრილიყო და უზარმაზარ ბროლის თასში კოქტეილს აზავებდა. რატომღაც თვალში მეცა ემილიას არაბუნებრივი პოზა. იგი დაბნეულიც ჩანდა და გამომწვევიც, თითქოს ცდილობდა თავისი ბუნებისთვის ეღალატა და ბატისტას მაცდუნებლად მომხიბლავი სჩვენებოდა, მაგრამ მაინც ეტყობოდა, რომ თავს უხერხულად გრძნობდა. იდგა და იცდიდა, როდის შესთავაზებდა ბატისტა სასმელს. თან ირგვლივ გაფანტულად და უმწეოდ იხედებოდა. მთელი მისი არსება შეშფოთებას გამოხატავდა. მის ყოველთვის მშვიდ და წყნარ სახეზე ახლა მღელვარება ასახულიყო, ბაგეზე ორამბროვანი ღიმილი დასთამაშებდა. ბატისტამ კოქტეილი დაამზადა. დიდი სიფრთხილით შეავსო ორი ჭიქა, წელში გაიმართა და ერთი მათგანი ემილიას გაუწოდა. ემილია უცებ შეკრთა, თითქოს ღრმა ფიქრებიდან გამოერკვავო და ნელა გაიწოდა ხელი ჭიქისკენ. თვალი არ მომიცილებია ემილიასთვის. დაძაბული ვუცდიდი, შემდეგ რა მოხდებოდა. ემილია ბატისტას წინ იდგა, ოდნავ უკან გადახრილი. ცალი ხელით სავარძლის ზურგს დაყრდნობოდა, მეორეში კი კოქტეილით სავსე ჭიქა ეჭირა. უნებურად შევამჩნიე, შავ პრიალა ქსოვილში გამოკვართული მკერდი და მუცელი წინ ისე წამოსწია, თითქოს საკუთარ სხეულს სთავაზობდა ბატისტას; სამაგიეროდ სახეზე არ ეხატა ის, რასაც სხეულით გამოხატავდა. ბოლოს, ეს უხერხული სიჩუმე რომ დაერღვია, ემილიამ რაღაც ჩაილაპარაკა და

ბატისტას თავით ანიშნა ბუხართან თავმოყრილი სავარძლე-ბისაკენ. ემილია ფრთხილი ნაბიჯით გაემართა იქით და მოხდა ის, რასაც დიდი ხანია ველოდი. ბატისტა შუა ოთახში დაეწია ემილიას, წელზე ხელი შემოხვია, კისერი წაიგრძელა და ლოყა ლოყაზე მიადო. ემილიამ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ არც მთლად ენერგიულად, თითქოს ოდნავი კეკლუცობითაც კი სთხოვდა, გაეშვა, თან თვალთ სავსე ჭიქაზე ანიშნებდა — დამექცევადო. ბატისტამ გაიცინა, უარის ნიშნად თავი გაიქნია, უფრო ძლიერ მიიკრა მკერდზე და ღვინოც გადმოიღვარა. „ახლა ტუჩებში აკოცებს“, — გამიელვა გონებაში. მე, ეტყობა, დამავიწყდა ბატისტას ხასიათი, მისი სიუხეშე და ავხორცობა. მართლაც, მან ნემილიას კოცნა როდი დაუწყო, მხართან სახელო ხელში მოიქცია, მოჭმუჭნა, რალაც გაუგებარი სიავით და გააფთრებით მთელი ძალით გადაგრიხა და მოქაჩა. ემილიას შიშველი მხარი გამოუჩნდა და ბატისტაც ტუჩებით დააცხრა მას. ემილია არ განძრეულა, წელგამართული იდგა, სადღაც წერტილს მიშტერებოდა და თითქოს მოთმინებით იცდიდა, როდის გაძლებოდა ეს პირუტყვი. სახეზე წელანდელი დაბნეულობა, გულგრილობა და შეშფოთება ეხატა კვლავ. შემდეგ ემილიამ თავი ფანჯრისკენ მოაბრუნა, და მე მომეჩვენა, რომ ჩვენი თვალები ერთმანეთს შეხვდა. დავინახე, რა ზიზღით დაემანჭა სახე, შემდეგ ჩამოგლუჯილი სახელო მკერდზე აიფარა და აჩქარებით გავიდა ოთახიდან. მეც ტერასის შუაგულისკენ გადავინაცვლე.

იმ წუთებში ყველაზე მეტად გაკვირვებას და დაბნეულობას ვგრძნობდი. რისი უნებური მოწმეც ახლა გავხდი, სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმას, რაც ვიცოდი და რაზეც აქამდე მიფიქრია. ემილიას არა მართო არ ვუყვარდი, ან, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, ვეზიზღებოდი, არამედ ბატისტასთანაც მღალატობდა. ყველაფერი თავდაყირა დადგა. თუ აქამდე სადღაც გულის სიღრმეში თავს ვიდანაშაულებდი, ახლა ნათლად ვიგრძენი, რომ სიმართლე ჩემ მხარეზე იყო. მან მე უმიზნობოდ შემიძულა, მე კი სრულიად სამართლიანად მქონდა საბაბი, ის შემეძულებინა. ამ აზრმა მოულოდნელად სხვა თავსატეხსაც

მოუნახა გასაღები. ახლა მივხვდი, ემილიას აქამდე საიდუმლოებით მოცული საქციელი ჩვეულებრივი სასიყვარულო ინტრიგა იყო და სხვა არაფერი.

ამ მოულოდნელმა, შესაძლოა, მეტისმეტად პრიმიტიულმა, მაგრამ სავსებით ლოგიკურმა ფიქრებმა, რაც უფრო მეტად თავმოყვარეობით იყო ნაკარნახევი, წუთით გააქრო ის ტკივილი, რაც ცოლის ღალატის (სხვად არად მეჩვენებოდა ემილიას საქციელი, თუ არა ღალატად) შეტყობისას უნდა მეგრძნო. მეგრამ როცა მთლად გაოგნებული და დაბნეული, თითქმის ბურანში მყოფი ტერასის ნაპირს მივადექი, გულში მაინც გამკრა ტკივილმა და მაინც დარწმუნებული ვიყავი, ის, რაც ახლა დავინახე, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენი განხეთქილების ნამდვილი მიზეზი. დიახ, ემილიამ კოცნის ნება მისცა ბატისტას, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, საკუთარი თავიც მიმანდა დამნაშავედ. ამასთან, ვგრძნობდი, უფლება არ მქონდა, ჩემი მხრივ მხოლოდ ამისთვის შემეძულებინა ემილია. უფრო მეტიც, არ ვიცი, რატომ და ამ უფლებას ისევ ემილიას ვუტოვებდი და მიუხედავად ამ კოცნისა, ასე მგონია, მაინც ემილიას ჰქონდა ჩემი შეძულების უფლება. მაშასადამე, რაღაც ვერ გამეგო: ემილიას არ უღალატნია ჩემთვის ან, ყოველ შემთხვევაში, ეს ღალატი გარეგნული იყო. ნამდვილი მიზეზი ემილიას ღალატისა ჯერ კიდევ ბურუსით იყო მოცული, იგი იმალებოდა ამ გარეგნულად გამომჟღავნებული ორგულობის მიღმა.

გამახსენდა: ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო ემილია ბატისტას მიმართ მუდამ ცუდად იყო განწყობილი. თუნდაც დღეს დილით ორჯერ მაინც მთხოვა, მართო არ დამეტოვებინა პროდიუსერის მანქანაში. კი მაგრამ, თუკი ასე სძულს, მაშე კოცნა რაღას ნიშნავს? ეჭვი არ მეპარება, ეს პირველი კოცნა იყო. ეტყობა, აქამდე ამის საშუალება არ მისცემია ბატისტას, ახლა კი ხელსაყრელი წუთი ხელიდან არ გაუშვა. მაშასადამე, ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ არის. ჯერ კიდევ შემიძლია გავარკვიო, რატომ მისცა ემილიამ კოცნის ნება პროდიუსერს და რაც მთავარია, შემიძლია გავიგო, რატომ ვარ დარწმუნებული, რომ მიუხედავად ამ კოცნისა, ჩვენს უთიერთობაში მა-

ინც არაფერი შეცვლილა. ჩემი აზრით, ემილიას ადრინდელთან შედარებით ახლა უფრო მეტად ჰქონდა უფლება, ხელი ეკრა ჩემი სიყვარულისათვის, ვძულებოდი.

შეიძლება თქვათ, რა დროს ფიქრი და განსჯა იყო, უფრო სწორი და ბუნებრივი იქნებოდა, მაშინვე სასტუმრო ოთახში შევჭრილიყავი და საყვარლების წინაშე წარვმდგარიყავი. მაგრამ იმდენს ვფიქრობდი ჩემსა და ემილიას ურთიერთობაზე, ისე დაღლილი ვიყავი, რომ ასე უეცრად და უბრალოდ აფეთქება აღარ შემეძლო. თანაც ჩემთვის მთავარი არ იყო ემილიას დანაშაულის მტკიცება, ჩემთვის მთავარი იყო, ბოლომდე გავვერკვია ჩვენი ურთიერთობა. ახლა რომ მე იმ ოთახში შევევარდნილიყავი, ვერც სიმართლეს დავადგენდი და ვერც ემილიას სიყვარულს დავიბრუნებდი, პირიქით, ახლა საჭიროა სიფრთხილე და გონივრულობა, — ვარწმუნებდი თავს, — ამას მოითხოვდა ჩემგან სიფრთხილე და არც მთლად ნათელი გარემოებები.

იყო კიდევ ერთი, შესაძლოა, ეგოისტური მოსაზრება, რამაც შემაჩერა, არ გადამებიჯებინა სასტუმრო ოთახის ზღურბლზე. ახლა კარგი საბაბი მქონდა „ოდისეას“ სცენარზე უარი მეთქვა. თავი დამეღწია ამ ჩემთვის უსიამოვნო სამუშაოსთვის და საყვარელ საქმეს — დრამატურგიას დავბრუნებოდი. მით უმეტეს, ეს სამიჯესთვის ხელსაყრელი იყო ჩემთვის, ემილიასთვის და ბატისტასთვისაც. სინამდვილეში ეს კოცნა იყო გაუგებრობათა ჯაჭვის ერთ-ერთი მთავარი რგოლი, ხოლო თვით ამ გაუგებრობათა ჯაჭვს წარმოადგენდა მთელი ჩემი ცხოვრება და სამუშაოც. ახლა კი, როგორც იქნა, შესაძლებლობა მეძლეოდა, გაუგებრობისთვის თავი დამეღწია, ერთხელ და სამუდამოდ გამერკვია სიმართლე, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო აუჩქარებლად, ნელ-ნელა, უჩხუბრად მემოქმედა.

ამ ფიქრებმა ისეთი სისწრაფით გამიელვეს თავში, რა სისწრაფითაც შემოყრის ხოლმე ქარი გაღებულნი ფანჯრიდან მტვერსა და გამხმარ ფოთლებს. ხოლო როცა ფანჯარას მიხურავ და ოთახში სიჩუმე დაისადგურებს, ჰაერიც დაჯდება. მეც ისე დამემართა. ფიქრებმა თითქოს თავი დამიცარიელა, გო-

ნება დამიჩლუნგდა. გაოგნებული და ფართოდ თვალგახელილი ვიყურებოდი სიბნელეში, არც არაფერს ვგრძნობდი და არც არაფერზე ვფიქრობდი. ასე, თითქმის ბურანში მყოფი, ანგარიშმიუცემლად მოვცილდი მოაჯირს, მინის კარს ხელი ვკარი და სასტუმრო ოთახში შევედი.

არ ვიცი, რამდენი ხანი დავყავი ტერასაზე მას შემდეგ, რაც ემილია ბატისტას მკლავებში დავინახე, ალბათ, უფრო მეტი, ვიდრე მეგონა, რადგან ბატისტა და ემილია უკვე მაგიდას შემოსხდომოდნენ და ვახშობდნენ. ემილიას უკვე მოესწრო იმ კაბის გამოცვლა, ბატისტამ რომ დაუხია. ახლა ის ეცვა, რაც მგზავრობისას. ამ წვრილმანმა მეტად ამაღელვავა, თითქოს დამარწმუნა ემილიას ღალატში.

— ჩვენ ვიფიქრეთ, — მხიარულად თქვა ბატისტამ, საბანაოდ წახვედი. ღამე სად დაეხეტებოდი?

— არსადაც არ წავსულვარ, აქ ვიყავი ტერასაზე, — წყნარად ვუპასუხე მას.

ემილიამ ერთი სწრაფად შემომხედა და ისევ დახარა თვალები. სრულიად დარწმუნებული ვიყავი, ემილიამ შემამჩნია, ტერასიდან რომ ვუთვალთვალე მათ. ისიც მშვენივრად იცოდა, რომ მეც ვიცოდი, ემილიამ რომ დამინახა.

მეთხუთმეტე თავი

ემილია სუფრასთან ჩუმად, აუღელვებლად იჯდა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ამან მეტად გამაოცა. მეგონა, შეშფოთებული იქნებოდა. არ მინდოდა დამეჯერებინა, ემილიას ასეთი თვალთმაქცობა თუ შეეძლო. ბატისტა კი, პირიქით, აღტაცებას ვერ ფარავდა. სიხარულით სახეგაბრწყინებული გამარჯვებულის იერით სულმოუთქმელად ლაპარაკობდა, მადიანად ჭამასაც ასწრებდა და სასმელსაც არ იკლებდა. რაზე ლაპარაკობდა? ბევრ რამეზე, მაგრამ რაზეც არ უნდა ელაპარაკა, ბოლოს მაინც საკუთარ თავზე ჩაურთავდა ხოლმე. მისი ნათქვამი „მე“ აგრესიულად ჟღერდა და თანაც ისე ხშირად იმეორებდა,

მოთმინებას მაკარგვინებდა. ისეთ რამაზე მოჰყვებოდა ლაპარაკს, საერთოდ რომ არ ჰქონდა რაიმე კავშირი მასთან, მაგრამ ბატისტა ადვილად ახერხებდა საკუთარ თავზე გადაეტანა საუბარი, რაც წარმოუდგენლად მაღიზიანებდა და ნერვებს მიშლიდა. კარგად მესმოდა, რატომ იქებდა თავს ასე მონდომებით. ეს მას პატივმოყვარეობით არ მოსდიოდა, უფრო მამაკაცური ჟინი ალაპარაკებდა. ცდილობდა, ემილიას თვალში საკუთარი პიროვნება განედიდებინა. შესაძლოა, ამით ჩემი დამცირებაც უნდოდა. მას ხომ საკუთარ გამარჯვებაში ეჭვი აღარ ეპარებოდა, ემილია უკვე დამორჩილებულად მიანდა და ახლა, ბუნებრივია, არაფერს ერიდებოდა, რომ თავისი ღირსებები გამოემზეურებინა და ამით ემილიას გული მოეგო. მაგრამ, სიმართლე უნდა ითქვას, ბატისტა ბრიყვი არ იყო. მართალია, საკუთარ თავზე ბევრს ლაპარაკობდა და ამით მამაკაცურ თავმოყვარეობას იკმაყოფილებდა, მაგრამ სხვა ამბებსაც არ ივიწყებდა. თუ ყველა არა, რამდენიმე ამბავი საინტერესოც იყო. ასე მაგალითად, ნავახშმევს ბატისტამ მხიარულად და ცოცხლად მოგვითხრო თავისი მოგზაურობის ამბავი ამერიკაში, ჰოლივუდის სტუდიაში. მაგრამ მისი ავტორიტეტული, უბოდიშო და თვითკმაყოფილი კილო მაინც აუტანელი მეჩვენებოდა და გულუბრყვილოდ მეგონა, ემილიასაც ასეთი ეჩვენება, ისევ ეზიზღება-მეთქი, მაგრამ კიდევ შეეცდი. ვიდრე ბატისტა ლაპარაკობდა, მე ემილიას გამომეტყველებას ვაკვირდებოდი და მის თვალეში გატაცება თუ არა, ყოველ შემთხვევაში, მისდამი ინტერესი მაინც შევამჩნიე. ხანდახან პატივისცემითა და აღტაცებითაც კი შესცქეროდა სახეში. ემილიას ეს მზერა უფრო მიკოდავდა გულს, ვიდრე ბატისტას რობროხი და ბაქიობა. ემილიას გამოხედვა ვიღაცის გამოხედვას მაგონებდა, მაგრამ ვერაფრით ვერ გამეხსენებინა, ვისას. მხოლოდ ნავახშმევს მომაგონდა, როგორც იქნა. ზუსტად ასეთი თუ არა, ყოველ შემთხვევაში, ძალზე მსგავსი გამოხედვა დავიჭირე რეჟისორ პაზეტის მეუღლის, სინიორა ლუიზას თვალეში მათთან სადილობის დროს, როცა უსანდომო, უფერული და არც ისე გამორჩეული რეჟისორი პაზეტი სცენარზე მსჯელობდა, მი-

სი ცოლი თვალმოუშორებლად შესცქეროდა ქმარს და ამ მზერაში ერთდროულად შეგედლოთ ამოგეკითხათ სიყვარულიც, აღფრთოვანებაცა და უსაზღვრო ერთგულებაც.

რა თქმა უნდა, ემილია ჯერ ასე არ აღმერთებდა ბატისტას, მაგრამ მეჩვენებოდა, რომ მის მზერაში უკვე შეიმჩნეოდა იმ გრძნობის ჩანასახი, რომელიც სინიორა პაზეტის თვალებში კიაფობდა. ერთი სიტყვით, ჰქონდა კიდევ საყოჩალო ბატისტას! რაღაც, ჩემთვის ჯერ კიდევ გაუგებარი მიზეზით, ემილია ნაწილობრივ უკვე დაპყრობილი ჰყავდა. სულ მალე, ალბათ, მთლიანად დაიმორჩილებდა. ამის გაფიქრებაზე უფრო მწარე ტკივილი ვიგრძენი მკერდში, ვიდრე მაშინ, ბატისტა რომ ემილიას ვოცნიდა. ამჯერად ტკივილი ვერ დავფარე, ჩემდა უნებურად დამელრიჯა სახე. ბატისტას არ გამოპარვია ჩემს სულში მომხდარი ცვლილება, დაკვირვებით შემომხედა და მკითხა.

— რა გემართებათ, მოლტენი... უკმაყოფილო ხართ, კაპრზე რომ ჩამოხვედით? რამე არ მოგწონთ?

— რატომ მეკითხებით?

— იმიტომ გეკითხებით, რომ... — ბატისტამ ღვინო დაისხა ჭიქაში, — ძალზე ნაღვლიანი სახე გაქვთ... ცუდ გუნებაზე ხართ?

ამრიგად, ის შეტევაზე გადმოდიოდა, იცოდა, რომ თავდაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმა იყო. ჩემდა გასაკვირად, დაუფიქრებლად ვუპასუხე:

— გუნება მაშინ გამიფუჭდა, ტერასაზე რომ ვიდექი და ზღვას გავცქეროდი.

ბატისტამ წარბები აზიდა და კითხვის გამომხატველი თვალებით სრულიად აუღელვებლად თქვა:

— აჰ, მართლა? რატომ?

ემილიას გავხედე. არც მას ემჩნეოდა მღელვარება. ეტყობა, ორივენი მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული საკუთარ თავში. ტერასაზე ემილიამ ნამდვილად დამინახა და ეჭვი არ მეპარება, ბატისტას უთხრა ამის თაობაზე. ანაზღად ჩემს ბაგეებს მოსწყდა ის, რის თქმასაც სულაც არ ვაპირებდი.

— ბატისტა, შემიძლია, გულახდილად გელაპარაკოთ? კვლავ განმაცვიფრა ბატისტას სიმშვიდემ:

– გულახდილად? რა თქმა უნდა, შეგიძლიათ. ყოველთვის გულახდილი უნდა იყოს ჩემთან.

– იცით რა, ბატისტა. წელან ზღვას გავყურებდი და წუთით წარმოვიდგინე, რომ აქ, ამ კუნძულზე, მარტო ვარ, ჩემთვის... და საყვარელ საქმეს ვაკეთებ, თეატრისთვის ვწერ; ჰოდა, აქ ამისთვის მართლაც რომ იდეალური ადგილია – ულამაზესი ბუნება, სიწყნარე, სიმყუდროვე, საყვარელი მეუღლე გვერდით, არავითარი საფიქრალი და საზრუნავი. მეტი რა უნდა შემოქმედ კაცს! მაგრამ მალე გუნება წამიხდა. გამახსენდა: ამ კუნძულზე, ასე მშვენიერ და ჩემი სამუშაოსთვის ზედგამოჭრილ ადგილას დრო უნდა დავკარგო... მაპატიეთ, მაგრამ თვითონ ისურვეთ, გულახდილი ვყოფილიყავი. დრო უნდა დავკარგო სცენარზე, რომელიც შესაძლოა, ძალიან კარგიც გამოვიდეს, მაგრამ რომლისკენაც გული არ მიმდის და თითქმის მეზიზღება კიდევ... მე მთელ ჩემს ძალას, ნიჭს მივცემ რეინგოლდს, ის ისე გამოიყენებს, როგორც მას მოესურვება, მე კი საბოლოოდ ხელში შემრჩება მხოლოდ სალაროს ჩეკი... თან როდის? – შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში მყოფმა ამ სცენარს უნდა შევადგინო ჩემი ცხოვრების საუკეთესო დრო. ვიცი, ამას არ უნდა გეუბნებოდეთ არც თქვენ და არც სხვა რომელიმე პროდიუსერს... მაგრამ თქვენ თვითონ ისურვეთ, გულახდილი ვყოფილიყავი... აი, ახლა უკვე იცით, რატომ არა ვარ გუნებაზე...

იმის ნაცვლად, ის მეთქვა, რისი თქმაც მსურდა და მოსვენებას არ მაძლევდა, ის, რაც ბატისტასა და ჩემი ცოლის ურთიერთობას ეხებოდა, თვითონაც არ ვიცი, როგორ წამოვიჩყე, როგორ ამოხეთქა გულიდან ამ მონოლოგმა. შესაძლოა, მეტიმეტმა ნერვიულობამ, დაძაბულობამ მათქმევინა ან ემილიას ორგულობამ.

ვგრძნობდი, ემილიას ღალატსა და დაქირავებულ, სხვაზე დამოკიდებულ ჩემს სამუშაოს შორის რაღაც უხილავი კავშირი არსებობდა. საკუთარ უსუსურობაზე ჩემი საცოდავი აღსარება რომ მოისმინეს, ემილიასა და ბატისტას წამითაც არ დასტყობიათ, რომ გულში შვება იგრძნეს და ახლა თავისუფლად ამოისუნთქეს. ასევე, არ დასტყობია მათ შიში და შეშფოთება,

როცა წელან, აღსარებამდე, იღუმალი მუქარით მივმართე ბატისტას, შემიძლია, გულახდილად გელაპარაკოთ-მეთქი?

ბატისტამ სავსებით სერიოზულად მიპასუხა:

— დარწმუნებული ვარ, მოლტენი, შესანიშნავ სცენარს დაწერო.

მივხვდი, ამჯერადაც ვერ შევძელი იმის თქმა, რისი თქმაც მინდოდა. თითქოს გზას ავცდი, მაგრამ შეჩერება აღარ შეიძლებოდა, გაღიზიანებულმა ვუპასუხე:

— მე მგონი, ბატისტა, თქვენ ვერ გამიგეთ... მე მოწოდებით დრამატურგი ვარ და არა პროფესიონალი სცენარისტი, რომლებიც ახლა ბლომად მომრავლდნენ... და ეს სცენარი, როგორი ვარგი და უნაკლოც არ უნდა იყოს, ჩემთვის მხოლოდ ერთი იმ სცენართაგანი იქნება, რომელიც აქამდე გამიკეთებია. არ დაგიმალავთ, ამ სცენარს მხოლოდ და მხოლოდ ფულისთვის ვაკეთებ... მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მე, ოცდაშვიდი წლის კაცს, იდეალები არ მქონდეს. მეცა მაქვს იდეალი და ეს იდეალი ჩემთვის თეატრია. თქვენ ალბათ მკითხავთ, რა მიშლის ხელს, რატომ არ ვაკეთებ საყვარელ საქმეს. რატომ არ ვაკეთებ და იმიტომ, რომ დღეს ქვეყანა ისეა მოწყობილი, არავის შეუძლია აკეთოს ის, რაც მას სურს. პირიქით, უნდა აკეთოს ის, რაც სხვებს სურთ... ყველაფერი ფულზეა დამოკიდებული: რასაც ვაკეთებთ, რასაც წარმოვადგენთ, რაც გავხდებით მომავალში, ჩვენი სამუშაოც, საუკეთესო მისწრაფებები, ოცნებები, საყვარელ ადამიანებთან ურთიერთობაც კი.

ვგრძნობდი, მეტისმეტად აღგზნებული ვიყავი. თვალეზზე ცრემლიც კი მომადგა. მრცხვენოდა საკუთარი თავისა და გუნებაში ვწყევლიდი ჩემს მგრძნობიარე გულს, რომელიც მაიძულებდა, სული გადამეშალა იმისათვის, ვინც რამდენიმე წუთის წინ ცდილობდა, და საკმაოდ მონდომებითაც, ჩემი მეუღლე შეეცდინა. მაგრამ ისეთი წვრილმანი, როგორიც ჩემი განცდები იყო, ვერ დაარღვევდა ბატისტას უშფოთველობას. მოლტენი, თქვა მან, — თქვენ რომ გისმენთ,

— იცით, ასე მგონია, საკუთარ თავს ვხედავ იმ ასაკში, რამდენისაც ახლა თქვენა ხართ.

— ნუთუ? — წავილულულე შემცბარმა.

— ჰო. მე ძალიან ღარიბი ვიყავი, — განაგრძო ბატისტამ, თან ღვინო დაისხა, — მეც მქონდა ის, როგორც თქვენა თქვით, იდეალები... ახლა გამიძნელებს იმის თქვა, რა იყო ეს, შესაძლოა, კარგად მაშინაც ვერ ვერკვეოდი... მაგრამ ნამდვილად კი მქონდა... ან, შესაძლოა, იდეალები კი არა, იდეალი დიდი ასოთი... შემდეგ შევხვდი ადამიანს, ვის მოვალედაც ვთვლი თავს, თუნდაც იმიტომ, რომ მისგან ბევრი რამ ვისწავლე. — ბატისტა წუთით შეჩერდა, ჩვეული უსაგნო ბარბეიშური თვითკმაყოფილება მიეხატა სახეზე. უცებ გამახსენდა, კაცი, ვისზეც ბატისტა ლაპარაკობდა, მეტად ცნობილი პროდიუსერი იყო იტალიური კინოს განვითარების პირველ წლებში, მაგრამ ახლა თითქმის სრულიად მივიწყებული. მართლაც, ამ კაცთან დაიწყო ბატისტამ მუშაობა და მისი წყალობით მიაღწია ასეთ იღბლიან კარიერას. ის კაცი კი, როგორც გამიგია, დიდი ფულის მკეთებელი ვინმე გახლდათ.

— და აი, ერთხელ, — განაგრძო ბატისტამ, — მასაც დაახლოებით ის ვუთხარი, რაც დღეს საღამოს თქვენ გითხარით... და იცით, რა მიპასუხა? ვიდრე ზუსტად არ გაგირკვევიათ, რაც გსურთ, უმჯობესია, დაივიწყოთ, ან გვერდზე გადასდოთ თქვენი იდეალი... ხოლო როცა მომაგრდებით და მიწაზე მყარად დადგებით, აი, მაშინ შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენი იდეალი და გაიხაროთ... თქვენი შრომით მოპოვებული ათასი ლირა... აი იდეალიო. როგორც მან მითხრა, მერე და მერე იდეალი გაიზრდება. გაფართოვდება, იქცევა კინოსტუდიად, კინოფირმად, გადაღებულ და გადასაღებ ფილმებად... ერთი სიტყვით, იდეალი ჩვენი ყოველდღიური სამუშაოაო... აი, რა მითხრა მან... მეც ისე მოვიქცევი, როგორც დამარიგა და ბედსაც არ ვემდური... თქვენ ჩემთან შედარებით ის უპირატესობაც გაქვთ, რომ იცით, რა არის თქვენი იდეალი... პიესების წერა... და თქვენ დაწერთ კიდევ პიესებს...

— დაწერ? — უნებურად ჩავეკითხე დაეჭვებული, მაგრამ ცოტა დამშვიდებული.

— ჰო, რა თქმა უნდა. თქვენ დაწერთ პიესებს, — დამიდასტურა ბატისტამ, — დაწერთ, თუ მართლა გულით გინდათ, თუნდაც „ტრიუმფფილმისთვის“ სცენარებს რომ თხზავთ, როგორც

თქვენ ამბობთ, მხოლოდ და მხოლოდ ფულისათვის, თუ გულთ გინდათ, მაშინაც კი შეგიძლიათ თქვენი საყვარელი პიესები წეროთ. გინდათ იცოდეთ, რა არის წარმატების საიდუმლო, მოლტენი?

— რა არის?

— ... რა და, უნდა ჩადგეთ რიგში, როგორც მატარებლის ბილეთების სალაროს წინ და ელოდოთ თქვენს წუთს ცხოვრებაში. ის კი აუცილებლად მოვა, თუ მოთმინებით დაელოდებით და არ ეცდებით, ადგილი გამოიცვალოთ, ერთი რიგიდან მეორეში იხტუნაოთ... ყველაფერს თავისი დრო აქვს... მოლარე ყველას მისცემს თავის კუთვნილ ბილეთს... რა თქმა უნდა, ისეთს, როგორიც დაიმსახურა... ვისაც შეუძლია შორს წავიდეს, კი ბატონო, წავიდეს თუნდაც ავსტრალიაშიც... ზოგს კი, შესაძლოა, უფრო მოკლე მანძილზე... ვთქვათ, კაპრზე... — ბატისტამ გაიცინა. კმაყოფილი იყო თავისი ქარაგმით და დასძინა: — თქვენ კი, მოლტენი, გისურვებთ, შორეული ბილეთი აგელოთ... თუნდაც ამერიკაში.

ბატისტა მამობრივად მილიმოდა, ემილიას გადავხედე, ისიც ოდნავ შესამჩნევად იღიმოდა, ყოველ შემთხვევაში, როგორც მომეჩვენა, გულწრფელად. ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ ბატისტამ ამ ერთ დღეში შეძლო, არ ვიცი კი რანაირად, ემილიას მტრული განწყობილება თითქოს სიმპათიით შეეცვალა. ამის გაფიქრებაზე ისეთივე ტკივილი ვიგრძენი, როგორიც მაშინ, ემილიას გამოხედვაში ქალბატონი პაზეტის მზერა რომ ამოვიცანი. რაღაცნაირი ნაღველი ვიგრძენი და არა ეჭვიანობა. მგზავრობითა და იმ დღეს გადატანილი უსიამოვნო ამბებით მეტად აღგზნებული, აფორიაქებული და ძალაგამოცლილი ვიყავი, ლამის წარმკვვეთოდა სასო.

ვახშამი ისე დამთავრდა, სულ რომ არ მოველოდი. მას შემდეგ, რაც ემილია გულისყურით უსმენდა ბატისტას და თითქმის მისადმი სიმპათიაც კი შევამჩნიე, როგორც იქნა, მეც გავახსენდი, უფრო სწორად, ჩემი არსებობა გაახსენდა. ჩემს უმიზნო შეთავაზებაზე ტერასაზე ხომ არ გავსულიყავით, მთვარე უკვე ამოსული იქნება-მეთქი, — მშვიდად მიპასუხა:

— არ მინდა ტერასაზე, მეძინება, დავიღალე... — ამ სიტყვებზე სწრაფად ადგა, ღამე მშვიდობისა გვისურვა და გავიდა.

ბატისტას თითქოს არც გაჰკვირვებია ემილიას მოულოდნელი წასვლა, პირიქით, ყოველ შემთხვევაში, მე ასე მომეჩვენა — თითქოს კმაყოფილიც იყო. ემილიას სულიერი მღელვარება თავის დამსახურებად მიითვალა. ვგრძნობდი, შეშფოთება თანდათან მიჰყრობდა და დაღლილობისგანაც ფეხზე ძლივს ვიდექი, არავითარი აზრი არ ჰქონდა ახლა ლაპარაკს, ხვალისათვის უნდა გადამედო. მეც მეძინება-მეთქი, ვუთხარი ბატისტას, ღამე მშვიდობისა ვუსურვე და ოთახიდან გავედი.

მეთექვსმეტე თავი

ჩემსა და ემილიას ოთახს ერთი კარი ჰქონდა. დაუფიქრებლად გავეშურე კარისაკენ და დავაკაკუნე. ემილია მაშინვე გამომეხმაურა:

— მობრძანდით.

გახევებული და ჩაფიქრებული იჯდა საწოლზე. როგორც კი დამინახა, დაღლილმა და გაბრაზებულმა მომმართა:

— ახლა რაღა გინდა ჩემგან, აღარ მომასვენებ?

— სრულიად არაფერი არ მინდა, — ცივად ვუპასუხე, რადგან ახლა უფრო დამშვიდებული და თითქოს არც ისე დაღლილი ვიყავი, — მინდოდა, კეთილი ძილი მესურვებინა შენტვის.

— თუ ჩემი აზრის გაგება გინდოდა იმაზე, რაც ამ საღამოს ბატისტასთან წამორბოშე?.. თუ გინდა, პირში გეტყვი, შენი ლაპარაკი არა მარტო უადგილო იყო, არამედ სასაცილოც.

სკამი ავიღე და დავჯექი. შემდეგ ვკითხე:

— რატომ?

— შენი ვერაფერი გამიგია, — თქვა მან გაბრაზებით, — სწორედ რომ ვერაფერი გამიგია. ადრე ეს სცენარი მოგწონდა და ყველანაირად ეჭიდებოდი მას. ახლა კი პროდიუსერს ეუბნები, მხოლოდ ფულისთვის ვაკეთებო, სამუშაო არ მომწონსო, ჩემი ადგილი თეატრისათვის წერააო და ვინ იცის, კიდევ რა სისუ-

ლელეები არა თქვი. დღეს მან, უბრალოდ, ზრდილობის გულისთვის მოგისმინა, ხვალ კი, რატომ არ ფიქრობ, რომ გაგიხსენებს და სამუშაოს აღარ მოგცემს? განა შეიძლება ასეთი უბრალო რამე არ გესმოდეს?

ამრიგად, ემილიაც აქეთ მესხმოდა თავს. მართალია, ვხვდებოდი, ასე იმიტომ იქცეოდა, რომ უფრო მნიშვნელოვანი და შემაშფოთებელი რამ დაემალა, მაინც გულწრფელობა ჟღერდა მის საყვედურში, თუმცა ეს საყვედური შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი იყო ჩემთვის. თავს სიტყვა მივეცი, მომეთმინა და ყველაფერს უშფოთველად შევხვედროდი, მაგრამ ემილია ისეთი ზიზღით მელაპარაკებოდა, რომ ველარ შევიკავე აღშფოთება:

— რაც ვთქვი, ყველაფერი სრული სიმართლეა. ეს სამუშაო არც ახლა მომწონს და არც არასოდეს მომწონდა და საერთოდ, საიდან დაასკვენი, რომ მთელი სიცოცხლე სცენარებზე ვიმუშავებ?

— იმუშავებ. ნახავ, თუ არ იმუშავებ, — არასოდეს ასე არ ვძულებივარ ემილიას. კბილი კბილს დავაჭირე, ვცადე, თავს მოვრეოდი.

— ვინ იცის, იქნებ არც ვიმუშაო, — ვთქვი მშვიდად — ჯერ კიდევ ამ დილით მინდოდა სცენარზე მუშაობა დამეწყო, მაგრამ მთელი დღის განმავლობაში ისეთი რამ მოხდა, რომ ხვალვე მოვახსენებ ბატისტას, უარს ვამბობ.

ეს სიტყვები თითქმის შურისძიებით ანთებულმა ვთქვი. მინდოდა, ჩემი ტანჯვის წილ ახლა ემილიასაც ეტანჯა, გადაკვრით მეგრძნობინებინა, ფანჯრიდან ყველაფერი დავინახე, მაგრამ თქმით კი არაფერს გეუბნები-მეთქი. ემილიამ თვალი თვალში გამიყარა და წყნარად მკითხა:

— მაინც, რა მოხდა ისეთი?

— ბევრი რამ.

— მაინც რა?

წუთით მომეჩვენა, ემილიას გულწრფელად სურდა დამედანაშაულებინა, ორგულობისთვის გამეკიცხა, მე კი კვლავ მიკიბულ—მოკიბულად განვაგრძე:

— ეს მხოლოდ ფილმს და მე და ბატისტას გვეხება... ამაზე ლაპარაკი არა ღირს.

— რატომ არ გინდა მითხრა?

— იმიტომ. შენთვის საინტერესო არ იქნება.

— თუ არ გინდა, ნუ იტყვი, მაგრამ სცენარზე კი ვერ იტყვი უარს, გამბედაობა არ გეყოფა. ეჭვი არ შეპარება, დაწერ.

კარგად ვერ მივხვდი, ამ სიტყვებში ჩემდამი ზიზღი გამოს-
ჭვიოდა თუ სადღაც კიდევ დარჩენილი პატარა იმედი უნდა
მქონოდა. ამიტომაც ფრთხილად ვკითხე:

— ეგრე რატომ ფიქრობ?

— იმიტომ, რომ მშვენივრად გიცნობ, — ცოტა ხანს იყუჩა, და-
ფიქრდა, სცადა ნათქვამი შეერბილებინა: სცენარებზე მუშაო-
ბას მუდამ ასეთი განწყობილებით იწყებ. ჯერ იტყვი, არაფრით
არ გავაკეთებ, ხელს არ მოვკიდებ ამ სცენარსო, მაგრამ უარი
უარად დაგრჩენია, სამუშაო კი გაგიკეთებია. საკმარისია, და-
იწყოს სცენარზე მუშაობა, რომ ყველაფერი გავიწყდება.

— ეგ მართალია, მაგრამ ახლა სცენარი არ არის: შუაში.

— აბა, რა არის?

— პირადად მე.

— მაგით რის თქმა გინდა?

„იმის თქმა მინდა, რომ ბატისტა გკოცნიდა“, — მინდოდა
მეთქვა ემილიასთვის, მაგრამ არ ვუთხარი: ჩვენ ხომ არასო-
დეს ვყოფილვართ გულახდილები, სათქმელს მუდამ გადაკ-
ვრით ვეუბნებოდით ერთმანეთს, სიმართლეს შორიდან ვუვ-
ლიდით.

— ემილია, ისედაც მშვენივრად იცი ყველაფერი. ვახშამზე მე
უკვე ვთქვი ჩემი სათქმელი. დამღალა სხვებისათვის მუშა-
ობამ, ბოლოს და ბოლოს, მინდა საკუთრივ ჩემთვისაც ვიმუ-
შაო.

— მერედა, ვინ გიშლის ხელს?

— შენ, მაღალფარდოვნად წარმოვთქვი მე. ემილიას რაღაც
საწინააღმდეგოს თქმა უნდოდა, მაგრამ არ ვაცალე: — არა,
თვითონ შენ კი არა... არამედ ის, რითაც შენ ჩემს ცხოვრებაზე
მოქმედებ. სამწუხაროდ, შენც კარგად იცი, ამ ბოლო დროს

როგორი ურთიერთობა გვაქვს. სჯობს, ამაზე არც ვილაპარაკოთ... მაგრამ ცოლი ხარ ჩემი და არაერთხელ მითქვამს, სცენარებზე მუშაობას მხოლოდ შენი გულისთვის ვთანხმდებოდი. ერთი სიტყვით, მშვენივრად იცი და ამის გამეორებას აზრი არა აქვს. ვალეები გვაქვს. ეს ბინის შესატანიო... ეს მანქანის ვალი ბოლომდე გასასტუმრებელია და კიდევ რა ვიცი... აი, რატომ ვწერ სცენარებს... ახლა ერთი რამ მინდა გკითხო...

— რა?

მეჩვენებოდა, რომ მშვიდად და საღად ვმსჯელობდი, მაგრამ ამავე დროს რაღაც იდუმალი უსიამოვნო გრძნობა მკარნახობდა, ეს მხოლოდ მოჩვენებითი და თვალთმაქცური იყო. იმის მერე, ემილია რომ ბატისტას მკლავებში დავინახე, ჩემი ასეთი მსჯელობა, რა თქმა უნდა, მოჩვენებითი და ყალბი იყო. უფრო მეტიც, სრული უაზრობა იყო და მეტი არაფერი. განა ტერასიდან რაც დავინახე, არ კმაროდა ასაღელვებლად? სინამდვილეში კი ესა ვთქვი:

— აი, რა მინდა, გთხოვო. როგორც შენ მირჩევ, ისე მოვიქცევი; მეტყვი, არ გავაკეთო, არ გავაკეთებ, ხვალვე ვეტყვი ბატისტას უარს და პირველივე გემით გავემგზავრებით კაპრიდან.

ემილიას თავი არ აუღია, ეტყობოდა, ფიქრობდა.

— დიდი ეშმაკი ხარ, — თქვა მან ბოლოს.

— რატომ?

— რატომ და, მერე რომ ეგ ნაბიჯი სანანებელი გაგიხდეს, მე წამომაცვედრებ, მე დამაბრალებ.

— არაფერსაც არ დაგაბრალებ, მით უმეტეს, რომ თვითონ გთხოვ.

დავინახე, რა საგონებელში ჩააგდო ჩემმა თხოვნამ. მოუთმენლად ველოდი მის პასუხს, რადგან ვიცოდი, ამ პასუხში გამომჟღავნდებოდა მისი ჩემდამი გრძნობა, სულერთია, როგორი. თუ სცენარის დაწერას მირჩევდა — ეს იმას ნიშნავდა, მართლაც ვეზიზღებოდი, არარად მაგდებდა და შესაძლებლად მი-აჩნდა, ამ მდგომარეობაში მუშაობა განმეგრძო. თუ მირჩევდა, არ გააკეთო, მაშინ უნდა მეფიქრა, რომ ჯერ კიდევ მცემდა პატივს. იმ ზომამდე არ დამამცირებდა, რომ მისი საყვარლის

ხელქვეითად მემუშავა. ამგვარად, კვლავ არ მშორდებოდა თავსამტვრევი კითხვა, ვეზიზღებოდი თუ არა, კვლავ ამის მიზებს ვეძებდი.

ბოლოს თქვა:

– ეს ისეთი საქმეა, რის გადაჭრასაც სხვას არ უნდა ეკითხებოდნენ.

– კი მაგრამ, ამას ხომ მე გთხოვ?

– კარგი, მხოლოდ დაიმახსოვრე, შენ არ მომეშვი, თქვა მოულოდნელად საზეიმოდ.

– კარგი, დავიმახსოვრებ.

– მაშ, ასე. ჩემის აზრით, რაკი თავიდან იკისრე სცენარის გაკეთება, ახლა უარის თქმა არ ღირს. თანაც, შენც ხომ არაერთხელ გითქვამს ჩემთვის, უარმა შესაძლოა, ბატისტა გააბრაზოს და სხვა სამუშაო აღარ მომცესო. ვფიქრობ, სცენარი უნდა დაწერო...

ამგვარად, ის მირჩევდა, მუშაობა განმეგრძო. ეჭვი აღარ იყო – ნამდვილად ვეზიზღებოდი. მაგრამ არ მინდოდა ამის დაჯერება. ამიტომ ხელმეორედ ჩავეკითხე:

– შენ ასე ფიქრობ?

– ნამდვილად ასე ფიქრობ.

წუთით გავხვედი. სიტყვა ვერ მოვნახე სათქმელად. შემდეგ მტრულად ვუთხარი:

– ძალიან კარგი... მხოლოდ მერე არ მითხრა, ასე იმიტომ გირჩევ, შენ თვითონ გულით გინდოდა სცენარზე მუშაობა, როგორც მაშინ, ხელშეკრულების დადებისას მომახალე... ამით გარკვევით მინდა გითხრა, ამ სცენარის დაწერა სრულიად არა მსურს, მაგრამ...

– ოჰ, რომ იცოდე, როგორ მომაბეზრე თავი, – აგდებულად წარმოთქვა, საწოლიდან წამოდგა და კარადასთან მივიდა, – მირჩიეო, მითხარი და მეც გირჩიე, შენ კი, როგორც გინდა, ისე მოიქეცი.

მის ხმაში ისევ ზიზღი ჩანდა. ამგვარად, ჩემი ვარაუდი გამართლდა და უცებ გულზე ისეთივე მწვავე ტკივილი ვიგრძენი, როგორიც მაშინ, რომში, ემილიამ პირველად რომ მომახალა

პირში, აღარ მიყვარხარო. ამის მეტი ვერაფერი მოვახერხე, ჩემდა უნებურად მწარედ ამოვიგმინე და ვკითხე:

— რატომ მექცევი ასე, ემილია? რისთვის გჭირდება ყოველივე ეს? განა ჩვენ ერთმანეთის მტრები ვართ? ემილიამ კარადის კარი გამოაღო, სარკეში ჩაიხედა და დაბნეულად წარმოთქვა:

— რას იზამ, ასეთია ცხოვრება!

მღელვარებისგან სუნთქვა შეემკრა. უცებ მეტყველების უნარი დავკარგე. გავხევი. არ მახსოვს, ემილიას ოდესმე ჩემთან ასე გაცვეთილი სიტყვებით ელაპარაკოს. ვიცოდი, ჯერ კიდევ მქონდა შესაძლებლობა, ეს საუბარი სხვა გზით წარმემართა, შემეძლო, მეთქვა, ბატისტასთან გნახე-მეთქი, რაც თვითონაც მშვენივრად იცოდა; სცენარზე რჩევას რომ ვეკითხებოდი, ამით მხოლოდ შენი გამოცდა მინდოდა-მეთქი და, ერთი სიტყვით, წინანდელივით ახლაც ყველაფერი ჩვენს ურთიერთობაზე და მოკიდებული-მეთქი, მაგრამ გამბედაობა, უფრო სწორად, ძალა არ მეყო, რადგან მეტისმეტად ძალაგამოცლილი ვიყავი. ამის ნაცვლად მოკრძალებულადაც კი ვკითხე:

— კი მაგრამ, მე რომ ფილმზე ვიმუშავე, შენ რას გააკეთებ კაპრზე?

— განსაკუთრებულს არაფერს, გავივლ-გამოვივლი, ზღვაში ვიბანავებ, მზეზე ვიქნები. იმას გავაკეთებ, რასაც სხვები აკეთებენ...

— მარტო?

— ჰო, მარტო.

— მერე, არ მოგეწყინება?

— მე არასოდეს არ მწყინდება, ათასი საფიქრალი მაქვს.

— ხანდახან ჩემზეც ფიქრობ ხოლმე?

— ჰო, რა თქმა უნდა, ხანდახან შენზეც.

— რას ფიქრობ ხოლმე ჩემზე? — ავდექი, მივუახლოვდი და ხელები დავუჭირე.

— ამაზე ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია...

ემილია ცდილობდა ჩემგან ხელის გათავისუფლებას, თუმცა არც ისე მონდომებით.

— ემილია, წინანდელივით ფიქრობ ჩემზე?

ამ სიტყვებზე ემილიამ უკან გადადგა ნაბიჯი და უხეშად მითხრა:

— სჯობს, დასაძინებლად წახვიდე, არის რაღაცეები, რისი გაგონებაც გულს გტკენს და ეს გასაგებიცაა. მე კი მხოლოდ მისი გამეორება შემიძლია... რაში გჭირდება, რა სიამოვნებას ხედავ ასეთ ლაპარაკში?

— არა. მე მაინც მინდა ვილაპარაკოთ.

— კი მაგრამ, რატომ? იძულებული გავხდები ისევ ის გითხრა, რაც არაერთხელ მითქვამს... თუ ფიქრობ, კაპრზე ჩამოსვლის შემდეგ შენზე აზრი შემეცვალა, ცდები, პირიქით...

— მაგით რა გინდა თქვა? რას ნიშნავს „პირიქით“?

— „პირიქით“? შეცბუნდა ემილია, — ამით იმის თქმა მინდა, რომ არაფერი შეცვლილა, აი, ეს არის სულ.

— მაშასადამე, შენ ისევ იმას გრძნობ ჩემდამი... ხომ? ჩემდა გასაოცრად, ემილიას სიტყვებში აღშფოთება და ცრემლიც კი შევამჩნიე:

— ბოლოს და ბოლოს, რა გინდა, რატომ მტანჯავ ასე? რა გინდა ჩემგან? დამიჯერე, არც მე მსიამოვნებს ასეთი რამის თქმა... შენზე მეტად მიჭირს ახლა მე.

მის სიტყვებში იმდენი სიწრფელე და გულისტკივილი ჩანდა, წუთით გული ამიჩუყდა. კვლავ ხელი მოვკიდე და ვუთხარი:

— მე კი შენზე ყოველთვის კარგს ვფიქრობ... და ასეც ვიფიქრებ მუდამ... შემდეგ, რომ მენიშნებინა, ორგულობა გაპატიემეთქი, არადა, მართლაც ვაპატიე, დავძინე, — რაც არ უნდა მოხდეს...

ემილიამ არაფერი მიპასუხა, სადღაც გვერდზე იხედებოდა. თითქოს რაღაცას უცდიდა. სწორედ ამ დროს ვიგრძენი, როგორ შეუმჩნევლად, მაგრამ მტრული სიჯიუტით ცდილობდა გაეთავისუფლებინა ხელი. უხეშად ვუბიძგე, ღამე მშვიდობისა ვუსურვე და სწრაფად გავედი. თითქმის გასვლისთანავე მომესმა, როგორ ჩაკეტა კარი, რამაც გული ბოლმით ამივსო და კვლავ აუტანელი ტკივილით დამისერა.

მეჩვიდმეტე თავი

მეორე დღეს დილაადრიაანად ავდექი და ისე, რომ არც დავინტერესებულვარ, სად იყვნენ ბატისტა და ემილია, გამოვედი, უფრო სწორად, გამოვვარდი სახლიდან. კარგად გამოძინებისა და დასვენების შემდეგ წინა დღეს მომხდარი ამბები და საკუთარი საქციელიც სრულ უბადრუკობად მომეჩვენა, ახლა მინდოდა დამშვიდებულს მეფიქრა, როგორ მოვექცეულიყავი, ისე უნდა მემოქმედა, აჩქარებით საქმე არ გამეფუჭებინა და მერე სანანებელი არ გამხდომოდა. ამრიგად, როგორც უკვე ვთქვი, სახლიდან გამოვედი და იმ გზას დავადექი, რა გზითაც გუშინ საღამოს მივედი სასტუმროში რეინგოლდთან. რეჟისორი ვიკითხე, ბალისკენ მიმასწავლეს. მაშინვე იქით გავემურე. ხეივნის ბოლოში თვალი მოვკარი მზის სხივებით გაბრწყინებულ, თეთრად მოელვარე ბალუსტრადას, რომელსაც მოწმენდილი, ლაჟვარდოვანი ცა და წყნარი, უშფოთველი ზღვის ანარეკლი თვალისმომჭრელად აქათქათებდა. პატარა მაგიდის გარშემო, რამდენიმე სკამი იყო შემოწყობილი. იქვე, ერთ-ერთ სკამზე კაცი იჯდა; დამინახა თუ არა, მაშინვე წამოდგა და მოსალმების ნიშნად ხელი დამიქნია.

ეს რეინგოლდი გახლდათ. შორეული ნაოსნობის გემის კაპიტანივით იყო გამოწყობილი. თავზე ეხურა ღია ცისფერი ქუდი, რომელზედაც ოქროსფერი ანძა ჰქონდა ამოქარგული. პიჯაკიც იმავე ფერისა ეცვა, მხოლოდ შარვალი იყო თეთრი. მაგიდაზე საუბმის ნარჩენებიანი ლანგარი, საქალაღდე და საწერი კალამი ეწყო.

რეინგოლდი მეტად მხიარულად გამოიყურებოდა. მაშინვე მკითხა:

— მოლტენი, როგორ მოგწონთ ეს დილა?

— რას იტყვით, განაგრძო მან, თან ხელი მკლავში გამომდო და ბალუსტრადისკენ წამიყვანა, რას იტყოდით, ერთი წუთით რომ მიგვეფურთხებინა სამუშაოსთვის, ნავში ჩავმსხდარიყავით და ზღვაში გავსულიყავით კუნძულის გარშემო? განა უკეთესი, ბევრად უკეთესი არ იქნებოდა?

დიდი აღტაცება არ გამოომითქვამს, რადგან გულში გავიფიქრე, რეინგოლდის გვერდით ყოფნა ვერ მაგრძნობინებს-მეთქი მთელი ამ გასეირნების ხიბლს. უხალისოდ ვუპასუხე:

— ჰო, გარკვეული თვალსაზრისით სასიამოვნო იქნებოდა...

როგორ თქვით, მოლტენი, გარკვეული თვალსაზრისითო?
— დიდის ამბით შესძახა მან, გარკვეული თვალსაზრისით... კი მაგრამ, მაინც რას გულისხმობთ? იმ თვალსაზრისით ხომ არა, როგორითაც ცხოვრება გვესმის: ცხოვრება ხომ ჩვენთვის, უპირველეს ყოვლისა, მოვალეობაა. ასეა ხომ, მოლტენი?.. მოვალეობა ხომ? კარგით, მაშ, აბა, შევუდგეთ მუშაობას!

რეინგოლდი ბალუსტრადას მოსცილდა და კვლავ მაგიდას მიუჯდა, შემდეგ ჩემკენ გადმოიხედა, თვალებში მომაცქერდა და მედიდურად წარმოთქვა:

— ახლოს მოიწიეთ... ამ დილით ჩვენ მხოლოდ ვილაპარაკებთ. დღეს ბევრი რამ უნდა გითხრათ...

დავჯექი, რეინგოლდმა ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა და განაგრძო:

— თქვენ, ალბათ, გახსოვთ, მოლტენი, ჩვენი საუბარი გზაში „ოდისეას“ შესახებ. მაშინ ეს საუბარი ბატისტამ შეგვაწყვეტინა... გახსოვთ, ალბათ, ისიც, დარჩენილი მანძილი თვლემაში გავატარე და ამ საუბრის გაგრძელება სხვა დროისთვის გადავდე. რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს გახსოვთ, მოლტენი!

— ჰო, რა თქმა უნდა.

— თუ გახსოვთ, მოლტენი, მაშინ ასე ავხსენი „ოდისეას“ არსი: ოდისევსი განზრახ აჭიანურებს თავის მოგზაურობას, რადგანაც შინ დაბრუნება არა სურს და ამას ქვეცნობიერის კარნახით აკეთებს-მეთქი. მგონი, ამაზე შევჩერდით.

— დიახ.

— ახლა კი მინდა აგიხსნათ მიზეზი, რატომ არ უნდა ოდისევსს შინ დაბრუნება, — თქვა რეინგოლდმა.

ის ერთი წუთით შეჩერდა, თითქოს სურდა, განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა საკუთარი აღმოჩენისათვის, შემდეგ წარბები მოჭმუხნა და ისე რომ, ჩემთვის თვალი კვლავ არ მოუცილებია, ჩვეული სერიოზულობითა და ავტორიტეტულობით წარმოთქვა:

ოდისევსს ითაკაზე დაბრუნება იმიტომ არ უნდა, რომ სინამდვილეში პენელოპესთან ვერა აქვს კარგი ურთიერთობა. აი, მიზეზი, მოლტენი... ეს არაკეთილგანწყობილება, ცუდი ურთიერთობა მათ შორის ჯერ კიდევ ოდისევსის ომში გამგზავრებაამდე წარმოიშვა... მაშასადამე, სინამდვილეში, ომში იმიტომ წავიდა, რომ შინ თავს კარგად ვერ გრძნობდა... რადგან მეუღლესთან ცუდი ურთიერთობა ჰქონდა.

რეინგოლდი წუთით გაჩუმდა, ავტორიტეტული და მედიდური გამომეტყველება არ შეუცვლია. ამ სიჩუმით ვისარგებლე და სკამი ისე შევაბრუნე, მზეს პირდაპირ თვალებში არ ეცქირა. შემდეგ განაგრძო:

— პენელოპესთან კარგი ურთიერთობა რომ ჰქონოდა, ოდისევსი ომში არ წავიდოდა, რადგან იგი ბუნებით მეომარი არ არის, არც ჩხუბისა და შფოთის მოყვარულია. ის უფრო ბრძენი, წინდახედული და გონიერი ადამიანია... მას რომ ცოლთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა, მენელაოსს თავისი თანადგომის დასამტკიცებლად საექსპედიციო კორპუსს გაუგზავნიდა რომელიმე ერთგული კაცის მეთაურობით, და მეტი არაფერი. სინამდვილეში კი რა მოხდა... ამის ნაცვლად, ოდისევსმა თვითონ ისარგებლა შემთხვევით, რომ ცოლს გაქცეოდა: ომი შინიდან წასვლის საბაბად გამოიყენა.

— ძალზე ლოგიკურია.

— ძალზე ფსიქოლოგიურიაო, ალბათ, ეს გინდოდათ გეთქვათ, მოლტენი! — მაშინვე შემისწორა რეინგოლდმა, რადგან ჩემს ხმაში ცოტაოდენი ირონია შეამჩნია, — ძალზე ფსიქოლოგიურია და დაიმახსოვრეთ, ყველაფერი ფსიქოლოგიაზეა დამოკიდებული; მის გარეშე არ არსებობს ხასიათები, ხასიათების გარეშე კი ისტორია. ახლა ჯერი დადგა, გავერკვეთ ოდისევსისა და პენელოპეს ფსიქოლოგიაში, ინებეთ: პენელოპე არის — ძველი ფეოდალური, არისტოკრატიული საბერძნეთის ტრადიციების მიმდევარი ქალი: სათნო, კეთილშობილი, ამაცი, მორწმუნე, კარგი დიასახლისი, კარგი დედა და კარგი მეუღლე... ოდისევსი კი თავისი ბუნებით წინ უსწრებს დროს. ის უფრო გვიანდელი საბერძნეთის სოფისტებისა და ფილოსო-

ფოსების დროის საბერძნეთის წარმომადგენელია თავისი ბუნებით. მისთვის უცხოა ცრურწმენა. თუ დასჭირდა, თავაშვებულიცაა. იგი გამჭრიახია, ჭკვიანი, ურწმუნო, სკეპტიკოსი, ხანდახან ცინიკოსიც.

შევეპასუხე:

— მე მგონი, მეტად მუქად ხატავთ ოდისევსს... თვით პოემაში კი...

მან მოუთმენლად გამაწყვეტინა:

— ჩვენ არაფერი გვესაქმება თვით „ოდისეასთან“ ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მას ჩვენებური ინტერპრეტაცია უნდა გავუკეთოთ, უნდა განვაფიქროთ. დაიმახსოვრეთ, მოლტენი, ჩვენ ფილმი უნდა შევქმნათ... „ოდისეა“ უკვე დაწერილია, ჩვენ ახლა ფილმი უნდა გავაკეთოთ.

ხმა არ ამომიღია, რეინგოლდმა განაგრძო.

— ამგვარად, ოდისევსსა და პენელოპეს შორის არაკეთილგანწყობილების მიზეზი მათი ბუნების სხვადასხვაობაში უნდა ვეძებოთ... აშკარაა, სანამ ტროის ომი დაიწყებოდა, ოდისევსმა ისეთი რამ ჩაიდინა, რაც პენელოპეს არ მოეწონა... სახელდობრ რა? სწორედ ამის გარკვევაში უნდა დაგვეხმარონ სასიძოლები... როგორც „ოდისეადან“ ვიცით, საქმროები ცდილობენ მოინადირონ პენელოპეს გული, თითოეულს მისი ცოლად შერთვა სურს, თავაწყვეტილად დათარეშობენ ოდისევსის სახელში და მის ქონებას ანიაგებენ... საჭიროა ძირფესვიანად შეიცვალოს მდგომარეობა...

გაკვირვებისგან პირი დავადე.

— ვერ გაიგეთ? — მკითხა მან. — კარგი, ახლავე ყველაფერს აგისხნით... საქმროები... მე მგონი, ჩვენთვის უმჯობესი იქნება, თუ მათ გავაერთიანებთ და ერთით დავკმაყოფილდებით, თუნდაც მხოლოდ ანტინოეთი. ამგვარად, საქმროები პენელოპაზე შეყვარებულნი არიან ტროის ომის დაწყებამდე... და თავიანთი სიყვარულის გამოსახატავად, ძველი ბერძნული ჩვეულების თანახმად, საჩუქრებით ავსებენ. ძველ ბერძნულ ადათებზე აღზრდილი პენელოპე ამაყი, ზნემაღალი ქალია. ძალიან უნდა უარი თქვას საჩუქრებზე. უფრო მეტად კი უნდა

ოდისევსმა სახლიდან გაყაროს საქმროები... მაგრამ მის მეუღლეს, ჩვენთვის ჯერ კიდევ გამოუცნობი მიზეზის გამო, რის მონახვაც, ვფიქრობ, არ გაგვიჭირდება, არ უნდა გაანაწყენოს საქმროები. ოდისევსს, როგორც ჭკვიან და გონებადამჯდარ ადამიანს შეჰფერის, არაფრად მიაჩნია საქმროების ეს მანჯვა—გრეხა მისი ცოლის გარშემო. ცოლის ერთგულებაში ღრმად დარწმუნებულს ასევე არაფრად მიაჩნია საჩუქრებიც. ის კი არადა, კიდევ სიამოვნებს... დაიმახსოვრეთ, მოლტენი, ძველ ბერძნებს საჩუქრები ძალიან უყვარდათ... რა თქმა უნდა, ოდისევსის ასეთი საქციელი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, საკუთარ ცოლს ხელი შეუწყოს, საქმროების ნებას დაჰყვეს, არა, იგი პენელოპეს ურჩევს, ეთამაშოს, არ გააგულისოს ისინი, და რაც მთავარია, ოდისევსს ეჩვენება, რომ სწორია მისი საქციელი. ოდისევსს სურს მშვიდად, აუღელვებლად იცხოვროს. იგი ბუნებით მშვიდობისმოყვარე კაცია. ჩხუბი და აურზაური ეჯავრება... პენელოპე არ მოელოდა ოდისევსისაგან ასეთ უმოქმედობას. ქალს არ სურს დაიჯეროს ეს, განაწყენებულია და აღშფოთებულიც. ქმარი კი ამას ვერ ამჩნევს. საჩუქრები სულაც არ მიაჩნია დამამცირებლად და შეურაცხმყოფელად. ურჩევს მეუღლეს, რაც შეიძლება, თავაზიანად მოექცეს საქმროებს. მით უმეტეს, არ გაგიჭირდება ასეთი მოქცევაო. ბოლოს და ბოლოს, პენელოპე ქმრის რჩევას დაჰყვება, მაგრამ სამაგიეროდ, მის გულში ქმრისადმი უსაზღვრო ზიზღის გრძნობა დაისადგურებს. მას ოდისევსი აღარ უყვარს და კიდევ ეუბნება ქმარს თაობაზე. ოდისევსი გვიან მიხვდება, თავისი ვითომდა წინდახედულობითა და ეშმაკობით, რომ ჩაკლა პენელოპეს გულში სიყვარულის გრძნობა. იგი ცდილობს შეცდომა გამოასწოროს, კვლავ დაიბრუნოს ცოლის სიყვარული, მაგრამ ამაოდ. ითაკაზე მისი ცხოვრება ჯოჯოხეთად იქცევა... უკვე სრულიად იმედდაკარგული გადაწყვეტს სახლიდან გაქცევას. ამ შემთხვევაში კი ტროის ომი ზედგამოჭრილი იყო. შვიდი წელიწადი გაგრძელდა ომი. ოდისევსი კვლავ ითაკაზე დაბრუნებისთვის ემზადება, მაგრამ იცის, სახლში ელის ქალი, რომელსაც არა მარტო არ უყვარს, ეზიზღება კიდევც... ამიტომ, არც ერთ მოხერხებულ შემთხვევას არ უშვებს ხელიდან,

გაახანგრძლივოს, დააყოვნოს შინ დაბრუნება, რისიც ასე ძალიან ეშინია და რაც კარგს არაფერს უქადის. მაგრამ, ადრე თუ გვიან, უნდა დაბრუნდეს... დაბოლოს, როცა ოდისევსი შინ ბრუნდება, მას იგივე გადახდება, რაც რაინდს ლეგენდაში გველექეშაპზე. გახსოვთ, მოლტენი? პრინცესა რაინდს სთხოვს და ამარცხოს გველექეშაპი, თუ უნდა, კვლავ მისი სიყვარულის ღირსი გახდეს. გველექეშაპის მოკვლის შემდეგ პრინცესა კვლავ შეიყვარებს რაინდს... ასევეა პენელოპეც. ოჯახში დაბრუნებულ ქმარს არწმუნებს, მთელი ეს ხანი შენი ერთგული ვიყავიო, მაგრამ იმასაც დასძენს, არ გეგონოს, ერთგულება შენმა სიყვარულმა მიკარნახა, ამით საკუთარ ღირსებას ვიცავდიო, ხოლო თუ ჩემი სიყვარული გსურს დაიბრუნო, დახოცე ეს საქმროებიო. ოდისევსი, როგორც ვიცით, ბუნებით სისხლისმოყვარე და შურისმაძიებელი არაა. შესაძლოა, მას ერჩია, საქმროები უფრო მშვიდობიანი გზით მოეცილებინა თავიდან, სახლიდან გაეყარა, მაგრამ ამჯერად ის თანხმდება მკვლევლობაზე, რადგან ამაზეა დამოკიდებული მისი ბედი, მხოლოდ ასე შეუძლია დაიბრუნოს პენელოპეს სიყვარული. აი, რატომ კვლავს ოდისევსი საქმროებს და მაშინ, მხოლოდ მაშინ, თავაზიანი პენელოპე თავის სიყვარულს ოდისევსს სთავაზობს. რამდენიმე წლის განშორების შემდეგ გადაიხდიან ისინი ნამდვილ სისხლიან ქორწილს... ახლა გაიგეთ, მოლტენი? ასე და ამრიგად, ვაყალებე: პირველი – პენელოპეს ეზიზღება ქმარი იმის გამო, რომ მას არაფრად მიაჩნია საქმროების საქციელი. ეს კი არ შეეფერება ნამდვილ მამაკაცს, ქმარსა და მეფეს; მეორე – ოდისევსი გამოსავალს პოულობს: ტროის ომში მიდის, რადგან იცის, ცოლს ეზიზღება და იქ აღარ დაედგომება; მესამე – ოდისევსი ქვეცნობიერების კარნახით განზრახ აჭიანურებს შინ დაბრუნებას, რადგან იცის, შინ აღარ ელოდებიან სიყვარულით; მეოთხე – იმისათვის, რომ კვლავ დაიბრუნოს პენელოპეს პატივისცემა და სიყვარული, ოდისევსი კვლავს საქმროებს... ახლა ხომ გაიგეთ, მოლტენი?

გავიგე-მეთქი, ვუპასუხე. მართლაც, რა ძნელი იყო ამის გაგება? მაგრამ აღშფოთების გრძნობა, რაც ჯერ კიდევ გზაში და-

მებადა „ოდისეას“ ასე დამახინჯებული ინტერპრეტაციის გამო, კიდევ უფრო გამძლიერდა და ისე ვუსმენდი რეინგოლდს, თითქოს სიზმარში ვყოფილიყავი. ამასობაში რეჟისორი კვლავ პედანტურად განაგრძობდა ახსნას:

— თქვენ, ალბათ, გაინტერესებთ, მოლტენი, როგორ მივაგენი მთელი ამ ამბის გასაღებს. მე დამეხმარა სასიძოების უწყალოდ ამოხოცვის ამბავი. ეს მხეცური, სასტიკი, შეუბრალებელი ხოცვა—ჟლეტა არსებითად განსხვავდებოდა ოდისევსის ბუნებისაგან. თავიდან ჩვენ წინაშეა ჭკვიანი, გონებანათელი, გამჭრიახი, მოხერხებული, წინდახედული ადამიანი. ჰოდა, ვთქვი ჩემთვის, როგორც ოჯახის უფროსსა და მეფეს, მშვენივრად შეეძლო სასიძოები სახლიდან გაეშვა, ოღონდ ცოტა უნდა მოენდომებინა, მაგრამ იგი ასე არ მოიქცა. ეს კი იმას ნიშნავდა, მის გამშაგებას რაღაც საგულისხმო მიზეზი ჰქონოდა. რა იყო ეს მიზეზი? ალბათ, ოდისევსს უნდოდა ეჩვენებინა, რომ არა მარტო მოხერხებული, ჭკვიანი, წინდახედული და გამჭრიახი კაცი იყო, არამედ, თუ დასჭირდებოდა, არაქსივით შეეძლო გამძვინვარება, აქილევსივით თავშეუკავებლობა და აგამემნონივით შეუბრალებლობა. ახლა ისმის კითხვა — კი მაგრამ, ვისთვის სჭირდებოდა ეს ყოველივე მას? ვისთვის და, პენელოპესთვის!.. ამრიგად — ევრიკა!

მე ხმას არ ვიღებდი. რეინგოლდის მსჯელობა გასაოცრად ნათელი იყო და სრულიად შეესაბამებოდა მის ლტოლვას ფსიქოანალიტიკურ, სექსუალურ დრამად ექცია „ოდისეა“. სწორედ ეს იწვევდა ჩემს აღშფოთებას, ამ ლტოლვაში „ოდისეას“ პროფანაციას ვხედავდი მხოლოდ. ჰომეროსს ყველაფერი უბრალოდ, მარტივად, წმინდად, კეთილშობილურად, გულუბრყვილოდ აქვს მოცემული. ოდისევსის ეშმაკობაც კი პოეტურად წარმოგვიდგინა, როგორც მისი გონებრივი განვითარების გამოვლინება. რეინგოლდის ინტერპრეტაციაში ყველაფერი შიშველი მორალის მღალადებელი და ფსიქოლოგიზმით გაჟღერებული თანამედროვე დრამის დონემდე იყო დაყვანილი. ამასობაში რეინგოლდი, თავისივე ახსნა—განმარტებით კმაყოფილი, დასკვნას აკეთებდა.

– როგორც ხედავთ, მოლტენი, ფილმი უკვე მზადაა. თითოეული წვრილმანიც კი გათვალისწინებულია. ისღა დავვრჩენია, დავსხდეთ და დავწეროთ.

უხეშად შევაწყვეტინე:

– ყური მიგდეთ, რეინგოლდ, შესაძლოა ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ თქვენი ინტერპერტაცია მე მაინც არ მომწონს.

მან განცვიფრებისაგან თვალეები დააჭყიტა: უფრო ჩემი გაცხარება გაუკვირდა, ვიდრე ის, რომ არ ვეთანხმებოდი.

– მაშ, არ მოგწონთ, ჰა, ძვირფასო მოლტენი? მაინც, საინტერესოა, რატომ არ მოგწონთ?

ჯერ მორიდებით დავიწყე, მაგრამ თანდათან ხმაში გამბედაობა მომემატა:

– თქვენი მსჯელობა იმიტომ არ მომწონს, რომ ის ოდისეას ნამდვილი ბუნების კლასიფიკაციას წარმოადგენს. ჰომეროსის ოდისევსი მართლაც გამჭრიახი, წინდახედული, თუ გნებავთ, ცბიერი კაციც არის, მაგრამ მას არასოდეს ავიწყდება პატიოსნება და საკუთარი ღირსება... ის ყოველთვის გმირია, ღირსეული მეომარია, მეფე დე ერთგული ქმარი, თქვენი ინტერპერტაციიდან კი რა გამოდის? მაპატიეთ, მაგრამ უნდა გითხრათ, ძვირფასო რეინგოლდ, თქვენი მსჯელობის მიხედვით ოდისევსი ისეთი ადამიანია, ვისთვისაც უცხოა პატიოსნებაც და საკუთარი ღირსების გრძნობაც, ეს არის ადამიანი, რომელიც არავითარ პატივისცემას არ იმსახურებს. იმაზე უკვე აღარაფერს ვამბობ, ორიგინალს რომ ძალზე დაშორდით...

ვხედავდი, როგორ თანდათან იკლებდა რეინგოლდის სახეზე ნახევარმთვარისებური ღიმილი, ბოლოს კი სრულიად გაქრა. შემდეგ გერმანული აქცენტით, რომლის დაფარვასაც ჩვეულებრივ დიდი მონდომებით ცდილობდა ხოლმე, მკვახედ თქვა:

– ძვირფასო მოლტენი, ნება მიბოძეთ გითხრათ. როგორც ყოველთვის, თქვენ ახლაც ვერაფერი გაიგეთ.

– როგორც ყოველთვის? – ვთქვი მე წყენანარევი ირონიით.

— ჰო, როგორც ყოველთვის! — დამიდასტურა რეინგოლდმა, — ახლავე აგისხნით, რატომ... ყურადღებით მომისმინეთ, მოლტენი...

— შეგიძლიათ, დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, გისმენთ მთელი გულისყურით.

— სრულიადაც არ ვცდილობ, ოდისევსი, თქვენი სიტყვებით რომ ვთქვათ, ისეთ უპატიოსნო ადამიანად გამოვიყვანო, ვისთვისაც უცხოა საკუთარი ღირსების გრძნობა, ადამიანად, რომელიც პატივისცემას არ იმსახურებს... მინდა მხოლოდ ისეთად გამოვიყვანო, როგორიც ეს თვით „ოდისეაშია“. ვინ არის და რას წარმოადგენს ოდისევსი პოემაში? ოდისევსი, უბრალოდ, ცივილიზებული ადამიანია. პოემის გმირებს შორის ოდისევსი ერთადერთი ადამიანია, რომელიც ცივილიზაციას ეზიარა. სადა ჩანს ეს? სადა და, იქ, რომ ოდისევსი თავისუფალია ცრურწმენებისაგან, გაჭირვების დროს ის ყოველთვის გონებას უხმობს, იმ შემთხვევაშიც კი როცა, როგორც თქვენ ამბობთ, საქმე ეხება პატიოსნებას, ღირსებას, პატივისცემას... ბოლოს და ბოლოს, ის ჭკვიანი და სამართლიანი კაცია, იმასაც ვიტყვოდი უნარი შესწევს, სწორად გააანალიზოს მდგომარეობა, თითქმის მეცნიერულადაც იმსჯელოს. მაგრამ ცივილიზაციას, — განაგრძობდა რეინგოლდი, — რა თქმა უნდა, თავისი უარყოფითი მხარეებიც აქვს. ოდისევსი ძალიან მალე ივიწყებს, მაგალითად, იმას, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ე. წ. პატიოსნების გაგებას არააცივილიზებული ადამიანები. პენელოპე ხომ არააცივილიზებული ადამიანია. ეს არის ქალი, რომელიც პატივს სცემს ძველ ტრადიციებს, ემორჩილება მხოლოდ ინსტინქტს, მჩქეფარე სისხლსა და სიამაყეს... ახლა განსაკუთრებული ყურადღებით მომისმინეთ, მოლტენი, რასაც გეტყვით, ეცადეთ, გამიგოთ... ყველა არააცივილიზებულ ადამიანს, შესაძლოა ცივილიზაცია, — და ეს არცთუ იშვიათია, — მორალურ გახრწნილებად, ამორალურად, უპრინციპობად და ცინიზმადაც მოეჩვენოს... ასეთი ბრალდებები ცივილიზაციას წაუყენა, მაგალითად, ჰიტლერმა, რომელიც, რა თქმა უნდა, არააცივილიზებული ადამიანი იყო. ის ძალზე ბევრს ლაპარა-

კობდა პატიოსნებაზე... მაგრამ ახლა ხომ ვიცით, რას წარმოადგენდა ჰიტლერი და რა პატიოსანიც იყო... ერთი სიტყვით, „ოდისეაში“ პენელოპე ბარბაროსობას ანსახიერებს, ოდისევსი — ცივილიზაციას. იცით, მოლტენი, თქვენ მე ოდისევსივით ცივილიზებული ადამიანი მეგონეთ, მსჯელობთ კი ბარბაროს პენელოპესავით.

ბოლო სიტყვების წარმოთქმისას რეინგოლდს გაბრყინებულ სახეზე კვლავ ფართო ღიმილი გამოესახა. ეტყობა, კმაცოფილი იყო საკუთარი მახვილსიტყვაობით, პენელოპეს რომ შემადარა, მე კი არ ვიცი, რატომ, სწორედ ეს შედარება მემწვა-ვა. ვიგრძენი, სიბრაზისაგან როგორ მომაწვა სისხლი სახეში და შეცვლილი ხმით წარმოვთქვი:

— თუ თქვენ ცივილიზაციად მიგაჩნიათ ის, რომ ქმარი თვალს ხუჭავს, როცა მის ცოლს სხვა მამაკაცი ეარშიყება, მაშინ, ძვირფასო რეინგოლდ, ვაღიარებ, რომ არაცივილიზებული ადამიანი ვარ.

მაგრამ ამჯერად, ჩემდა გასაკვირად, რეინგოლდი არ გაბრაზებულა.

— ერთი წუთით, — თქვა მან და ხელი ასწია, თქვენ, მოლტენი, დღეს რაღაც ვერ აზროვნებთ აუღელვებლად... მართლაც პენელოპესავითა ხართ... ასე მოვიქცეთ... ახლა წადით, ზღვაში იბანავეთ და კარგად იფიქრეთ ყველაფერზე, რაზეც ვისაუბრეთ. ხვალ დილით კი მოდით და მითხარით, რასაც გადაწყვეტთ. თანახმა ხართ?

დაბნეულმა მივუგე:

— თანახმა ვარ, მხოლოდ მეექვსება, აზრი შევიცვალაო.

— კარგად იფიქრეთ იმაზე, რაზეც აქ ვისაუბრეთ, გაიმეორა რეინგოლდმა, ადგა და ხელი გამომიწოდა გამოსამშვიდობებლად.

მეც წამოვდექი. რეინგოლდმა წყნარად დასძინა:

— დარწმუნებული ვარ, ხვალამდე ყოველივეს კარგად განსჯით და აღიარებთ ჩემს სიმართლეს...

— რაღაც ძალიან მეექვსება, — ვუპასუხე და სასტუმროსკენ მიმავალ ბილიკს გავუყევი...

მეთვრამეტე თავი

რეინგოლდთან სულ რაღაც ერთი საათი დავყავი — სწორედ იმდენი, რამდენიც „ოდისეაზე“ დისკუსიას მოვანდომეთ. ამრიგად, წინ მთელი დღე მქონდა, რეინგოლიდს სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველაფერს ჩავფიქრებოდი და საბოლოო გადაწყვეტილება მიმელო.“ სიმართლე უნდა ვაღიარო. სასტუმროდან გამოსვლისთანავე დამებადა სურვილი, არა მარტო არ მეფიქრა რეინგოლდის ჩანაფიქრზე, არამედ, რაც შეიძლება ჩქარა დამევიწყებინა ის და დავმტკბარიყავი მზით გაკაშკაშებული დღით. მეორე მხრივ, რაღაცით შეშფოთებული ვიყავი. მეჩვენებოდა, თითქოს რეინგოლდის სიტყვებში ისეთი რამ იმალებოდა, რაც ჩვენს კინოში ერთობლივი მუშაობის ფარგლებს სცილდებოდა, მაგრამ სახელდობრ, რა, ვერ გამერკვია. ეს კი იყო, რომ ამ ამბავმა რატომღაც მეტისმეტად ამაღელვავა.

— ამრიგად, მე მართლაც აღარაფერი დამრჩება, იმის გარდა, „ყველაფერს კარგად ჩავფიქრებოდი“. გამახსენდა — დილით სახლიდან რომ გამოვდიოდი, დაბლა, იმ გორაკის ძირას, სადაც აგარაკი იდგა, ზღვის პატარა განმარტოებული უბე ლივლივებდა და გადავწყვიტე, იქ ჩავსულიყავი. სწორედ რომ შესაფერისი ადგილი იყო, რათა — როგორც რეჟისორმა მირჩია, წყნარად, ჩემთვის, აუღელვებლად მეფიქრა ყველაფერზე და თუ ფიქრს არ მოვისურვებდი, ზღვაში მებანავა.

ამ ფიქრებით ბილიკზე გადავედი და იმ ხეივანს გავყევი, რომელიც მთელ კუნძულს გარს ერტყმოდა. ადრიანი დილა იყო. მზეს ჯერ კიდევ არ დაეცხუნებინა. ხეებით დაჩრდილულ ხეივანში არავინ ჩანდა: მხოლოდ რამდენიმე ბიჭუნამ გაიტყაპუნა შიშველი ფეხებით მოკირწყლულ ბილიკზე. შემდეგ ორმა გოგონამ აიარა, ხელიხელგადახვეულს. გზადაგზა სულმოუთქმელად ლაპარაკობდნენ ხმადაბლა. ორ თუ სამ ხანშიშესულ მანდილოსანს ძაღლები გამოეყვანა სასეირნოდ.

ხეივანის ბოლოში, სადაც გზა უკვე ხრიოკსა და კუნძულის ფლატეებიანი ნაწილისაკენ მიემართებოდა, ვიწრო ბილიკზე გადავუხვიე. ცოტაც გავიარე და ახლა გვერდით ბილიკზე გა-

ვედი. ამ ბილიკით მივადექი ტერასას, შევდექი და ძირს გადავიხედე. ტერასა უფსკრულის პირას დაკიდებულს ჰგავდა, დაახლოებით ას მეტრზე, ჩემ დაბლა, თვალუწვდენელი, მზის სხივებზე თვალისმომჭრელად მოლაპლაპე და მოლივლივე ზღვა გაწოლილიყო. იგი ქარის მიმართულების მიხედვით იცვლიდა ფერს. ერთ ადგილას ზღვა ცისფერი იყო, მეორეზე — ლურჯი, თითქმის იისფერი, უფრო შორს კი მწვანე. ასე შორეული და მდუმარე ზღვიდან ამომართულ, კუნძულის სანაპიროს გასწვრივ ჩარიგებულ ციცაბო კლდეებს თითქოს მშვილდიდან გამოტყორცნილი ისრები მოფრინავდნენ ჩემკენ მოკაშკაშე მზისთვის მიეშვირათ თავიანთი გაშიშვლებული წვეტიანი თავები. თვითონაც არ ვიცი, რატომ, მაგრამ რაღაცნაირმა გზნებამ შემიპყრო. გავიფიქრე, რილასთვის უნდა ვიცოცხლო, იქნებ სჯობდეს ამ მოცილე, უძირო ზღვის სიღრმეში გადაშვებამეთქი, იქნებ ასეთმა სიკვდილმა ნაწილობრივ მაინც გადაარჩინოს ის, რაც კარგი იყო ჩემს არსებაში, ჩემს სულში. დიახ, მზად ვიყავი, თავი დამეხრჩო, ოღონდ სიკვდილის შემდეგ მომეპოვებინა ის სიმშვიდე, რაც ცხოვრებაში მაკლდა.

თვითმკვლელობის ეს ცდუნება სრულიად გულწრფელი იყო და შესაძლოა, იმ წუთებში ჩემს სიცოცხლეს მართლაც ელოდა საფრთხე. შემდეგ, თითქმის უნებურად გადასწვდა ჩემი ფიქრი ემილიას. ნეტავ, რას იზამს ემილია, ჩემი სიკვდილის ამბავს რომ გაიგებს? და მაშინ თავს გამოვუტყდი: „თავს შენ იმიტომ კი არ იკლავდი, რომ ცხოვრებამ დაგვალა... არა... აბა, რა დროს შენი დაღლია. შენ ემილიას გამო იკლავდი თავს“. ამ ფიქრმა შემზარა. მზაკვრულად დაუკავშირა ჩემი თვითმკვლელობის სურვილი პირად ინტერესს, თითქოს ჩემს ცხოვრებაში არაფერი აღარ არსებელიყო ემილიას გარდა. თავს შევეკითხე: „ემილიას მიზეზით იკლავდი თავს თუ ემილიას გულისთვის? ეს ორი რამ ხომ არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან?“ ამ კითხვას მაშინვე ვუპასუხე: „რა თქმა უნდა, ემილიასთვის, ემილიას სიყვარულისა და პატივისცემის დაბრუნებისათვის, თუნდაც ჩემი სიკვდილის შემდეგ... დაე, მან იგრძნოს სინდისის ქენჯნა, ასე უსამართლოდ რომ ვძულდი“.

ეს თვითგვემა კუბებით ბავშვების თამაშს ჰგავდა: უწესრიგოდ მიმოფანტული კუბები ბავშვებმა ისე უნდა დააწყონ, ერთი გარკვეული ნახატი მიიღონ, ერთიც რომ დააკლონ, ნახატი არ გამოვა. მეც ასე მომდიოდა. ვგრძნობდი, მთლიან სურათს რაღაც აკლდა. მოულოდნელად თავში გამიელვა: „რეინგოლდის სიტყვებმა ასე ძლიერ იმიტომ ამაღელვა, რომ ოდისევსისა და პენელოპეს ცოლქმრულ ურთიერთობაზე მსჯელობისას, რეინგოლდმა — შესაძლოა, სულაც თავისდა უნებურად, შენი საკუთარი ოჯახური უსიამოვნება, შენი და ემილიას ურთიერთობა გაგახსენა, როცა მან ოდისევსისადმი პენელოპეს ზიზღი ახსენა, შენ მაშინვე ემილიას ზიზღი გაგახსენდა შენდამი... ერთი სიტყვით, სიმართლე გემწვავა და ამიტომ შეუტეე რეინგოლდს“.

მაგრამ სურათი მთლად დამთავრებული ჯერ კიდევ არ იყო. ახლა კი უკვე საბოლოოდ შეავსო იგი ახალმა აზრმა: „თავის მოკვლაზე იმიტომ ფიქრობ, რომ თვითონ ვერ გარკვეულხარ საკუთარ თავში... ემილიას სიყვარული რომ დაიბრუნო, სულაც არ არის საჭირო თავის მოკვლა... ამისათვის სულ უბრალო რაღაც უნდა მოიმოქმედო, ხოლო სახელდობრ რა, ეს უკვე გიკარნახა რეინგოლდმა... პენელოპეს სიყვარული რომ დაებრუნებინა, ოდისევსმა საქმროები ამოხოცა... მაშასადამე, თუ თეორიულად ვიმსჯელებთ, შენ ბატისტა უნდა მოკლა, მაგრამ ჩვენ ხომ ნაკლებად მკაცრ და მომეტებულად რთულ დროში ვცხოვრობთ, ვიდრე „ოდისეაშია“? ამიტომ სრულიად საკმარისია ბატისტას ხვალვე გამოუცხადო, უარს ვამბობ სცენარზეო, ყოველგვარი ურთიერთობა გაწყვიტო რეინგოლდთან და დაუყოვნებლივ გაემგზავრი რომში. ემილია იმიტომ გირჩევდა, უარი არ გეთქვა სცენარზე, რომ მას სურს ეზიზღებოდე შენ და ასევე სურს, შენვე დაუმტკიცო საკუთარი სიკვდილით, რომ მისი ზიზღი შენდამი უსაფუძვლო არ არის... მაგრამ შენ აღარ დაუგდო ყური მის რჩევას, პირიქით, ისე მოიქეცი, როგორც ოდისევსი მოიქცა, რეინგოლდის ჩანაფიქრის მიხედვით“.

ახლა სურათი ნამდვილად დასრულებული იყო: ღრმად ვაანალიზებ ყოველივე და შეუბრალებელი სიმართლით ვამხი-

ლე საკუთართ ავი. ჩემთვის უკვე ნათელი იყო, აღარ მჭირდებოდა, „კარგად მეფიქრა ყველაფერზე“. როგორც რეინგოლდმა მიჩნია, ახლა უნდა მივსულიყავი მასთან და ჩემი გადაწყვეტილება მომეხსენებინა, ამჯერად უკვე ურყევი და საბოლოო. მაგრამ მაშინვე გავიფიქრე, რაკი აღარ იყო საჭირო „კარგად მეფიქრა ყველაფერზე“, არც აჩქარება ღირდა, რათა არ ჰგონებოდათ, სწრაფად და მოუფიქრებლად მიიღო ეს გადაწყვეტილებაო. აჯობებდა, რეინგოლდთან სადილობის შემდეგ შემეველო და სრულიად აუღელვებლად მეცნობებინა ჩემი გადაწყვეტილება. შემდეგ ასევე აუღელვებლად დავბრუნებულიყავი შინ, ემილიასთვის მებრძანებინა, ჩემოდნები ჩაეღაგებინა და გასამგზავრებლად მომზადებულიყო. რაც შეეხება ბატისტას, გადავწყვიტე, მასთან პირისპირ ლაპარაკს საერთოდ ავრიდებოდი და დილით, გამგზავრების წინ მოკლე ბართი დამეტოვებინა. ბართში დავუწერდი, იმიტომ მივდივარ, რომ მე და რეინგოლდი ვერ შევთანხმდით-მეთქი, რაც სინამდვილეში საფუძველს მოკლებული არც იქნებოდა. ბატისტა გამჭრიახი კაცი იყო, ყველაფერს მიხვდებოდა. შემდეგ კი, გადაწყვეტილი მქონდა, იგი აღარასოდეს მენახა.

ამ ფიქრებში გართული კვლავ ხეივანში აღმოვჩნდი. შემდეგ იმ კლდემდე მივაღწიე, სადაც ბატისტას სააგარაკო სახლი იდგა. როცა გამოვერკვიე, უკვე ვიწრო ბილიკით ვეშვებოდი ზღვის განმარტოებული უბისაკენ, რომელიც დილით სახლიდან გამოსვლისას გამოვარჩიე. დაღლილი და აქოშინებული ჩავედი დაბლა. ცოტა ხანს გავჩერდი. სული მოვითქვი და აქეთ—იქით მიმოვიხედე.

პატარა, ქვიან სანაპიროს გარშემო შემორაგობდნენ ლოდები, რომლებიც თითქოს ეს-ესაა კლდეებს მოსწყვეტიანო. უბეს კეტავდა მწვანე ტალღებიდან ამოზრდილი ორი კლდოვანი კონცხი. წყალი აქ ისე გამჭვირვალე იყო, რომ მზის სხივები თითქმის ზღვის ფსკერამდე აღწევდა. შემდეგ იქვე სილაში ნახევრად შეჭრილი მოშავო ფრიალო კლდე დავინახე, მთლად გამოფიტული და დამსკდარი. გადავწყვიტე, უკნიდან შემომეველო და მის ჩრდილქვეშ შევფარებოდი მცხუნვარე მზის სხი-

ვებს. მაგრამ ის იყო კლდეს გარს მოვუარე, რომ მოულოდნელად მთლად შიშველ ემილიას წავაწყდი. იგი მზებზე გულაღმა იწვა. სიმართლე რომ ვთქვა, უცებ ვერც ვიცანი ემილია, რადგან სახე დიდი ფარფლებიანი ჩალის ქუდით დაეფარა. პირველად ვიფიქრე, ვილაც უცნობი ქალია-მეთქი და გაქცევა დავაპირე, მაგრამ უცებ გამექცა თვალი უცნობი ქალის ხელისაკენ, საჩვენებელ თითზე დავინახე ორი პატარა აფალისთვლიანი ოქროს ბეჭედი, რომელიც სულ ახლახან ვაჩუქე ემილიას დაბადების დღეზე.

როგორც უკვე ვთქვი, ემილია განმარტოებულ პლაჟზე იწვა მთლად შიშველი, ტანსაცმელი იქვე ახლოს დაეწყო, ქვებზე-ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ამ ერთი მუჭა ჭრელაჭრულა ნაჭრებს შეეძლო მისი დიდი სხეულის შემოსვა. მართლაც, შიშველ ემილიას რომ შევცქეროდი, მისი სხეულის ერთი რომელიმე ნაკვთი კი არ მალცებდა, არამედ მთელი მისი სხეულის პარმონიულობა, სიდიდე და ძლიერება. თუმცა, ვიცოდი, რომ ემილია სხვა ქალებზე ახოვანი და სრული არ იყო, მაგრამ იმ წუთში მისი შიშველი ტანი რაღაც უზომოდ დიდი მეჩვენა, თითქოს ზღვისა და ზეცის უსასრულობა გადასდებიაო.

ემილია გულაღმა იწვა. მისი რბილი და გადაშლილი ძუძუები, ეს ორი მომაღლო ბორცვი, იმ წუთში დიდი და მძიმე მომეჩვენა. დიდი მეჩვენა ვარდისფერი ძუძუსთვები, პლაჟის ქვებზე მოხერხებულად და მძლავრად დასვენებული თედოებიც. დიდი მეჩვენა მუცელიც, რომელსაც თითქოს თავის წრეში მოექცეოს მთელი მზის სხივები. და გრძელი, ჩამოქნილი ფეხებიც, ოდნავ დაბლა რომ დაშვებოდა დამრეც პლაჟზე წოლის გამო. კაცს ეგონებოდა, თითქოს საკუთარი სიმძიმე ეწეოდა ძირს.

ნეტავ საიდან გამიჩნდა ასეთი გრძნობა, რატომ მეჩვენება მისი შიშველი სხეული ასე დიდი, ძლიერი და ასე ამაღელვებელი-მეთქი, ვკითხე თავს, მაგრამ ეს ნდომა იმდენად ფიზიკური როდი იყო, რამდენადაც სულიერი. მსურდა შევერთებოდი მას, მაგრამ მხოლოდ ხორციელი ტკობა როდი მეწადა. მისი სული მეწადა. ერთი სიტყვით, თუ შეიძლება ითქვას, ემილიას სიყვარული მშოიდა, მაგრამ შიმშილის მოკვლა მართლ ჩემზე

არ იყო დამოკიდებული. ეს მხოლოდ და მხოლოდ ემილიას შეეძლო, მას უნდა გასჩენოდა სურვილი, მოეკლა ჩემი შიმშილი, მაგრამ მე ვგრძნობდი, კიდევ რომ მეცადა, იგი ხელს ჰკრავდა ჩემს სიყვარულს. თუმცა, რატომღაც მეგონა, ისე წევს, თითქოს თავს მთავაზობს-მეთქი, რაც, სამწუხაროდ, თავის მოტყუება იყო და სხვა არაფერი.

დიდხანს ვერ შევძელი მეცქერა ამ ამაღელვებელი და აკრძალული სიმშვიდისათვის, ნაბიჯი წავდგი და ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეში საკმაოდ მკაფიოდ წამოვიძახე:

— ემილია!

ამის გაგონებაზე ემილიამ ორი რამ გააკეთა სწრაფად: ჯერ სახიდან ქუდი გადაიგდო, შემდეგ ელვის სისწრაფით გააქანა ხელი ქვებზე დაწყობილი ტანსაცმლისაკენ. ამავე დროს წამოჯდა და მიმოიხედა კიდევ, ვინ მეძახისო. რიკარდო ვარ-მეთქი, რომ ვუთხარი, მაშინ კი კოფთა გააგდო ხელიდან და მთელი ტანით შემოტრიალდა, რათა უკეთესად დავენახე.

„ამრიგად, პირველად შეეშინდა, ვინმე უცხო მამაკაცი არ იყოსო, მაგრამ როცა დაინახა, რომ მე ვიყავი, საჭიროდ აღარ მიიჩნია, მომრიდებოდა და სიშიშვლე დაეფარა. თითქოს არც არავინ მდგარიყოს მის წინ“, გავივლე გუნებაში. ამ ჩემს უგუნურ აზრზე იმიტომ მოგახსენებთ, რომ მინდა, ზუსტად გადმოგცეთ ჩემი მაშინდელი სულიერი მდგომარეობა. მაშინ აზრადაც არ მომსვლია, ემილიას იმიტომ არ შერცხვია ჩემი, რომ უცხო მამაკაცი კი არაა, მისი ქმარი ვიყავი. მაშინ ასე მეგონა, მისთვის აღარ ვარსებობდი, ყოველ შემთხვევაში, აღარ ვარსებობდი, როგორც მამაკაცი, მისი მაშინდელი საქციელი, რომელიც ათასნაირად შეიძლებოდა ახსნილიყო, ბუნებრივია, ჩემ საზიანოდ გავიგე, როგორც ჩემი ეჭვების კიდევ ერთი დამამტკიცებელი საბუთი.

— ხუთ წუთზე მეტია, აქ ვდგავარ და გიყურებ... ასე მგონია, პირველად გხედავ...

ემილიას არაფერი უთქვამს, მხოლოდ უფრო მეტად შემობრუნდა ჩემკენ, რათა უკეთესად დავენახე. აუღელვებლად, ცნობისმოყვარეობით აღსავსემ გაისწორა ცხვირზე მზის შავი სათვალე.

— ემილია, საწინააღმდეგო თუ არაფერი გაქვს, დავრჩები, ან იქნებ გინდა წავიდე?!

შემომხედა, შემდეგ ნელ-ნელა გაწვა მზებზე და თქვა:

— ჩემთვის სულერთია, რახან ასე გულით გინდა, დარჩი, მხოლოდ, თუ შეიძლება, გაიწიე, მზეს ნუ მიჩრდილავ.

ამრიგად, მისთვის მართლაც არ ვარსებობდი. მისთვის მხოლოდ უსულო საგანი ვიყავი, რომელიც მზის სხივებს მის შიშველ სხეულამდე არ უშვებდა. ემილიას ასეთმა გულგრილობამ გული მატკინა და დამაბნია. ის კი არადა, თითქოს შემეშინდა კიდევ, ყელი გამიშრა და ჩემდა უნებურად სახებზე რაღაც გაურკვეველი, დაბნეული და შემცბარი გამომეტყველება გამომესახა. თავი ნაძალადევად მოვიმხიარულე და ვთქვი:

— რა კარგია აქ... მეც გავწვები მზებზე...— და ემილიასგან ცოტა მოშორებით, ლოდზე გულაღმა წამოვწეიქი.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მალე ტანზე მზის სხივების მაცოცხლებელი ძალა ვიგრძენი. სიამოვნებისგან თვალები მივლულე და წუთით სიმშვიდისა და უბრუნველობის გრძნობა დამეუფლა. მაგრამ ეს მხოლოდ წუთით იყო, ვერ მოვიტყუე თავი, აქ მზებზე გასაწოლად მოვედი-მეთქი, მხოლოდ ვიგრძენი, ვიდრე ემილიას არ დაუბრუნდებოდა ჩემდამი სიყვარული, მზეს არავითარი ფასი აღარ ექნებოდა ჩემთვის. ამ ფიქრებში გართულმა ხმამაღლა წარმოვთქვი:

— ჩემი აზრით, ეს ადგილი მხოლოდ ერთმანეთის მოსიყვარულე ადამიანებისთვისაა შექმნილი.

— ნამდვილად ასეა — გამომეხმაურა ემილია კვლავ სახებზე დაფარებული ჩალის ქუდიდან, თან არ შერხეულა.

— ეს ჩვენ არ გვეხება. ჩვენ ხომ აღარ გვიყვარს ერთმანეთი.

ამჯერად აღარ მიპასუხა. მე კი შევცქეროდი და ვგრძნობდი, რაც უფრო დიდხანს შევცქეროდი, მით უფრო მემეტებოდა ემილიას დაუფლების სურვილი, უფრო ძლიერი, ვიდრე პირველი დანახვისას დამეუფლა. ძლიერი გრძნობები იმით გამოირჩევიან, რომ მათ ძალუძთ სურვილსა და გონებას არ დაეკითხონ და პირდაპირ იმოქმედონ.

თვითონაც არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ სრულიად მოულოდნელად ემილიასაგან მოშორებით კი აღარ ვიჯექი დიდ

ქვაზე ზურგმიყუდებული, არამედ უკვე უმოძრაოდ გაშხვართულ ემილიას წინ მუხლებზე ვიდექი თვალდახუჭული და თანდათან ვიხრებოდი მისი სახისაკენ. თვითონ არ მახსოვს, როგორ და როდის გადავხადე სახიდან ჩალის ქუდი. მინდოდა მეკოცნა, მაგრამ თვალს ვერ ვაცილებდი, ისეთი ნდომით დავყურებდი მის ტუჩებს, როგორც გემრიელ ნაყოფს დახედავენ ხოლმე, ვიდრე ჩაკბენდნენ. ემილიას, როგორც უკვე ვთქვი, მსხვილი, ხორცსავსე ტუჩები ჰქონდა. პომადა გადასცლოდა, აქა—იქ შეხმობოდა, დასკდომოდა, მაგრამ მზეს კი არა, თითქოს რაღაც შინაგან ცეცხლს გაეხმო. გავიფიქრე: კარგა ხანია, ამ ტუჩებს ჩემთვის არ უკოცნია და ახლა რომ ეს მოხდეს, ტკბილ ზმანებაში ჩასულს უეჭველად ძველ და მაგარ ღვინოსავით მომეკიდება—მეთქი. მთელი წუთი, თუ მეტი არა, დავცქეროდი ემილიას ტუჩებს, შემდეგ ფრთხილად მივუახლოვე ჩემი ტუჩები მის ტუჩები მისას.

მაგრამ უცებ არ მიკოცნია ემილიასთვის. რამდენიმე წამი შევყოვნდი, სულ ახლოს ვგრძნობდი მის მსუბუქ და მშვიდ სუნთქვას, მისი ცხელი ტუჩების ცეცხლსაც. წინასწარ განვიცადე ამ კოცნის სიტკბოება. როცა ჩვენი ტუჩები ერთმანეთს შეეწებნენ, ემილიასაც არც გაულვიძია და არც გაჰკვირვებია. ჯერ ნაზად შევეხე მის ბაგეებს, შემდეგ უფრო ძლიერად, მერე რომ ვნახე, ემილია არ შერხეულა, გავბედე და მაგრად დავეკონე ტუჩებზე, როგორც მოველოდი, ტუჩები ნელ-ნელა გაიხსნა ნიჟარასავით, გაშიშვლდნენ ღრძილებიც და მაშინვე კისერზე შემომაჭდო ხელიც.

უცებ თითქოს ვიღაცამ ძლიერ მიბიძგაო, შევკრთი, გემოვერკვიე თვლემისაგან, სიჩუმემ და მზის მცხუნვარებამ რომ მომგვარა ალბათ. ემილია ჩემგან მოშორებით იწვა ისევ, სახებზე კვლავ ჩალის ქუდი ეფარა და მე მივხვდი, რომ ეს კოცნა სიზმარი იყო, ან უფრო სწორად, მოლანდება უსაზღვრო სევდისგან ლამის წალეკილი ადამიანისა, რომელსაც წუთით დავიწყდა მწარე სინამდვილე და წარსულის მოჩვენებას აჰყვა.

მე მას ვაკოცე და მანაც მიპასუხა კოცნითვე. მაგრამ ის, ვინც აკოცა და ისიც, ვინც კოცნით უპასუხა, მხოლოდ მოლანდებები იყვნენ, ემილიას დაუფლების დიდმა სურვილმა რომ დაჰბადა.

ეს იყო მხოლოდ ჩვენი ჩრდილები და საერთო არაფერი ჰქონდა ჩვენს უმოძრაო, ერთმანეთისათვის სრულიად უცხო სხეულებთან... ემილიას შევხედე და უცებ საკუთარ თავს მივმართე: „რა მოხდება, ახლა რომ ავდგე და მართლაც ვაკოცო?“ მაგრამ მაშინვე ვუპასუხე საკუთარ შეკითხვას: „ვერ გაბედავ... შენ შებორკილი ხარ რიდით და იმის შეგნებით, რომ მას ეზიზღები“.

უცებ ხმამაღლა წამოვიძახე:

— ემილია!

— რა მოხდა?

— ჩამთვლიმა და დამესიზმრა, ვითომ გკოცნიდი...

ემილიამ არაფერი მიპასუხა. ამ სიჩუმით შეშინებულმა, გადავწყვიტე საუბრისათვის სხვა გეზი მიმეცა და რაც ენაზე მომადგა, ისა ვკითხე:

— ბატისტა სად არის?

მან ქუდიდან წყნარად მიპასუხა.

— მე რა ვიცი, სად არის... მართლა, დღეს სადილზე არ იქნება, რეინგოლდთან ისადილებს სასტუმროში...

ვერც გავიაზრეე საკუთარი სიტყვები, რომ წამოვისროლე:

— ემილია, გუშინ საღამოს დაგინახე... ბატისტა რომ გკოცნიდა...

— ვიცი, მეც დაგინახე...

მისი ხმა სრულიად ჩვეულებრივად ჟღერდა, მხოლოდ ქუდის ფარფლები გუდავდა ოდნავ.

მისმა აუღელვებელმა, მშვიდმა ხმამ და იმ გულგრილობამ, რა გულგრილობით მან ჩემი აღსარება მიიღო, მთლად ამიბნია თავგზა. ნაწილობრივ აღმაშფოთა საკუთარმა საქციელმაც, დაუფიქრებლად რომ წამოვისროლე ეს სიტყვები. ეტყობა, მეგონა, მზის მცხუნვარება და ზღვის იდუმალება დაგვაავიწყებდა უსიამოვნებას, ამაოებათა ამაოებას, შეგვარიგებდა და ჩვენი მეხსიერებიდან სამუდამოდ ამოშლიდა ყოველივე ცუდს.

თავს ძალა დავატანე და დავძინე: მზებზე ყოფნა...

— ემილია, მე და შენ უნდა მოვილაპარაკოთ.

— მხოლოდ ახლა არა... მაცალე

— მაშ დღეს საღამოს.

— კარგი, იყოს დღეს საღამოს.

ავდექი და ბატისტას სახლისკენ მიმავალ ბილიკზე გავედი უკანმოუხედავად.

მეცხრამეტე თავი

სადილზე თითქმის არ დავლაპარაკებია ერთმანეთს. ოთახში მზის მცხუნვარე სხივებთან ერთად თითქოს დუმილიც შემოჭრილიყო. მაღალ ფანჯრებში უხვად იფრქვეოდა ლაჟვარდოვანი ცისა და წყნარად მოლივლივე ლურჯი ზღვის კრი-ალა ზედაპირიდან არეკლილი ბრწყინვალეობა. იგი თვალს გვჭრიდა და ერთმანეთს გვაშორებდა. უცებ ეს თვალისმომ-ჭრელი ლაჟვარდი თითქოს გამკვრივდა, როგორც წყალი ზღვის ფსკერზე. ჩვენც თითქოს ამ ფსკერზე ვისხედით და ცი-სარტყელასავით ნაირფერი წყლის ნაკადებით ერთმანეთის-გან განცალკევებულს, ვერც ერთს ვერ ამოგველო ხმა. მე, ჩემი მხრივ, მინდოდა სიტყვა გამეტეხა და დამეწყო ლაპარაკი, რადგან თვითონ შევთავაზებ ემილიას, საღამოს ვილაპარაკოთ-მეთქი.

თქვენ, ალბათ, იტყვიან, როცა ერთმანეთის პირისპირ მსხდომ ორ ადამიანს ერთი საერთო მეტად მნიშვნელოვანი საკითხი, თავიანთი ურთიერთდამოკიდებულების საკითხი აქვთ გადასატრელები, ალბათ, მხოლოდ ამამე იფიქრებენ და სხვა არაფერზეო. მაგრამ ეს მთლად ასე არ იყო: ჩემი ფიქრები სულ სხვაგან დაჰქროდნენ. იმ წუთში არც ბატისტას კოცნა მახ-სოვდა და არც ჩემი და ემილიას დაძაბული ურთიერთობა. ალ-ბათ, არც ემილია იკლავდა თავს ამ ფიქრებით. მე ჯერ კიდევ ვერ დამეღწია თავი რალაცნაირი შინაგანი მონუსხულობისა და განურჩევლობისათვის და სწორედ ამის გამო გადავდე ემი-ლიასთან დალაპარაკება საღამომდე.

სადილის შემდეგ ემილია ადგა, თქვა, უნდა დავისვენო და საწოლ ოთახში გავიდა. დიდხანს ვიჯექი გახევებული და ფან-

ჯრიდან გავყურებდი შორს მზით განათებულ ჰორიზონტს, სადაც მუქი ლურჯი ზღვა ლაჟვარდისფერ ცას შეერთებოდა. ჰორიზონტის გასწვრივ როგორც ბუბი გაჭიმულ ძაფზე — მოჩანდა პატარა შავი გემი. თვალს ვადევნებდი მის მოძრაობას და ჩემდა უნებურად თავში სულელური აზრი დამებადა — ვცადე წარმომედგინა, რა ხდებოდა ხომალდზე: აგერ მეზღვაურები საგულდაგულოდ წმენდენ გემის სპილენძის ნაწილებს, რეცხავენ გემბანს. მზარეული ახლად გარეცხილ თეფშებს ამშრალეებს, ნასადილევს ოფიცრები ჯერ კიდევ სუფრასთან სხედან, გემის სამანქანო ნაწილში წელამდე შიშველი ცეცხლფარეში დროდადრო ნახშირს უმატებს საცეცხლე ქვაბს. შორიდან ხომალდი შავ წერტილს ჰგავს, ახლოდან, ალბათ, დიდი. მასზე უამრავი ადამიანი დაფუსფუსებს და თითოეულს თავისი ბედი აქვს-მეთქი, გავიფიქრე მე. თავის მხრივ, ალბათ, ისინიც გამოიხედავდნენ ნაპირისკენ და, ალბათ, შეამჩნევდნენ თეთრ წერტილს, მაგრამ აზრადაც არ მოუვათ, რომ ეს ვილაა და რომ ამ ვილაში ვცხოვრობთ მე და ემილია, რომ ჩვენ უკვე აღარ გვიყვარს ერთმანეთი, რომ ცოლს ვეზიზღები და მე კი ვერ მომიფიქრებია, როგორ, რა გზით დავიბრუნო მისი სიყვარული.

როცა ვიგრძენი, კვლავ თვლელმა მერევა-მეთქი, თავს ძალა დავატანე, გამოვფხიზლებულიყავი და ჩემ მიერ შემუშავებული გეგმის პირველი ნაწილი შემესრულებინა — დაუყოვნებლივ წავსულიყავი რეინგოლდთან და მომეხსენებინა, „უკვე ყველაფერი კარგად მოვიფიქრე“ და სცენარზე უარს ვამბობ-მეთქი. ამ გადაწყვეტილებამ ისე გამომაცოცხლა, თითქოს თავზე ცივი წყალი გადამევლოს. წამოვდექი და სახლიდან გავვიდი.

თითქმის სირბილით გავლიე ბილიკი, რომელიც კუნძულს გარს ერტყმოდა. ნახევარი საათის შემდეგ უკვე სასტუმროს კარი შევალე. სასტუმროს მოხელეს დავავალე, რეინგოლდისთვის ჩემი მოსვლა ეცნობებინა და იქვე, სავარძელში ჩავჯექი. მეჩვენებოდა, იმ წუთში მეტად ნათელი გონება მქონდა, მაგრამ ეს იყო რაღაცნაირი ციებ-ცხელებითა და აღგზნებულობით შეპყრობილი ვაცის გონება. უსაზღვრო შვებას, თითქმის ენით გამოუთქმელ სიხარულს ვგრძნობდი იმის გამო, რომ

სწორად ვიქცეოდი, რომ, ბოლოს და ბოლოს, სწორ ნაბიჯს ვდგამდი. რამდენიმე წუთის შემდეგ ვესტიბიულში რეინგოლდი გამოჩნდა და მომეგება ჩემი მოულოდნელი სტუმრობით გაკვირვებული და შემფოთებული. ეტყობა, იგრძნო, კარგი ამბის მაუწყებელი რომ არ ვიყავი.

თავაზიანობისთვის ვკითხე:

– ხომ არ გაგაღვიძეთ, რეინგოლდ?

– არა, რას ბრძანებთ. არ მეძინა, საერთოდ, ნასადილევს არ ვიძინებ. მობრძანდით, მოლტენი, აქეთ, ბარში შევიდეთ.

რეინგოლდს ბარში შევყევი. იქ ჩვენ მეტი არავინ აღმოჩნდა. რეინგოლდს დრო რომ მოეგო და მისთვის არც ისე სასიამოვნო საუბარი (რასაც წინდაწინვე გრძნობდა) ცოტა მაინც დაეხანებინა, შემეკითხა, რას დალევთ, შავ ყავას თუ ლიქიორსო. ეს ისეთი მზრუნველობით, მაგრამ უკმაყოფილებით მკითხა, როგორც ძუნწმა იცის ხოლმე, რომელსაც დიდად არ ეპიტნავენა შენი გამასპინძლება, მაგრამ რა ქნას, იძულებულია, დაიხარჯოს. მე იმასაც ვხვდებოდი, რომ მის მოპატიჟებას სხვა მიზეზი ჰქონდა – რეინგოლდს, რა თქმა უნდა, ერჩივნა ახლა აქ არ ვენახე. ასეა თუ ისე, შეთავაზებულ სასმელზე უარი ვუთხარი და რამდენიმე უმნიშვნელო სიტყვის შემდეგ პირდაპირ წამოვიწყე მთავარი სათქმელი:

– თქვენ, ალბათ, გიკვირთ, პასუხისთვის ასე მალე რომ დავბრუნდი... თითქმის მთელი დღე მექონდა მოფიქრებისათვის, ხვალამდე დაცდა საჭიროდ აღარ მივიჩნიე... საკმაოდ ბევრი ვიფიქრე... და ახლა მოვედი, ჩემი გადაწყვეტილება მოგახსენოთ...

– გისმენთ.

– თქვენთან ერთად ვერ ვიმუშავებ, ერთი სიტყვით, უარს ვამბობ სამუშაოზე.

რეინგოლდი დიდად არ გაუკვირვებია ჩემს პასუხს. როგორც ჩანს, ამას მოელოდა, მაგრამ მომეჩვენა, ჩემმა ნათქვამმა რატომღაც მაინც ააღელვა და გააღიზიანა:

– მოლტენი, ჩვენ ყველაფერი პირდაპირ უნდა ვუთხრათ ერთმანეთს, ნათლად და გასაგებად.

– მგონი, ძალიან ნათლად და გასაგებად გითხარით: „ოდისეას“ სცენარს არ გავაკეთებ.

– ღვთის გულისათვის, გამაგებინეთ, რატომ?

– იმიტომ, რომ „ოდისეას“ თქვენეულ ინტერპრეტაციას არ ვეთანხმები.

– მაშასადამე, მოულოდნელად შეიცვალა მან კილო, ბატისტას ეთანხმებით?

ამ მოულოდნელმა ცილისწამებამ, არ ვიცი, რატომ, სულ მთლად გამაცეცხლა. რას ვიფიქრებდი, რომ რეინგოლდის ინტერპრეტაციაზე უარის თქმა ბატისტას ვარიანტზე თანხმობას უდრიდა. ამიტომ გაბრაზებულმა ვუთხარი რეინოლდს:

– რა შუაშია აქ ბატისტა? არც ბატისტას ვეთანხმები... მაგრამ გულახდილად გეტყვით, რეინგოლდ, თქვენ ორში არჩევანი რომ მქონოდა, მაინც ბატისტას ვამჯობინებდი... დიდი ბოდიში, რეინგოლდ, მაგრამ გეტყვით, „ოდისეა“ უნდა გაკეთდეს ისე, როგორც ჰომეროსმა დაწერა, თუ არადა, სჯობს, საერთოდ, სულ არ დაიდგას.

– მაშასადამე, თქვენ ბატისტას ვარიანტს ამჯობინებთ, ჭრელა-ჭრულა მასკარადს, შიშველ ქალებს, საზარელ ურჩხულ კინგ-კონგს, მუცლით ცეკვას, ბიუსტჰალტერებს, მუყაოს გოლიათებსა და მოდეების გამოფენას?

– ეგ სრულიადაც არ მითქვამს. მე ჰომეროსის „ოდისეაზე“ მოგახსენებთ.

– ჰომეროსის „ოდისეა“ სწორედ ისაა, რასაც მე ვამბობ, – თქვა მან დამაჯერებლად. თან წინ გადმოიხარა, – სწორედ ჩემი „ოდისეა“, მოლტენი...

არ ვიცი, რატომ, მაგრამ უცებ. მომინდა, შეურაცხყოფა მიმეყენებინა რეინგოლდისთვის. მისი ყალბი, გამოწერილი ღიმილი, მისი შეფარული ავტორიტეტულობა, მისი სულელური დაჟინება ფსიქოანალიზზე იმ წუთში პირდაპირ აუტანელი მომეჩვენა. გაბრაზებულმა ვუთხარი:

– არა, თქვენი ინტერპრეტაცია ჰომეროსის „ოდისეა“ არ არის, რეინგოლდ. მეტსაც გეტყვით, რაკი მაიძულებთ გითხარათ: ჰომეროსის „ოდისეა“ მხიბლავს, მატყვევებს თავისი

სიმშვენიერთა და სიდიადით, მაშინ, როცა თქვენი, პირიქით, ზიზღს იწვევს, პირდაპირ გულს მირევს...

— მოლტენი!.. — ამჯერად რეინგოლდი ნამდვილად შეურაცხყოფილი ჩანდა.

— დიახ, გულს მირევს, — გავიმეორე თანდათან უფრო გაცხარებულმა და აგზნებულმა, — თქვენ მხოლოდ იმას ცდილობთ, რაც შეიძლება დაამციროთ, ლაფში ამოსვაროთ ჰომეროსის ნათელი გმირები, რადგან ძალა არ შეგწევთ, ეკრანზე ხორცი შეასხათ ჰომეროსის ამ უკვდავ ქმნილებას. თქვენ მხოლოდ ის გინდათ, წაბილწოთ და გააუხამსოთ ჩემს თვალში „ოდისეა“. მე კი არავითარი სურვილი არა მაქვს, ასეთ საქმეში მივიღო მონაწილეობა...

— მოლტენი, ერთი წუთით მომისმინეთ, მოლტენი...

— თქვენ წაგიკითხავთ ჯეიმს ჯოისის „ულისე“? — წამოვიძახე გაცეცხლებულმა, იცით, ვინ არის ჯოისი?

— მე ყველაფერი წამიკითხავს, რაც „ოდისეას“ ეხება, — მიპასუხა ახლა უკვე ღრმად შეურაცხყოფილმა რეინგოლდმა, — მაგრამ თქვენ.

— ზოდა, თუ წაგიკითხავთ, — განვაგრძე გაცხარებულმა, — ჯოისმაც თავისებურად, ახლებურად გადააკეთა, გაათანამედროვა ჰომეროსის „ოდისეა“ და თავისი მოდერნიზაციით, ან უფრო სწორად, წაბილწვით, მან ბევრად უკან მოგიტოვათ თქვენ, ძვირფასო რეინგოლდ... ჯოისის ულისე რქებდადგმული ქმარი, ონანისტი, უსაქმური და იმპოტენტია, ხოლო პენელოპე — გარყვნილი ქალი... კუნძული ეოლა მან გაზეთის რედაქციაში გადაიტანა, კირკეს სასახლე საროსკიპოდ გადააკეთა, ხოლო კუნძულ ითაკაზე დაბრუნება შემდეგნაირად გამოიყენა: ოღონდ შინ ადრე არ მივიდეს და ულისე მთელი ღამე დახეტილობს დუბლინის მიხვეულ—მოხვეულ ქუჩებში, ბნელ კუთხე—კუნჭულებში ჩერდება მოსაშარდავად... მაგრამ ჯოისმა იმდენი წინდახედულება მაინც გამოიჩინა, რომ ხელუხლებელი დატოვა ხმელთაშუა ზღვის კულტურა, მისი ზღვა, ლაჟვარდოვანი ზეცა, მზე, ანტიკური სამყაროს ჯერ კიდევ აღმოუჩენელი მიწები... მის რომანში ყველაფერი ხდება თანამედროვე ჩრდილოეთის ქალაქების ჭუჭყიან ქუჩებში სამიკიტნოებსა

და საროსკიპოებში, საწოლ ოთახებსა და საპირფარეშოებში. მის რომანში ვერ ნახავთ ვერც მზეს, ვერც ზღვას, ვერც ცას... ყველაფერი თანამედროვეა... მიწასთან გასწორებული, წაბილწული... ჩვენს საცოდავ ყოფამდე დასული... თქვენ კი ჯონისის ზომიერების გრძნობაც არა გაქვთ. აი, რატომ მირჩევნია ბატისტა მთელი თავისი მუყაოს ურჩხულებით... დიახ, ბატისტას ვამჯობინებდი... თქვენ გსურდათ გაგეგოთ, რატომ არ მინდოდა ამ სცენარის გაკეთება... ახლა თქვენ ეს უკვე იცით...

სავარძელში ჩავვარდი არაქათგამოცლილი და მთლად ოფლად დაღვრილი რეინგოლდმა წარბები შეიჭმუხნა და მკაცრად შემომხედა:

— ერთი სიტყვით, ბატისტას მხარეზე ხართ...

— არა, ბატისტას მხარეზე არა ვარ... უბრალოდ, თქვენ არ გეთანხმებით..

— და მაინც, არა მართო არ მეთანხმებით, არამედ ბატისტას მხარეზე ხართ, — უცებ ხმას აუწია რეინგოლდმა.

ვიგრძენი, სისხლისგან როგორ დაიწრიტა ჩემი სახე და მიცვალებულივით გავფითრდი.

— მაგით რა გინდათ თქვათ? — შეცვლილი ხმით ვკითხე რეინგოლდს.

რეინგოლდმა კისერი წაიგრძელა და თითქმის გველივით წაისისინა:

— იმის თქმა მინდა, რაც გითხარით... ბატისტამ და მე დღეს ერთად ვისადილეთ. მას არ დაუმაღლავს თავისი მოსაზრებები ფილმის შესახებ და თქვენზე მითხრა, მთლიანად იზიარებს ჩემს ინტერპრეტაციასო. მოლტენი, თქვენ მისი ინტერპრეტაციის წინააღმდეგი კი არა ხართ, უბრალოდ, ბატისტას უჭერთ მხარს და იმას გააკეთებთ, რაც მას მოესურვება... ხელოვნებას თქვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანია სულ სხვა რამ — ფული!.. დიახ, დიახ, ფული, მოლტენი. ოღონდ ფული გადაგიხადონ და მზადა ხართ ყოველგვარ პირობაზე.

— რეინგოლდ! — შევძახე მე.

— ძალიან კარგად გაგიცანით, ჩემო ძვირფასო! — არ ცხრებოდა ის, — შემიძლია, კვლავ გაგიმეოროთ სიმართლე: დიახ, ყოველგვარ პირობაზე!..

ახლა ერთმანეთის პირისპირ ვიდექით. ორივენი მძიმედ ვსუნთქავდით, მე — ქალღღივით გაფითრებული, ის — კიბოსავით გაწითლებული.

— რეინგოლდ! — კვლავ შევძახე მე.

მაგრამ ახლა ჩემს ხმაში აღშფოთების ნაცვლად ღრმა გულისტკივილი იგრძნობოდა. ჩემ მიერ წამოძახებულ „რეინგოლდში“ მუდარა უფრო ისმოდა, ვიდრე რისხვა შეურაცხყოფილი ადამიანისა, ვინც მზადაა მუქარიდან მოქმედებაზე გადავიდეს. თუმცა ერთი მაგრად რომ გამეწნა სახეში რეინგოლდისათვის, ნამდვილად მინდოდა, მაგრამ ვერ მოვასწარი. საოცარია, რეინგოლდი უსულგულო, სქელკანიანი კაცი მეგონა, მან კი შეძლო ჩემს ხმაში დიდი ტკივილი შეემჩნია. მაშინვე მოერია თავს და ხმადაბლა, შემრიგებლობით მითხრა:

— მაპატიეთ, მოლტენი... ისა ვთქვი, რაც სულაც არ მიფიქრია...

თავი ნერვიულად გავიქნიე, თითქოს ამით ვუთხარი, მიპატიებია-მეთქი და ვიგრძენი, როგორ ამეფსო თვალები ცრემლით. ცოტაოდენი დაბნეულობის შემდეგ რეინგოლდმა განაგრძო:

— კეთილი, ყველაფერი გასაგებია... თქვენ სცენარზე არ იმუშავებთ... ბატისტას აცნობეთ ამის თაობაზე?

— არა.

— უნდა უთხრათ?

— თქვენ უთხარით. მე კი მას, ალბათ, აღარ შევხვდები. ისიც უთხარით, სხვა სცენარისტი მონახოს. ხომ გაიგეთ, რეინგოლდ?

— რა მოხდა ასეთი? — მკითხა განცვიფრებულმა.

— ის, რომ „ოდისეას“ სცენარს არ გავაკეთებ. არც თქვენი ჩანაფიქრის მიხედვით და არც ბატისტას სურვილის მიხედვით... არც თქვენთან და არც ვინმე სხვა რეჟისორთან... ვინც უნდა იყოს იგი. გასაგებია, რეინგოლდ?

ბოლოს და ბოლოს, გაიგო, თვალეში თანაგრძნობა გამოეხატა, მაგრამ მაინც ფრთხილად მკითხა:

— ჩემთან არ გინდათ მუშაობა თუ საერთოდ უარს ამბობთ ამ ფილმის შექმნაზე?

ცოტა დაფიქრების შემდეგ ვუპასუხე:

— მე უკვე გითხარით: თქვენს სცენარზე არ მსურს მუშაობა. მე მესმის, ჩემი უარის მიზეზს რომ გაიგებთ ბატისტა, მის თვალში თქვენ დამცირდებით. ამიტომ ასე მოვიქცეთ: თქვენთვის უარს ვამბობ იმიტომ, რომ არ მინდა თქვენს სცენარზე მუშაობა, ხოლო ბატისტასათვის კი იმიტომ, რომ საერთოდ არ მინდა ამ ფილმზე მუშაობა. როგორადაც არ უნდა გადააკეთონ იგი... უთხარით ბატისტას, რომ შეუძლოდ ვარ, დავიღალე, სულიერად გადავიღალე... ხომ ეტყვიან?

ამ სიტყვებზე რეინგოლდს თითქოს რაღაცის იმედი მიეცა, მაგრამ მაინც ჩამეკითხა:

— კი მაგრამ, ბატისტა დაიჯერებს?

— დაიჯერებს, გარწმუნებთ, დაიჯერებს.

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა. მე და რეინგოლდი რაღაცნაირ უხერხულობას ვგრძნობდით.. ჯერ კიდევ არ გაფანტულიყო ჩვენ შორის მომხდარი უსიამოვნებების ღრუბელი და ორივეს, მეც და იმასაც, ჯერ კიდევ გვამძიმებდა ამ ღრუბლის არსებობა.

— მოლტენი, მე მაინც დიდად ვწუხვარ, ერთად რომ არ მოგვიხდება მუშაობა სცენარზე... იქნებ შევთანხმებულყავით?

— მეეჭვება, რამე გამოვიდეს...

— შესაძლოა, ჩვენი უთანხმოება არც ისე სერიოზულია.

ამაზე საკმაოდ მტკიცედ და მშვიდად ვუპასუხე:

— არა, რეინოლდ, ძალზე სერიოზულია... თქვენის მხრივ, ვინ იცის, იქნებ თქვენ მართალიც ხართ, „ოდისეას“ ასე რომ ხედავთ... მაგრამ მე მტკიცედ მჯერა, „ოდისეა“ დღესაც ისე უნდა დაიდგას, როგორც ჰომეროსმა დაწერა.

— თქვენ მეოცნებე ხართ, მოლტენი. თქვენ ისეთ სამყაროზე ოცნებობთ, ჰომეროსს რომ აქვს დახატული, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი სამყარო არ არსებობს...

— ვთქვათ, ასეა, ვთქვათ, მე ვოცნებობ ჰომეროსისეულ სამყაროზე... მაგრამ თქვენზე კი ამას ვერ ვიტყვი...

— მეც ვოცნებობ მასზე, მოლტენი... ვინ არ ოცნებობს ამ სამყაროზე? მაგრამ როცა საქმე ფილმს ეხება, მართო ოცნება ვერ გიშველის...

კვლავ სიჩუმე ჩამოვარდა. რეინგოლდს შევხედე და მივხვდი, ვერ დავარწმუნე იგი და მოულოდნელად მივმართე:

— თქვენ, ალბათ, იცით ულისეს სიმღერა დანტეს პოემაში?

— დიახ, მიპასუხა, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა, — ვიცი, მაგრამ კარგად არ მახსოვს...

— თუ ნებას მომცემთ, წაგიკითხავთ, გეპირად მახსოვს.

— რახან ასე გულით გინდათ, წაიკითხეთ.

თვითონაც არ ვიცი, მაინცდამაინც ეს ნაწყვეტი რატომ ამოვირჩიე. მხოლოდ მერე მივხვდი, მოგვიანებით, ალბათ, მინდოდა, ზოგი რამ ისე შემეხსენებინა რეინგოლდისთვის, რომ გული არ მეტკენინებინა მისი თვის.

რეჟისორი მოხერხებულად მოკალათდა სავარძელში. სახეზე დაღლილობა და მოწყალე ღიმილი გამოესახა.

— ამ სიმღერაში დანტე სთხოვს ულისეს, მოგვითხროს, როგორ დაიღუპნენ ის და მისი ამხანაგები...

— ვიცი, მოლტენი, ვიცი... წაიკითხეთ.

წუთით ჩავფიქრდი თვალედახრილი, შემდეგ დავიწყე:

„შეირხა უზარმაზარი რქა ანტიკური ცეცხლისა...“

ვკითხულობდი ჩვეულებრივად და რამდენადაც შემეძლო, სადად. რეინგოლდმა გაჯავრებულმა ამომხედა ჩამოფხატული ქუდიდან. შემდეგ ზღვისკენ შებრუნდა და აღარც შერხეულა. მე კვლავ განვაგრძობდი, ნელა და მკაფიოდ, მაგრამ, როცა მივადექი ამ სიტყვებს:

— ო, ძმებო! უნდა ჩაესვენოს ჩვენი სიცოცხლის მზე, რაც დიდი გაჭირვებით შევინარჩუნეთ“, — ვიგრძენი, ავღელდი და ხმა ამითრთოლდა. ამ პატარა ნაწყვეტში ჩაქსოვილი იყო არა მართო ოდისევსის ჩემეული გაგება, არამედ ჩემი წარმოდგენაც საკუთარ თავზე და საკუთარი ცხოვრების რაობაზეც, რომელიც, სამწუხაროდ, არ გამომივიდა. მივხვდი, ჩემი მღელვავ-

რება გამოიწვია იმან, რომ უმშვენიერესი, ნათელი იდეა და ჩემი სულიერი უძღურება არ ესადაგებოდა ერთმანეთს, მაგრამ თავს მაინც მოვერიე და ბოლომდე ჩავიკითხე ნაწყვეტი ხმის აუთრთოლებლად:

„დაბოლოს, ზღვამ ზემოთ მოგვიქცია და ჩაგვყლაპა“.

ნაწყვეტი რომ ჩავამთავრე, წამოვდექი, რეინგოლდიც წამოღდა:

— მაპატიეთ, მოლტენი, მაგრამ მე მაინც ვერ გავიგე, რატომ წამიკითხეთ ეს ნაწყვეტი დანტედან? რა გინდოდათ ამით გეთქვათ? რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ძალიან მშვენიერია, მაგრამ რა საჭიროა?

— რეინგოლდ, ეს ის ულისეა, რომლის ხორცშესხმასაც ვისურვებდი მე. ასეთი ოდისეა მყავს მე წარმოდგენილი, ასეთს ვხედავ ყოველთვის... სანამ ერთმანეთს დავშორდებოდეთ, მინდოდა, რაც შეიძლება სრულად დამენახებინა იგი თქვენთვის. ვიფიქრე, ჩემზე მეტად დანტე უფრო შეძლებდა თქვენ დარწმუნებას...

— თავისთავად ცხადია, დანტემ ეს უკეთესად შეძლო, მაგრამ დანტე დანტეა, შუასაუკუნეების ადამიანი, თქვენ კი თანამედროვე ადამიანი ხართ, მოლტენი...

ამჯერად არ ვუპასუხე და ხელი გავუწოდე. მან გამიგო და მითხრა:

— მე მაინც გული მწყდება, მოლტენი, ჩვენ რომ ერთად ვერ ვიმუშავებთ, უკვე შეგეჩვიეთ.

— სხვა დროს იყოს, ვუპასუხე, — მეც მინდოდა თქვენთან ერთად მემუშავა, რეინგოლდ...

— მაშ, რა გიშლით ხელს, მოლტენი?

— რას იზამთ, ბედისწერას ვერსად გაექცევი; გავუღიმე, ხელი ჩამოვართვი და გავშორდი. რეინგოლდი იჯდა და ხელები ისე გაეშალა, თითქოს უსიტყვოდ მეკითხებოდა: „კი მაგრამ, რატომ?“

სწრაფად გამოვედი სასტუმროდან.

მეოცე თავი

აგარაკზე ისევე აჩქარებით ვბრუნდებოდი, რა აჩქარებითაც წამოვედი. ერთი სული მქონდა, ემილია მენახა და ჩემი გადაწყვეტილება შემეტყობინებინა მოუთმენლობის გრძნობასთან ერთად რაღაცნაირ აღგზნებას შეეპყრო ჩემი არსება და ჯერ კიდევ გააზრებული არ მქონდა, ბოლოს და ბოლოს, რა ჩავიდინე, რა მოხდა. ერთი სიტყვით, ფიქრის თავი არ მქონდა. თავდაუზოგავად გავრბოდი შუადღის მცხუნვარე მზის გულზე მთლად ოფლში გაღვრილი. ერთი რამ კი ნამდვილად ვიცოდი: რაღაც მაინც გავაკეთე ისეთი, რომ ამ აუტანელი მდგომარეობიდან დამეღწია თავი. ერთ წერტილზე გაყინული საქმე, როგორც იქნა, ადგილიდან დავძარი. ვგრძნობდი, რაკი ერთი ნაბიჯი გადავდგი, ალბათ, სულ მალე გაუგებრობათა ბურუსსაც გავეფანტავდი და ერთხელ და სამუდამოდ დავაბუსტებდი, რატომ არ ვუყვარდი ემილიას, რაც ყველაზე მეტად მაწუხებდა. შემდეგ რა იქნებოდა, ამაზე ფიქრიც არ მინდოდა.

საერთოდ ასეა: ფიქრები ან უსწრებს. მოქმედებას, მისდევს მას. როცა ვმოქმედებთ, უფრო წარსული, უკვე დავიწყებული ფიქრები გვიბიძგებს, ასე მოვიქცეთ. მეც ასევე დამემართა. იმ წუთებში ვმოქმედებდი და ამიტომ არ ვფიქრობდი. ვიცოდი, დაფიქრებით მერე დავფიქრდებოდი, როცა უკვე რაღაცას მოვიმოქმედებდი.

ამ ყოფაში მივალწიე ვილას. კიბეზე ავირბინე, ტერასაზე გავედი და სასტუმრო ოთახის კარი შევადე. ოთახი ცარიელი იყო, მაგრამ სავარძელზე გადაშლილი ჟურნალი, საფერფლეში პაპიროსის პომადიანი ნამწვავები და ჩართული რადიომიმღები, საიდანაც საცეკვაო მუსიკის ნელი ხმები მესმოდა — ყველაფერი იმაზე მეტყველებდა, რომ ემილია ოთახიდან ახლახან გასულიყო. შესაძლოა, ოთახში სასიამოვნოდ მიმოფანტულმა მზის სხივებმა თუ მუსიკის ჰანგებმა იმოქმედეს, რომ აღგზნება მოულოდნელად სულ დამიცხრა. თუმცა მიზეზი ჩემთვის წინანდებურად ნათელი იყო. ყველაზე მეტად გამაოცა სასტუმრო ოთახში გამეფებულმა სიცოცხლის ფეთქვამ, სიმშვიდემ და სიმყუდროვემ. კაცს ეგონებოდა, ამ სახლში დიდი ხანია ვცხოვრობდით. ემილია როგორც საკუთარ სახლს, ისე შეჩვეოდა აქაურობას.

ჩართული რადიომიმღების, გადაშლილი ჟურნალისა და საფერფლეში პომადიანი პაპიროსის ნამწვავების დანახვაზე, არ ვიცი, რატომ, მაგრამ გამახსენდა, მთელი თავისი ქალური არსებით როგორ ისწრაფოდა ემილია, ჰქონოდა საკუთარი ჭერი და ოჯახური სიმყუდროვე. და მე მივხვდი, მიუხედავად ჩემი გადადგმული ნაბიჯისა, ემილია დიდხანს აპირებდა აქ დარჩენას და მეტად კმაყოფილიც იყო კაპრზე ბატისტას სახლში სტუმრობით.

მე კი ახლა იმის სათქმელად გამოვიქეცი, აქედან უნდა წავიდეთ-მეთქი.

ამ ფიქრებში გართული ემილიას საწოლ ოთახისკენ გავეშურე და შევადე. იგი არც იქ აღმოჩნდა. აქაც ყველაფერი მისი უბადლო დიასახლისობის ნიჭზე მეტყველებდა: ლამაზად დაკეცილი ღამის პერანგი საწოლის ფეხთან მდგარ დაბალ სკამზე იდო, იქვე, სავარძელთან ახლოს, ფლოსტები ეწყო. სარკის წინ, მაგიდაზე კრიალი გაჰქონდა ნაირნაირ შუშებს — სუნამოსი თუ ნელსაცხებლებისას. საწოლთან, პატარა მაგიდაზე, იდო ინგლისური ენის გრამატიკა, რომლის შესწავლა დიდი ხანი არ იყო, რაც დაიწყო ემილიამ. იქვე ფანქარი, რვეული და სამელნე. რომიდან ჩამოტანილი ჩემოდნების კვალიც არსად ჩანდა. თითქმის ანგარიშმიუცემლად გამოვადე ტანსაცმლის კარადა: კაბებისაკიდრებზე ჩამომწკრივებინა, თაროზე ელაგა ცხვირსახოცები, თავსაფრები, ბაფთები და ქამრები. იქვე ერთი წყვილი საგარეო ფეხსაცმელიც ეწყო. „რა თქმა უნდა, გავიფიქრე, — ემილიასთვის სულერთია, ვინ ეყვარება, მე თუ ბატისტა. ემილიასთვის მთავარია, ჰქონდეს თავისი სახლი, სადაც შეეძლება წყნარად და უბრუნველად იცხოვროს დიდხანს.

საწოლი ოთახიდან დერეფანში გავედი, იქიდან კი აღმოვჩნდი სამზარეულოში, რომელიც სახლის უკან მიემშენებინათ, სამზარეულოს ბლურბლზე შემომესმა ემილიას ხმა, იგი მზარეულ ქალს რაღაცს ეუბნებოდა. ჩემდა უნებურად შევჩერდი გამოღებულ კართან და ყური მივუგდე მათ საუბარს.

როგორც მალე გავარკვიე, ემილია მზარეულს ვახშმის თადარიგს აძლევდა

– ბატონ რიკარდოს უბრალო საჭმელები უყვარს, უწვენო და შეუზავებელი, ერთი სიტყვით, მოხარშული ან შემწვარი ხორცი, თევზი... თქვენთვისაც უკეთესია, ანეზინა, ნაკლებად იწვალეობ.

– სინიორა, საწვალეებელს რა გამოლევს, არც მასეთი კერძის მომზადება არ არის ადვილი, ერთი სიტყვით, რა გავაკეთოთ ამ საღამოსთვის?

წუთით დუმილი ჩამოვარდა, ეტყობა, ემილია ფიქრობდა, შემდეგ მზარეულს ჰკითხა:

– თევზს ვიშოვით ახლა?

– თუ იმ მეთევზესთან წავალ, ვინც სასტუმროებს ემსახურება, ვიშოვი.

– მაშინ იყიდეთ ერთი დიდი თევზი... ასე, ერთ კილოგრამს ან ცოტა მეტს რომ იწონიდეს... ანეზინა, უჭვველად კარგი თევზი უნდა იყოს... ნაკლებად ფხიანი კეთილი ან ის, ზღვის მგელს რომ ეძახიან... მოკლედ, რასაც იშოვით... კარგად შეწვით... ან არადა, უკეთესია მოხარშოთ... ანეზინა, მაიონების გაკეთება შეგიძლიათ?

– დიახ, მოვამზადებ.

– ძალიან კარგი. თუ თევზს მოხარშავთ, მაიონები გაუკეთეთ... შემდეგ... ვახშამზე მოიტანეთ სალათა ან მოხარშული ბოსტნეული – სტაფილო, გოგრუჭა, მწვანე ლობიო, რაც კი სახლში მოგეპოვებათ... და ხილი... რაც შეიძლება, ბევრი ხილი... მეთევზიდან როგორც კი დაბრუნდებით, ხილი მაშინვე მაცივარში შეაწყვეთ, მაგიდაზე ახალდაკრეფილივით რომ გამოიყურებოდეს.

– მშრალ საუზმედ რას მიირთმევთ?

– აჰ, მართლა, კინალამ დამავიწყდა, ამ საღამოსთვის რაიმე უბრალო მოვიფიქროთ... იოლად გავიდეთ... იყიდეთ ცოტათუნე ლორი, მხოლოდ ნაკლებად მსუქანი.. ჰო, თან ლედვიც მოაყოლეთ... ლედვი გაქვთ?

– დიახ, გვაქვს..

თვითონაც არ ვიცი, რატომ, ემილიასა და მზარეულის ასეთმა შინაურულმა და აულელვებელმა საუბარმა ჩემდა უნებურად

რეინგოლდის სიტყვები გამახსენა: „ისეთ ცხოვრებაზე ოცნებობთ, როგორც „ოდისეაშია“ აღწერილი“. მე დავეთანხმე, სწორედ ასეა-მეთქი, მან კი სარკასტულად მიპასუხა, ტყუილად ოცნებობთ, დღევანდელი ქვეყანა ისე არაა მოწყობილი, როგორც „ოდისეაშიო“. ახლა კი გავიფიქრე: ზუსტად ასეთივე ამბავი შესაძლოა მომხდარიყო რამდენიმე ასეული წლის წინათ, ჰომეროსის ეპოქაში: დედოფალი თავის მოახლეს ესაუბრება და ვახშმის თადარიგს აძლევს. წუთით ბატისტას სააგარაკო სახლი ოდისევსის სახლად წარმოვიდგინე კუნძულ ითაკაზე, ემილია კი — დედოფალ პენელოპედ თავის მონა ქალთან საუბრის დროს. დიახ, შეიძლებოდა, მართლაც ყველაფერი ისე ყოფილიყო, როგორც მაშინ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი მეტისმეტად მწარე იყო; თავს ძალა დავატანე, სამზარეულოში შევიხიდე და ემილიას დავუძახე. იგი ოდნავ შემობრუნდა ჩემკენ.

— რა გინდა?

თვითონაც კარგად იცი... ხომ შევთანხმდით, სალამო მოვილაპარაკოთო.

— სასტუმრო ოთახში წადი, დამელოდე, საქმე მაქვს ანემინასთან, ახლავე მოვალ.

სასტუმრო ოთახში დავბრუნდი, სავარძელში ჩავჯექი და ემილიას დაველოდე. ახლა უკვე ვნანობდი, სალაპარაკოდ რომ დავუძახე. ემილიას ყველაფერზე ეტყობოდა, დიდხანს აპირებდა აქ დარჩენას. მე კი უნდა მეთქვა, კაპრიდან მივდივართ-მეთქი. უცებ გამახსენდა, ამ ერთი—ორი დღის წინ ემილიას თვითონ რომ უნდოდა ჩემი მიტოვება. უნებურად შევადარე ერთმანეთს მისი მაშინდელი სასოწარკვეთილება და ახლანდელი სიმშვიდე და გავიფიქრე, თუმცა ვეზიზღები, ეტყობა, მაინც გადაწყვიტა ჩემთან დარჩეს-მეთქი. ერთი სიტყვით, ემილია ახლა იმაზე თანხმდებოდა, რისი წინააღმდეგიც იყო მაშინ. ეს კი უფრო შეურაცხმყოფელი იყო ჩემთვის, ე. ი. ემილია ბედს შეურიგდა, მოტყდა და ახლა ამის გამო მარტო მე კი არა, საკუთარი თავიც ეზიზღებოდა. ამის გაფიქრება საკმარისი აღმოჩნდა, რომ სინანული შურისძიების გრძნობას შეეცვალა. მტკიცედ გადავწყვიტე, ემილიასათვის დაუყოვნებლივ

მეთქვა, რომში უნდა დავბრუნდეთ, რადგან ორივესთვის ასე სჯობს-მეთქი.

ცოტა ხანს კიდევ დამჭირდა ცდა, ვიდრე ემილია შემოვიდოდა. მან რადიომიმღები გამორთო და ჩემ პირდაპირ დაჯდა.

— შენ თქვი, სალაპარაკო მაქვსო...

კითხვით ვუპასუხე:

— ჩემოდნები უკვე ამოალაგე?

— ჰო, რატომ მეკითხები?

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ისევ ჩალაგება მოგიწევს... ხვალ დილით რომში უნდა დავბრუნდეთ...

ემილია წუთით გახევდა, რალაც ურწმუნოდ შემომხედა, თითქოს ნათქვამი ვერ გაიგო, შემდეგ კი მკვახედ მკითხა:

— კიდევ მოხდა რამე?

— ჰო, — სავარძლიდან წამოვდექი და დერეფანში გამავალი კარი მივხურე, ის მოხდა, რომ სცენარზე უარი ვთქვი... ჯანდაბას იმის თავი! სასწრაფოდ რომში უნდა დავბრუნდეთ...

ეტყობა, მართლაც შეაშფოთა ამ ამბავმა. წარბი შეიკრა:

— მაინც რატომ თქვი ამ სამუშაოზე უარი?

მშრალად ვუპასუხე:

— პირდაპირ მაოცებს შენი კითხვა. იმის შემდეგ, რისი უნებური მოწმეც გუშინ საღამოს გავხდი, სხვა რალა დამრჩენოდა?!

ემილია ცივად შემეპასუხა:

— გუშინ საღამოს სულ სხვა აზრისა იყავი... თუმცა მაშინაც ყველაფერი იცოდი...

— გუშინ საღამოს მინოდა რალაც—რალაცებში დაგერწმუნებინე, მაგრამ შემდეგ გადავწყვიტე, შენი სიტყვები ყურად არ მელო. არ ვიცი, რა მიზეზით მირჩევ ამ სცენარზე ვიმუშაო და არც მსურს ვიცოდე, მაგრამ ის კი ვიცი, რომ ჩემთვისაც და შენთვისაც უმჯობესია უარი ვთქვა.

— ბატისტამ თუ იცის ეს ამბავი? — მოულოდნელად მკითხა ემილიამ.

— არა, ბატისტამ არ იცის, რეინგოლდს ვუთხარი. ახლა სწორედ იქიდან მოვდივარ. უკვე მოვახსენე ჩემი გადაწყვეტილება.

— ძალიან ცუდად მოქცეულხარ.

– რატომ?

– იმიტომ, რომ... – წამოიწყო ემილიამ არცთუ ისე დამაჯერებლად, – ხომ იცი, ბინის ფული გადასახდელი გვაქვს და მაგ ჰონორარის იმედზე ვიყავით, თანაც... შენ თვითონ ამბობდი, თუ ამ სცენარზე დადებულ ხელშეკრულებას დავარღვევ, ეს იმას ნიშნავს, სხვა სამუშაოს აღარავინ მომცემსო. ნამდვილად ვერ მოქცეულხარ კარგად, ეგ არ უნდა გაგეკეთებინა...

გაცეცხლებულმა შევძახე:

– კი მაგრამ, ნუთუ არ გესმის, რა დღეშიც ახლა მე აღმოვჩნდი, რა უატანელია! განა ამის მოთმენა შეიძლება?.. ნუთუ არ გესმის, რომ არ შემიძლია ფული მივიღო იმ... იმ კაცისგან... ვინც... ჩემი ცოლის შეცდენას ლამობს?! – ემილიას არაფერი უთქვამს. მე კვლავ განვაგრძე: – სცენარზე უარს იმიტომ ვამბობ, რომ ასეთი პირობებით მუშაობა დიდ სირცხვილად, უთავმოყვარეობად მიმაჩნია. გარდა ამისა, შენი გულისთვისაც ვამბობ უარს ამ სცენარზე. მინდა, კვლავ გჯეროდეს, გწამდეს ჩემი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ვგრძნობ, შენ ახლა ისეთი კაცი გგონივარ, რომელიც მზადაა ყოველგვარ სამუშაოზე დათანხმდეს, ასეთ პირობებზეც კი, მაგრამ, ემილია, ცდები, არა ვარ ასეთი კაცი.

დავინახე მის თვალებში როგორ გაიელვა რისხვამ:

– თუ ამას შენთვის აკეთებ, მაშინ რა მეთქმის... მაგრამ, როგორც ამბობ, შენი გულისთვის ვიქცევი ასეო, მაშინ ჯერ კიდევ დრო გაქვს, გადაიფიქრო. შენი გადაწყვეტილება სულელური, უაზროა. დამიჯერე, წააგებ.

– მაგით რა გინდა თქვა?

– ის, რაც უკვე გითხარი, არაფერი გამოვა.

ამის გაგონებაზე საფეთქელში სისხლი გამეყინა და ვიგრძენი, გავფითრდი.

– მაინც რას გულისხმობ მაგ სიტყვებში?

– ჯერ ის მითხარი, მე რა დასკვნა შემიძლია გამოვიტანო ამ ამბიდან, შენ რომ სცენარზე უარი თქვი?

მივხვდი, დადგა დრო, ყველაფერი მეთქვა საბოლოოდ, თვითონ ემილიამ მოისურვა ეს.

წუთით შიშმა შემიპყრო, მაგრამ მაინც ვთქვი:

— ამ ცოტა ხნის წინ შენ გამომიცხადა... მეზიზღებიო... ჰო, სწორედ ასე თქვი... არ ვიცი, რატომ გეზიზღები, ვიცი მხოლოდ, რომ ეზიზღებათ ის ადამიანი, ვინც რაიმე სამარცხვინოს და უმსგავს საქციელს ჩაიდენს... მე რომ სცენარზე დავთანხმებულიყავი ამ პირობებში, როგორშიც ახლა ვარ, ეს ნამდვილად სამარცხვინო იქნებოდა ჩემთვის. ახლა კი ჩემი გადადგმული ნაბიჯით მინდა დაგიმტკიცო, რომ ის არ ვარ, ვინც გგონივარ...

ემილიამ თითქოს რაღაც სიტყვაზე დამიჭირაო, ამით გახარებულმა და კმაყოფილმა მითხრა:

— შენი ნაბიჯი და გადაწყვეტილება არაფერსაც არ მიმტკიცებს... ამიტომ გირჩევ, გადაიფიქრო...

— როგორ თუ არაფერს გიმტკიცებს? — კვლავ სავარძელში ჩაჯვრევი და უნებურად, რითაც მთელი ჩემი შეშფოთება გამოვხატე, სავარძლის ზურგზე დადებულ მის ხელს წაწვდი: — ემილია, შენ მეუბნები ამას?

მან უხეშად გამომტაცა ხელი:

— ძალიან გთხოვ, მომეშვი... ნუ მეხები... ნურც ეცდები, შემეხო... აღარ მიყვარხარ და ვერც ვერასოდეს შევძლებ, შეგიყვარო...

ხელი მოვაშორე და ნაწყენი ხმით ვუთხარი:

— ვარგი, სიყვარულზე აღარ ვილაპარაკოთ, ვილაპარაკოთ ჩემდამი შენს სიძულვილზე. თუ უარს ვიტყვი სცენარის დაწერაზე, მაინც გექძულები?

უცებ ის ფეხზე წამოხტა და წამოიძახა:

— ჰო, ისევ მეძულები და გთხოვ, თავი დამანებო!

— კი მაგრამ, რატომ გეზიზღები?

— იმიტომ, რომ — მოულოდნელად წამოიყვირა, ასეთად ხარ დაბადებული და რამდენიც არ უნდა მოინდომო, სხვანაირი ვერ გახდები!

— მაინც როგორი ვარ?

— ეგ შენ უკეთ უნდა იცოდე. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ კაცი არა ხარ და კაცურად არ იქცევი.

მე კვლავ გამაოცა მისმა გულწრფელმა კილომ და ასევე გამაოცა ამ კილოზე ნათქვამმა, სრულიად განსხვავებულმა, გაცვეთილმა სიტყვებმა.

— მაინც რას ნიშნავს ნამდვილი მამაკაცი? ირონიულად შევეკითხე, — ვერა ხვდები, რომ უაზრობა თქვი?

— თავი დამანებე, თვითონაც მშვენივრად იცი ყველაფერი...

ემილია ფანჯარასთან მივიდა და ზურგშექცეულმა განაგრძო ჩემთან ლაპარაკი. სასოწარკვეთილმა თავი ხელებში ჩავრგე და წუთით გაოგნებული ვიყურებოდი წინ. ემილიამ არა მარტო ფიზიკურად შემაქცია ზურგი, არამედ, შეიძლება ითქვას, მთელი არსებით შეტრიალდა ჩემგან. გავიფიქრე: ან არ სურს მითხრას, რატომ ვეზიზღები, ან არ შეუძლია ამიხსნას. რაღაც მიზეზი რომ აქვს ჩემდამი ზიზღს, ეს აშკარაა, მაგრამ საფუძვლიანად თვითონაც არ არის გარკვეული ამ მიზეზის არსში და ამიტომ ამჯობინებს, ჩემდამი ზიზღი მიაწეროს ვითომდა ჩემს თანდაყოლილ არაკაცურ, გამოუსწორებელ ბუნებას. გამახსენდა რეინგოლდისეული ურთიერთობა ოდისევსა და პენელოპეს შორის; ვინ იცის, იქნებ ემილიასაც ჰგონია, რომ მთელი ეს ბოლო თვეები ჩემთვის ცნობილი იყო, ბატისტა რომ ეარშიყებოდა და მე განგებ ვდუმდი საკუთარი სარგებლიანობისთვის? იქნებ ჰგონია, იმის ნაცვლად, რომ აღვშოთებულიყავი, პირიქით, ხელს ვუწყობდი ბატისტას ამ საქმეში?

ამის გაფიქრებაზე სუნთქვა შემეკრა. უცებ ჩემს მეხსიერებაში გაიელვა რამდენიმე შემთხვევამ, რასაც მართლაც შეეძლო ემილიას ასეთი ეჭვი გამოეწვია. თუნდაც ის შემთხვევა ავიღოთ, ბატისტასთან პირველი შეხვედრის საღამოს რომ დავაგვიანე ტაქსის გამო. ვინ იცის, იქნებ ემილიამ იფიქრა, განგებ დავაგვიანე, რათა პროდიუსერთან მარტო დამეტოვებინა. თითქოს ჩემს ფიქრებს ადასტურებსო ემილიამ, ჩემკენ მოუბრუნებლად წარმოთქვა:

— ნამდვილი მამაკაცი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, იმის შემდეგ, რაც გუშინ საღამოს დაინახა, შენსავით არ მოიქცეოდა... სრულიად აუღელვებლად, ვითომ არაფერი მომხდარიყოს, მოხვედი ჩემთან და რჩევა მკითხე, სცენარი დაწერო

თუ არ დავწერო. მკითხე იმ იმედით, იქნებ მირჩიოს, დაწერო. ასეც მოხდა: მე გირჩიე ის, რაც შენ გინდოდა და შენც დათანხმდი... დღეს კი, არ ვიცი, რა მოხდა იმ გერმანელთან, მოდიხარ და მეუბნები, შენი გულისთვის ვიღებ ხელს სამუშაოზე, რადგან გეზიზღებიო, შენ კი არ გინდა მეზიზღებოდე. ახლა უკვე გავიგე, ვინც ბრძანდები... ახლა უკვე ეჭვი არ მეპარება. შენ კი არა თქვი უარი სამუშაოზე, რეჟისორმა გაიძულა უარი გეთქვა... ერთი სიტყვით, ყველაფერი გათავდა. უკვე გვიანაა ჩემი სიყვარულის დაბრუნებაზე ფიქრი. მე მაინც ველარ შემაცვლევინებ აზრს და ძალიან გთხოვ, მოეშვა არტისტობას, ერთხელ და სამუდამოდ დამანებე თავი.

ამრიგად, კვლავ იმ საკითხს დავუბრუნდით, რითაც დავიწყეთ. ემილიას ვეზიზღებოდი, მაგრამ რატომღაც, მიზეზის თქმა არ უნდოდა. მე კი ზიზღს მგვრიდა, თვითონ მეთქვა მისთვის მიზეზი არა იმიტომ, რომ თვითონ მიზეზი იყო გულისამრევი, არამედ იმიტომაც, რომ ასე მეგონა, თუ მას ხმამაღლა წარმოვთქვამდი, მაშასადამე, ამით ვამტკიცებდი, რომ ეს მიზეზი მართლაც, ასეა თუ ისე, არსებობდა. მსურდა, ყველაფერი გამერკვია ბოლომდე და რაც შემეძლო, მშვიდად ვუთხარი ემილიას:

— შენ გეზიზღები, მაგრამ არ გინდა მითხრა, რატომ... შესაძლოა: თვითონაც არ იცი... მაგრამ მე უნდა ვიცოდე, რათა აგიხსნა, დაგარწმუნო, რომ ცდები. არა ხარ მართალი. მე უნდა ვიმართლო თავი შენ წინაშე... ვთქვათ და, მე თავად გითხარი შენი ჩემდამი ზიზღის მიზეზი, დამიდასტურებ, არის თუ არა ეს მართალი, მპირდები, რომ სიმართლეს მეტყვი?

ემილია ისევ ფანჯარასთან იდგა ჩემკენ ზურგშექცეული. ამ სიტყვებზე ცოტა ხანს იყუჩა. შემდეგ კი მოქანცულმა და გაღიზიანებულმა თქვა:

— არაფერსაც არ გპირდები, ოჰ, თავი დამანებე, ბოლოს და ბოლოს...

— მიზეზი აი, რა არის, დავიწყე აუჩქარებლად, თითოეულ სიტყვას თითქმის დამარცვლით წარმოვთქვამდი, შენ არასწორად გაიგე ზოგიერთი შემთხვევა და წარმოიდგინე, თით-

ქოს მე... ვიცოდი ბატისტას შესახებ, მაგრამ საკუთარი ინტერესებისათვის ვცდილობდი ყველაფერზე თვალი დამეხუჭა, ის კი არადა, თითქოს გიბიძგებდი მის მკლავებში მოხვედრილიყო... ასე არ არის?

პასუხის მოლოდინში ემილიასკენ გავიხედე. მას არაფერი უთქვამს. კვლავ ფანჯარაში იცქირებოდა და დუმდა. უცებ ვიგრძენი, ყურებზე ცეცხლი წამეკიდა, თვითონვე შემრცხვა საკუთარი სიტყვებისა, მაშინვე ვიფიქრე — ვაითუ ემილიამ ჩემი ნათქვამი მართლაც თავისი ზიზღის მიზეზად გამოიყენოს-მეთქი, ამიტომაც სასოწარკვეთილმა განვაგრძე:

— თუ ეს მართლა ასეა, გეფიცები, ცდები... გუშინ საღამომდე არაფერი ვიცოდი, ასეთი რამ აზრადაც არ მომივიდოდა... რა თქმა უნდა, შეგიძლია დამიჯერო ან არ დამიჯერო... მაგრამ თუ ახლა ჩემს სიტყვებს არ ირწმუნებ, მაშასადამე, გინდა მაინცდამაინც გეზიზღებოდე და თავიც არ მამართლებინო.

ემილიას არც ამჯერად ამოუღია ხმა, მაგრამ მივხვდი, მიზანში მოვარტყი. ემილიამ შესაძლოა, მართლაც არ იცოდა, რისთვის ვეზიზღებოდი, არც უნდოდა სცოდნოდა, არამზადად მივანხდი, ისე, უბრალოდ, უმიზეზოდ, მორჩა და გათავდა! ისე წარმეკვეთა სასო, ისე ვიყავი მთელი არსებით შეძრული, რომ აზრს აღარ ვატანდი ჩემს საქციელს: ვცადე სხვანაირად დამერწმუნებინა იგი. წამოვდექი, მივუახლოვდი, მკლავში ხელი მოვკიდე:

— ემილია, რატომ გეზიზღები ასე? ნუთუ არ შეგიძლია, ერთი წუთით მაინც რომ დაივიწყო ეს ზიზღი? ემილია ისე შეებრუნდა, თითქოს სახის დამალვას ცდილობსო. მკლავის გათავისუფლება არ უცდია, ხოლო როცა ჩემი გვერდი მის გვერდს შეეხო და არ შერხეულა, ამან გამბედაობა შემმატა და წელზე ხელი შემოვხვიე. ბოლოს შემობრუნდა. იგი ტიროდა.

— ვერასოდეს გაპატიებ, რიკარდო, ვერასოდეს გაპატიებ ჩვენი სიყვარულის, ბედნიერების დამსხვრევას, როგორ მიყვარდი... შენ გარდა არავინ მყვარებია და არც შემეყვარდება... შენ კი შენი ხასიათით ყველაფერი დაღუპე... ჩვენ შეგვეძლო ბედნიერები ვყოფილიყავით ერთად, ახლა კი... ამაზე ფიქრიც

შეუძლებელია, როგორ უნდა დავივიწყო ეს ყველაფერი? როგორ არ უნდა გავბრაზდე შენზე?

იმედი მომეცა, რაც უნდა იყოს, ემილიასგან ის მაინც გავიგე, რომ ადრე ვუყვარდი და ჩემ გარდა არც არავინ ჰყვარებია.

— მომისმინე, ემილია, ვცდილობდი მომეზიდა და მკერდზე მიმეკრა, ახლავე ჩაალაგებ ჩემოდნებს, ხვალ დილით კი გავემგზავრებით რომში. ყველაფერს აგიხსნი... მჯერა, დაგარწმუნებ ჩემს სიმართლეში...

ამჯერად ემილიამ რალაცნაირი გახელებით გაითავისუფლა თავი ჩემი მკლავებიდან და აყვირდა:

— არსადაც არ წამოვალ! რომში წამოვიდე, ხომ? რომში რომ წამოვიდე, სახლი უნდა მივატოვო. დედაჩემს არ უნდა მასთან დავბრუნდე... იძულებული გავხდები, ავეჯიანი ბინა ვიქირავო, ამისათვის კი ისევ მემანქანედ უნდა ვიმუშაო და ასე ვირჩინო თავი... არსადაც არ წამოვალ... არ მოვდივარ, აქ ვრჩები, მე სიმშვიდე და დასვენება მინდა... თუ ასე გულით გწაღია, შენ წადი... ბატისტამ მითხრა, რამდენ ხანსაც გინდა, იმდენ ხანს იცხოვრეო აქ. ჰოდა, მეც აქ ვრჩები!..

ახლა კი მე ავფეთქდი.

— ჩემთან ერთად წამოხვალ... ხვალ დილით!

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ გეშლება რალაც, მე აქ ვრჩები!

— მაშინ მეც დავრჩები და ისეთ რამეს მოვიმოქმედებ, ბატისტამ თვითონ გაგყაროს აქედან ორივე...

— არა, შენ მაგას არ იზამ.

— ძალიან კარგადაც ვიზამ.

წუთით მიყურა, შემდეგ უსიტყვოდ გატრიალდა და სასტუმრო ოთახიდან გავიდა. გავიგონე, როგორ ჩაკეტა თავისი ოთახის კარი.

ოცდამეერთე თავი

ამგვარად, შებორკილი აღმოვჩნდი ცხელ გულზე ჩემივე წამოსროლილი სიტყვებით — „მე ვრჩები“.

სინამდვილეში ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა და ეს ჩემთვის ნათელი გახდა ემილიას გასვლისთანავე. ერთადერთი ვაცი, ვისაც აქაურობა უნდა დაეტოვებინა, მე ვიყავი. ბატისტას გავემიჯნე, რეინგოლდს წავეჩხუბე, ახლა კი, როგორც ჩანს, ემილიასთანაც აღარაფერი მაკავშირებს. ერთი სიტყვით, აქ უკვე ზედმეტი ვიყავი და დაუყოვნებლივ უნდა მიმეტოვებინა აქაურობა. მაგრამ ემილიას მივაძახე „ვრჩები-მეთქი“ და არ ვიცი, კიდევ მქონდა რაღაცის იმედი, თუ უბრალოდ, ჩემი სიჯიუტის გამო იყო, აქედან წასვლა მართლაც არ მინდოდა. სხვა ვითარებაში ჩემი ასეთი ყოფა, ალბათ, სასაცილო იქნებოდა, მაგრამ ახლა ისე წარმკვეთოდა სასო, ისე დამძიმებელი მქონდა სული, რომ ნამდვილად შესაბრალებელი ვიყავი. მე ახლა იმ მთასვლელს ვგავდი, ძლივძლივობით რომ მიაღწია სახიფათო მწვერვალს, მაგრამ ვერც ფეხის მოკიდება, ვერც გზის გაგრძელება და ვერც უკან დაბრუნება რომ ვერ მოუხერხებია.

აღელვებული ბოლთას ვცემდი ოთახში და ვინ იცის, თავს მერამდენედ ვეკითხებოდი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე-მეთქი. ვახშობის დრო ახლოვდებოდა. განა შემეძლო ყოველივე ამის შემდეგ ბატისტასა და ემილიასთან ერთად მაგიდას მივჯდომოდი, ვითომც არაფერი მომხდარიყო. ერთი წუთით ისიც გავიფიქრე, ვახშმად კაპრზე წავსულიყავი და შინ გვიან ღამით დავბრუნებულიყავი, მაგრამ იმ დღეს ოთხჯერ ვირბინე სახლსა და ქალაქს შუა, თანაც სიცხეში, გადაქანცული ვიყავი და სახლიდან გასვლა არ შემეძლო. საათს დავხედე. ექვსს უჩვენებდა. ვახშობადე სულ ცოტა ორი საათი მაინც იყო დარჩენილი. რა მექნა? ბოლოს მოვიფიქრე: ჩემს ოთახში შევედი, კარი შიგნიდან ჩავკეტე, დარაბები მჭიდროდ მივხურე და საწოლზე გავიშხლართე. მართლაც ძალიან დაღლილი ვიყავი. როგორც კი დავწექი, ვიგრძენი, ჩემმა სხეულმა, რომელიც ჩემს თავზე უფრო ჭკვიანი აღმოჩნდა, ძალდაუტანებლად იპოვა ძილისთვის მოხერხებული მდგომარეობა, რაზედაც დიდ მადლობას ვუხედი და ჩემს დამტანჯველ კითხვასაც — „როგორ მოვიქცე?“ — უსიტყვოდ უპასუხა იმით, რომ სულ მალე ღრმად ჩამეძინა.

კარგა ხანს მეძინა, თანაც მეძინა უსიზმროდ. გაღვიძებულს თვალში მეცა ოთახში ჩამოწოლილი სიბნელე. საწოლიდან წამოვდექი, ფანჯარასთან მივედი და გამოვალე: კარგად დაღამებულიყო. სინათლე ავანთე და საათს დავხედე. ცხრა საათი გამხდარიყო. მთელი სამი საათი მძინებია. ვახშამი კი, როგორც ვიცოდი, რვა საათზე უნდა გაეწყოთ, უკიდურეს შემთხვევაში — ცხრის ნახევარზე. ჩემ წინ კვლავ იგივე კითხვა: წამოიძარათა: „როგორ მოვიქცე?“ მაგრამ ახლა დასვენებულსა და კარგად გამოძინებულს, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ გამჭირვებია. მაშინვე მოვნახე საკმაოდ უბრალო და გაბედული პასუხი: „რატომ უნდა დავიმალო? მივალ ვახშამზე. მოხდეს, რაც მოსახდენია“.

ბრძოლის ჟინით ვიყავი ანთებული და ვგრძნობდი, ბატისტას შემოტევასაც გავუძლებდი და ვაიძულებდი კიდევ, მეც და ემილიაც კინწისკვრით გავეყარეთ სახლიდან. სწრაფად ჩავიცვი და ოთახიდან გავედი.

სასტუმრო ოთახში არავინ დამხვდა, მაგიდა მხოლოდ ერთი კაცისთვის გაეწყოთ. ეჭვმა გამკრა გულში და თითქოს ჩემი ეჭვის დადასტურება სურსო, მოსამსახურე ქალიც შემოვიდა: ბატისტა და ემილია კაპრზე წავიდნენ სავახშმოდო. თუ მოისურვებთ, შეგიძლიათ წაბრძანდეთ მათთან. რესტორან „ბელავისტაში“ არიან, თუ გნებავთ, აქ ივახშმეთ. უკვე ნახევარი საათია, სუფრა გაშლილი მაქვსო, — მითხრა მან.

მივხვდი, ემილია და ბატისტაც იმ კითხვამ შეაწუხა: „როგორ მოვიქცეთ?“ ჩემგან განსხვავებით, ამ კითხვას მათ ძალზე იოლად უპასუხეს, ადგნენ და სახლიდან წავიდნენ, მე კი საკუთარ თავთან დამტოვეს მარტო.

ამჯერად არც ეჭვიანობას შევუპყრივარ, არც გავბრაზებულვარ და არც დიდად მწყენია. ორივენი მოიქცნენ ისე, როგორც უნდა მოქცეულიყვნენ-მეთქი. მადლობის მეტი არაფერი მეთქმოდა, უსიამო შეხვედრას რომ გაერიდნენ. ერთ რამესაც მივხვდი: ამ თავისებური, ტაქტიკური ხერხით მიბიძგებდნენ, იქაურობა დამეტოვებინა და თუ ასე გააგრძელებდნენ მომდევნო დღეებშიც, ალბათ, მიზანსაც მიაღწევდნენ. მაგრამ მომავალი გვიჩვენებს ყველაფერს. მანამდე კი არავინ არაფერი

იცის. მოახლე ქალს ვთხოვე, ვახშამი შემომიტანე-მეთქი, და მაგიდას მივუჭყეი.

ძალიან ცოტა და უგემურად ვივახშმე. მხოლოდ გემო გავუსინჯე შაშხს, გადავიღე პატარა ნაჭერი თევზი, ასე საგულდაგულოდ რომ დაუკვეთა ემილიამ მზარეულს. ვახშამს რამდენიმე წუთში მოვრჩი. მოსამსახურე ქალს ვუთხარი, აღარ დამჭირდები-მეთქი, დასაძინებლად გავუშვი და ტერასაზე გავედი. ტერასის კუთხეში რამდენიმე შეზღონგი იდგა, ერთი მათგანი ბალუსტრადისკენ მოვაბრუნე. ზღვა სიბნელეში არ ჩანდა.

რეინგოლდთან ლაპარაკის მერე აგარაკზე რომ ვბრუნდებოდი, საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, ემილიას მოველაპარაკები და მერე ყველაფერს მშვიდად ავწონ—დავწონი-მეთქი. იმ წუთებში არ ვიცოდი, რატომ აღარ ვუყვარდი ემილიას, მაგრამ რას ვიფიქრებდი, რომ ემილიასთან მოლაპარაკების შემდეგ ვერ გავიგებდი ამას. მეგონა, ჩვენი ლაპარაკი ნათელს მოჰფენდა ყოველივეს, რაც აქამდე გაუგებრობის ბურუსში იყო გახვეული, მეგონა, ეს ბურუსი გაიფანტებოდა და მეც გაოცებული შევძახებდი: „სულ ეს არის? ამისთვის მტანჯავდი ამდენ ხანს? ასეთი უბრალო რამისთვის გადამიყვარე?“

მოხდა კი ის, რასაც სრულიად არ მოველოდი. ემილიასთან საუბარი შედგა და სწორედ ისეთი საუბარი, როგორიც შესაძლებელი იყო ჩვენ შორის ასეთ ვითარებაში და მაინც იმაზე მეტი ვერაფერი გავიგე, რაც ადრე ვიცოდი. უარესიც დავადგინე, რომ ემილიას ჩემდამი ზიზღის მიზეზი ჩვენს წარსულ ურთიერთობაში უნდა მეძებნა. მაგრამ ემილიას ამის გაგონებაც არ უნდოდა და სურდა, წინანდებურად უმიზეზოდ ვძულეობდი და ამით ჩემთვის მოესპო თავის მართლებების ყოველგვარი გზაც და მისი სიყვარულის დაბრუნების სურვილიც.

ერთი სიტყვით, მივხვდი, ემილიას ჩემდამი ზიზღის გრძნობა უფრო ადრე, ბევრად უფრო ადრე გაუჩნდა, ვიდრე ჩემი საქციელით ამის რაიმე საბაბს მივცემდი, საფუძვლიანს თუ უსაფუძვლოს. ეს გრძნობა მას ყოველად უმიზეზოდ გაუჩნდა ჩვენი ხასიათების ხანგრძლივი თანაარსებობის შედეგად. და მართლაც, როცა გავბედე და ჩემი ვარაუდი გავაცანი, იმიტომ გე-

ზიზღები, რომ ბატისტას საქციელის მიმართ უმოქმედობა გამოვიჩინე-მეთქი, ემილიას არც ჰო უთქვამს და არც არა, საერთოდ არ ამოუღია ხმა. ალბათ, მართლა ისეთ ადამიანად მივაჩნევარ, ყველაფერს რომ იკადრებს გავიფიქრე გულისტკივილით. იგი არაფერს მეკითხებოდა, ალბათ, ეშინოდა, ჩემი პასუხით უფრო არ გამეღრმავებინა მისი ჩემდამი ზიზღის გრძნობა. ჩემი დახასიათებისას ჩემი ბუნებიდან გამომდინარე აკეთებდა დასკვნებს და არა საქციელის მიხედვით. ეს უკანასკნელი, სამწუხაროდ, ადასტურებდა მისეულ დასკვნებს, თუმცა უამისოდაც, ალბათ, ასევე მომეცეოდა ემილია. ამის დასამტკიცებლად მისი უცნაური ქცევაც კმაროდა. ემილიას, რა თქმა უნდა, შეეძლო, ჩემთვის გულახდილად, გულწრფელად ეთქვა, რა აწუხებდა და ამით გაეფანტა ის გაუგებრობა, რამაც ასე უწყალოდ ჩაკლა ჩვენი სიყვარული, მაგრამ ასე როდი მოიქცა და არ მოიქცა სწორედ იმიტომ, რომ მართლაც არ უნდოდა რაიმეს გაგება, უნდოდა ძველებურად ვძულებოდი.

ამ ფიქრებმა ისე ამაღელვა, რომ შეზღონგიდან ანგარიშ-მიუსცემლად წამოვდექი და ბალუსტრადის მოაჯირს გადავეყუდე. ჩემი აფორიაქებული სული ამ წყნარ ღამეში სიმშვიდეს ეძიებდა, მაგრამ როგორც კი გახურებულ სახებზე ზღვის ნელი სუნთქვა ვიგრძენი, მაშინვე გავიფიქრე, ასეთი შვების ღირსი არა ვარ-მეთქი. მივხვდი, კაცი, ვინც ეზიზღებოდათ, ვერსად და ვერასოდეს იპოვიდა სულის სიმშვიდეს. რა თქმა უნდა, ცოდვილივით მასაც შეეძლო განკითხვის ჟამს სასამართლოზე წარმოეთქვა: „ჰო, მთებო, დამიფარეთ, ან ზღვებო, მშთანთქეთ!“ მაგრამ ამით თავს ვერ უშველიდა, რამეთუ ზიზღი ღრმად იყო ჩაბუდებული მის სულში და არასოდეს დაეხსნებოდა.

კვლავ შეზღონგში ჩავჯექი და აკანკალებული ხელებით სიგარეტს მოვუკიდე. „ვარ თუ არა ზიზღის ღირსი?“ — გავიფიქრე. ღრმად მწამდა, არაფრით დამიმსახურებია იგი. სხვა რომ არაფერი, ჭკვიანი ვარ, გონება მიჭრის და ამას არც ემილია უარყოფს. „ჩემი ჭკუა—გონებით შემოძლია ვიამაყო, ის არის ჩემი არსებობის გამართლება. ამიტომ მე უნდა ვიფიქრო. სულერ-

თია, ოღონდ უნდა ვიფიქრო, საკუთარი ინტელექტით უშიშრად უნდა წარვდგე ყოველგვარი საიდუმლოს ამოხსნის წინაშე. თუკი აღარ შემეძლება ფიქრი, განსჯის უნარი, მე მართლაც აღარაფერი შემრჩება ხელთ, გარდა საშინელი შეგრძნებისა, რომ მართლაც ღირსი ვყოფილვარ შეზიზღებისა, თუნდაც უმიზნოდ შეზიზღებისა“.

ამგვარად, ჩემი გონება ჯიუტად და საღად ამუშავდა. ნეტავ რის გამო დავიმსახურე ზიზღი?! უცებ რეინგოლდის სიტყვები გამახსენდა. მან, ალბათ, თვითონაც არ იცოდა, პენელოპესა და ოდისევსზე მსჯელობისას რა ბუსტად განსაზღვრა ჩემი და ემილიას ურთიერთობა: „ოდისევსი ცივილიზებული, კულტურული კაცია, პენელოპე კი პრიმიტიული, ბარბაროსული ბუნების ქალი“. ერთი სიტყვით, რეინგოლდმა თავისდა უნებურად ჰომეროსის პოემის თავისუფალი ფანტასტიკური ინტერპრეტაციით ჯერ ურთიერთობა გამამწვავებინა ემილიასთან, მაგრამ ახლა ამავე ინტერპრეტაციით სურდა დავემშვიდებინე, ოდისევსი კულტურული კაცი იყო და არა ბარბაროსი (აქილევსის შუბისა არ იყოს, ჯერ რომ ჭრილობას მოგაყენებდა და მერე მოგარჩენდა). ვგრძნობდი, შემეძლო ამ მოსაზრებას ორივე ხელით ჩავჭიდებოდი, თუკი მოვისურვებდი. მე მართლაც ის ცივილიზებული კაცი ვიყავი, ბანალური ამბავი რომ შეემთხვა, ვინც საკუთარი ღირსებისა და პატიოსნების დასაცავად დანა არ დაატრიალა. ცივილიზებული ადამიანი ყოველთვის ფიქრობს, მაშინაც კი, როცა საქმე რაიმე მისთვის წმინდასა და სათაყვანებელს ეხება. გავიფიქრე თუ არა ეს, მაშინვე დავადგინე, ასეთი, ასე ვთქვათ, ისტორიული ახსნა არ მაკმაყოფილებს-მეთქი. მართალი რომ ვთქვა, მთლად დარწმუნებული არც ვიყავი, ჰგავდა თუ არა ჩემი და ემილიას ურთიერთობა რეჟისორის მიერ გამოგონილ ურთიერთობას ოდისევსსა და პენელოპეს შორის. ასეთ დასკვნებს, შესაძლოა, მართლაც ძალუძს რაღაცის ახსნა ისტორიულ ამბავში, მაგრამ აქ უძლური აღმოჩნდებოდა, რამეთუ ახლა, სრულიად სხვა დროსა და ადგილას მყოფ ადამიანთა ცნობიერებას, მათ ღრმა ინტიმურობასა და ინდივიდუალობას ცხოვრებაში შინაგანი დემონები

განაგებენ. ისტორიას შეუძლია გამამართლოს და ამით დამეხმაროს მხოლოდ საკუთრივ ისტორიულ წიაღში, მაგრამ ამდაგვარი ვითარება მიუხედავად მისი ისტორიულად ცნობილი პირველმიზნებისა — რაშიც მე აღმოვჩნდი, სრულიადაც არ წარმოდგენდა იმ სინამდვილეს, რომელშიც მე შევძლებდი ცხოვრებასა და მუშაობას. მაინც რა მიზნით შემიძულა, რატომ აღარ ვუყვარვარ? და რაც მთავარია, საიდან ჰქონდა მას ეს მოთხოვნილება მაინცდამაინც ვძულეობდი? მოულოდნელად მისი სიტყვები გამახსენდა: „იმითომ, რომ შენ კაცი არა ხარ“. გამახსენდა, აგრეთვე, მაშინდელი ჩემი გაცემა, რაც ამ გაცვეთილ სიტყვებსა და ემილიას გულწრფელ კილოს შორის განსხვავებამ გამოიწვია. იქნებ ამ სიტყვებში უნდა მეძებნა ემილიას საქციელის გასაღები? მის ამ სიტყვებში ნეგატიურად ისახებოდა იმ მამაკაცის იდეალური სახე, რომელიც ემილიასათვის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ნამდვილი მამაკაცი იყო, ხოლო ეს ნამდვილი მამაკაცი, მისივე აზრით, მე არ ვიყავი და არც შეიძლება ვყოფილიყავი. მეორეს მხრივ, თვითონ სიტყვების ბანალობა გაფიქრებინებდათ, რომ იდეალური მამაკაცი ემილიას წარმოდგენაში წარმოიშვა არა ადამიანის ღირსებების შეგნებული შეფასებით, არამედ იმ წრის ადამიანთა დამახასიათებელი პირობითობის გავლენით, რომელშიც ის აღიზარდა. მისი წრის ხალხისთვის ნამდვილ მამაკაცად ითვლებოდა, მაგალითად, ბატისტა, თავისი პირუტყვული ძალითა და წარმატებული ცხოვრებით.

ეს რომ ასე იყო, ამაზე ნათლად მეტყველებდა გუშინდელი სადილი, როცა ემილია აღტაცებული შესცქეროდა ბატისტას. და ისიც, რომ ბოლოს და ბოლოს, მართლა სასოწარკვეთილების წუთებში, მაგრამ მაინც მოექცა ბატისტას მკლავებში. ერთი სიტყვით, ემილიას იმიტომ ვძულდი, ან უფრო სწორად, სურდა ვძულეობდი, რომ მიუხედავად თავისი უშუალობისა და უბრალოებისა ან, უფრო სწორად, იქნებ სულაც ამის გამო, მთლიანად მოექცა იმ ტრადიციული წარმოდგენების გავლენის ქვეშ, რაც ბატისტას წრისათვის იყო დამახასიათებელი. ერთ—ერთი ასეთი წარმოდგენა იყო ის, რომ ღარიბ ადამიანს არ შეუძლია მდიდრისგან დამოუკიდებლად იაროს. ეს კი იმას

ნიშნავს, რომ არ შეუძლია იყოს ადამიანი, მამაკაცი. რა თქმა უნდა, დარწმუნებული არა ვარ, ემილიას მართლა ეპარებოდა ეჭვი, რომ თითქოს მე ბატისტას თავისებურად ვეხმარებოდი მზაკვრული განზრახვის აღსრულებაში, მაგრამ თუ ეს ასე იყო, მაშინ ემილიამ, ალბათ, დაასკვნა: „რიკარდო ბატისტაზე და-მოკიდებული, ბატისტა მას ფულს უხდის, სხვა სამუშაოებსაც ბატისტასაგან მოელის. ბატისტას მე მოვწონვარ, მაშასადამე, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, რიკარდო ამაზე თვალს ხუჭავს და ყოველნაირად მიბიძგებს, რომ ბატისტას საყვარელი გავხდე“. ეს მსჯელობა ძალზე ლოგიკური მეჩვენა. გაოცებული ვიყავი, აქამდე ეს როგორ არ მომაფიქრდა-მეთქი, საოცარი ისიც იყო, რომ მე, ვინც შევძელი „ოდისეას“ რეინგოლდისეულსა და ბატისტასეულ ინტერპრეტაციებში ნათლად დამენახა ორი, სრულიად საწინააღმდეგო მსოფლმხედველობა, – ვერ მივხვდი, ჩემ შესახებ ასეთი სინამდვილისგან დაშორებული, უსამართლო წარმოდგენა რომ ჩამოეყალიბებინა, ემილიამ თითქმის იგივე გზა განვლო, რაც რეუისორმა და პროდიუსერმა, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ ბატისტამ და რეინგოლდმა გამოგონილ გმირთა ოდისევსისა და პენელოპეს – სახეები გადაამუშავეს, ემილიამ კი აიღო და თავისი უბადრუკი პირობით შეპყრობილმა დაუწყო ჯიჯგნა ორ ცოცხალ ადამიანს – მე და საკუთარ თავს.

მისმა ზნეობრივმა სიწმინდემ და თანდაყოილმა სიუხეშემ ერთობლივად შექმნეს ის მოსაზრება, რომელსაც ემილია მართლა არ იზიარებდა, მაგრამ არც უარყოფდა. ეს მოსაზრება იყო ის, რომ ვითომ მე ვუბიძგებდი ემილიას ბატისტასაკენ.

„ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ... – ვთქვი ჩემთვის, – ემილიას მივანდე არჩევანი ჩვენ სამის – ჩემი, ბატისტასი და რეინგოლდის „ოდისეას“ ინტერპრეტაციისა. ეჭვი არ მეპარებოდა, ის ბატისტას ვარიანტს აირჩევდა. მისთვის გასაგები იქნებოდა ის კომერციული მოსაზრებანი, რის გამოც ბატისტა მოითხოვდა სანახაობითი ფილმი გაეკეთებინათ. შესაძლოა, რეინგოლდის კონცეფციისთვისაც, ფსიქოლოგიური ფილმისთვისაც დაეჭირა მხარი, მგრამ მიუხედავად იმის ბუნებრიობისა და უშაულობისა, ძალზე მეეჭვება, გაეგო, ჩასწვდენოდა

ჩემს თვალსაზრისს, უფრო სწორად, ჰომეროსისა და დანტეს თვალსაზრისს მისწვდენოდა. მაგრამ ვერ მისწვდებოდა არა იმიტომ, რომ გაუნათლებელი იყო, იმიტომაც, რომ იგი იდეალების სამყაროში კი არ ცხოვრობდა, არამედ ბატისტებისა და რეინგოლდებით სავსე რეალურ სამყაროში“.

ამგვარად, წრე შეიკრა, ემილია ჩემთვის ერთდროულად იყო საოცნებო ქალიც და ის ქალიც, ვინც მე მამართლებდა გაცვეთილი, უბადრუკი წარმოდგენების საფუძველზე და ამიტომაც ვძულდი, ამიტომ ვეზიზღებოდი. ემილია იყო პენელოპეც, ვინც ათი წელიწადი ელოდა ქმარს და ოჯახის ერთგული დარჩა. ის იყო მემანქანე ქალიც, ვინც საეჭვო ანგარებას ხედავდა იქ, სადაც მსგავსიც კი არაფერი იყო. იმ ემილიას რომ დავუფლებოდი, როგორც მიყვარდა და მასაც ისეთად მივეჩინე, როგორც სინამდვილეში ვიყავი, ამისათვის მე უნდა ვცდილიყავი, ემილია თავისი რეალური სამყაროდან გამომეტაცა და დამესახლებინა ისეთივე უბრალო და ბუნებრივ სამყაროში, როგორც თვითონ იყო. უნდა დამესახლებინა იმ სამყაროში, რომლისკენაც, რეინგოლდის სიტყვებით რომ ვთქვათ, ასე მგზნებარედ მივისწრაფოდი, მაგრამ რომელიც სინამდვილეში არც არსებობდა.

მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვდა, მე უნდა მეარსება და მემუშავა ბატისტებისა და რეინგოლდების სამყაროში. ჰოდა, როგორ მოვიქცე ახლა? გადავწყვიტე, უპირველესად თავიდან ამომეგდო მტანჯველი ფიქრი საკუთარ ვითომდა არასრულფასოვნებაზე. უნდა ამოვიგდო თავიდან ფიქრი იმაზე, თითქოს დედის საშოდანვე საძულველი ადამიანი ვიყავი, რამეთუ სწორედ ეს აზრი გამოსტვიოდა ემილიას ჩემდამი დამოკიდებულებაში. ჩემს საქციელზე მეტად ვითომ ჩემს ბუნებაში უფრო ჩანდა თანდაყოლილი არამზადობა. მტკიცედ მჯეროდა, ვერავინ ვერ მიიჩნევს თავს საძულველ ადამიანად ისე, თავისთავად, უნდა ყურად იღო მისი ქცევებიც და ადამიანებთან დამოკიდებულებაც, მაგრამ საკუთარ საძულველობაზე ფიქრი რომ ამომეგდო თავიდან, საჭირო იყო ჯერ ემილია დამერწმუნებინა, რომ მე მართალი ვიყავი.

კვლავ გავისხენე ოდისევსის პიროვნების სამნაირი დახასიათება, ჩემი გაგებით, არსებობის სამი შესაძლებელი ფორმა: ბატისტას მიერ დახატული ოდისევსი, რეინგოლდის მიერ შექმნილი ოდისევსი და ბოლოს, ჩემი ოდისევსი, რომელიც, ჩემი აზრით, ყველაზე ნამდვილი და ყველაზე ჰომეროსისეული იყო. რატომ ვხედავდით ოდისევსს ასე სხვადასხვანაირად მე, ბატისტა და რეინგოლდი? ალბათ, იმიტომ, რომ სხვადასხვანაირი ცხოვრება და ადამიანური იდეალები გვქონდა; ბატისტასეული ოდისევსი ზერელე, უხეში, რიტორული, უშინაარსო, გამოფიტული ვაცი იყო... იგი პროდიუსერის იდეალებს, ან უფრო სწორად, მის ინტერესებს უფრო გამოხატავდა. უფრო რეალური, მაგრამ მდაბალი და გულნამცეცა რეინგოლდისეული ოდისევსი კარგად ესადაგებოდა ამ რეჟისორის ზნეობრივ და შემოქმედებით კრიტერიუმს. დაბოლოს, ოდისევსის ჩემეული სახე... ჩემი ოდისევსი იყო უფრო ამაღლებული და ამავე დროს ბუნებრივიც, უფრო პოეტური და ამავე დროს რეალურიც, იგი იყო ნაყოფი ჩემი დიდი, გულწრფელი და აუხდენელი სურვილისა, სიცოცხლე შთამებერა მისთვის, ისეთი სიცოცხლე, ჯერ რომ არ წაებლიწა და სულისგან არ დაეცალა ფულს, ჯერ რომ არაფერი ჰქონდა ცხოველური და მხოლოდ ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებამდე დასული. რამდენადმე მამშვიდებდა ის ამბავი, რომ ჩემ მიერ შექმნილი ოდისევსის სახე საუკეთესო იყო. მეც უნდა ავმაღლდე მასავით — მერე რა, რომ სცენარში მას სიცოცხლე ვერ მივანიჭე, მერე რა, რომ ვერც რეალურ ცხოვრებაში შევასხამ ხორცს. მხოლოდ ასე ვაიძულებ ემილიას ირწმუნოს ჩემი, მხოლოდ ასე დავიბრუნებ მის სიყვარულსა და პატივისცემას. მაგრამ როგორ გავაკეთო ეს? მხოლოდ ერთ გზას ვხედავდი— უნდა მყვარებოდა ემილია უფრო მეტად, უნდა დამერწმუნებინა იგი თითქმის ყოველდღე, რაოდენ სუფთა და უმწიკვლო იყო ჩემი მისადმი სიყვარული.

მაგრამ თან გავიფიქრე, ჯობს ცოტა ხანს მოვიცადო, ძალა არ დავატანო, ხვალამდე დავრჩები, ხვალ კი გემით ისე გავემგზავრები, არც დაველაპარაკები ემილიას. რომიდან მოვწერ ვრცელ წერილს, სადაც დაწვრილებით ავუხსნი ყველაფერს,

რისი თქმაც ვერ მოვახერხე დღეს. იმ წუთში ტერასისკენ მიმავალი ბილიკის მხრიდან ხმადაბალი ლაპარაკი შემომესმა. მაშინვე ვიცანი ემილია და ბატისტა იყვნენ. სასწრაფოდ გავეშურე ჩემი ოთახისკენ და კვლავ ჩავიკეტე. არ მეძინებოდა, სუნთქვაც მიჭირდა ჩაკეტილ ოთახში, თანაც იმის გაფიქრებაც მტანჯავდა, რომ მე აქ გამოკეტილი ვიყავი ოთახში, ისინი კი სუფთა ჰაერზე არხეინად მიდი—მოდიოდნენ და საუბრობდნენ საერთოდ, უძილობას ვუჩიოდი, განსაკუთრებით ბოლო ხანებში. ამიტომ რომიდან ბლომად ჩამოვიტანე სწრაფად მოქმედი დასაძინებელი წამალი. ამჯერად ორმაგი დოზა გადავყლაპე და გაუხდელად მივეგდე საწოლზე. თითქმის მაშინვე ჩამეძინა მკვდარივით. ემილიასა და ბატისტას ხმა მხოლოდ რამდენიმე წუთი მესმოდა.

ოცდამეორე თავი

უკვე საკმაოდ გვიანი იყო, რომ გავიღვიძე. მიხურული დარაბის ტუტრუტანებიდან მზის სხივები აღწევდა ოთახში. წუთით ყური მივუგდე ირგვლივ გამეფებულ სიწყნარეს, რაც ასე განსხვავდებოდა ქალაქის ყოველდღიური ხმაურისაგან. ქალაქში, მაშინაც კი, როცა სიჩუმე ჩამოვარდება ხოლმე, ჰაერში თითქოს მაინც იგრძნობა ჩავლილი ხმაურის კვალი. უძრავად ვიწექი გულაღმა და ყურს ვუგდებდი ამ იდუმალ სიწყნარეს. უცებ მომეჩვენა, რაღაც აკლდა ამ სიჩუმეს — ელექტრული წყალსაქანის გაბმული ზუმუნი, მოსამსახურე ქალის იატაკის ჯაგრისის შარიშური და კიდევ რაღაც ხმები აკლდა და ამით უფრო იკვეთებოდა ღრმად ჩამოწოლილი სიჩუმე. ისეთი მდუმარება იყო გამეფებული, თითქოს ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა. ერთი სიტყვით, იდგა სიჩუმე. არა სიცოცხლით სავსე, არამედ სამარისებური სიჩუმე.

— სიჩუმე — როგორც იქნა, მოვნახე შესაფერისი სიტყვა სრული მარტობისა. ეს სიტყვა გავიაზრე თუ არა, მაშინვე საწოლიდან წამოვხტი და ემილიას ოთახისაკენ გავქანდი. კარი შე-

ვალე და პირველი, რაც თვალში მომხვდა, იყო წერილი, რომელიც აულაგებელ საწოლზე, ბალიშზე დაედო ემილიას. წერილი მოკლე იყო: „ძვირფასო რიკარდო, ვხედავ, შენ არ გინდა, წახვიდე. ამიტომ მე მივდივარ. შესაძლოა, ასე უცებ ვერც გადამეწყვიტა წასვლა, მაგრამ ბატისტაც მიდიოდა და მეც წავყევი, ესეც არ იყოს, მარტოობისა მეშინია. ბატისტასთან ყოფნა მარტოობას მაინც ჯობია. რომში, ალბათ დავცილდები ბატისტას და მარტო ვიცხოვრებ. თუ ყური მოკარი ჩემზე, ბატისტას საყვარელიაო, არ გაიკვირვო, რკინა ხომ არა ვარ, სხვა გზა არ მქონდა, ძალა არ მეყო. მშვიდობით. ემილია“.

წერილი რომ ჩავიკითხე, გაოგნებული ჩამოვჯექი საწოლზე, თან წერილს ხელს არ ვუშვებდი, თვალგაშტერებული ვიხედებოდი წინ. ღია ფანჯრებთან მოჩანდა მაღალი ფიჭვები, მათ უკან კი ჩამოფცქვნილგადახეხილი კლდეები. მერე ცივ, უკაცრიელ ოთახში მიმოვიხედე. აქ სრული უწესრიგობა სუფევდა. სიცარიელესა და მარტოობას დაესადგურებინა. ტანსაცმელი, ფეხსაცმელი თუ სუნამო—კრემები უკვალოდ გამქრალიყო. ყუთები, უჯრები დაცარიელებულიყო, გამოღებულ კარადებში ცარიელი საკიდრები მოჩანდა. მართალია, ჩემთვის ეს ამბავი მოულოდნელი არ იყო, რადგან ვიცოდი, ადრე თუ გვიან ემილია მიმატოვებდა და ამის გაფიქრებაც კი ძრწოლას მგვრიდა, მაგრამ ახლა, როცა ეს უბედურება მართლაც მეწვია, ყრუ ტკივილი ვიგრძენი მკერდში, მთელი არსებით სულის სიღრმემდე ვიყავი შეძრული. ხეს რომ შეგრძნება ჰქონდეს, ალბათ, უპირველესად ფესვებში იგრძნობდა ტკივილს ძირიანად ამოთხრისას. ახლა მე მართლაც ძირფესვიანად ამოგლეჯილ ხეს ვგავდი. ჩემი გაშიშვლებული ფესვები მოსწყდა თავის მაცოცხლებელ, მასაზრდოებელ მიწას — ემილიას. ჩემი ფესვები ამიერიდან ვეღარ შესძლებდნენ მისი სიყვარულის სასიცოცხლო წვენით დაატკბობს და თანდათან ხმობაც შეეპარებოდათ. ვგრძნობდი, უკვე იწყებდნენ კიდევ ხმობას და გამოუთქმელად ვიტანჯებოდი.

ბოლოს წამოვდექი და ჩემს ოთახში დავბრუნდი. გაოგნებული და დაბნეული ვიყავი. როგორც უკვე ვთქვი, ყრუ ტკივილს

ვგრძნობდი, მაგრამ მალე, ალბათ, იგი აუტანლად გადამექცეოდა და მის მოლოდინში შიშით ვძრწოდი, მინდოდა, ყური არ მეთხოვებინა ამ ტკივილისთვის, რადგან შიშს შეეძლო, უფრო გააღრმავებინა ჭრილობა. ანგარიშმიუცემლად წამოვავლე ხელი საბანაო კოსტიუმს და ბილიკით, რომელიც კუნძულს გარს უვლიდა, კაპრის მოედანზე გავედი. აქ გაბეთი ვიყიდე, რომელიღაც კაფეში მივუჯექი მაგიდას და, ჩემდა გასაოცრად, რომ მეგონა, გულს ვერაფერს დავუდებ-მეთქი, გაბეთი ბოლომდე ჩავიკითხე. იმ ბუზსა ვგავდი, ვერაგმა ბიჭუნამ თავი რომ მოაგლიჯა, ჯერ ვერაფერს იგრძნობს, ვითომც არაფერი მომხდარაო, აქეთ—იქით დადის, ცაცებს იწმენდს და მხოლოდ მერე ვარდება უსულოდ. საათმა თორმეტჯერ ჩამორეკა. სამრეკლოს საათის ბარმა ქუხილივით გადაუარა მოედანს. სწორედ ამ დროს ავტობუსი ჩამოდგა. პლაჟ „პიკოლა მარინაზე“ მიდიოდა. ჩავჯექი.

ცოტა ხნის შემდეგ უკვე პლაჟზე ვიყავი. მზე მწვავედ აცხუნებდა. ავტობუსის გაჩერებაზე შარდის სუნი იყო. იქვე ცხენებშებმული ეტლები იდგა, მეეტლები შეჯგუფებულიყვნენ და წყნარად მასლაათობდნენ. მსუბუქად დავეშვი საბანაო ჯიხურისკენ მიმავალ კიბეზე. დაბლა წვრილი თეთრი კენჭებით მოფენილი პატარა პლაჟი და ცის ქვეშ გადაჭიმული ლურჯი ზღვის კიდური მოჩანდა. წყნარი და უშფოთველი იყო იგი, ზღვის ზედაპირი ოდნავ ლივლივებდა და მზის სხივებზე ატლასივით ბრწყინავდა. მომხიბლავი სანახაობა იყო. „ახლა კარგი იქნება ნავით გასეირნება, იქნებ ნიჩბების მოსმამ შემოწოლილი ნაღველი გულიდან გადამყაროს“, — გავიფიქრე მე, თანაც საკუთარ თავთან მარტო დავრჩებოდი, ფიქრებს სადავეს მივუშვებდი, აქ კი, ხალხით სავსე პლაჟზე, ფიქრის საშუალება არ მექნებოდა. საბანაო ჯიხურს მივუახლოვდი, პლაჟის მომსახურე კაცს ნავის მომზადება ვთხოვე და საბანაო კოსტიუმი გადავიცვი.

ჯიხურიდან ფეხშიშველი გამოვედი ფიცარნაგზე. თან დაბლა ვიხედებოდი. ვფიქრობდი, ფეხი არ გამკაწროდა ხორკლიან და მარილიანი წყლისგან გამოფიტულ ფიცრებზე. ივნისის მცხუნვარე მზე უხვად მაფრქვევდა სხივებს, ბურგს მიწვავდა

და ისეთ სიამოვნებას მგვრიდა, სულ რომ არ შეეფერებოდა ჩემს უნუგემო მდგომარეობას. პატარა კიბით ზღვის სანაპიროზე ჩავედი და გავუყევი მხურვალე კენჭებით მოფენილ ნაპირს.

ის იყო, წყალში უნდა ჩამედგა ფეხი, რომ მალლა ავიხედე და დავინახე... ემილია.

საბანაო ჭიხურების მომსახურე კაცი გამხდარი, ჩაკუნთული და ძაღვზე მზემოკიდებული მოხუცი — იყო. თვალებზე ფართო ფარფლებიანი ჩაღის ქუდი ჩამოეფხატა. წყალში ნახევრად ჩასულ ნავთან იდგა. ემილია ნავის კიჩოზე იჯდა. ჩემთვის კარგად ნაცნობი, მწვანე, ოღნავ გამოხუნებული ბიკინი, მუხლები ერთმანეთზე მიეტყუპებინა, ხელები უკან გადაეწია და მთელი ტანით ზედ დაყრდნობოდა. წელი წვრილი და გამოყვანილი მოუჩანდა. მთელი მისი სხეული სავსე იყო მომხიბლავი ქალური გრაციით. გაკვირვება რომ შემამჩნია, გამიღიმა, თვალებში შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა: „როგორც ხედავ, აქა ვარ... არაფერი თქვა... ისე მოიქეცი, თითქოს იცოდი, აქ რომ ვიქნებოდი“.

წამსვე დავემორჩილე მის უსიტყვო თხოვნას. სიხარულით აღელვებულმა გულის ფანცქალით გავუწოდე ხელი მსახურს და არც ცოცხალი და არც მკვდარი ჩავხტი ნავში. მოხუცი წყალში მუხლებამდე შევიდა, ნიჩბები გაამაგრა და ნავს უბიძგა. მე ნიჩბებს მივუჯექი, თავი არ ამიღია, ისე ვუსვამდი ნიჩბებს მცხუნვარე მზის ქვეშ. ნავი მივმართე პატარა კონცხისკენ, ზღვის პატარა ყურეს რომ კეტავდა. ჩუმად და გამალებით მივაცურებდი ნავს, ემილიას ვუყურებდი, სულ რაღაც ათიოდე წუთში კონცხს მივალწიე. ვგრძნობდი, ემილიას ვერ დაველაპარაკებოდი მანამ, სანამ ზღვის სანაპირო თვალს არ მიეფარებოდა თავისი საბანაო ჭიხურით და მობანავეებით. მინდოდა მარტონი ვყოფილიყავით, მხოლოდ მე და ის. სხვა არავინ, ისევე, როგორც იქ, აგარაკზე მინდოდა მარტო ვყოფილიყავით, როცა რაღაც მნიშვნელოვანის თქმას ვაპირებდი.

კვლავ გამალებით ვუსვამდი ნიჩბებს და მოულოდნელად დიდი ხნის დაგროვილი ნაღველი ყელში ბურთივით მომაწვა, ამას დაემატა რაღაც ჩემთვის ახალი, უცნაური სიხარულის

გრძნობაც, და მივხვდი, ვტიროდი. ღვარად მომსკდარი მდურარე ცრემლი მიწვავდა თვალებსა და სახეს.

კონცხს რომ გავუსწორდი, უფრო მძლავრად მოვუსვი ნიჩბებს, რათა დინებისთვის თავი დამეღწია. ამ ადგილას წყალი შფოთავდა და თავზე ქაფს იყენებდა, მარჯვნივ უზარმაზარი ლოდი იყო, მარცხნივ კი — ფრიალო კლდე. ნავი მათ შუა უნდა გამეტარებინა. უფრო გამეტებით მოვუსვი ნიჩბებს და კონცხს გარს შემოვუარე. ლოდი ზღვის მარილს მთლად გაეთეთრებინა და მზის სხივებზე თვალისმომჭრელად ქათქათებდა. ტალღების მიმოქცევისას გამჭვირვალე წყალში დროდადრო მწვანე წყალმცენარეთა ღერბები და ზღვის იშვიათი მიწავაშლა გაიელვებდა ხოლმე. კონცხის გადაღმა, ფრიალო კლდის მხარეს, უცნაური სანახაობა გადაგვეშალა. უზარმაზარი ქვები თითქოს ამფითეატრს ქმნიდნენ. ქვებს შუა პატარა—პატარა მთლად თეთრი კენჭებით მოფენილი, უკაცრიელი პლაჟები მოჩანდა. აქ ზღვაც უკაცრიელი იყო. არც ნავი ჩანდა, არც მობანავეები. ამ ადგილას წყალს მუქი ლურჯი ფერი ედო, რაც იმას ნიშნავდა, რომ წყალი აქ ღრმა იყო. შორს სხვა კონცხები უცნაურ თეატრის კულისებს ჰგავდა. ზღვა მზეში ჩაძირულივით ჩანდა.

ახლა უკვე ნელა ვუსვამდი ნიჩბებს და ემილიას სახეში შეხედვაც გავბედე. სანამ კონცხს შემოვუვლიდით, ემილია ჩუმად იჯდა, ახლა კი გამიღიმა და მკითხა:

— რატომ ტირი?

— შენ რომ გხედავ, სიხარულისგან ვტირი.

— ასე გაგიხარდა ჩემი ნახვა?

— ძალიან გამიხარდა. მეგონა, წახვედი... თურმე აქა ხარ.

— გადაწყვეტილი მქონდა, წავსულიყავი. დილით წავედი კიდევ ნავსადგურში ბატისტასთან ერთად, მაგრამ ბოლო წუთში გადავიფიქრე და დავრჩი...

— აქამდე სად იყავი?! რას აკეთებდი?

— ნავსადგურში ვიბოდიალე. კაფეში ვიჯექი... მერე კაპრის ფუნიკულორზე ავედი და იქიდან აგარაკზე დავრეკე. შენზე მითხრეს, წავიდაო... ვიფიქრე, „პიკოლა მარინაზე“ წავიდო-

და-მეთქი და მეც აქეთ გამოვეშურე. გავიხადე და დაგელო-
დე... მაშინ დაგინახე, პლაჟის მოხელეს ნავის მომზადებას
რომ სთხოვდი. აქვე მზებე ვიწექი, გვერდით ჩამიარე და ვერ
დამინახე. ნავში მაშინ ჩავჯექი, ტანზე რომ იხდიდი.

ერთი ხანობა ვდუმდი. შუა გზაზე ვიყავით კონცხსა და ზღვა-
ში ღრმად შეჭრილ კლდეს შორის. ვიცოდი, ამ კლდის უკან პა-
ტარა მღვიმე იყო, „მწვანე მღვიმეს“ ეძახდნენ და უცებ მომინ-
და მებანავა. შემდეგ წყნარად ვკითხე ემილიას:

— რატომ არ გაემგზავრე ბატისტასთან ერთად? რატომ დარ-
ჩი?

— იმიტომ, რომ დღეს ბევრი ვიფიქრე და მივხვდი. ვცდებო-
დი შენს შეფასებაში... ეს ყველაფერი მხოლოდ გაუგებრობის
შედეგი იყო და სხვა არაფერი.

— რამ მიგიყვანა მაგ დასკვნამდე?

— არ ვიცი... შესაძლოა, შენმა ხმამ. კილომ გუშინ სალა-
მოს...

— ახლა დარწმუნდი, რომ არასოდეს არაფერი სათაკილო
არ ჩამიდენია, არაფერი ისეთი, რაშიც ბრალს მდებდი?

— ჰო, ახლა დავრწმუნდი.

კიდევ ერთი შეკითხვა მქონდა დარჩენილი, ბოლო და ყვე-
ლაზე მნიშვნელოვანი

— შენ ხომ ბუნებით საძაგელ ადამიანად არ მიგაჩნია, ემილია,
მითხარი, ხომ არ მიგაჩნია?

— არც არასოდეს მიმანდი... უბრალოდ, მომეჩვენა, ისე არ
მოიქცევი, როგორც საჭირო იყო, ამიტომ პატივს აღარ გცემდი,
მაგრამ ახლა ვიცი, რომ ყველაფერი მხოლოდ გაუგებრობის
ბრალი იყო. მოდი, ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ, კარგი?

არაფერი მიპასუხია, ისიც დუმდა. კვლავ მძლავრად მოვუს-
ვი ნიჩბებს ახლა გაორკეცებული სიხარულით ატაცებულმა. ეს
სიხარული ამომავალ მზესავით ათობოდა ჩემს გაცივებულ
სულს. ამასობაში მივალწიეთ „მწვანე მღვიმეს“ და ნავიც მის-
კენ მივმართე. გამოჩნდა კიდევ მღვიმის პირიც, რომელიც შა-
ვი თალივით მოჩანდა მწვანე წყლის მოსარკულ ზედაპირზე.
კვლავ ვკითხე:

— გიყვარვარ, ემილია?!

ემილია წუთით შეეცოცმანდა, შემდეგ მიპასუხა:

— მე ყოველთვის მიყვარდი... და მეყვარები კიდევ, — მაგრამ ძალზე გამაოცა მისმა სევდიანმა ხმამ და შეშფოთებულმა ვკითხე:

— რატომ ლაპარაკობ ასე ნალვლიანად?

— რა ვიცი... შესაძლოა იმიტომ, რომ ბევრად აჯობებდა, არავითარი გაუგებრობა არ მომხდარიყო ჩვენ შორის, არაფერს დავეშორებინეთ და ყოველთვის ერთად ვყოფილიყავით, ერთმანეთი გვეყვარებოდა წინანდებურად.

— რა თქმა უნდა, აჯობებდა, მაგრამ ეს ყველაფერი უკვე უკან დარჩა... ნულარ ვიფიქრებთ წარსულზე, რაც მოხდა, მოხდა. ახლა ჩვენ მუდამ, ყოველთვის გვეყვარება ერთმანეთი.

მომეჩვენა, რომ თანხმობის ნიშნად თავი დამიქნია. მაგრამ მთელი საუბრის დროს თვალები დახრილი ჰქონდა და მეტად ნალვლიანი ჩანდა. წუთით ნიჩბებს ხელი შევეუშვი და მისკენ გადავიხარე:

— ემილია, ახლა „წითელი მღვიმისკენ“ გავცუროთ, ის „მწვანე მღვიმეზე“ უფრო პატარა და ღრმაა. სწორედ ამის უკანაა. იქ პატარა პლაჟიცაა, სიბნელეში მოვესიყვარულოთ ერთმანეთს. გინდა?

თანხმობის ნიშნად თავი. უსიტყვოდ დამიქნია და ოდნავ დარცხვენით შემომხედა. ახლა უფრო მონდომებით მოვეუსვი ნიჩბებს.

აი, უკვე მაღალთაღიან ქვის მღვიმეში ვართ. წვალი და მზე ბურმუხტოვან სხივთა კონებს სტყორცნის მას და მზეზე აელვარებს. უფრო ღრმად, იქ, სადაც ტალღები თაღს ტყლაშუნით ეხეთქება და ბუბუნებს, წყალი მუქია და შავი, ლაპლაპა ქვები ისე გამოჩრილან, ზღვის ცხოველთა ბურგებს ჰგვანან. აგერ ორ კლდეს შუა გასავლელიც, „წითელი მღვიმისკენ“ რომ მიიმართება.

ემილია ჩემს ყოველ მოძრაობას თვალს ადევნებდა. უძრავად იჯდა იმ მომლოდინე პოზაში, ქალებს რომ აქვთ ხოლმე, როცა ნიშანს ელიან, რათა დაგნებდნენ. ხან ერთი, ხან მეორე ნიჩბით, როგორც იქნა, რის ვაი—ვაგლახით მოვაცილე კლდეს

ნავი, სტალაქტიდური თალის ქვეშ გავატარე, გაშლილ ადგილზე გავიყვანე და „წითელი მღვიმის“ ბნელი შესასვლელისკენ მივმართე. ემილიას შევძახე, თავი დალუნე-მეთქი და ერთხელ კიდევ მძლავრად მოვეუსვი ნიჩბებს. ნავი თავისუფლად შესრიალდა მღვიმეში.

„წითელი მღვიმე“ ორი ნაწილისგან შედგებოდა. წინა ნაწილი მეორისგან დიდი შვერილით იყო გამოყოფილი. მის უკან მღვიმე მიიკლავნებოდა პატარა პლაჟამდე, რომელიც სიღრმეში მდებარეობდა. მღვიმის მეორე ნაწილი სრული წყვიდადით იყო მოცული. ვიდრე სიბნელეს თვალს არ შეაჩვევდი, ვერც დაინახავდი პატარა პლაჟს. იგი რალაც უცნაური მოწითალო შუქით იყო განათებული. ალბათ, ამის გამო ჰქონდა შერქმეული ასეთი სახელიც.

— ეს ძალიან ბნელი მღვიმეა, — ვუთხარი ემილიას, მაგრამ თვალეხს მალე შევაჩვევთ სიბნელეს და ჩვენც ყველაფერს დავინახავთ.

ნავი კვლავ ინერციით მიცურავდა დაბალ, ჩაბნელებულ თაღებს ქვეშ, კვლავ ვერაფერს ვხედავდი. ბოლოს იგი ღრჭი-აღით დაეჯახა რალაცას და ცხვირით ჩაესო ხრეშში. მაშინვე ხელი შევუშვი ნიჩბებს, წამოვიწიე და სიბნელეში ხელი გავიწვდინე ნავის ქიმისკენ. — ემილია, ხელი მომეცი, გადმოსვლაში მოგეხმარები.

ემილიამ არ მიპასუხა. გოცებულმა კვლავ გავიმეორე:

— ხელი მომეცი, ემილია...

კიდევ რომ არ მიპასუხა, უფრო მეტად გადავიხარე და ფრთხილად, სიბნელეში ემილიასთვის ხელი რომ არ მეტაკე-ბინა სახეში, თითები მოვუფათურე ნავის კიჩოს. მაგრამ იმ ადგილას, სადაც ემილია მეგულეობდა, ჩემი თითები მხოლოდ ცარიელ ფიცარს წააწყდნენ. მოულოდნელად განცვიფრებას საზარელი შიშის გრძნობაც დაემატა.

— ემილია! — შევძახე განწირული ხმით, — ემილია! მაგრამ მხოლოდ სუსტმა ექომ მიპასუხა, ყოველ შემთხვევაში, ასე მომეჩვენა. ამასობაში თვალეხი სიბნელეს შეეჩვია და ამ წყვიდადში, როგორც იქნა, გავარჩიე ნაპირში ცხვირით შეჭრილი ნავი, წვრილი მუქი ხრეშით მოფენილი პლაჟი და ჩემს თავზე

გადმოხრილი ლაპლაპა, სველი თაღები. ნავის კიჩოზე არავინ იყო. პლაჟიც უკაცრიელი ჩანდა. ირგვლივ სულიერი არ ჭაჭანებდა. მივხვდი, მარტო ვიყავი.

კვლავ კიჩოს დავაკვირდი და დაბნეულად ჩავიხურჩულე: — ემილია! შემდეგ უფრო ხმადაბლა გავიმეორე: — სად ხარ, ემილია?! და სწორედ იმ წუთს მივხვდი ყველაფერს. ნავიდან გადმოვედი და ხრეშში პირქვე ჩავემხე, ალბათ, გონდაკარგული დიდხანს ვეგდე იქ გაუნძრევლად. შემდეგ ავდექი, ანგარიშმიუცემლად ჩავჯექი ნავში და მღვიმიდან გამოვედი. მაშინვე მომჭრა თვალი შუადღის მცხუნვარე მზის ბრწყინვალეობამ, ზღვის ზედაპირზე რომ ირეკლებოდა. საათს დავხედე. ზუსტად ორი საათი იყო. მღვიმეში საათზე მეტხანს დავყავი, გამახსენდა, შუადღე მოლანდებების დრო რომ იყო და მივხვდი, ყველაფერი, რაც გადაამხდა, მხოლოდ მოჩვენება იყო.

ოცდამესამე თავი

უკან დაბრუნებას დიდი დრო მოვანდომე. ხან შევჩერდებოდი, ხელში ნიჩბებშეყინული, ხან გაოგნებული მივაშტერდებოდი მზის სხივებით გასხივოსნებულ ლურჯი ზღვის ზედაპირს. ირგვლივ ვერაფერს ვამჩნევდი. ცხადია, ახლაც ჰალუცინაციის მსხვერპლი ვიყავი, როგორც ორი დღის წინ, პლაჟზე შიშველი ემილიასკენ რომ დავიხარე და ვკოცნიდი. არადა, მაშინ ადგილიდანაც არ დავძრულვარ და მისგან კარგა მოშორებითაც ვიწექი. მხოლოდ ეს არის, ამჯერად ჰალუცინაცია უფრო მკაფიო და ცხადი იყო, მაგრამ მაინც ჰალუცინაცია იყო და მეტი არაფერი. ამის დასტურად თუნდაც ჩემი წარმოსახული საუბარი კმაროდა ემილიას მოჩვენებასთან. ემილიას ვათქმევინე ის, რაც მსურდა ეთქვა, აქ მე ვიყავი მთავარი, ემილიას მიხრა—მოხრა, ქცევა მხოლოდ ჩემს სურვილს გამოხატავდა. კითხვებიც და პასუხებიც ჩემი შეთხზული იყო. არა მარტო წარმოვიდგინე ყოველივე, რაც გულით მეწადა, არამედ ისე ძლიერი აღმოჩნდა ეს ილუზია, რომელსაც, ალბათ, დიდი ხანია გულში

სათუთად ველოლიავებოდი, რომ ხორცშესხმული წარმომიღ-
გა და ნამდვილად დავიჯერე. შეიძლება უცნაურად მოგეჩვენ-
ნოთ, მაგრამ სულ არ გავუკვირვებოვარ ასე იშვიათსა და შე-
საძლოა, თავისი უჩვეულობით ერთადერთ მოლანდებას. ჩემს
მეხსიერებაში კვლავ ერთმანეთის მიყოლებით ვაცოცხლებდი
ამ მოჩვენების თითოეულ წვრილმანს. ვნეტარები და ენით
აუწერელი სიამოვნებით ვივსებოდი. რა მშვენიერი სანახავი
იყო ნავის კიხობე მჯდარი ემილია, რომელსაც უკვე აღარ ვე-
ზიზღებოდი, წინანდებურად ვუყვარდი. მერედა, რა ტკბილ
სიტყვებს მეუბნებოდა! რა სიამოვნების ჟრუანტელმა დამიარა
და აღეგზნე, როცა ემილიამ თანხმობის ნიშნად თავი დამიქ-
ნია, თავდავიწყებას მივეცი, ახლად გამოღვიძებულ კაცს რომ
სასიამოვნო სიზმარი აჰყვება ხოლმე ძილიდან და კარგა ხან-
საა მისი გავლენის ქვეშ. სწორედ ასეთ მდგომარეობაში ვიყა-
ვი ახლა მეც. ვცდილობდი, კვლავ და კვლავ გამეცოცხლებინა
გონებაში ყველაფერი. არად დაგიდევდით, რომ ეს მხოლოდ
ჰალუცინაცია იყო და არა სინამდვილე. მათი წარმოდგენა ხომ
ისეთსავე სიამოვნებასა და ნეტარებას მანიჭებდა, თითქოს
ნამდვილად მომხდარიყოს.

ამ ტკბილ ზმანებაში ვიყავი, რომ უცებ აზრად მომივიდა, კი-
დევე ერთხელ შემემოწმებინა ის დრო, რაც „პიკოლა მარინა-
დან“ „წითელ მღვიმემდე“ და იქიდან გამოსვლას მოვანდომე.
კიდევ ერთხელ განმაცვიფრა იმან, თუ რა დიდი ხანი დამიყვია
მღვიმეში, მიწისქვეშა პლაჟზე. თუ „პიკოლა მარინადან“ მღვი-
მემდე ორმოცდახუთი წუთი მოვანდომე, მაშინ გამოდის, რომ
მღვიმეში საათზე მეტი დამიყვია. როგორც უკვე ვთქვი, ეს დრო
შეუმჩნევლად გამეპარა, როცა ჩემი აზრით, გულწასული ვიყა-
ვი, ან უფრო სწორად, ცოტაღა მაკლდა ცნობიერების დაკარ-
გვას, მაგრამ ახლა, როცა უკვე კარგად და ღრმად გავიაზრე
ჩემი ჰალუცინაცია, ასე რთული და ასე სასურველი, ასეთი
კითხვა დამებადა: ხომ არ დამესიზმრა ეს ყველაფერი-მეთქი,
სხვანაირად რომ ვთქვათ, შესაძლოა, „პიკოლა მარინაზე“
ნავში დავჯექი მარტო, მარტომვე შევცურე მღვიმეში, იქ პლაჟ-
ზე დავწექი და ჩამეძინა. ჰოდა, დამესიზმრა, რომ ემილიასთან
ერთად ჩავჯექი ნავში. დაველაპარაკე, ვთხოვე, ჩემი გახდი-

მეთქი და მღვიმეში შევცურეთ. მერე დამესიზმრა ისიც, ვითომ ემილიას ხელი გავუწოდე, ნავიდან გადმოსვლაში მოგეხმარები-მეთქი, ხელი რომ არ გამომიწოდა და ნავშიც ვერ დავინახე, აი, მაშინ შემიპყრო შიშმა, აჩრდილთან ერთად ვყოფილვარ-მეთქი ნავში და ნაპირზე დავეცი გონწასული.

ეს მოსაზრება უფრო საფუძვლიანი მეჩვენა, მაგრამ მთლად დაჯერება მაინც არ შემეძლო. თავში ყველაფერი ამერია, ველარ გამერკვია, ზღვარი სიზმარსა და ცხადს შუა. ზღვრად, უეჭველია, ის წუთი უნდა ჩამეთვალა, როცა მღვიმეში, მიწისქვეშა პლაჟზე დაწეჭი, იქნებ დამეძინა და დამესიზმრა, ვითომ ემილიასთან ერთად ვიყავი, ხორცითაც და სულითაც ნამდვილ ემილიასთან, ან იქნებ დამეძინა და დამესიზმრა, ვითომ ემილიას აჩრდილი გამომეცხადა? იქნებ დამესიზმრა, რომ ვითომ მძინავს და იმ ორიდან ერთ სიზმარს ვხედავდი?! ჩინური ბარდაშეხების მსგავსად — ერთს რომ გახსნი და შიგ უფრო პატარა დევს, — ასევე მეც სინამდვილეში სიზმარს ვხედავდი, სიზმარში — სინამდვილეს და ასე დაუსრულებლივ. ვერაფერი გამერკვია.

მერამდენჯერ შევუშვი ხელი ნიჩბებს შუა ზღვაში და მერამდენჯერ ვკითხე თავს: სიზმარი იყო ეს ყველაფერი თუ მოლანდება? ან იქნებ სულაც, რაც უფრო ძნელი დასაჯერებელია, ემილიას აჩრდილი გამომეცხადა? ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ ამოდ ვიტანჯავდი თავს, სულერთია, მაინც ვერაფერს გავარკვევდი ვერც ახლა და ვერც როდისმე.

ამ ფიქრებში გართულმა მივაცურე ნავი გასახდელ ჯიხურამდე. საჩქაროდ ჩავიცვი, მოედანზე გავედი და ძლივს მოვასწარი ახტომა კაპრის მოედნისაკენ მიმავალ ავტობუსზე, რომელიც ის იყო უნდა დაძრულიყო. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ახლა გული რატომღაც აგარაკისკენ მიმიწევდა. რატომღაც დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ თავსამტვრევს იქ ამოვხსნიდი. თანაც იმიტომაც ვჩქარობდი, რომ გემი ექვს საათზე გადიოდა. მანამდე კი სადილობაც უნდა მომესწრო და ჩემოდნის ჩალაგებაც. როგორც კი ავტობუსიდან ჩამოვხტი, მოედნიდან თითქმის სირბილით დავადექი ბილიკს, რომელიც კუნძულს გარს ერტყმოდა. ოცი წუთის შემდეგ უკვე აგარაკზე ვიყავი.

სასტუმრო ოთახში შესულს იმდენი დრო არ მქონდა, მართობისა და სიცარიელის გრძნობა განმეცადა. გაწყობილ სუფრაზე, თეფშის გვერდით დეპეშა იყო. რატომღაც ავლელდი და შევშფოთდი კიდევ, ნეტავ რისი მაუწყებელია ეს დეპეშა ბედნიერების თუ უბედურების? მოუთმენლად დავტაცე ხელი ყვითელ კონვერტს და გავხსენი. ბატისტას სახელმა გამაოცა, მაგრამ რატომღაც იმედიც მომეცა. სასწრაფოდ გადავიკითხე. ბატისტა ორიოდ სიტყვით მაცნობებდა, ემილია საავტომობილო კატასტროფაში მოჰყვა და მეტად მძიმე მდგომარეობაშია.

მოსაყოლი თითქმის არაფერი მაქვს. მგონი ზედმეტია აქ იმაზე ლაპარაკი, რომ აგარაკი მაშინვე დავტოვე და ნეაპოლში ჩავედი. იქ გავიგე, ემილია საავტომობილო კატასტროფაში დაღუპულიყო. მეტად უცნაური იყო მისი სიკვდილი. აუტანელი სიცხისგან მოთენთილსა და დაქანცულ ემილიას მანქანაში ჩასძინებოდა. თავჩაქინდრულსა და მკერდზე ნიკაპდადებულს ეძინა თურმე. ბატისტა მისთვის ჩვეული სისწრაფით მიაქროლებდა მანქანას. მოულოდნელად გვერდითა გზიდან ხარეშებმულ ფორანს გადმოუხვევია. ბატისტას უცებ დაუმუხრუჭებია მანქანა, ერთი მაგრად შეუკურთხებია მეფორანისთვის და გზა გაუგრძელებია. ემილია თურმე ხმას არ იღებდა, თავი აქეთ—იქით უვარდებოდა. ბატისტა დალაპარაკებია, მაგრამ პასუხი ვერ მიუღია. ერთ მოსახვევში კი ემილია ზედ დასცემია ბატისტას. მაშინვე გაუჩერებია მანქანა და უნახავს, რომ ემილია მკვდარი იყო. ფონის გამოჩენაზე ბატისტას მანქანა მოულოდნელად რომ დაუმუხრუჭებია, ემილიას მთელი სხეული მოშვებული ჰქონია, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე ძილში, უეცარ ბიძგზე კი ხერხემალი გადასტეხია. სიკვდილი ისე სწრაფად სწვევია, არც უგრძვნია რამე.

მისი დაკრძალვის დღეს სულისშემხუთველი ბული იდგა. ცა ღრუბლებს დაეფარა, მაგრამ ცვარიც არ ჩამოვარდნილა. ჰაერი უმოძრაო იყო, სუსტი სიოც კი არსაიდან უბერავდა. საღამოს, დაკრძალვის შემდეგ შინ რომ დავბრუნდი, ახლა კი ნამდვილად უკაცრიელი და უსარგებლო მეჩვენა სახლი. მხოლოდ ახლა ვიგრძენი საბოლოოდ, რომ ემილია აღარ იყო და

ვერც ვერასდროს ვიხილავდი. ყველა ფანჯარა ღია იყო ოთახების გასანიაველად, მაგრამ ამაოდ. ოთახიდან ოთახში დავდიოდი მოპრიალებულ იატაკზე და ვგრძნობდი, სუნთქვა მიჭირდა, სული მეხუთებოდა. უკვე ღამდებოდა. ახლომახლო სახლებში განათებულ ფანჯრებს რომ ვხედავდი, ლამის გავცოფებულყავი. ეს შუქი მაგონებდა იმ სამყაროს, სადაც ადამიანებს ერთმანეთი უყვართ, სადაც არავითარი გაუგებრობა არ ხდება. სამყაროს, საიდანაც, ჩემი აზრით, სამუდამოდ ვიყავი განდევნილი. ამ სამყაროს რომ დავბრუნებოდი, საჭირო იყო ემილია ჩემს სიმართლეში დამერწმუნებინა. კვლავ დამებრუნებინა მისთვის ჩემდამი რწმენა და პატივისცემა, ერთი სიტყვით, სიყვარულის კიდევ ერთი სასწაული უნდა მომეხდინა, ისეთი სიყვარულისა, როცა არა მარტო შენ იწვი, არამედ სხვასაც წვათ გრძნობით. ახლა კი ყველაფერი გათავდა. ასე მეგონა, ემილიას სიკვდილი მისი ჩემდამი ზიზღის, ასე ვთქვათ, მტრული განწყობილების, უკანასკნელი გამოვლინება იყო. ამ აზრს ლამის ტკუიდან შევეშალე.

მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვდა. მეორე დღეს ავიღე ჩემოდანი, რომელიც არც გამიხსნია და გამოვედი სახლიდან. კარს რომ ვკეტავდი, ასე მეგონა, საძვალეს ვკეტავდი. გასაღები შევიცარს დავუტოვე და ვუთხარი, როგორც კი აგარაკიდან დავბრუნდები, სახლს გავყიდი-მეთქი.

კვლავ კაპრზე გავემგზავრე. შეიძლება უცნაურობად მოგეჩვენოთ, მაგრამ იქ დაბრუნება იმიტომ მოვისურვე, სულში იმედის ნაპერწკალი მიღვიოდა — იქნებ ემილიას შევხვდე, ან იქ, სადაც ერთხელ მომეჩვენა, ან სადმე სხვა ადგილას-მეთქი. შევხვდებოდი და ავუხსნიდი, რატომ მოხდა ეს ყოველივე, ჩემს მისდამი სიყვარულზე ვეტყოდი და ისიც ყველაფერს გამიგებდა და კვლავ შემეყვარებდა. კარგად მესმოდა, რომ ეს იმედი სიგიჟეს ჰგავდა. არასოდეს ისე ახლოს არ ვყოფილვარ გაგიჟებასთან, როგორც იმ დღეებში. სინამდვილე სიცოცხლეს მიმწარებდა, წინანდელ ჰალუცინაციებს ვნატრობდი.

მაგრამ, საბედნიეროდ, ამის შემდეგ ემილია არც ცხადში, არც სიზმარში არ მომჩვენებია. როდესაც ერთმანეთს შევეუდარე დრო, — მე რომ უკანასკნელად ვნახე და მისი სიკვდილის

დრო დავადგინე, რომ ეს ორი შემთხვევა არ ემთხვეოდა ერთმანეთს. ემილია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ნავის კიჩოზე მჯდარი რომ მომეჩვენა. შესაძლოა, მკვდარი იყო მაშინ, როცა უგონოდ სახეჩარგული ვიწექი სილაში, „წითელ მღვიმეში“. ამგვარად, არაფერი ემთხვეოდა არც სიცოცხლეში, არც სიკვდილში და ჩემთვის აუხსნელი დარჩა, რა იყო ეს, სიზმარი, ჰალუსინაცია თუ გრძნობების მოტყუება? ის გაუგებრობა, ურთიერთობას რომ გვიშხამავდა, მისი სიკვდილის შემდეგაც გრძელდებოდა.

მწუხარებით შეპყრობილი დავეხეტებოდი კაპრზე იმ ადგილებში, სადაც კი მას გაევილო. ერთხელ იმ პლაჟზე არავინ იყო. უბარმაზარ კლდეებს შუა გავძვერი და ჩემ წინ მოლიმარი, წყნარად მოლივლივე ლურჯი ზღვის სივრცე გადაიშალა. ამის დანახვაზე „ოდისეა“, მისი გმირები, ოდისევსი და პენელოპე გამახსენდა და გავიფიქრე: ემილიაც მათსავით მშვიდად განისვენებს ამ თვალუწვდენელი ზღვის სივრცეში, სამუდამოდ გაყინული იმ პოზაში, როგორც სიცოცხლეში ჰქონდა. ახლა მხოლოდ ჩემზე იყო დამოკიდებული და არა რალაც სიზმრებსა და ჰალუსინაციებზე, შევძლებდი თუ არა კვლავ მეპოვა იგი და აქ, მიწაზე დაწყებული საუბარი განმეგრძო მასთან. მხოლოდ ასე შეუძლია ემილიას ჩემგან დაიხსნას თავი და როცა გათავისუფლდება ჩემი გრძნობების სიმძიმისაგან, თავს დამადგება იგი, როგორც ნუგეშისმცემელი მშვენიერების განსახიერება. მეც ეს მოგონება იმ იმედით დავწერე, იქნებ ეს სურვილი ამიხდეს.